# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№36 (549) ◆ 5 – 11 სექტემბერი. 2005 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




## ხელისუფლება დღეს პრინციპულებად და არაპრინციპულებად არის დაყოფილი

მე უფრო საქართველოს ბედი მაღელვებს, რომელსაც სულ უფრო იშვიათად მოიხსენიებენ უკრაინასთან ერთად, როდესაც ამ ქვეყნის ევროინტეგრაციაზეა ხოლმე საუბარი... ჩვენი მთავარი პრობლემა და უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ არაფრის განხილვა არ ხდება. მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო საკითხები მთავრობაში ერთპიროვნული გადაწყვეტილებით მიიღება. გვ.3

## რამდენით ძვირდება გაზი?

ამჟამად 1000 კუბური მეტრი აირი „თბილგაზს“ 60 დოლარად მიეწოდება. როგორც ამბობენ, გაძვირების შემთხვევაში 1000 კუბური მეტრი აირი შესაძლოა 120-140 დოლარიც კი გახდეს. გვ.33

## თუ ერთხელ შეგაშინეს, მერე ხელში აგიყვანენ გვ.7,27



ახლა, რაც მინდა, იმას გეტყვით და ანგარიშს არავის გავუწევ, – არ მომწონს ის პოლიტიკა, გენერალური ხაზი, რაც ქვეყანაში ტარდება...

...მისგან ხშირად მსმენია – ხელისუფლებას არ აქვს უფლება, მასმედიას ეთიკური სტანდარტები მოსთხოვოს, სანამ მის თავისუფლებას არ უზრუნველყოფსო. ამის მთქმელი კაცი დღეს ლამის პირადად ხურავს ტელეგადაცემებს კრიტიკული აზრის გამო...

გამიგია – ძალაუფლება აგიჟებს და ცვლის კაცსო, მაგრამ უბედურება მარტო ეს არ არის...

...ხალხზე, რომელიც პარლამენტში შეიყვანეს და თითქოს კოლეგებად მიაჩნიათ, ფიქრობენ, დებილები არიან, მათი აზრი არ უნდა გვაინტერესებდესო...

**„პრეზიდენტს მაინც ვეტყვი – მოიცილოს ის ურეიტინგო ხალხი, რომელსაც დღეს „პარადი“ მიჰყავს ქვეყანაში“**

## ქართული მაფია გვ.5

## ესპანეთში ომს აპირებს?






ცნობა ქართული მაფიის შესაძლო შურისძიების შესახებ წამყვან ესპანურ გაზეთში „ელ პერიოდიკოში“ დაიბეჭდა. ეტყობა, პრესას ინფორმაცია ძალოვნებმა მიაწოდეს...

ვიღაც ნიადაგს ამზადებს საიმისოდ, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაუსწორდეს ტარიელ ონიანს და მის გარშემო არსებულ მთელ ინფრასტრუქტურას... ესპანეთში მალე დაიწყება დაპატიმრებათა ახალი სერია და ამჯერად მისგან თავის დაღწევა გაცილებით ძნელი იქნება...

**„იაპონჩიკის“ გათავისუფლებას ოცამდე ქართველი ქურდის ტიტული შეეწირა...**

ქართული მაფია არის ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებების ერთობლიობა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეუძლია რომელიმე კრიმინალურ ავტორიტეტს დაუდგეს გვერდში...



## „ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების ომზე ხმები გაზვიადებულია“ გვ.7

არ გამოუვათ ჩვენი დაჩაგვრა და ასე ვთქვათ, „პონტზე აყვანა“...

ელენე თევდორაძემაც მითხრა, კობა ბექაური შენი სახელით მოქმედებსო, მაგრამ თქვენთან ჩემი სახელით ბინ ლადენი რომ მოვიდეს, დაუჯერებთ?

...ავუხსენი კობას – ფრთხილად იყავი და არასასურველ რისკზე ნუ წახვალ-მეთქი...

...მე ვერ დავინახე, რომ რამიშვილს ჯიბეში ძალად ტენიდნენ ფულს...

...ჩვენი თაფლობის თვე, როდესაც ყველას ვუყვარდით და ხელისგულზე გვატარებდნენ, გავლილია. ყველასთვის მოსაწონი ბიჭები ველარ ვიქნებით.

## უფრთხილდით ფრინველის გრიპს

ახლა გარეულ ფრინველზე ნადირობის სეზონი გაიხსნა საქართველოში. რაკი საშიშროება გარეული ფრინველისგან მოდის, სასურველია, მონადირეებმა ხელი კარგად დაიბანონ მას შემდეგ, რაც ნანადირევს შეეხებიან.


გვ.25

გვ.18




CSB
ჟავახიშვილის ბიზნესის სკოლა
Caucasus School of Business

## აკადემიური ნოვაცია წარმატებული მენეჯერებისთვის გვ.13

## ახალი დეტალები ვლადიმირ პუტინის ქართული ბიოგრაფიიდან გვ.34

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბორჯომის შეხვედრამ უხმაუროდ ჩაიარა

სკანდალის გარეშე დამთავრდა საპარლამენტო უმრავლესობისა და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა ბორჯომში. სახელისუფლებო ფრაქციის ყველა წევრმა პირში წყალი ჩაიგუბა მათი თანაგუნდელის, კობა ბექაურის სკანდალთან დაკავშირებით და არავის გამოუხატავს სურვილი თუნდაც მცირედით მაინც დაეკმაყოფილებინა პარლამენტარის ბიზნესსაქმიანობის გამო აღძრული ცნობისმოყვარეობა. თუმცა, ჯერ კიდევ შეხვედრის დაწყებამდე ელენე თევდორაძემ განაცხადა, რომ ის ეცდება ბექაურს კითხვები უახლოეს მომავალში თბილისში გამართული ფრაქციის სხდომაზე დაუსვას. „კითხვები ჩემი მისამართითაც ექნებათ ალბათ, ამით ეცდებიან ჩემს პროვოცირებას, თუმცა არ ვაპირებ პროვოკაციაზე წამოგებას“, — განაცხადა თევდორაძემ. „როგორც არასდროს, ისეთი კონსოლიდირებული და ერთიანი საპარლამენტო უმრავლესობა გვყავს. ეს არის პარლამენტის ხელმძღვანელობის დამსახურება. ძალა ერთობაშია და ჩვენ შეგვიძლია მთების გადატრიალება,“ — განაცხადა პრეზიდენტმა, რომელმაც დეპუტატების მსგავსად საუბარი არ ისურვა რამიშვილი-ბექაურის სკანდალზე და აღნიშნა, რომ პარლამენტს და ხელისუფლებას უფრო მნიშვნელოვანი საქმეები აქვს, ვიდრე ეს პატარა ინციდენტი. თუმცა, ერთი ახალი იდეაც წარმოადგინა: უნდა შეიქმნას პარლამენტის წევრისთვის შეუთავსებელი საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც სამართალდამცავი ორგანოებისგან დაკომპლექტდება. ამის შემდეგ სააკაშვილი ბორჯომში ილია ჭავჭავაძის ძეგლის გახსნას დაესწრო და მოგვიანებით პარკის ატრაქციონებზე კიდევ ერთხელ გაიხსენა ბავშვობა.

## ნუ გვაფიქრებინებთ, რომ გამოგვიყენეთ



„ჩვენ გვინდა სასახლე მზესავით იყოს, რომელსაც ვერავინ ვერ წაგვართმევს!“ — ასე დააფიქსირეს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის აღსაზრდელებმა თავიანთი პოზიცია, როდესაც გაიგეს, რომ მათ გამოსახლებას უპირებენ. ბავშვებს თითქმის მთელი თბილისი უჭერს მხარს, ცნობილი საზოგადო მოღვაწეებისა და პოპულარული სახეების აბსოლუტური უმრავლესობა თბილისის მერს, გიგი უგულავას გადაწყვეტილების შეცვლას ურჩევენ.

„ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების შეცვლა არ იქნება უკანდახევის და მარცხის ტოლფასი. ასე უფრო მეტს მოიგებს ხელისუფლება, ვიდრე ხალხის უკითხავად ვითომდა მათ სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილებებით. სასახლე სახელმწიფოს ეკუთვნის, სახელმწიფო კი — ხალხს, რომელიც თვითონ წყვეტს, რა სურს და რა არა. მის გადაწყვეტილებებს კი მთავრობა აღასრულებს, რომელსაც სწორედ ამისთვის ვუხდით ჯამაგირს. თუ დავინახავთ, რომ ფულს ნერვების წყვეტასა და გამუდმებით საკუთარი უუფლებობის შეგრძნებაში ვიხდით, მთავრობას თითზე კბენა მოუწევს, რაც ძალიან დაგვიანებული იქნება. არ შეიძლება ისე ხელაღებით მიიღო გადაწყვეტილებები, რომ ერთი წუთითაც კი არ გაინტერესებდეს, რა პასუხს მოგთხოვს მათ გამო ხალხი, საზოგადო მოღვაწეები, რომელთაც როგორც ჩანს, მხოლოდ საკუთარი სურვილებისა და გამარჯვების დასაყრდენად იყენებს ხელისუფლება. ნუ გვაფიქრებინებთ, რომ მართლა გვიყენებთ. გამოყენებას არავის ვაპატიებთ. მით უფრო ხელისუფლებას, რომელიც არასოდეს ყოფილა მარადიული... — ასე დააფიქსირეს საკუთარი პოზიცია თბილისელებმა, რომლებიც გასული კვირის განმავლობაში ყოველდღე იკრიბებოდნენ სასახლეში. სასახლის აღსაზრდელებიც და მათი მხარდამჭერი საზოგადოებაც პასუხს საქართველოს პრეზიდენტისგან ელის.

## ქართველებს აფხაზეთში ცხვირის შეყოფა ეკრძალებათ

როგორც ჩანს, აფხაზ სეპარატისტებს აფხაზ ხალხში ქართველების მიმართ კეთილგანწყობის გამოჩენა აშინებთ და სახალხო დიპლომატიისთვის ხელის შეშლის მიზნით დე ფაქტო აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეების გადაადგილების აკრძალვას ცდილობენ.

სერგეი ბაღაფშმა ვიცე-პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას, სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად, აფხაზეთში მოქალაქეთა შესვლაზე საშვების გაცემის ცენტრალიზებული სისტემის შექმნა და ამ პროცესზე მკაცრი კონტროლის დაწესება დაავალა. ბაღაფშმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის კონტროლის სამსახურს ყველა იმ საშვის შემოწმება დაავალა, რომელიც ბოლო ხანებში უშიშროების სამსახურმა გასცა. აფხაზური საინფორმაციო წყაროს ცნობით, ბაღაფში რუსების დირექტივას ასრულებს. როგორც ამბობენ, სეპარატისტებმა ქართველების აფხაზეთში გადაადგილებაზე აკრძალვის დაწესება მას შემდეგ მოითხოვეს, რაც ქართველმა ძალოვნებმა რუს სამშვიდობოებს კონტრაბანდული სიგარეტი ჩამოართვეს.

## ფილმი ყველა არხით გავა?



მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტარ კობა ბექაურის ბიზნესსაქმიანობის შესახებ გადაღებული ფილმის ეთერში გაშვების სურვილი პირველად საზოგადოებრივი ტელევიზიის დირექტორმა გამოთქვა, შესაძლოა იგი ნებისმიერ არხზე გავიდეს, მათ შორის, „202“-ზეც. სტუდია „რეპორტიორის“ ჟურნალისტის, ვახტანგ კომახიძის თქმით, უახლოეს დღეებში გაიმართება მოლაპარაკებები საზოგადოებრივი არხის ხელმძღვანელობასთან, რომელსაც „რეპორტიორი“ თავის პირობებს შესთავაზებს. თუ მხარეები შეთანხმდებიან, ფილმი საზოგადოებრივი არხის ეთერში გავა. „შესათანხმებელია ფილმის ეთერში გასვლის დრო, გაიმართება თუ არა დისკუსია ფილმის დემონსტრირების მერე და ა.შ. საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებთ“, — განაცხადა კომახიძემ. სტუდია „რეპორტიორს“ ფილმის ჩვენების წინადადებით ტელეკომპანია „იმედმაც“ მიმართა. „კვირის პალიტრასთან“ საუბარში ფილმის ჩვენების სურვილი ჯერ კიდევ შალვა რამიშვილის დაკავებისთანავე გამოთქვა „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა ტაბატაძემ.

## გიორგი ჟვანიას გამოძიების არ სჯერა

— რამიშვილი ხელისუფლებისადმი ბოლო პერიოდში აბსოლუტურად უკომპრომისო იყო და შეიძლება ვინმეს მისი მასმედიისგან ჩამოშორება მოუვიდა აზრად, — აცხადებს საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას ძმა გიორგი ჟვანია. იგი ტელეკომპანია „202“-ის დამფუძნებლის შალვა რამიშვილის წინააღმდეგ ატეხილ აჟიოტაჟს შეთითხნილს უწოდებს. მისი თქმით, არანაირი არგუმენტი არ არსებობს რამიშვილის პატიმრობაში დასატოვებლად.

## რატომ აჭამეს რუსებს ალიყური?

თითქმის ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კახეთში რუსი ჟურნალისტების დელეგაციას უმასპინძლა. ჟურნალისტები ამჯერადაც ეწვივნენ კახეთს. თუმცა, სოფელ ნაფარეულში ენ-ტე-ვეს ჟურნალისტებს ტრადიცილი ქართული მასპინძლობის ნაცვლად ერთი-ორი ლაზათიანი ალიყური აჭამეს, გადამღები კამერაც თავზე დაამხეს და ყველაზე ექსტრავაგანტულ რუს პოლიტიკოსებთან ჟირინოვსკისა და მიტროფანოვთანაც დააბარეს „მოკითხვა“. სტუმართმოყვარე ნაფარეულელებს ისე მოუვიდათ, ანდაზაში რომ არის ნათქვამი: „ცხვარი ცხვარია, მაგრამ თუ გაბრაზდა...“ ჰოდა, გაცხარდნენ კახელები. როდესაც რუსმა ჟურნალისტებმა მამა-პაპური ტრადიციების თაყვანისმცემელი გლეხებისთვის საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და უკრაინის პრემიერ-მინისტრის იულია ტიმოშენკოს ურთიერთობის შესახებ მიტროფანოვისეული პორნოგრაფიული კინობოდვის შესახებ ჩამოუგდეს სიტყვა. რა აზრისა ხართ რუსი პოლიტიკოსის დაკვეთით გადაღებულ ფილმზეო? — ჰკითხეს რუსებმა კახელებს და პასუხიც მიიღეს: — საქართველო რუსეთი არ არის, სადაც ღირსება და ნამუსი დიდი ხნის წინ მოკვდა. მიხეილ სააკაშვილის შეურაცხყოფას არავის ვაპატიებთო, — გამოუცხადეს ნაფარეულელებმა რუს ჟურნალისტებს და აზრზე მოსასვლელად სოფლის სკვერის შესაღებად გამზადებული საღებავიც შეასხეს. მოგვიანებით, რუსი ჟურნალისტების ცემა-ტყეპის შესახებ ენ-ტე-ვემ აუწყა მსოფლიოს. თუმცა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც იცრუეს რუსებმა და კახელების აგრესიის გამომწვევი ზუსტი მიზეზი არ დაასახელეს. თურმე სოფლის ადმინისტრაციაში გამგებელთან ინტერვიუს ჩასაწერად მოსული რუსები უცემიათ ნაფარეულელებს.

## რამიშვილი და კოხრეიძე პატიმრობაში დატოვეს



27 აგვისტოს შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მიერ დაკავებულ ტელეკომპანია „202“-ის დამფუძნებელ შალვა რამიშვილსა და ამავე კომპანიის დირექტორს დავით კოხრეიძეს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს. მიუხედავად დაკავებულთა და მათი ადვოკატების პროტესტისა, თბილისის საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. როგორც მოსამართლემ აღნიშნა, წინასწარი სამთვიანი პატიმრობის განაჩენი იმ მოტივით გამოიტანეს, რომ დაკავებულები გათავისუფლების შემთხვევაში ზეწოლას მოახდენდნენ გამოძიებაზე. მაგრამ ამავდროულად მანვე აბსურდულად ჩათვალა პროკურორის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ რამიშვილი და კოხრეიძე გათავისუფლების შემთხვევაში მიმალვას შეეცდებოდნენ.

## ძველები ერთმანეთს შეხვდნენ

საქართველოს საფეხბურთო ეროვნულ ნაკრებთან შესარკინებლად ჩამოსულ უკრაინელ ფეხბურთელებს თბილისში უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმაც ჩამოჰყვა. როგორც მან აღნიშნა, ორი დღის განმავლობაში ტკბებოდა ევროპული სტანდარტების შესაფერისად გალამაზებული თბილისით. კუჩმა თბილისს ეფერებოდა. თბილისში მცხოვრები უკრაინელები კი კუჩმას და სამახსოვრო ფოტოებსაც სიამოვნებით იღებდნენ. უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა გორიც კი მონახულა, სტალინის მუზეუმს ეწვია და კომუნისტური პარტიის ბელადის ხსოვნას მიაგო პატივი. ამის შემდეგ თბილისში დაბრუნებულმა უკრაინის ექსპრეზიდენტმა ძალები რესტორან „პურის სახლში“ მოიკრიბა. საიდანაც საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შესახვედრად გაემართა. მოქმედ პრეზიდენტთან ვიზიტის შემდეგ კუჩმამ კოლეგასა და დიდი ხნის მეგობარს, საქართველოს ექსპრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძესაც „შეუარა“. მათი ამაღელვებელი შეხვედრის შემდეგ შევარდნაძის რეზიდენციაში კუჩმას სტუმრობა კარგა ხანს გაგრძელდა. მასპინძელს სტუმარი ტელეკამერების წინ დაემშვიდობა. კუჩმას აშკარად ეტყობოდა, რომ ძალიან კმაყოფილი იყო ქართული ღვინით. „საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობა ერთმანეთთან მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული არა მარტო პოლიტიკით, არამედ ეკონომიკითაც, ამიტომაც დღეს უფრო მეტი უნდა ვილაპარაკოთ ეკონომიკურ პრობლემებზე, რადგან ერთმანეთთან პოლიტიკური პრობლემები საერთოდ არ გვაქვს“ — განაცხადა კუჩმამ.

## დაერქმევა თუ არა აეროპორტს „არაშენდა“

თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან დაკავშირებული სკანდალი გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ აეროპორტის მშენებლობაზე ტენდერი ჯერ კიდევ 2005 წლის დამდეგს გამოცხადდა, აეროპორტის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოები არ დაწყებულა.

ტენდერში გამარჯვებულ კონსორციუმს ლუქსემბურგული კომპანია „ჯი-თი-ესი“ გამოეთიშა, რამაც თურქულ „ჩელებსა“ და ამერიკულ „ეი-ენდ-ჯეის“ ფინანსური პრობლემები შეუქმნა. თურქული კომპანია კონსორციუმის დაშლის შემდეგ მარტო აპირებდა თბილისის აეროპორტის აშენებას, მაგრამ მიცემულ ვადაში, 2 სექტემბრამდე ვერ წარმოადგინა შესაბამისი ფინანსური გარანტია იმისა, რომ 2005 წლის სექტემბერში მშენებლობის დაწყების შემთხვევაში პროცესს ბოლომდე, ანუ 2006 წლის 26 მაისამდე მიიყვანდა. საქართველოს ხელისუფლებამ ამის გამო „ჩელებთან“ თანამშრომლობაზე უარი განაცხადა. ეკონომიკური განვითარების მინისტრის, ირაკლი ჩოგოვაძის თქმით, აეროპორტის ახალი მშენებლები უკვე შერჩეულია, სავარაუდოდ, ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს თურქული კომპანია „ტავის“ და „ურბანის“ კონსორციუმი. ჩოგოვაძის განმარტებით, კონსორციუმმა საქართველოს მთავრობას დეპოზიტზე უკვე ჩაურიცხა 6.200.000 დოლარი. საერთო ინვესტიცია, სავარაუდოდ, 82 მლნ დოლარს შეადგენს. შესაძლოა, ამ კონსორციუმს ბათუმის აეროპორტის რეკონსტრუქცია-განახლებაც დაევალოს. „ტავის“ და „ურბანის“ კონსორციუმთან შეთანხმების ჩაშლის შემთხვევაში თბილისის აეროპორტს შეიძლება სამუდამოდ დარჩეს მეტსახელი „არაშენდა“.

## კოკოითი გადაბრალების პოლიტიკას მიმართავს



ე. წ. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა იმის ნაცვლად, რომ აღიაროს, ჩემს კონტროლირებად ტერიტორიაზე კრიმინალებს ველარ ვუმკლავდებიო, საქართველოს სპეცსამსახურები კონფლიქტის ზონაში ადამიანთა გატაცებაში დაადანაშაულა.

მისი თქმით, თურმე არსებობს დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ კონფლიქტის ზონაში მომხდარ ბევრ შემთხვევასთან, მაგალითად, 11 წლის ბავშვის, ისევე როგორც სამხრეთ ოსეთის იმ სამი მოქალაქის გატაცებასთან, რომლებსაც გორის ტერაქტში ადანაშაულებენ, ქართულ სპეცსამსახურებს აქვთ კავშირი. კოკოითის აზრით, სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაზე შარშანდელი აგრესიის მოგერიების შემდეგ, საქართველოსთვის მთავარი ამოცანა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის და სამხრეთ ოსეთის დისკრედიტაციაა. იგი აღიარებს, რომ დღეს რესპუბლიკაში სტაბილური, მაგრამ დაძაბული სიტუაციაა. კოკოითი საერთაშორისო ორგანიზაციებსაც გადაწვდა და აცხადებს, — სამხრეთ ოსეთში სიტუაციის გართულებაში ბრალი მიუძღვით ეუთოსაც და იმ ქვეყნებსაც, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოს და კონფლიქტის დეტალებსა და პირველ მიზეზებში გარკვევას არ ცდილობენო. კოკითის თქმით, ეს ქვეყნები ყველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებენ საქართველოს არმიის იმ იარაღით მომარაგებაში, რომელიც საერთაშორისო კონვენციებით აკრძალულია. „ჩვენ ზუსტი მტკიცებულებები გვაქვს, რომ აშშ საქართველოს ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღმებს აწვდის. გარდა ამისა, ახლახან, ჩვენმა მესანგრეებმა საგზაო სამუშაოების დროს, ქართული პოზიციების მახლობლად ბელგიური წარმოების ნაღმები აღმოაჩინეს“, — თქვა კოკოითმა.

## 20 მილიონი ევრო საჩუქრად

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ევროკავშირი საქართველოს 2 წლის განმავლობაში, დახმარების სახით, 20 მილიონ ევროს გამოუყოფს. აღნიშნულ თანხას ქართული მხარე „სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის“ ფარგლებში მიიღებს. 20 მილიონი ევროდან 19 მილიონი თანხის სახით გამოიყოფა, ერთ მილიონს კი ტექნიკური დახმარების ხასიათი ექნება.

2005 წლისთვის სოციალური სფეროს, განათლებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დაგეგმილია 9,3 მილიონი ევროს გამოყოფა. ფინანსთა მინისტრის, ალექსი ალექსიშვილის ინფორმაციით, ევროკავშირის დახმარება ორი წლის განმავლობაში 6 ტრანშად განხორციელდება. პირველ ტრანშს, 1,5 მილიონ ევროს საქართველო უახლოეს მომავალში მიიღებს, „ყოველი მომდევნო ტრანშის მისაღებად კი ქართულმა მხარემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები უნდა შეასრულოს“, — აღნიშნა ალექსიშვილმა.

## ბენზინს „ცეცხლი ეკიდება“



აშშ-ში დატრიალებული ქარიშხლის, „კატრინას“ გამო მექსიკის ყურიდან ნავთობის ამოღების შეწყვეტამ კატასტროფულად ასწია ფასები „შავ ოქროზე“. ამერიკაში განვითარებულმა ბუნებრივმა და ეკონომიკურმა კატაკლიზმებმა საქართველოზეც მოახდინა სერიოზული გავლენა. ბენზინის ფასები უკვე თითქმის ყოველ 12 საათში იზრდება. ბოლო ორ დღეში საწვავის ფასმა 20 თეთრით მოიმატა და ვარაუდობენ, რომ ზრდის პროცესი კვლავ გაგრძელდება. საწვავის ღირებულების გაზრდა თითქმის პირდაპირპროპორციულად იწვევს ფასების ზრდას საკვებ პროდუქტებზე. მოსახლეობის აზრით, ასე თუ გასტანა, სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებთა რიცხვი ჩვენთან ერთი-ორად გაიზრდება.

## „პაემანი“ თეთრ სახლში




აშშ-ის პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით, ჯორჯ ბუშსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ვლადიმირ პუტინს 16 სექტემბერს თეთრ სახლში შეხვედრა აქვთ დანიშნული. თეთრი სახლის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „პრეზიდენტები რიგ ორმხრივ და გლობალურ საკითხებზე კონსულტაციებს გამართავენ და აშშ-რუსეთის პარტნიორობის გაფართოებისა და გაღრმავების გზებს განიხილავენ“. განსახილველ თემებს შორისაა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი.

## სადამ სიკვდილს იმსახურებს, მაგრამ...

ერაყის პრეზიდენტი ჯალალ თალაბანი სადამ ჰუსეინის მიმართ სასიკვდილო განაჩენზე ხელის მოწერის წინააღმდეგია, თუ რა თქმა უნდა, სასამართლო ერაყის ყოფილ დიქტატორს ამგვარ ვერდიქტს გამოუტანს. თალაბანის განცხადებით, ჰუსეინი სასიკვდილო განაჩენს კი იმსახურებს, თუმცა მისი აღსრულების შემთხვევაში, ის ერაყის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგება. ერაყის კანონებით, სასიკვდილო განაჩენი მინისტრთა კაბინეტმა, პრეზიდენტმა და ორმა ვიცე-პრეზიდენტმა უნდა დაამტკიცოს. თალაბანიმ, რომელიც სიკვდილით დასჯის პრინციპული მოწინააღმდეგეა, ახლახან ერაყის სასამართლოს მიერ სამი მკვლელის მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის ხელმოწერაც თავის მოადგილეს ადელ აბდელ მაჰდის დაავალა.

ერაყის ექსპრეზიდენტის სასამართლო პროცესი სავარაუდოდ, სექტემბრის ბოლოს უნდა დაიწყოს. მას პირველ რიგში პასუხისგება მოუწევს 1982 წელს ბაღდადის მახლობლად მდებარე დაბა ედდუჯაილში შიიტთა მასობრივი მკვლელობისათვის.

თითქმის ყველა სფეროს გათვალისწინებით, გასული კვირა საქართველოში ფრიად დატვირთული აღმოჩნდა — მედიაში კორუფციასთან ბრძოლის ეგიდით დაპატიმრებულ შალვა რამიშვილსა და მის კოლეგას ვერც ევროპიდან საგანგებოდ ჩამოსული უფლებათა დამცველის, პრინც ჰანს ფონ ალტენ-საქსენბურგის „გრძელმა სათაურმა“ უშველა. როგორც მოსალოდნელი იყო, თემიდამ ვერც ამჯერად ივაჟკაცა და „სატელეფონო სამართლის“ თანახმად გამოტანილი განაჩენით რამიშვილიც და კოხრეიძეც წინასწარ პატიმრობაში დატოვა, მიუხედავად იმისა, რომ იმავე სასამართლო განჩინების მიხედვით, ბრალმდებელმა მხარემ ამის აუცილებლობა ისევ ვერ დაამტკიცა. „სატელეფონო სამართლის“ ხსენებისას სასამართლო ხელისუფლების შეურაცხყოფა და განსასჯელთა უდანაშაულობაზე დასკვნების წინასწარ გამოტანა არც გვიფიქრია. რადგან ხელისუფლების იმ წრეებისგან განსხვავებით, რომლებიც თემიდაზე ზეწოლას ახორციელებენ, ვაცნობიერებთ, რომ ამგვარი მიდგომით მხოლოდ სასამართლოს პრესტიჟს კი არ დავაკნინებთ, პირველ რიგში, საკუთარ საზოგადოებრივ უსაფრთხოებას უგულებელვყოფთ. იმ ქვეყნებში, სადაც მოქალაქეებს ტანსაცმელი აცვიათ, ერთმანეთს ბანანებს არ ესვრიან და ხეებზე არ დაძვრებიან, სასამართლო საზოგადოებრივი უსაფრთხოების ნომერ პირველი გარანტია და არა გაწვრთნილი ნაგაზი! ყოველმა ხელისუფალმა, რიგითი მოქალაქის მსგავსად, უნდა იცოდეს, რომ ერთ დღეს თემიდის მოპასუხედ შეიძლება თავად მოგვევლინოს და მერე, სასამართლოს უსამართლობაზე წუწუნი გვიანი იქნება — ცუდად გაწვრთნილი ნაგაზი ბრძანების მიმცემს სახეზე კი არა, ხელებში უყურებს, რადგან მისთვის ძვალი და წკეპლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „პატრონის“ ვინაობა (აკი, გვაქვს კიდეც ამის მაგალითები წინა ხელისუფლებიდან თუნდაც, მირცხულავას და მოლაშვილის სახით).

გასულ კვირაში კახაბერ ბენდუქიძის მიერ წარდგენილი პროექტი ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში კორუფციასთან ბრძოლისთვის საგანგებო სტრუქტურის შექმნას და მთელ რიგ ღონისძიებებს ითვალისწინებს. ხელისუფლებაში კორუფცია რომ არ არსებობდეს, ამხელა კაცი, ამხელა გეგმას ტყუილად ხომ არ დაწერდა? მოკლედ, დიდი სურვილი კი გვაქვს, მაგრამ ამდენი წინააღმდეგობებით ნამდვილად ვერ „გავფრინდებით“... თუმცა აჩქარება მაინც არ ღირს, რადგან დაფ-ნაღარისა და ტაშისცემის მიუხედავად, როგორც მოსალოდნელი იყო, თურქულმა „ჩელებმა“ ახალი აეროპორტის ასაშენებლი თანხა ვერ მოიძია — 62 მილიონი დოლარი ის „ორლარიანი“ არ არის, რომ გახსოვს გქონდა და თურმე რომ აღარ გქონია... ნეტა, ტენდერში რის იმედად მონაწილეობდა? ან ჩვენმა მთავრობამ რის საფუძველზე მიანიჭა გამარჯვება? თუმცა ამას ვინ ჩივის. შეცდომას შეცდომა მიემატა და თითქოს, ჰაერში თვითმფრინავების რიგი გვედგას, ახალი აეროვაგზლის მშენებლობის უფლება სასწრაფო წესით, ახლა უკვე ყოველგვარი ტენდერის გარეშე, მეორე თურქულ კომპანიას მისცეს, 6 მილიონი დოლარის გარანტიის საფუძველზე. საერთოდაც, როგორც გუშინ, ეზოში „მსჯელობდნენ“ ბავშვები, აეროპორტი ავტოსადგომისგან იმით განსხვავდება, რომ თვითმფრინავიდან ჩამოვარდნა ბევრად უფრო მტკივნეული ყოფილა (მსუბუქად რომ ვთქვათ...), ვიდრე მანქანიდან. შესაბამისად, ალბათ აეროპორტის მშენებლობას ავტოსადგომზე ოდნავ მეტი სერიოზულობა სჭირდება — გადაჭრით არაფერს ვამტკიცებთ, უბრალოდ, ასე გვგონია... ალბათ ოდნავ მეტი სერიოზულობა სჭირდება ქვეყნის სტრატეგიულ მიმართულებაზე საუბარსაც. აქამდე ვიცოდით, რომ სახელმწიფოს განვითარების ძირითად ორიენტირებს ნავთობსადენი და ტერიტორიული მთლიანობა წარმოადგენდა. როგორც გასულ კვირაში გვამცნო საკმაოდ პერსპექტიულმა ახალგაზრდა ჩინოვნიკმა და თბილისის მერმა, თურმე ჩვენი სტრატეგიული ხაზი... ბალეტზე გადის. სამწუხაროა, მაგრამ ისღა დაგვრჩენია, ვიოცნებოთ, რომ ამ განცხადების მიღმა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან დაკავშირებული სხვა, ფარული გეგმა იმალება და რომ საქართველოს დედაქალაქის მერი წელიწადში შვიდი ათასი ბალერინის მომზადებაზე სერიოზულად და გულწრფელად არ ფიქრობს (დღევანდელი მონაცემებით, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის შენობა სწორედ ამ კონტინგენტს ითვალისწინებს). როგორც ჩანს, მერის გადაწყვეტილებამ არა მხოლოდ ქართული საზოგადოების დიდი ნაწილის შეშფოთება გამოიწვია. უგულავას პრინციპულ განცხადებას ოსი სეპარატისტების მხრიდან ცხინვალთან უზარმაზარი ჭიშკრის აგების გადაწყვეტილება დაემთხვა. ალბათ, კოკოევს ბალეტი არ უყვარს, თორემ რაიმე ლოგიკაში ეს აბსურდული გადაწყვეტილება არანაირად არ ჯდება... სამაგიეროდ, რუსეთთან ურთიერთობის ლოგიკაში ჯდება ქვემო ქართლში, ვინმე ტელმან გასანოვის მიერ აგორებული აქცია, ვითომდა აზერბაიჯანული მოსახლეობის უფლებათა დაცვის მოთხოვნით. დროთა განმავლობაში, ჩრდილოელი მეზობლისგან მეგობრული ღიმილით შემოთავაზებული კიდევ ბევრი პროვოკაცია იქნება მოსალოდნელი... მით უმეტეს, რომ ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსი მთელი სერიოზულობით მსჯელობს დსთ-ის პარალელური ორგანიზაციის შექმნაზე, რომლის წევრებადაც კონფლიქტური რეგიონები — აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, დნესტრისპირეთი და ყარაბაღი მოგვევლინება... პოლიტოლოგ **პაატა ზაქარეიშვილთან** საუბარს სწორედ ამ საკითხით დავიწყებთ:

— **სეპარატისტული რეგიონების ფაქტობრივი მმართველები მოსკოვის ხელშეწყობითა და ორგანიზებით ერთმანეთს არაერთხელ შეხვედრიან. თუმცა ამჯერად უკვე ამ „მეგობრობის“ ორგანიზაციულ გაფორმებაზეა ლაპარაკი.**

— სიმართლე გითხრათ, ამ საკითხზე მსჯელობა ძალიან გამიჭირდება, რადგან პოლიტოლოგი გახლავართ და არა ფუტუროლოგი. რა შეიძლება აერთიანებდეთ ამ კავშირში შესვლის მსურველებს? ჩამოთვლილი სეპარატისტული რეგიონები სულაც დამოუკიდებელი სახელმწიფოები რომ იყოს, მთელი თავისი აღიარებული ატრიბუტიკით, ასეთ გაერთიანებას არსებობა მაინც გაუჭირდებოდა. აქ ხომ მთელი რიგი წინააღმდეგობრივი ფაქტორებია — პოლიტიკურს რომ თავი გავანებოთ, ელემენტარულად, გეოგრაფიული თვალსაზრისით ეს რეგიონები ერთმანეთთან მხოლოდ ოცნებაში თუ შეიძლება მოიაზრებოდეს. მათ შორის ხომ უზარმაზარი სივრცეებია — კავკასიონის ქედი, შავი ზღვა... რა სამხედრო ან

# ხელისუფლება დღეს პრინციპულებად და არაპრინციპულებად არის დაყოფილი

მე უფრო საქართველოს ბედი მაღელვებს, რომელსაც სულ უფრო იშვიათად მოიხსენიებენ უკრაინასთან ერთად, როდესაც ამ ქვეყნის ევროინტეგრაციაზეა ხოლმე საუბარი.



ეკონომიკურ თანამშრომლობაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი? ამ შემთხვევაში ხომ ყველაფერს რუსეთი წარმართავს — ასეთი პოლიტიკით სურს, მსოფლიოს მოაჩვენოს, რომ ამ რეგიონებს მოლდავეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის სახით პატრონი არ ჰყავს და თვითონ ცდილობს მათი ეკონომიკური თუ სხვა პრობლემების მოგვარებას. მაგრამ დღეს მსოფლიოში უკვე კარგად იციან, ვინ ვინ არის და საიდან რა იმართება. ასე რომ, ამ კავშირს არავითარი მომავალი არ აქვს. უახლოეს მომავალში ამაზე ლაპარაკიც კი აღარ იქნება — შემდეგ, კრემლის ძალისხმევით ისევ წამოიწევა და ასე შემდეგ...

— **როგორც ჩანს, ისევ კრემლის ძალისხმევა უნდა ჩანდეს გასულ კვირას, ქვემო ქართლის სოფელ ვახტანგისში მომხდარ ინციდენტშიც — ვინმე გასანოვის მიერ ორგანიზებულ აქციაზე საინიციატივო ჯგუფმა აზერბაიჯანელი მოსახლეობისთვის ისტორიული უფლებების აღდგენა მოითხოვა. საინტერესო უნდა იყოს ისიც, რომ ღონისძიებას სამი აზერბაიჯანული არხი აშუქებდა.**

— აზერბაიჯანში ყოფნა ხშირად მიწევს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თავად აზერბაიჯანულ პოლიტიკურ წრეებს — პარტიებს თუ ორგანიზაციებს ეს პრობლემები პრობლემებად არ მიაჩნიათ. სომხეთში კიდევ არის წვრილწვრილი პარტიები, რომლებიც ჯავახეთის უფლებებზე აპელირებენ, თუმცა სახელისუფლებო წრეებში მხარდაჭერა არც მათ გააჩნიათ. აზერბაიჯანში კი, როგორც გითხარით, მსგავსი რამ არც ერთი პარტიისგან არ შემიტყვია. თვით სახალხო ფრონტშიც კი, ასეთი დამოკიდებულება და განწყობა არ მიგრძნია — ერთადერთი, კედელზე გამოკრული „დიდი თურანის“ ისტორიული რუკა ვნახე, სადაც საქართველო მონიშნულიც არ იყო. თუმცა ეს კავკასიური ნაციონალიზმისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა — როგორც წესი, სომხებსაც აქვთ „დიდი სომხეთის“ ისტორიული რუკები, სადაც აზერბაიჯანი და საქართველო არ არსებობს და საქართველოში, ზოგიერთი პარტიის ოფისშიც ნახავთ ისეთ რუკას, სადაც ორ ზღვას შორის მხოლოდ საქართველოა გადაჭიმული(!). თუმცა აზერბაიჯანში ერთი გასაოცარი და საინტერესო ტენდენცია შეინიშნება, — როგორც წესი, აზერბაიჯანელი ჟურნალისტები ქვემო ქართლში, როგორც თავად უწოდებენ, „ბორჩალოს მხარეში“ არსებულ ვითარებაზე არიან „დაქოქილი“. ქვემო ქართლში ეთნიკური ნიშნით ადამიანთა დევნაზე მე თავადაც ძალზე კრიტიკულად ვარ განწყობილი, მაგრამ აზერბაიჯანული მედია სრულიად უმნიშვნელო დეტალებზეც კი ხმაურით აპელირებს ხოლმე. არადა, ძირითად შემთხვევაში აქ მხოლოდ ადამიანის უფლებათა დარღვევაზე შეიძლება იყოს საუბარი და არა ეთნიკურ დაპირისპირებასა თუ ჩაგვრაზე. თუმცა, ამასაც ვთქვათ, იმავე პრესკონფერენციაზე დასმული შეკითხვის სახე შეიძლება ჰქონდეს — ამ შემთხვევაშიც, მხოლოდ პასუხის მოსმენით კმაყოფილდებიან და არაკომპეტენტური ჟურნალისტის მსგავსად, დებატებს არ გიმართავენ (ასეთი ტენდენცია ჩვენთან უფრო ხშირია, როდესაც ჟურნალისტს ავიწყდება ხოლმე თავისი მოვალეობა და ამა თუ იმ მოვლენაზე შენი აზრის გაგების ნაცვლად, ცხარე დებატების გზით, ცდილობს საკუთარი მოსაზრების ჭეშმარიტებაში დაგარწმუნოს). ასე რომ, ამ ჟურნალისტების ინფორმირებაშიც (თუ დეზინფორმირებაში) აშკარად, რუსეთის ხელი ურევია. შესაბამისად, გარეშე ძალების ინსპირირებული იყო თქვენ მიერ ნახსენები აქციაც. რასაკვირველია, ქვემო ქართლში ძალიან დიდი პოლიტიკაა გასატარებელი — მიწების, ენის შესწავლისა თუ ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ. მავანს არ უნდა ჰქონდეს არავითარი ხელმოსაჭიდი ფაქტორი საიმისოდ, რომ პროვოკაცია წამოიწყოს... ჯავახეთში უფრო სხვა სახის პრობლემებია — ეს მწირმიწიანი რეგიონია და მუშაობა უფრო ინვესტიციების კუთხით უნდა წარიმართოს, რათა ადგილობრივმა მოსახლეობამ თვალნათლივ დაინახოს, რომელი მხარე და ვინ ზრუნავს მის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე რეალურად. ქვემო ქართლში კი ინვესტირების საჭიროება იმდენად არ არის, რამდენადაც სამართლიანი და გონივრული პოლიტიკის ჩატარება — აქ დიდი და ბარაქიანი მიწები სხვადასხვა კლანებმა ჩაიგდეს ხელში და ხმაურიც სწორედ კლანური დაპირისპირების გამო ატყდება ხოლმე.

> როგორც წესი, სომხებსაც აქვთ „დიდი სომხეთის“ ისტორიული რუკები, სადაც აზერბაიჯანი და საქართველო არ არსებობს და საქართველოში, ზოგიერთი პარტიის ოფისშიც ნახავთ ისეთ რუკას, სადაც ორ ზღვას შორის მხოლოდ საქართველოა გადაჭიმული(!).

— **საზოგადოების ერთი ნაწილის შეშფოთება გამოიწვია ჩეჩენი ლტოლვილების თხოვნამაც, საქართველოში მათ კომპაქტურ ჩასახლებასთან დაკავშირებით. ხელისუფლების მხრიდან უარის მოტივაცია იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს საკუთარ ტერიტორიაზე ჰყავს ათასობით დევნილი და მათ უზრუნველყოფას ვერ ახერხებს. მეორე მხრივ კი მავანთ გამოთქვეს ეჭვი, რომ კომპაქტურად ჩასახლების შემთხვევაში ჩეჩენთა ინტეგრაცია გართულდება, რაც საფრთხეს შეუქმნის ქართულ სახელმწიფოებრიობას.**

— როგორც ერთი, ისე მეორე მოსაზრება არასერიოზულად მიმაჩნია. ჩეჩნების შემთხვევაში ხომ არ არის ლაპარაკი ათასობით ოჯახზე — აქ სულ ორასამდე ადამიანი შეიძლება იყოს. გარდა ამისა, საფრთხეს რაც შეეხება, ვფიქრობ, სწორედ ქისტები და ჩეჩნები არიან ის ხალხი, რომლებიც პატივს სცემენ ქართულ სახელმწიფოებრიობასა და ჩვენს კულტურას. ესეც არ იყოს, არსებობს კანონით დადგენილი ნორმები თუ სტანდარტები — ქართული ენის, კანონმდებლობის ცოდნა და ა.შ. თუ ამ მოთხოვნებს ადამიანი აკმაყოფილებს, არ მესმის, რატომ უნდა ვუთხრათ უარი საქართველოს მოქალაქეობაზე? ეს ხომ ჩვენი პრესტიჟიც არის — ასეა თუ ისეა, ჩვენ ხომ ევროკავშირში მოხვედრაზე ვოცნებობთ.

> ჩვენი მთავარი პრობლემა და უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ არაფრის განხილვა არ ხდება. მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო საკითხები მთავრობაში ერთპიროვნული გადაწყვეტილებით მიიღება.

— **გდანსკში, „სოლიდარობის“ იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსულმა ლეხ ვალენსამ „რევოლუციის ექსპორტზე“ არცთუ დადებით კონტექსტში ისაუბრა. მისი თქმით, ბელორუსიაში დემოკრატიული პროცესების გააქტიურებასა და რევოლუციისთვის ხელის შეწყობასთან ერთად, ბელორუსიის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე ზრუნვაც არის საჭირო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროკავშირის მახლობლად მდებარე ქვეყანაში შესაძლოა უმართავი პროცესები დაიწყოს.**

— ბუნებრივია, რომ პოლონეთს, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახლავთ, მის მოსაზღვრე ქვეყანაში არც სტაბილური დიქტატურა სურს და არც ანარქიული დემოკრატია. ამიტომაც, ევროპა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ უკრაინაშიც და ბელორუსიაშიც რევოლუციის შემდეგ მოვლენები აქტიური ეკონომიკური განვითარებისა და ალმავლობის გზით წარიმართოს. ამ შემთხვევაში მე უფრო საქართველოს ბედი მაღელვებს, რომელსაც სულ უფრო იშვიათად მოიხსენიებენ უკრაინასთან ერთად, როდესაც ამ ქვეყნის ევროინტეგრაციაზეა ხოლმე საუბარი. რევოლუციის შემდეგ განვითარებული რიგი ნეგატიური მოვლენების გამო საქართველოს ნატოსა თუ ევროგაერთიანებაში გაწევრების რიგგარეშე კანდიდატთა სიიდან ამოირიცხა — საუკეთესო შემთხვევაში, ჩვენი პერსპექტივა ამ მხრივ თურქეთზე იქნება მიბმული. თუ გავითვალისწინებთ ევროპის რიგი სტრუქტურების დამოკიდებულებას თურქეთის ევროკავშირში გაერთიანებაზე, საქმე არცთუ სახარბიელოდ გვაქვს... სხვათა შორის, იმავე გდანსკში გამართულ საიუბილეო ღონისძიებას „ევრონიუსზე“, პირდაპირ ეთერში ვადევნებდი თვალს. არავის, არც ერთ გამომსვლელს საქართველოზე არ უსაუბრია. მაშინ, როდესაც დაწვრილებით ეხებოდნენ უკრაინისა და ბელორუსიის მომავალ განვითარებას. ამ ყველაფერს კი თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. ის, რასაც დღეს საქართველოში რევოლუციის მონაპოვარ დადებით ტენდენციად გვისახავენ — გნებავთ, პოლიციის რეფორმა, გნებავთ, განათლების რეფორმა, გზების მოასფალტება და ა.შ. — ნებისმიერ ავტორიტარულ ქვეყანაში — იმავე ბელორუსიაში, თურქმენეთში, უზბეკეთში რომ მომხდარიყო, ბუნებრივია, იქაც „შეუმჩნეველი“ დარჩებოდა. საქართველოში არ განხორციელებულა არანაირი ისეთი ძირეული ცვლილება, რომელიც ხელისუფლების დეცენტრალიზაციასთან, სასამართლო სისტემის გაჯანსაღებასთან, ზოგადად, დემოკრატიასთან იქნებოდა დაკავშირებული. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვარდების რევოლუციამ გაჯანსაღებული და გააქტიურებული შევარდნაძე მოგვცა — სააკაშვილი ისეთ რაღაცებს აკეთებს, შევარდნაძე სიზმარშიც კი ვერ ნახავდა: მედიაზე ზეწოლა და ჟურნალისტის დაპატიმრება ამგვარი ხერხებითა და მეთოდებით, საკუთარ ჩინოვნიკებზე ასე აშკარად ხელის დაფარება, მერის დანიშვნის გადაწყვეტა, პრივატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები... რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო... თუნდაც, იმავე აჭარის „გათავისუფლება“ ავიღოთ. თავისთავად აბაშიძეების კლანის მოშორებაზე, დარწმუნებული ვარ, შევარდნაძეც ოცნებობდა. ოღონდ, იმისთვის, რომ იქ საკუთარი რეჟიმი განემტკიცებინა. რაც გააკეთა კიდეც სააკაშვილმა — აჭარაში ახლაც ავტორიტარული წყობაა, ოღონდ მისი წრის ხალხით დაკომპლექტებული...

— **გასულ კვირაში საზოგადოებამ ახალი სტრატეგიული კურსის, ბალეტის შესახებ შეიტყო...**

— ეს ხომ ზღაპარია, რომელიც ერთ წელიწადში არავის ემახსოვრება. ჩვენი მთავარი პრობლემა და უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ არაფრის განხილვა არ ხდება. მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო საკითხები მთავრობაში ერთპიროვნული გადაწყვეტილებით მიიღება. ასე იყო მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის შემთხვევაშიც. მე საკრებულოს წევრი გახლავართ. შეეძლოთ, ფორმალურად მაინც, ეს საკითხი საკრებულოში განეხილათ და სახელისუფლებო უმრავლესობით მაინც მიეღოთ. მაგრამ არა — უბრალოდ, ასეთი იყო ვიღაცის სურვილი და თბილისელებს ზრდილობის გულისთვისაც კი არაფერი ჰკითხეს...

— **სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ საზოგადოებას კორუფციასთან ბრძოლის ახალი გეგმა წარუდგინა, რომელიც რიგ ღონისძიებებს ითვალისწინებს. ამბობენ, კვალი უცვლელად არ რჩებაო...**

— ბენდუქიძეს სულაც არ ევალებოდა ამ სახის საქმიანობა. მაგრამ როგორც ჩანს, სიტუაცია იმდენად დამძიმდა, რომ ამ კაცმა ხმა ამოიღო — მე ჩემი აზრი გამომითქვამს და თქვენ რაც გინდათ, ის ჰქენითო... სხვათა შორის, პირდაპირობის გამო ჩემში ყველაზე დიდ სიმპათიას სწორედ ეს კაცი იწვევს — არა იმიტომ, რომ სპეტაკი და პატიოსანია. ძალიან ბევრი კითხვა მის მიმართაც გამაჩნია, თუმცა როგორც გითხარით, სწორედ პირდაპირობის გამო მისი პოლიტიკური ფიგურა უფრო გამჭვირვალეა და სხვებისგან განსხვავებით იცი მაინც, მის უკან რა ძალები დგას... მსოფლიოში განვითარებული მოვლენები და ბოლო დროს საქართველოსადმი გამოჩენილი დამოკიდებულება ცხადყოფს, რომ ჩვენს თავს ჩვენვე უნდა მივხედოთ და თანაც, ექსტრემალურ, გადაუდებელ რეჟიმში.

— **ამ ყველაფრის ფონზე, სახელისუფლებო ძალებში არსებული დაპირისპირება უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება. ზოგიერთმა პოლიტიკოსმა რევოლუციის იდეოლოგობაც იტვირთა. რამდენად ნორმალურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს თუნდაც ის, რომ — თანაპარტიელებს განსხვავებული აზრისთვის მკაცრად და გუნდურად აკრიტიკებენ?**

— სააკაშვილის ხელისუფლება დღეს პრინციპულებად და არაპრინციპულებად არის დაყოფილი. პრინციპულ ნაწილს გიგა ბოკერია და თავისუფლების ინსტიტუტის სხვა წარმომადგენლები შეადგენენ. ამ ხალხს უფრო მეტ პატივს ვცემ, რადგან კარგს აკეთებს თუ ცუდს, სერიოზული ინტელექტუალური ბაზისი გააჩნია და ყველაფერს საკუთარი შეხედულებების მიხედვით აკეთებს. არის მეორე ნაწილი, რომელიც სააკაშვილის შეხედულების მიხედვით იძინებს და იღვიძებს. ამ ხალხს პრეზიდენტმა რომ უთხრას, ვთქვათ, რესპუბლიკური პარტია ჩვენთვის ძალიან მისაღებია და რასაც ამბობენ, სრული სიმართლეაო, დარწმუნებული ვარ, დაუფიქრებლად გაიმეორებენ იმავეს — თუნდაც, ერთი საათის წინ საპირისპირო ჰქონდეთ ნათქვამი... ეს ადამიანები ძალიან ცუდ დღეში არიან, რადგან კომპრომატებით იმართებიან. როგორც კი ოდნავ გადაუხვევენ „პარტიის გენერალურ ხაზს“, მაშინვე მუქარის ობიექტი ხდებიან და უმრავლესობა მათ წარსულზე აყაყანდება. ტრაგედია კი იმაშია, რომ ამ უმრავლესობაში ასეთი ბედისგან არავინ არის დაზღვეული. იგივე ბექაური ავიღოთ — თუ ვინმეს ჰგონია, რომ ბექაური „საქმიდან გამოძვრა“, ძალიან ცდება — პირიქით, სწორედ ახლა შეძვრა ყველაზე დიდ შარში და დარწმუნებული ვარ, მას უპირობოდ გაწირავენ...

**დაჩი გრძელიშვილი**




# ნუთუ თბილისელებს მოგვწონს ნაგავში „ჯდომა“?!

*თბილისი დაღალა პრობლემებმა. რამდენი წელიწადია საზღვარი არ აქვს თბილისელთა აღშფოთებას დედაქალაქის დანაგვიანების გამო, მაგრამ სწორედ ისინი (საბედნიეროდ, ყველას არ ეხება) იწყობენ ცხოვრებას ისე, რომ „ნაგავში იცხოვრონ“. სამწუხაროდ, ეს მწარე სიმართლეა.*

*თქვენ არ დაიჯერებთ, მაგრამ თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი კარლო ჩოთირიძე რიგით მოქალაქეებზე მეტად არის შეწუხებული ამ პრობლემით:*

— დასუფთავების მხრივ თბილისში კატასტროფული ვითარებაა. სტიქიურად ჩნდება ნაგავსაყრელები... ამიტომაც შევიმუშავეთ ქალაქის დასუფთავების კონცეფცია, რომელიც წლის ბოლომდე უნდა შევიტანოთ პარლამენტში. კანონით დაჯარიმდება ყველა, — ვინც სამშენებლო ნარჩენს დაყრის ქუჩაში და ისიც, ვინც უბრალოდ სიგარეტის ნამწვს გადააგდებს... საჯარიმო თანხა საკმაოდ მაღალი იქნება — 200-დან 500 ლარამდე და მეტი.

— სასიამოვნოა, რომ ქალაქში აღდგა „მეეზოვეების ინსტიტუტი“, მაგრამ თბილისელი მეეზოვეები ზოგან გამოჩნდნენ თუ არა... მაშინვე გაქრნენ. რამდენიმე უბანში კი ეზოებს დღეში სამჯერ გვიან. ეს რა, „პრესტიჟულობის“ ბრალია?

— ბიუჯეტი ყველა რაიონისთვის ერთნაირია და ბევრი რამ თვით დასუფთავების სამსახურზეა დამოკიდებული. გაიარეთ ქალაქში და თვითონ მიხვდებით, ვინ როგორი გულით მუშაობს...

ჩვენც გავიარეთ და ლისის ტბასთან არცთუ კომფორტულ გარემოში ვიპოვეთ ვაკე-საბურთალოს კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი შალვა ღუჭაშვილი:

— თქვე კაი ხალხო, ცოტა მაინც წაგვახალისეთ, თორემ თბილისელების საქციელს რომ ვუყურებ, გასკდა გული და ეგ არის. თვითონ თუ არ იწუხებენ თავს, ჩვენ მაინც დაგვიმადლონ შრომა. მორიგე მანქანას დღეში სამჯერ ვაგზავნი და იმასაც არ ელოდებიან, ხან ფანჯრებიდან აყრიან თავზე ნაგავს, ხან შუა ქუჩაში ტოვებენ. თავად შევესწარი, როგორ დააგდო ერთმა ქალბატონმა ნაგვით სავსე პარკი ხის ძირას ქავთარაძის ქუჩაზე. ვუთხარი, — რას შვრებით, ქალბატონო, აგე, 30 მეტრში ურნაა-მეთქი... აბა, მანდ სად ვიაროო... წარმოგიდგენია?! კაცი 35 წელია დასუფთავებაში ვმუშაობ, რაც დღეს ხდება, ამას ფიქრადაც ვერ გავივლებდი... რა ემართება ამ ხალხს არ ვიცი — დავუგვით, დავუსუფთავებთ, დილით კი სართულებიდან გადმოყრილი ნაგვით სავსე გვხვდება ქუჩები.

— მაინც რომელ ქუჩებზე არიან „დახელოვნებული“ ნაგვის ზემოდან სროლაში...

— რომლებიც უფრო „ელიტარულად“ ითვლებიან... ისე, რაც მეტად ვმუშაობთ, მით უკუღმართად იქცევიან. აი, საჯარიმო კანონები რომ გამოვა, მერე ვნახოთ, რას გადმოყრიან... 10-12 წლის წინ ამ რაიონში მხოლოდ 7 დასუფთავების მანქანა მყავდა. მოდიოდნენ და მაყაჩალებდნენ, — ბენზინს მართმევდნენ... არც ახლა ვარ უკეთეს დღეში... რა ვქნა, მეეზოვეები არ მყოფნის, 200-ის ნაცვლად 149 კაცი მყავს... საბჭოთა საქართველოს ჰქონდა ლოზუნგი, სისუფთავეში რიგას უნდა დავეწიოთო. იმ რიგაში კიდევ სიგარეტის ნამწვსაც არავინ აგდებს ქუჩაში... ამას წინათ გერმანიაში გამაგზავნეს და შოკირებული ჩამოვედი... ნაგვის გადასამუშავებელი საწარმო „კლიმას“ ფაბრიკა მეგონა...

— სუნამოზე ამბობთ?

— სწორედაც!.. არც ნაგავი ჩანდა და არც ნაგვის სუნი. რასაც გინდა, იმას აკეთებენ ნაგვისგან: დენს, გაზს, წყალს... მეც მიჩვენეს ეს წყალი, ავდექი და დავლიე...

— რას ამბობთ!

— რას ვამბობ და ჩვეულებრივი წყალია... ჩვენ კი ნაგვის გადასამუშავებელი ქარხანა კი არა, პლასტმასის ქარხანა ვერ ავაშენეთ, რომ ურნები გამოვუშვათ... ასეა. ეტყობა, მართლა ვიმსახურებთ, რომ ნაგავსაყრელზე გაზრდილი ღორების ხორცი გვაჭამონ... პირველად, როგორც ვიცი, ეს ამბავი თქვენმა გაზეთმა აღმოაჩინა...



P.S. ბატონი შალვა მანამდე არ მომეშვა, სანამ გერმანიიდან ჩამოტანილი „ქუჩის ბუნკერი“ არ მაჩვენა. თან გულდაწყვეტილმა მითხრა, — გასაკვირია, ქართველები თვითმფრინავებს ვაწყობთ და ამისთანებს გერმანიიდან უნდა ვათრევდეთო?

***ეთერ ერაძე***







## ახალი წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე!

ახალი

| გამომცემლობა „კვირის პალიტრა“ | |
|---|---|
| ყველაზე სასაცილო (კურიოზების კრებული) | 5 |
| ოტია იოსელიანი – „ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები“ (მ.ყდ) | 8 |
| გოჩა დვალი – ანტიდეპრესანტი | 5 |

| გამომცემლობა „დიოგენე“ | ფასი |
|---|---|
| ვახუშტი კოტეტიშვილი – „მოუკრეფავნი“ | 6 |
| **საბავშვო** | |
| ასტრიდ ლინდგრენი – „ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი“ (ნაწ. I) | 6.5 |
| „კარლსონი ისევ მოფრინდა“ (ნაწ. II) | 8.9 |
| „კარლსონი ისევ ოინბაზობს“ (ნაწ. III) | 8.9 |
| „საქართველოს ატლასი მოზარდთათვის“ | 15.6 |

ახალი

| გამომცემლობა „არტანუჯი“ | ფასი |
|---|---|
| საქართველოს ისტორია XIX საუკუნე | 14.30 |
| საქართველოს ისტორია XX საუკუნე | 14.30 |
| მსოფლიო რელიგიები | 15.60 |

| გამომცემლობა „ცხოვრება“ | |
|---|---|
| სამკურნალო წიგნი | 10 |
| ხალხური მედიცინის ენციკლოპედია | 10 |
| ტიბეტური მედიცინა | 5 |

| „ელფის“ გამომცემლობა | |
|---|---|
| **საქართველოს საბავშვო ენციკლოპედიების სერია (5-წიგნად)** | |
| საქართველოს საბავშვო ატლასი | 15 |
| ჩემი საქართველო | 20 |
| საქართველოს დიდი მეფეები | 16 |
| **კომპიუტერი დამწყებთათვის (5-წიგნად)** | |
| „ვორდი“ დამწყებთათვის | 7,5 |
| „ექსელი“ დამწყებთათვის | 7,5 |
| კომპიუტერის ლექსიკონი | 6 |
| ინტერნეტის სახელმძღვანელო | 12 |
| კომპიუტერის სახელმძღვანელო | 11 |
| **სერია - 100 და 10 საუკეთესო (7-წიგნად)** | |
| „მსოფლიოს 10 საუკეთესო ზღაპარი“ | სულ - 19 |
| „10 საუკეთესო ქართული მოთხრობა“ | |
| „100 საუკეთესო იგავ-არაკი“ | |
| „100 საუკეთესო ქართული ლექსი“ | |
| „100 ინგლისური საბავშვო ლექსი“ | |
| **მსოფლიოს საბავშვო ბესტსელერები (24-წიგნად)** | |
| I-IV ტომი (იასონი და ოქროს საწმისი, კლეოპატრა, კოლუმბი, რაინდები) | 26 |
| **სერია საგანმანათლებლო ინოვაციები** | |
| მე მიყვარს მათემატიკა (4 წიგნი) | 12 |
| მხიარული არითმეტიკა (წიგნი-სათამაშო) | 8 |
| ზოგადი უნარჩვევების განვითარებისათვის | 6.5 |
| ჩემი პირველი ლექსიკონი | 6 |
| **საკუთარი თავის ფსიქოლოგი** | |
| ცხოვრების 7 საიდუმლო | 7 |
| **მსოფლიოს ეკონომიკური ბესტსელერები** | |
| საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება | 10 |
| ინფლაციის თეორია | 6 |
| რა არის გლობალიზაცია | 6 |

ახალი

| | |
|---|---|
| მ. ხერგიანი – კაცი ლეგენდა | 30 |

| ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | |
|---|---|
| **საბავშვო** | |
| დინოზავრები | 19 |
| ადამიანის ორგანიზმი | 19 |
| კოსმოსი | 19 |
| მსოფლიოს უდიდესი საოცრებანი | 19 |
| ბიბლიის ატლასი | 23 |
| ფიფქია და სხვა ზღაპრები | 12 |
| წითელქუდა და სხვა ზღაპრები | 12 |
| სამი გოჭი და სხვა ზღაპრები | 12 |
| ხუთკუნჭულა და სხვა ზღაპრები | 12 |
| მსოფლიოს ატლასი | 20 |
| ჰარი პოტერი I ნაწილი | 5 |
| ჰარი პოტერი II ნაწილი | 9 |
| ჰარი პოტერი III ნაწილი | 12 |
| ჰარი პოტერი IV ნაწილი | 15 |
| გერმანულ-ქართული ლექსიკონი | 14 |
| მხიარული რიცხვები | 14 |
| საბავშვო ენციკლოპედია | 16 |
| სურათებიანი ლექსიკონი (ინგლ.-ქართ.) | 16 |
| ბუნების საოცრებები | 19 |
| **გაცოცხლებული ისტორია** | |
| ძველი ეგვიპტე | 19 |
| ძველი რომი | 19 |
| ძველი საბერძნეთი | 19 |
| **პროზა** | |
| პაულო კოელიო – „ალქიმიკოსი“, | 6 |
| „ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა“, | 9 |
| „თერთმეტი წუთი“ | 11 |

ტ: 42-43-40
33-26-73

# „ასე გვაქციეს მონებად...“

## ტრეფიკინგისთვის ქართველები საუკეთესო „მასალას“ წარმოადგენენ



ისეთი რამ შემემთხვა, აუცილებლად უნდა გიამბოთ. ჩემი ნაამბობი მომავალში ვინმეს გადაარჩენს და ალბათ, ერთი მადლიანი საქმე ესეც იქნებაო, — ასე დაიწყო საუბარი უცნობმა ქალბატონმა, რომელმაც რედაქციაში რამდენიმე დღის წინ დარეკა.

აი, რა გვიამბო ქალბატონმა ლიზიკომ (მის გვარს გარკვეული მოსაზრების გამო არ ვასახელებთ): — ხომ გახსოვთ, საზღვარგარეთ გამგზავრების რა ბუმი იყო ამ ათიოდე წლის წინ — ყველა სადღაც მიდიოდა, ლამის მთელი ქვეყანა დაიცალა. დარწმუნებული ვარ, დარჩენილებიც წავიდოდნენ, მაგრამ ეტყობა, გასამგზავრებელ ფულს ვერ შოულობენ. მე სამოცი წლის ქალი ვარ. რაღა დროს ჩემი სადმე გამგზავრება იყო. ჩემი ასაკის ხალხი, წესით და რიგით, შინ უნდა ისხდნენ და უზრუნველად ატარებდნენ სიბერეს. მაგრამ ამ ქვეყანაში ტკბილად ცხოვრება შეიძლება? ერთი ქალიშვილი მყავს, მეუღლე ავარიაში დაეღუპა და ოცი წლის გოგო დამიქვრივდა. ორი ბიჭი დარჩა იმ ასაკის, ჭამის მეტი რომ არაფერი შეუძლიათ. მაგრამ ჩემი ქალიშვილის მათხოვრულ ხელფასსა და ჩემს პენსიაზე ორი ბავშვის გაზრდა და საკუთარი თავის შენახვა არ გინდა? ბევრი მიშალა ჩემმა ქალიშვილმა, მოვითმინოთ, გამოჩნდება რამეო, მაგრამ ერთხელ რომ დავიჩემე, აღარ გადავთქვი. გავყიდე თუკი რამ ძვირფასეულობა მქონდა და საბერძნეთში წავედი. ამბობდნენ, იქ ქალებისთვის იოლია სამუშაოს გამოძებნაო და მეც ამის იმედად ვიყავი.

**— საბერძნეთში არალეგალურად გადახვედით?**

— გაჭირვებით ავილე საბერძნეთის ვიზა, მაგრამ მაინც არალეგალად ვითვლებოდი — ვიზა ერთთვიანი იყო და ამ დროის გასვლის შემდეგ უკან უნდა დავბრუნებულიყავი, მე კი რამდენიმე წლით ვაპირებდი საბერძნეთში დარჩენას. არალეგალურად სხვანაირად მიდიან: გაემგზავრებიან თურქეთში, იქ ავტობუსის მძღოლს შეუთანხმდებიან და თუ ბედმა გაუღიმათ და მძღოლმა არ დააბეზღა, საბერძნეთში გადადიან. მე ასაკოვანი ვიყავი და ამდენი ფათერაკის გადატანა არ შემეძლო. ამიტომაც ავიღე საბერძნეთის ვიზა. მოკლედ, თბილისიდან პირდაპირ სალონიკში ამოვჩნდი. იქ ქართველები კი დამხვდნენ, მაგრამ სამუშაოს პოვნა არც ისე იოლი აღმოჩნდა. საბერძნეთი სავსეა ემიგრანტებით და ამდენი არც მომვლელი უნდა ვინმეს და არც მუშა. ის ერთი თვე, რისი ნებართვაც კანონიერად მქონდა, სამსახურის ძებნაში გავატარე — მინდოდა, მოხუცის ან ბავშვის მომვლელად ავეყვანე ვინმეს. არ გამიმართლა. იქაური ქართველები კი მეხმარებოდნენ, მაგრამ მათაც თავიანთი უღელი ედგათ. ჩემთან ერთად სამუშაოს ორი გოგოც ეძებდა. პატიოსანი გოგოები იყვნენ. სხვათა შორის, საბერძნეთში ბევრ ქართველ ქალს ნახავთ, საეჭვო საქმიანობას რომ ეწევა და კარგადაც ცხოვრობს, მაგრამ იმ გოგოებმა შორს დაიჭირეს: მეძაობა რომ გვნდომოდა, საქართველოშიც მოვახერხებდითო. დამნაშავეებივით, ჩუმად დავდიოდით ქუჩაში, ვცდილობდით, პოლიციელებს არ შევფეთებოდით. ერთ დღეს გავიგეთ, სალონიკთან ახლოს ფერმერები მუშახელს ქირაობენ და კარგადაც უხდიანო. ჩვენც იქითკენ გავეშურეთ. მაგრამ რად გინდა, განსაცდელი თურმე სწორედ იქ გველოდა.

**— მაინც რა მოხდა?**

— ჩამოვედით თუ არა ავტობუსიდან, პოლიციამ გვტაცა ხელი და განყოფილებაში წაგვიყვანეს. იქიდან ვინღა გამოგვიშვებდა, საბუთები გვქონდა წესრიგში თუ რა? სამი დღე გავატარეთ პოლიციაში. შემდეგ ერთი ოფიცერი შემოვიდა და რუსულად გვითხრა: საემიგრაციო კანონის დარღვევისთვის ციხეში უნდა გადაგგზავნონ, სადაც წელიწადზე მეტს დაყოფთო. ელდა მეცა. შვილი და შვილიშვილები მივატოვე და ამ გადასაკარგავში იმისთვის წამოვედი, ციხეში რომ აღმოვჩენილიყავი? სამივემ ტირილი დავიწყეთ. ოფიცერმა გვითხრა: არსებობს გზა, რომ ციხე აიცილოთ თავიდან. აქედან ერთ-ერთ ფერმერთან წაგიყვანთ და იმასთან იმუშავებთო. ჯერ ყურებს არ ვუჯერებდით, მერე როცა გაგვიმეორა, სამივემ ერთხმად წამოვიყვირეთ, თანახმა ვართთქო. ასე მიგვიყვანა პოლიციამ იქამდე, რისთვისაც სალონიკიდან წამოვედით.

**— ფერმაში რას აკეთებდით და რა შემოგთავაზეს?**

— ჩვენ ვაკეთებდით ყველაფერს: სახლის დალაგება იყო, ძროხის მოწველა თუ სხვა სამეურნეო სამუშაო. ჩვენს „პატრონს“ ცოლი ჰყავდა ლოგინად ჩავარდნილი და საოჯახო საქმეების კეთებას ჩვენ გვაიძულებდა. თუ შევეკამათებოდით, მაშინვე ყვირილს იწყებდა: ახლავე დავრეკავ პოლიციაში და ციხეში გადაგიყვანენო. ასე გვაქციეს მონებად. ენა ვერ აღწერს, რის გაკეთებას გვაიძულებდნენ. მე კიდევ რა მიჭირდა, ის გოგოები იყვნენ შავ დღეში. ზოგჯერ სცემდნენ კიდეც... დანარჩენს ნუღარ მკითხავთ. ირგვლივ კაცი არ იყო, ჩვენთვის რომ ეპატრონა. ერთხელ ამ ფერმერის პოლიციელი შვილი რომ მოვიდა, ვკითხე, აქ რამდენ ხანს უნდა დაგვტოვოთ-მეთქი. სიცოცხლის ბოლომდეო — ისე უხეშად მომაძახა, ვითომ ადამიანი კი არა, უსულო საგანი ვიყავი. ასეთ ყოფაში გავატარეთ წელიწადი და სამი თვე(!) ერთ დღეს „პატრონს“ ცოლი გარდაეცვალა. არეულობით ვისარგებლეთ და გამოვიქეცით. ჩვენთვის არავის ეცალა, არც მერე მოვუკითხივართ ვინმეს. იმ პოლიციელს რომ ჩვენი ძებნა დაეწყო, არც ჩვენ გავჩუმდებოდით და არც მას დაადგებოდა კარგი დღე. შეიძლება იმ ოჯახს უკვე სხვა ქართველები ჰყავს დამონებული...

ჩავედით სალონიკში. ფული ვისესხე და თბილისში დავრეკე. შვილის ხმა რომ გავიგე, ყველაფერი დამავიწყდა. ისე, ვუსაყვედურე: ამდენი ხანი რომ არ გამოჩნდი, რატომ განგაში არ ატეხემეთქი. მიპასუხა, არალეგალურად იყავი წასული. ვიფიქრე, ძებნა რომ დავეწყო, რამე არ ვავნო. ამიტომ გაჩუმება ვამჯობინეო. მართალიც იყო ჩემი ქალიშვილი. ჩვენი მოძებნით არავინ შეიწუხებდა თავს. იცით, ეს ისტორია რატომ გიამბეთ? ამისთანა რამ მხოლოდ ჩვენ არ გადაგვხდომია. სხვაც ბევრი იყო და არის ჩვენს დღეში. იქნება ვინმემ მოძებნოს და გადაარჩინოს. ისინიც გაფრთხილდნენ, ვინც მომავალში გამგზავრებას აპირებს — საბერძნეთში მათ არავინ ელის...

ვაკეთებდით ყველაფერს: სახლის დალაგება იყო, ძროხის მოწველა თუ სხვა სამეურნეო სამუშაო. ჩვენს „პატრონს“ ცოლი ჰყავდა ლოგინად ჩავარდნილი და საოჯახო საქმეების კეთებას ჩვენ გვაიძულებდა. თუ შევეკამათებოდით, მაშინვე ყვირილს იწყებდა: ახლავე დავრეკავ პოლიციაში და ციხეში გადაგიყვანენო. ასე გვაქციეს მონებად. ენა ვერ აღწერს, რის გაკეთებას გვაიძულებდნენ. მე კიდევ რა მიჭირდა, ის გოგოები იყვნენ შავ დღეში. ზოგჯერ სცემდნენ კიდეც... დანარჩენს ნუღარ მკითხავთ.

რამდენად გაითვალისწინებენ საზღვარგარეთ წასვლის მსურველები ქალბატონი ლიზიკოს რჩევას, ძნელი სათქმელია, მაგრამ მის ნაამბობზე დაფიქრება ნამდვილად ღირს. მაშინ, როცა მთელი მსოფლიო ტრეფიკინგის წინააღმდეგ იბრძვის, ასეთი შემთხვევები არ იკლებს. ეტყობა, ბრძოლა უშედეგოა და ამ მოვლენის აღსაკვეთად უფრო ქმედითი ღონისძიებებია საჭირო. ზემომოყვანილ ისტორიას კი რაც შეეხება, ჩვენ შევეცადეთ საბერძნეთის საელჩოს წარმომადგენლებს გავსაუბრებოდით, მაგრამ მათთან დაკავშირება ვერაფრით მოვახერხეთ. სიმართლე გითხრათ, ეს არც გაგვკვირვებია, რადგან როგორც წესი, საელჩოების მუშაკები ოფიციალურ, მშრალ კომენტარს სჯერდებიან და გასაჭირში ჩავარდნილთა ბედის შესამსუბუქებლად არაფერს აკეთებენ. საგანგაშო ის არის, რომ საელჩოების წინ ყოველდღიურად უამრავი მოქალაქე დგას და უცხოეთის გზაზე დასადგომად თავის რიგს ელის. თუმცა, როგორი იქნება ეს გზა, არავინ იცის.

საქართველოს ოფიციალურ სტრუქტურებში ამბობენ, რომ ანალოგიური შემთხვევების თავიდან აცილება ძალიან ძნელია, რადგან არ არსებობს ინფორმაცია საზღვარზე არალეგალურად გადასული ქართველების შესახებ. თუმცა, როგორც კომპეტენტური პირები მიიჩნევენ, თუკი სახელმწიფოს ნება იქნება, შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება. ამ საკითხზე თავის მოსაზრებას გვიზიარებს ექსპერტი დემოგრაფიის საკითხებში **ირმა გვენეტაძე**: — შემთხვევა, რომელიც თქვენ მიამბეთ, ტრეფიკინგის ტიპურ მაგალითი გახლავთ. სამწუხაროდ, ამგვარი დანაშაულები ძალზე გახშირდა. ტრეფიკინგს სპეციალური ანატომია აქვს — იგი ჩამორჩენილი, კონფლიქტური ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი. ალბათ, გახსოვთ, ამ ცოტა ხნის წინ აფხაზეთიდან გამოქცეული უკრაინელი რომ გაათავისუფლეს. ეს არ იყო პირველი შემთხვევა. აფხაზეთში ადამიანის დამონების ფაქტები ადრეც დაფიქსირდა. ვინ იცის, კიდევ რამდენია იმავე მდგომარეობაში. პრობლემას ისიც ართულებს, რომ ამ ხალხის მოძებნა ძნელია. ინფორმაცია მათზე არ არსებობს. გარდა ამისა, ტრეფიკინგი ყვავის მოწინავე ქვეყნებშიც და მისი გამოვლენაც სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

**— რას გულისხმობთ?**

— საქმე გვაქვს ორმხრივ დანაშაულთან. ტრეფიკინგის მსხვერპლმა კარგად იცის, რომ კანონი დაარღვია — არალეგალურად გადაკვეთა უცხო ქვეყნის საზღვარი და, პრაქტიკულად, უუფლებოა. ვინც ამ ხალხს იყენებს, კარგად იცის მათი სუსტი მხარე: არალეგალური ემიგრანტი სამართალდამცავ ორგანოს ვერ მიაკითხავს. ასე იკვრება წრე, რომელშიც ძალზე ძნელია შეღწევა.

**— ამ წრეში ქართველი ემიგრანტებიც არიან მოქცეული?**

— სამწუხაროდ, არასახარბიელო მონაცემები გვაქვს. ტრეფიკინგისთვის ქართველები საუკეთესო „მასალას“(!) წარმოადგენენ. რომელიმე მოწინავე ქვეყნის მოქალაქე სხვა ქვეყანაში რომ დაიკარგოს, მაშინვე ერთი ამბავი ატყდება მის მოსაძებნად. საქმეში ლამის ქვეყნის პრეზიდენტებიც ერთვებიან. ჩვენთან კი ემიგრანტების ყოფას არავინ აკონტროლებს. დიახ, ეს ხალხი არალეგალურად არის გადასული, მაგრამ მაინც უნდა ხდებოდეს მათი აღრიცხვა და საქმიანობის გაკონტროლება. ისინი მართლაც მძიმე მდგომარეობაში არიან. ყველაზე სათაკილო და შავი საქმეების კეთება ხშირად ქართველებს უწევთ.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— სანამ ის მიზეზები არ მოისპობა, რის გამოც ჩვენი მოქალაქეები არალეგალურად მიდიან საზღვარგარეთ, არაფერი გაუმჯობესდება. ქვეყანაში სოციალური გარემო უნდა გაუმჯობესდეს. გარდა ამისა, არსებობს ქვეყნებს შორის მუშახელის გაცვლის საერთაშორისო პრაქტიკა. ვთქვათ, თურქეთში მუშახელი სჭირდებათ თხილის აღების სეზონზე. ის ოფიციალურად მიმართავს რომელიმე ქვეყანას, დაიდება შეთანხმება და შრომითი ტურით წასული მოქალაქეც დაზღვეულია უფლებების შელახვისაგან.

**P. S.** ერთი სიტყვით, ქართველი არალეგალების ხვედრის შესამსუბუქებლად ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ჯერჯერობით კი, ისიც არ არის გარკვეული, დაიწყება თუ არა ამ საკითხზე მუშაობა. არადა, ეს აუცილებელია. ჩვენი მოქალაქეები თავის დროზე აქედან ერთ უბედურებას გაექცნენ და მათი საკმაოდ დიდი ნაწილი იქ მეორე უბედურებას შეეყარა.

დავით დღვიძე

# ქართული მაფია ესპანეთში ომს აპირებს?




ესპანეთში ახალი სკანდალი მწიფდება. ადგილობრივი პრესის ინფორმაციით, ქართული მაფია ივნისში მათ წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციის გამო შურისძიებას გეგმავს. შეგახსენებთ — მაშინ ესპანელმა პოლიციელებმა ჩაატარეს სპეცოპერაცია „კრაზანა“, რომელიც ქვეყანაში მოქმედი ქართული კრიმინალური ჯგუფის დაპატიმრებას ისახავდა მიზნად. „კრაზანას“ მთავარი სამიზნე კრიმინალური ავტორიტეტი ტარიელ ონიანი იყო. თუმცა, დაპატიმრებულ ოცდაათიოდე ქართველში ის არ აღმოჩნდა. ონიანმა მაშინ მიმალვა მოასწრო. სამაგიეროდ, დააკავეს მისი 11 წლის ქალიშვილი გვანცა, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ გაათავისუფლეს. ამის შემდეგ ვითარება ესპანეთში ასე თუ ისე განიმუხტა. ნელ-ნელა გაათავისუფლეს დაპატიმრებული ქართველები და არც ტარიელ ონიანის ძებნა გაგრძელებულა. გამოითქვა მოსაზრება, რომ ესპანელ ძალოვანთა დაშოშმინების მიზეზი ონიანისგან საქმის „მოგვარება“ იყო. კრიმინალურ ავტორიტეტს გავლენიანი წრეები მფარველობენ არა მარტო ესპანეთში. როგორც ამბობენ, ის მთელ ევროპაში პატივისცემით სარგებლობს და გასაკვირიც არ იყო, მის წინააღმდეგ წამოწყებული კამპანია მალევე რომ ჩაეწყნარებინა. მაგრამ რატომ ან ვის დასჭირდა ამ თემის გახსენება, ან ქართული მაფიის რა შურისძიებაზეა ლაპარაკი? საქართველოში ამის შესახებ საკმაოდ მწირი ინფორმაცია არსებობს. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი ბრძანებს, ონიანი მას არ ურეკავს და საქმის კურსში არ აყენებს. „ამიტომ არ მესმის, რაზეა ლაპარაკიო“. სამაგიეროდ, საქმეში ჩახედულები ფიქრობენ, რომ ესპანურ პრესაში ქართულ მაფიაზე ინფორმაციის გაჟონვა შემთხვევითი არ არის.

„კვირის პალიტრას“ ამ თემაზე საინტერესო მოსაზრებებს სთავაზობს ექსპერტი-ანალიტიკოსი **თემურ მანველიშვილი**: — რამდენადაც ვიცი, ცნობა ქართული მაფიის შესაძლო შურისძიების შესახებ წამყვან ესპანურ გაზეთში „ელ პერიოდიკოში“ დაიბეჭდა. ეტყობა, პრესას ინფორმაცია ძალოვნებმა მიაწოდეს. ესპანეთში ბევრი ქართველი ცხოვრობს და იქაურ სამართალდამცველებს შეიძლება მათ შორისაც ჰყავთ აგენტურა. ბუნებრივია, აინტერესებთ, რას აპირებს მათ ქვეყანაში ესა თუ ის ქართველი. მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, სულ სხვა ჩანაფიქრთან გვაქვს საქმე.

**— კერძოდ, რა ჩანაფიქრი შეიძლება არსებობდეს?**

— როგორც კი ეს ინფორმაცია გავრცელდა, სასწრაფოდ გადამალეს „კრაზანაში“ მონაწილე ყველა პირი. ისე დახატეს სიტუაცია, თითქოს ესპანეთში არსებულ ქართულ მაფიას სამშობლოდანაც ემატებიან ახალი ძალები და გადაწყვეტილი აქვთ, ოპერაციის მონაწილეებს სასტიკად გაუსწორდნენ. რა არის ეს? გამოდის, ქართველი დამნაშავეები ესპანეთს ომს უცხადებენ? ეს ხომ წარმოუდგენელია. უბრალოდ, ვიღაც ნიადაგს ამზადებს ესპანეთში საიმისოდ, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაუსწორდეს ტარიელ ონიანს და მის გარშემო არსებულ მთელ ინფრასტრუქტურას — ანუ იწერება სპეცსამსახურების მიერ კარგად აპრობირებული სცენარი: ჯერ იქმნება მტრის ხატი, რომელიც თანდათან უდიდეს საშიშროებად იქცევა და ამიტომ საჭიროა მისი დროულად თავიდან მოშორება. ეს არის და ეს. ვფიქრობ, ესპანეთში მალე დაიწყება დაპატიმრებათა ახალი სერია და ამჯერად მისგან თავის დაღწევა გაცილებით ძნელი იქნება.

**— ამბობენ, რომ ონიანმა ვითარების განეიტრალება შეძლო, მაშ ვიღას სჭირდება მის წინააღმდეგ ახალი კამპანის წამოწყება?**

— ონიანმა ესპანეთში წლების განმავლობაში საკუთარი ბიზნესსამყარო შექმნა. აქვს დიდი სამშენებლო ბიზნესი. ჰქონდა კარგი ურთიერთობა ხელისუფლების წარმომადგენლებთანაც. ეტყობა, ბოლო დროს მისი ბიზნესინტერესები ვიღაც სხვა, არანაკლებ გავლენიანი ფიგურის ინტერესებს დაემთხვა. ევროპაში ქურდული მენტალიტეტის ხალხს არ ცნობენ. იქ არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ბიზნესი. ამ სფეროში კი ონიანზე არანაკლებ ავტორიტეტული პირები არიან ჩართული. ამდენად აქ მოულოდნელი არაფერია. ონიანიც ასე ფიქრობს. ალბათ, მან უკვე იცის, რომ ქართული მაფიისგან „თავის დაცვა“ უბრალოდ მის წინააღმდეგ მოფიქრებული ხრიკია.

**— რამდენად რეალურია ესპანეთში ქართული მაფიის არსებობა?**

— რეალური არის, მაგრამ მასზე გაცილებით ძლიერ მაფიოზურ დაჯგუფებებსაც ჯერ არასოდეს გაუკეთებიათ ის, რასაც ვითომ ქართული მაფია გეგმავს „კრაზანას“ წევრების ანუ სამართალდამცავების წინააღმდეგ. ქართული მაფია არის ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებების ერთობლიობა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეუძლია რომელიმე კრიმინალურ ავტორიტეტს დაუდგეს გვერდში. სხვათა შორის, ქართული მაფია, რომლის ძირითად ბირთვს რუსეთში მყოფი დამნაშავეები წარმოადგენენ, ბოლო დროს საკმაოდ გაძლიერდა. გაგიკვირდებათ, მაგრამ ეს რუსული კრიმინალური სამყაროს გაძლიერების გამო მოხდა, რომელსაც დიდი ხანია არცთუ კარგი დამოკიდებულება აქვს ქართველ „კოლეგებთან“.

**— რაღაც გაუგებარია...**

— ბოლო წლებში რუსეთში ქართველი კანონიერი ქურდების ავტორიტეტი საგრძნობლად შეირყა. რუსი ქურდები ამბობდნენ, რომ ქართველებს ნაყიდი ჰქონდათ ქურდის სახელი და მათი უმრავლესობა ამ ტიტულის ტარების ღირსი არ იყო. საქმე იქამდეც მივიდა, რომ თუკი ქართველი ქურდი აკურთხებდა რომელიმე ახალბედას ქურდად, ნათლობაში რუსები თუ არ მონაწილეობდნენ, ამ უკანასკნელს ქურდად არც ცნობდნენ. მეტიც, მოგეხსენებათ, ზონებში ქურდულ წესრიგს ქურდები აწესებენ, მათი სიტყვა კი ყველა პატიმრისთვის კანონია. რუსულ ზონაში მყოფ ქართველ ქურდს აღარ შეუძლია პატიმრების გაკონტროლება. იგი მათთვის ქართველი ქურდია, ანუ არასრულფასოვანი ქურდი. ამიტომ იძულებულია ზონას რუსი „მაყურებელი“ დაუნიშნოს, რომლის საშუალებითაც მართავს ზონას. ქართველების მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა ცნობილი „იაპონჩიკის“ გათავისუფლებამ. ამ კაცს არაერთი ქართველი ქურდი მეგობარი ჰყავს, მაგრამ მწყრალად უყურებს ახალგაზრდა თაობას. „იაპონჩიკის“ გათავისუფლებას ოცამდე ქართველი ქურდის ტიტული შეეწირა. სწორედ ამის შემდეგ გახდნენ ქართული დაჯგუფებები იძულებული, რომ საპასუხო ნაბიჯები გადაედგათ და მანამდე თუ ცალ-ცალკეც მშვენივრად გრძნობდნენ თავს, ამჯერად გაერთიანებულიყვნენ. ამას ცხადია, მათი გაძლიერება მოჰყვა.

**— მაგრამ არა იმდენად, რომ „კრაზანას“ ომი გამოუცხადონ.**

— რა თქმა უნდა. ამხელა ძალა, მადლობა ღმერთს, არ აქვთ. ყველაფერი ეს მათივე საწინააღმდეგოდ არის დაგეგმილი.

დავით დევდარიანი

# თემის გაგრძელება...



# „დავსჯით ყველას, ვინც დასასჯელია“

## ქუთაისის საავადმყოფოში კომისია გაიგზავნა

თემას, რომელიც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან სასაუბროდ „კვირის პალიტრამ“ აირჩია, სასიამოვნოს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. მედიცინა და დანაშაული თითქოს ერთმანეთისგან ძალზე დაშორებული ცნებებია, მაგრამ კითხვები, რომლებითაც ჩვენ მინისტრს მივმართეთ, საზოგადოებას დიდი ხანია აწუხებს. უპასუხო კითხვები კი ხშირად უფრო ეჭვისა და უნდობლობის საფუძველია, ვიდრე არსებულ პრობლემათა გადაჭრის საშუალება. ამიტომაც გადავწყვიტეთ გვესაუბრა არასასიამოვნო, მაგრამ მტკივნეულ თემებზე.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი **ლადო ჭიპაშვილი:**

— ექიმებს შორის იმდენივე ნარკომანია, რამდენიც მძღოლებს, მასწავლებლებს, თეატრალებს, ჟურნალისტებსა და სახელმწიფო მოხელეებს შორის. ნარკომანია საზოგადოებაში გავრცელებული სენია და ის დიდი პრობლემაა არა რომელიღაც ფენისა, არამედ მთელი საზოგადოებისა. თუ მკითხავთ, არიან თუ არა ნარკომანები ექიმთა შორის, გიპასუხებთ, რა თქმა უნდა, არიან, მაგრამ არიან იმდენი, რამდენიც სხვა ფენებს შორის. სამწუხაროდ, ამის ამოშანთვა ციხითა და მათრახით შეუძლებელია.

— **სამედიცინო დაწესებულებებში ნარკოტიკებით ვაჭრობის ფაქტებზე კარგა ხანია ლაპარაკობენ. ორიოდ კვირის წინ კი ზოგადმა საუბარმა კონკრეტული ხასიათი შეიძინა — ზუგდიდის ერთ-ერთ საავადმყოფოში რამდენიმე ასეული ამპულა ნარკოტიკული საშუალების დანაკლისი აღმოჩნდა.**

— საქართველოს ოფიციალურ სამედიცინო დაწესებულებებში ნარკოტიკებით არ ვაჭრობენ. თუ შევიტყვე, რომ ასეთი რამ რომელიმე საავადმყოფოში ხდება, მაშინვე დავრეკავ შინაგან საქმეთა სამინისტროში და მოვითხოვ დამნაშავე მედიკოსის დაპატიმრებას. რა თქმა უნდა, ასეთი რაღაცები ხანდახან ხდება. ვცდილობ, რომ არც ერთი ასეთი ფაქტი არ დარჩეს რეაგირების გარეშე.

ზუგდიდის საავადმყოფოში მომხდართან დაკავშირებით ჩვენ სისხლის სამართლის საქმე აღვძარით უფროსი ექთანის წინააღმდეგ. მინდა დავარწმუნო მოსახლეობა, რომ ეს არ არის მასობრივი მოვლენა. ნარკოტიკები შავ ბაზარზე საავადმყოფოებიდან კი არა, არალეგალური გზით ხვდება.

— **სამედიცინო დაწესებულებებში ნარკოტიკების მოხმარებისა და ვაჭრობის გარდა სხვა პრობლემებიც არსებობს. ალბათ, თქვენთვისაც ცნობილია, რომ ერთ-ერთმა ოჯახმა ქუთაისის საავადმყოფოს ექთანი გარდაცვლილი ადამიანის ორგანოს ქირურგებისთვის მიყიდვაში დაადანაშაულა... („კვირის პალიტრა“, №№ 33, 34. — რედ.)**

— ექიმების საწინააღმდეგო კამპანიის წამოწყება კარგს არაფერს მოიტანს. 70-იან წლებში შევარდნაძემ დაიწყო ასეთი კამპანია — შავი ლაქები თეთრ ხალათზე და ა.შ. ყოველგვარი კამპანიურობის წინააღმდეგი ვარ. რაც შეეხება ქუთაისის საავადმყოფოში მომხდარ ინციდენტს, სამწუხაროდ, იმ დროს საქართველოში არ ვიყავი. დაბრუნებისთანავე წავიკითხე თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული სტატია. გარწმუნებთ, თუ დადასტურდა მოყვანილი ფაქტები, ქუთაისის საავადმყოფოში ძალზე სერიოზული საკადრო და არასაკადრო ცვლილებები განხორციელდება. სპეციალური კომისია ამ საკითხზე უკვე მუშაობს. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ პრეტენზიას გაუბედურებული და გამწარებული ოჯახი აცხადებს. საქმე ძალზე სერიოზულია და ამიტომაც არ მსურს ვინმე მანამდე დაისაჯოს, ვიდრე ყველაფერი არ დამტკიცდება.

— **ოჯახის წევრთა ნაამბობის გარდა გარდაცვლილის ავადმყოფობის ისტორიაში სერიოზული ხარვეზები აღმოჩნდა. არ იყო ჩატარებული სხვადასხვა კვლევა, არ ჩანს გადახდის ქვითარი...**

— სწორედ ამიტომაც გავგზავნეთ კომისია. შევისწავლით ყველაფერს, გამოვკითხავთ სამედიცინო პერსონალს. თუ რაიმე შეცდომა არის დაშვებული, არ დავფარავთ.

— **როგორ ფიქრობთ, ასეთი ქმედების ჩამდენი პირი სიმართლეს იტყვის?**

— კომისია დაადგენს, არის თუ არა მკურნალობა ჯეროვნად ჩატარებული, არის თუ არა რაიმე გადაცდომა ისტორიის შევსებისას დაშვებული და ა.შ. მინდა ყველა დავარწმუნო, რომ დარღვევების დადასტურების შემთხვევაში ჩვენი გადაწყვეტილება იქნება ძალზე პრინციპული.

— **საავადმყოფოთა უმეტესობაში არ მუშაობს კრემატორიუმი და ადამიანის ამოკვეთილი ორგანოები საოპერაციო მასალასთან ერთად სანაგვეზე იყრება.**

— ამაზე საავადმყოფოების დირექციებმა უნდა აგონ პასუხი. ყველა ამოკვეთილი ორგანო უნდა დაიმარხოს. თუკი რომელიმე საავადმყოფოს ხელმძღვანელი ამ პირობას არ დაიცავს, ყველას მკაცრად მოეთხოვება პასუხი. დავსჯით ყველას, ვინც დასასჯელია.

— **დავუბრუნდეთ ისევ ნარკოტიკების თემას — გავრცელებული აზრით, თქვენი სამინისტრო ექიმთა ნარკოლოგიური შემოწმების წინააღმდეგია... რატომ არის შეურაცხყოფა ეს ექიმებისთვის და არ არის შეურაცხმყოფელი სხვა სტრუქტურაში მომუშავე ხალხისთვის?**



— ეს ჩემი პოზიცია არ გახლავთ. ამ პერიოდში საქართველოში არ ვიმყოფებოდი და დაბრუნების შემდეგ ჩემი აზრით რატომღაც არავინ დაინტერესებულა. მე მივესალმები ექიმთა რიგების ნარკომანებისგან გაწმენდას, მაგრამ ამ ღონისძიებას არ უნდა ჰქონდეს წინასწარ გაცხადებული ქრონიკის სახე. შემოწმება უნდა ჩატარდეს მოულოდნელად. მოულოდნელობის ეფექტის გარეშე გარწმუნებთ, ვერც ერთ სამედიცინო დაწესებულებაში ვერც ერთ ნარკომანს ვერ აღმოვაჩენთ. ამასთან, სამინისტრომ წელიწადში ორჯერ რომ შეამოწმოს ყველა ექიმი, 2 მილიონი ლარია საჭირო. როგორ ფიქრობთ, გამართლებულია ამ საქმისთვის 2 მილიონი ლარის დახარჯვა წელიწადში, როცა ჩვენი ბიუჯეტი სულ 70 მილიონია? 2 მილიონ ლარად ასეულობით ბავშვის სიცოცხლეს გადავარჩენთ. საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების დირექციებმა (მერწმუნეთ, ამის რესურსი არსებობს) თავად, საკუთარი ხარჯებით უნდა ჩაატარონ შემოწმებები.

— **ბოლო 10-15 წლის განმავლობაში მოქალაქეთა უმრავლესობა ცდილობს ნაცნობ ექიმებს მიმართოს. მათი შიში განპირობებულია იმით, რომ ზოგიერთმა ექიმმა შესაძლოა შეგნებულად არასწორი დიაგნოზი დასვას, მხოლოდ იმიტომ, რომ პაციენტი და შემოსავალი არ მოაკლდეს. შედავებაც ძნელია — შესაძლოა ექიმმა თავი იმით იმართლოს, რომ შეცდა...**

— საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ ითვალისწინებს, რომ პაციენტს უფლება აქვს მოითხოვოს მისთვის მიყენებული ზიანის (რაც მორალურ და მატერიალურ ზარალს ითვალისწინებს) ანაზღაურება. დღეს ექიმების წინააღმდეგ საკმაოდ ბევრი პაციენტი მიმართავს სასამართლოს. საქართველოს სასამართლოები ხშირად განიხილავენ ასეთ საქმეებს. მეტიც, რაც უფრო განვითარდება ჩვენი ქვეყანა, ასეთი პროცესების რაოდენობა მოიმატებს. პაციენტი რომ ექიმს უჩივის, ჩვეულებრივი მოვლენაა და ცივილიზებული სამყაროსთვის უცხო არ არის. დააშავა ექიმმა? — აუცილებლად უნდა აგოს პასუხი. ერთი ჩემი ნაცნობი ამერიკელი ექიმი დღესაც უხდის ერთ-ერთი პაციენტის ოჯახს 200.000 დოლარს მიყენებული ზიანის გამო...

ჩვენ გვაქვს ერთადერთი უფლება, — თუკი რომელიმე ექიმს არაკეთილსინდისიერ საქმიანობაში ვამხელთ, მას სამედიცინო საქმიანობას ვუკრძალავთ. ჩემი მინისტრობის პერიოდში ასეთ საქმიანობაში შემჩნეულ მრავალ ათეულ ექიმს შევუწყვიტეთ ლიცენზია. სამედიცინო სფეროში ჩადენილი დანაშაულისთვის ციხეში თითქმის არ უშვებენ ექიმებს. მისი სასჯელი საექიმო საქმიანობის შეწყვეტა ან ფულადი ჯარიმაა.

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ექიმებისთვის საქმიანობის აკრძალვა ძალზე იშვიათია... საქართველოში კი, როგორც ვთქვით, ათეულობით ექიმი უკვე დავსაჯეთ.

**P.S. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ქუთაისის საავადმყოფოში მომხდარი ფაქტით სამართალდამცავი ორგანოებიც დაინტერესდნენ. შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომაც უკვე გაგზავნა სპეციალური კომისია საქმის გამოსაკვლევად. ამის შემდეგ საავადმყოფოს მთავარი ექიმი შვებულებაში გავიდა...**

*ხათუნა პიჭაძე*


ავერსი AVERSI

# ავერსი – საქართველოს და კავკასიის ფარმაციის ლიდერი ლიდერთა შორის!!!

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ჯანმრთელობის სამინისტროს ყველანაირი სტატისტიკური მონაცემებით „ავერსი“ როგორც საქართველოში, ისე ამიერკავკასიაში ფარმაცევტული ბაზრის უდავო ლიდერია. სოციოლოგიური კომპანია „BCG“-ს მონაცემებით და ასევე „ACT – International“-ის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგებით, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა გაზეთში „24 საათი“, დადასტურდა, რომ „ავერსი“ მოსახლეობის მიერ აღიქმება წამლის ხარისხის, ხელმისაწვდომი ფასის და მაღალი დონის მომსახურების უპირველეს გარანტად. ის ფაქტი, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წამლის საჭიროების დროს „ავერსი“ ახსენდება, კომპანიის თითოეულ თანამშრომელს სიამაყის გრძნობასთან ერთად უდიდეს პასუხისმგებლობასაც აკისრებს. კომპანია ყოველდღიურად ზრუნავს, რომ მომხმარებელმა რაც შეიძლება მეტ ადგილას შეძლოს „ავერსის“ აფთიაქში მედიკამენტის შეძენა. „ავერსის“ თითქმის ყველა აფთიაქი 24-საათიანია, ანუ დღის ნებისმიერ მონაკვეთში მუშაობს. „ავერსს“ თბილისში უკვე 33 აფთიაქი აქვს, უახლოეს მომავალში კიდევ 8 დაემატება. საქართველოში უკვე 15 მოქმედი და 10 მშენებარე ფილიალია. მთელ საქართველოში „ავერსი“ უკვე 70-ზე მეტ ობიექტს ითვლის და მათი რიცხვი კიდევ გაიზრდება.

„ავერსი“ არავის აძლევს თავის ლოგოს გამოყენების უფლებას, რადგან კომპანია პასუხს აგებს მედიკამენტის ხარისხზე, ფასზე და მომსახურებაზე.

„ავერსი“ უკვე 11 წლისაა. 1994 წლიდან დღემდე ორგანიზაციამ შეძლო, თავისი სახელწოდება გაემართლებინა („ავერსი“ ლათინური სიტყვაა და სპირალურად აღმასვლას ნიშნავს). ის არა მარტო საქართველოში და ამიერკავკასიაში, არამედ მთელი უკრაინისა და რუსეთის მასშტაბითაც ერთ-ერთ უმსხვილეს ფარმაცევტულ კომპანიად იქცა.

გასულ წელს „ავერსის“ მიერ გადახდილმა გადასახადებმა ქვეყნის ბიუჯეტის თითქმის 1 % შეადგინა. ეს ფაქტი ყველაზე მეტად საამაყოა კომპანიის ხელმძღვანელობისთვის. კომპანია საქართველოში დღეს ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ გადამხდელად ითვლება.

დღეს აქ 1000-მდე ადამიანია დასაქმებული. გეგმის მიხედვით, წლის ბოლომდე ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

„დღეს „ავერსში“ მუშაობა უამრავ ადამიანს სურს და ეს თავისთავად ძალზე სასიამოვნო ფაქტია. თუმცა ვაღიარებ, ჩვენს ორგანიზაციაში მოხვედრა არცთუ ისე იოლია. „ავერსში“ მუშაობის დასაწყებად აუცილებელია სერიოზული გამოცდების ჩაბარება, რადგან შესანიშნავად ვუწყით, რომ კომპანიის შემდგომი განვითარება დიდწილად სწორედ თანამშრომელთა ცოდნაზეა დამოკიდებული“ — ამბობს „ავერსის“ გენერალური დირექტორი პაატა კურტანიძე.

აქ უმთავრესი მოთხოვნები გახლავთ პროფესიონალიზმი, მუდმივი თვითსრულყოფა და თქვენ წარმოიდგინეთ, კარგი განწყობა. მეტიც, ღიმილისთვის „ავერსის“ თანამშრომლები სოლიდურ პრემიებსაც კი იღებენ. საერთოდ, კომპანიაში




მატერიალური წახალისების პრინციპების დანერგვას ხელმძღვანელობამ იმთავითვე უდიდესი ყურადღება მიაქცია, რადგან მიაჩნიათ, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს მოტივაცია, ორგანიზაციისთვის რაც შეიძლება მეტი აკეთოს.

ამასთანავე ამ ორგანიზაციაში ჩვენი ქვეყნისთვის უჩვეულოდ იდეალური წესრიგი სუფევს, დისციპლინა ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია სტაბილურობისა და წარმატების მოსაპოვებლად. აქ სამუშაო დღე არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად 9 საათზე იწყება. დაგვიანება და არაორგანიზებულობა კი კომპანიის ხელმძღვანელობისთვისაც და რიგითი თანამშრომლებისთვისაც ერთნაირად უცხო და მიუღებელია.

„ავერსის“ საიმედოობა მხოლოდ საქართველოთი არ შემოიფარგლება. ბიზნესასპარეზზე გამოსვლის დღიდან „ავერსი“ მუდმივად ქმნიდა და უფრთხილდებოდა ავტორიტეტს თავის ბიზნესპარტნიორებთან. დღესდღეობით კი „ავერსი“ ერთ-ერთ ყველაზე საიმედო, სანდო და სასურველ პარტნიორად ითვლება მსოფლიო ფარმაცევტულ ბიზნესში. ამას კარგად მოწმობს ისიც, რომ მისი პარტნიორების ჩამონათვალში მსოფლიოს ფარმაციის პირველ ათეულში შესულ არაერთ კომპანიას შეხვდებით. გლაქსოსმიტკლაინი (დიდი ბრიტანეთი), ავენტისი (საფრანგეთი), ბაიერი (გერმანია), პფაიზერი (აშშ), შერინგი (გერმანია), მერკი (გერმანია), ნიკომედი (ავსტრია), იამანუჩი (იაპონია), ბერინგერ ინგელჰაიმი (გერმანია) და სხვა ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ კომპანიებისა, რომლებთანაც „ავერსი“ უშუალოდ თანამშრომლობს. კომპანიამ ორგანიზებული თანამშრომლობით მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საქართველოში მართლაც შესაძლებელია სერიოზული ბიზნესის წარმოება.

თუმცა 11 წლის განმავლობაში მიღწეული წარმატებები კომპანიის შესაძლებლობების ზღვარი ნამდვილად არ გახლავთ.

გასულ წელს დასრულდა ორგანიზაციის გრანდიოზული პროექტი — საერთაშორისო სტანდარტების მქონე მძლავრი ფარმაცევტული წარმოების, „ავერსი-რაციონალის“, მშენებლობა.

ფარმაცევტული საწარმოს მშენებლობა კომპანია „ავერსმა“ 2002 წელს დაიწყო. პროექტის ხელმძღვანელებმა თავიდანვე გადაწყვიტეს, საწარმო მსოფლიოში აღიარებული სტანდარტის გათვალისწინებით აშენებულიყო და ამისთვის არც ძალღონე და არც ფინანსები არ დაიშურეს. პროექტი მთლიანად ევროპელ ექსპერტთა მონაწილეობით განხორციელდა.

„ავერსი-რაციონალი“ აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტის ინგლისური, გერმანული, იტალიური და იაპონური წარმოების დანადგარებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ავერსი-რაციონალმა“ გერმანულ ჰოლდინგთან „TUV Industrie Service“-თან ერთად, უკვე დაიწყო ხარისხის მენეჯმენტის სისტემის (ISO 9001) შექმნა და დანერგვა, რომლის სერ-




ტიფიკატსაც ფარმაცევტული საწარმო უახლოეს მომავალში აიღებს.

„ავერსი-რაციონალის“ პრეპარატები უკვე იყიდება აფთიაქებში. საწარმოს შექმნისას კომპანიას ერთი ძირითადი მიზანი ამოძრავებდა, რომ ქართველ მომხმარებელს ევროპული ხარისხის მედიკამენტები გაცილებით იაფად შეეძინა. „ფასი დაიწევს არა ხარისხის შემცირების ხარჯზე, არამედ იმიტომ, რომ ზოგიერთი საწარმოო პროცედურა საქართველოში ჩატარდება“, — განმარტავს ბატონი პაატა. მისივე თქმით, მალე „ავერსი-რაციონალში“ უფრო და უფრო მეტი ნიჭიერი ადამიანი დასაქმდება და ის გადასახადებიც, რომელთაც სახელმწიფო საწარმოს აკისრებს, ქვეყნის ბიუჯეტს მნიშვნელოვან თანხებს შემატებს.

ბოლო წლების განმავლობაში „ავერსი“ უამრავი სოციალური პროგრამის უშუალო ორგანიზატორი ან თანამონაწილეა. „ჩვენ, ისევე როგორც ყველა ქრისტიანული მორალის მქონე ადამიანსა და ორგანიზაციას, ფირმის შემოსავლიდან გამოყოფილი გვაქვს გარკვეული პროცენტი და ამ თანხას მთლიანად სოციალურად დაუცველი, მიუსაფარი და უმწეო ადამიანების დასახმარებლად მივმართავთ“, — გვითხრა „ავერსის“ გენერალურმა დირექტორმა პაატა კურტანიძემ. მართლაც, კომპანიაში უკვე არსებობს სპეციალური სამსახური — ჰუმანიტარული სამედიცინო დახმარების განყოფილება, რომელიც სოციალურად დაუცველ ფენებს მედიკამენტებითა და მკურნალობისთვის საჭირო თანხებით ეხმარება.

ავერსი – ლიდერი ლიდერთა შორის - გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს! ®

# „დღეს თავისუფლებით ვტკბები“

## „პრეზიდენტს მაინც ვეტყვი – მოიცილოს ის ურეიტინგო ხალხი, რომელსაც დღეს „პარადი“ მიჰყავს ქვეყანაში“



საპარლამენტო უმრავლესობამ კობა ბექაურის ზნეობრივ გმირად გამოცხადება დავით ზურაბიშვილთან განშორებად დაუჯდა. მართალია, ის „ნაციონალი“ არ ყოფილა, მაგრამ ფრაქციის წევრი იყო და თანაც ისეთი, ყველა საკითხზე რომ საკუთარი აზრი ჰქონდა. დავით ზურაბიშვილი უმრავლესობაში რომ უხერხულად გრძნობდა თავს და იქაურ ჩარჩოებშიც „ვერ ჯდებოდა“, ეს კარგად ჩანდა, მაგრამ დეპუტატი სახელისუფლებო გუნდიდან წასვლაზე აქამდე თავს იკავებდა. რა იყო ეს — გაქცევა თუ პროტესტი? ამ კითხვებზე ამჟამად უკვე დამოუკიდებელი დეპუტატი **დავით ზურაბიშვილი** გვიპასუხებს:

— ეს გაქცევა კი არა, ჩემთვის ბუნებრივ მდგომარეობაში დაბრუნებაა — ახლა, რაც მინდა, იმას გეტყვით და ანგარიშს არავის გავუწევ. დღეს თავისუფლებით ვტკბები. უკმაყოფილო აქამდეც ვიყავი იმ პროცესებით, რაც ქვეყანაში ხდება. არ მომწონს ის პოლიტიკა, გენერალური ხაზი, რაც ქვეყანაში ტარდება და დღევანდელ მმართველ ელიტას ახასიათებს (რომელსაც მე ფორმალურად მივეკუთვნები). აი, ეს არის ჩემთვის პრინციპულად მიუღებელი და არა ვილაცების კონკრეტული შეცდომები. თავიდან ვფიქრობდი, ვილაცას რალაც ეშლება, არ იცის, გამოუცდელია და ასე იმიტომ იქცევა-მეთქი, მაგრამ როდესაც „შეცდომები“ სისტემატურად მეორდება, უნდა მიხვდე, რომ ეს გამონაკლისი კი არა, წესია ამ ხელისუფლებისთვის. ფრაქციის გავლენიან წევრებთან შინაურული საუბრებითაც ცხადი შეიქნა, რომ არანაირ უხერხულობას არ გრძნობენ მმართველობის ასეთი სისტემის გამო. ერთხანს გიგა ბოკერიასთან ვკამათობდი ზოგიერთ საკითხზე, მაგრამ ბოლოს დავრწმუნდი, ამას აზრი აღარ აქვს-მეთქი. გიგა საზოგადოებაში დიდი სიმპათიით არასდროს სარგებლობდა, პირიქით, ბევრს აღიზიანებდა მისი აგრესიულობა და კატეგორიულობა, მაგრამ ამ კაცს სამართლიანობის მძაფრი შეგრძნება და სინდისი ჰქონდა — ამას ვერ დავუკარგავ. დღეს კი ეს აბსოლუტურად წაშლილი აქვს. ახლა მას დიდი პათოსით შეუძლია ილაპარაკოს მასმედიაში არსებულ კორუფციაზე. აქამდე კი მისგან ხშირად მსმენია — ხელისუფლებას არ აქვს უფლება, მასმედიას ეთიკური სტანდარტები მოსთხოვოს, სანამ მის თავისუფლებას არ უზრუნველყოფსო. ამის მთქმელი კაცი დღეს ლამის პირადად ხურავს ტელეგადაცემებს კრიტიკული აზრის გამო და უკვე ეჭვიც მეპარება — ალბათ, სპეცოპერაციასაც გეგმავს. გაუგებარია გიგას ასეთი მეტამორფოზა. თეორიულად ამის ახსნა შეიძლება, გამიგია — ძალაუფლება აგიჟებს და ცვლის კაცსო, მაგრამ უბედურება მარტო ეს არ არის, მხოლოდ გიგა ბოკერია არ აფუჭებს ქვეყანაში საქმეს. ქვეყანაში პირველი პირი წყვეტს ყველაფერს, ის არის პასუხისმგებელი ამ ქაოსურ მდგომარეობაზე, ეკონომიკის კრახზე, რომლის შედეგები განსაკუთრებით თვალსაჩინო მომავალ გაზაფხულსა და შემოდგომაზე იქნება. ქვეყანაში ბიზნესი ტერორიზებულია, ინვესტირება თითქმის არ ხდება, დაყაჩაღებისა და ადმინისტრირების ხარჯზე ბიუჯეტი ვეღარ ივსება, ახალი დარგები არ ვითარდება. ფინანსური ამნისტიით ერთმა მეწარმემაც არ ისარგებლა, რადგან ხელისუფლებას არ ენდობიან და საფუძვლიანადაც. ყველა ფიქრობს: კანონი კი მაძლევს გარანტიას, მაგრამ კანონის აღმსრულებელი მოვა, იმ კანონს თავზე გადამახევს, ფულსაც წაართმევს და ციხეშიც ჩასვამს [illegible] ისეთი ლამაზი ჰგონია რეალობა, როგორსაც ტელევიზიით უჩვენებენ და თავს იიმედებს, ხალხსაც დავაჯერებო. მაგრამ ჩვენ ხომ ისეთი დიდი ქვეყანა არ გვაქვს, რომ არ ვიცოდეთ რა მდგომარეობაა ამა თუ იმ რეგიონში.

**— თქვენმა ყოფილმა თანაგუნდელებმა თქვეს, აზრთა სხვადასხვაობა აქამდეც გვქონდა, მაგრამ ზურაბიშვილს უმრავლესობა არ დაუტოვებია. მისგან მედიის გამოქომაგება ერთგვარი პოლიტიკური სვლაა. ზურაბიშვილი ისედაც უნდა გაგვერიცხა ფრაქციიდან და დაგვასწროო.**

— ამ განცხადებამ გადამრია... თითქოს ყურადღებას ვამახვილებდი არცთუ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე, მნიშვნელოვან თემებზე კი არ ვრეაგირებდი. მაგალითად სამედიცინო კოლეჯის საკითხს მოვიყვან. მაშინ შეცდომა დაუშვა პარტიის მმართველმა ბირთვმა. მთავარი ის კი არ იყო, გამოცდაზე უნდა გასულიყვნენ თუ არა ბავშვები, არამედ ის, რა დამოკიდებულება აქვს ხელისუფლებას საკუთარი მოქალაქეებისადმი, რამდენად აქვს მისთვის ფასი მიცემულ სიტყვას. ასეთივე დამოკიდებულება გამოვლინდა რამდენიმე დღის წინ პიონერთა სასახლესთან დაკავშირებით. ბავშვებს ისეთ ტრავმას აყენებენ, რომელსაც ისინი არასდროს დაივიწყებენ. ხელისუფლება ცინიკურად იქცევა, ადამიანად არავის აგდებს. ის კატეგორიულად აცხადებს — ჩვენ გადაწყვეტილებებს არ ვცვლითო. მან თუ არ შეცვალა გადაწყვეტილება, აბა, ვინ შეცვლის — პატარა ბავშვი, რომელსაც მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლიდან აძევებენ? ხელისუფლება შეურაცხყოფას აყენებს ხალხს, შეურაცხყოფს დეპუტატებსაც, რომელთა უმეტესობას სახე აქვს დაკარგული. საპარლამენტო უმრავლესობის წევრები მოკლებული არიან გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას, მათი აზრი არავის აინტერესებს. მათი 80% მხოლოდ პულტზე თითის დამჭერად ჰყავთ. ეს შეგნებულად კეთდება. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ვიყავი და ვესწრებოდი უმრავლესობის ბირთვის 5-6-კაციან შეკრებებს. როდესაც ვთქვი, არ შეიძლება გადაწყვეტილებების ისე მიღება, რომ 100 კაცი „მოტყუილი“ გვყავდეს-მეთქი, მიპასუხეს — დიახაც, ასე უნდა მოვიქცეთ, ძალზე რადიკალური რეფორმები გვაქვს გასატარებელი და თუ ყველას ჭკუა ვკითხეთ, ვერაფერს გავაკეთებთო. ე.ი. ხალხზე, რომელიც პარლამენტში შეიყვანეს და თითქოს კოლეგებად მიაჩნიათ, ფიქრობენ, დებილები არიან, მათი აზრი არ უნდა გვაინტერესებდეს და ჩვენი ხუშტური უნდა გავიტანოთო. ეს ვითარება რომ არ მომწონდა, არასოდეს დამიმალავს და კენჭისყრებზეც საკუთარი შეხედულებებისამებრ ვაძლევდი ხმას. სიმართლე უნდა ვთქვა, — სხვებივით ჩემთვის არ უკადრებიათ ამის გამო საქმეების გარჩევა და ნოტაციების კითხვა. ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების რამდენიმე წინადადებასაც მოვაწერე ხელი. ჩემთვის მთავარი ის კი არ არის, ვინ აკეთებს საქმეს, არამედ რა კეთდება. უმრავლესობაში კი მთავარია „ვინ“ — ამას ჰქვია სწორედ კლანური მმართველობა. ე. ი. შენიანი თუ არის, სულერთია, რას გააკეთებს. როდესაც ბექაური-რამიშვილის სკანდალი მოხდა, ძალზე დელიკატურად განვაცხადე — შეკითხვები მაქვს-მეთქი, რაზეც მიპასუხეს — კი, ბექაურს მიქარული აქვს, მაგრამ შენ კიდევ არ იცი, სხვები რას აკეთებენო. ამაზე ვიკითხე, — კი, მაგრამ თუ იცით, რას აკეთებთ, განა კარგია, ასე რომ ხდება-მეთქი. თურმე მათ ეს არ აწუხებთ, მთავარია, პულტს დააჭირო თითი.

(გაგრძელება იხ. გვ. 27)

# „ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების ომზე ხმები გაზვიადებულია“

## „ბექაურს ჩემს თანამებრძოლად ვთვლი“



მართალია, გავრცელდა ხმა, საპარლამენტო უმრავლესობაში შექმნილი ვითარების გამო ზოგიერთს გაქცევაზე უჭირავს თვალიო, მაგრამ სახელისუფლებო გუნდის წევრები ასეთ სავალალო პერსპექტივას სულაც არ ხედავენ. არც ის აღმოჩნდა მართალი (ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებენ უმრავლესობაში), კობა ბექაურს ყველამ დაუყვავა და მისთვის უხერხული შეკითხვების დასმა ფრაქციის ხელმძღვანელობამ აკრძალაო. როგორც „კვირის პალიტრამ“ შეიტყო, ბექაურმა უკვე უპასუხა ზოგიერთ მწვავე შეკითხვას და თანაგუნდელთა ზეწოლის გამო „ხარკსაც“ გადაიხდის — მალე ის თავის ბიზნესწილებზე უარს საჯაროდ იტყვის(?!).

საპარლამენტო უმრავლესობაში შექმნილ ვითარებასა და ახლახან მომხდარ ინციდენტზე კომენტარი პარლამენტის ვიცე-სპიკერს, **მიხეილ მაჭავარიანს** ვთხოვეთ, რომლის გვარსაც ბოლო დროს ბექაურის საქმიანობასთან დაკავშირებით ხშირად იხსენიებენ.

**— ოპოზიცია აცხადებს, რომ რამიშვილის ირგვლივ ატეხილი სკანდალით ხელისუფლება მასმედიის ხელოვნურად დისკრედიტაციას ცდილობს. რას იტყოდით ასეთ ბრალდებაზე?**

— რას ჰქვია ხელოვნურად დისკრედიტაცია?.. რამიშვილმა რაც ჩაიდინა, ცხადზე უცხადესია. ასე მგონია, ზოგიერთ ჩემს მეგობარ ოპოზიციონერს არც თვალები აქვს და არც ყურები. ცდილობენ ვითარება ისე წარმოაჩინონ, რაც ვნახეთ და მოვისმინეთ, ბლეფი იყოო. ვინ შეაცდინა რამიშვილი და შეცდა თუ არა, ამას გამოძიება დაადგენს.

ისიც გაირკვევა, ჰქონდა თუ არა კობა ბექაურს ბიზნესსაქმიანობის უფლება. ფრაქციის სხდომაზე ვიმსჯელებთ ინციდენტის მორალურ მხარეზეც და თუ ვინმეს დანაშაული აქვს ჩადენილი, დაისჯება კიდეც. ზოგიერთებს აინტერესებთ, თუ რამიშვილი ციხეშია, რატომ მის გვერდით არ არის ბექაურიცო. ასეთი კითხვის დასმა ამორალობაა. დამნაშავე, რა გვარისაც არ უნდა იყოს, მისი ადგილი ციხეშია. მე მიამბეს ბექაურის საქმიანობაზე რა სიბინძურეც დაიწერა. ერთგან ისიც კი წავიკითხე — მაჭავარიანი საბაჟო ტერმინალის წილში რომ არის, კარგი „ჯიპით“ იმიტომაც დადისო. დაავიწყდათ, რომ ეს პარლამენტის მანქანაა და არა ჩემი, საკუთარი.

**— რამიშვილი-ბექაურის ინციდენტში მონაწილე თქვენი მეგობარი, ირმა სტეფნაძეც აღმოჩნდა. ისიც ითქვა, ბექაურსა და სტეფნაძეს მაჭავარიანი მართავსო.**

— ირმა სტეფნაძე ჩემი მეგობარია და ამას არც დავმალავ. სამწუხაროდ, ამ ინციდენტის შემდეგ ირმა ყველას დაავიწყდა, მათ შორის იმ ჟურნალისტებსაც, ვისთანაც მეგობრობდა. ერთ-ერთ ტელეკომპანიაში ისიც კი თქვეს, სტეფნაძე მიხეილ მაჭავარიანის პრესმდივანი იყოო. რატომღაც ის არ უხსენებიათ, რომ ირმა ჩემ შემდეგაც დარჩა საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში პრესმდივნად. ეს ინციდენტი ჩემთვის ლაკმუსის ქაღალდივით აღმოჩნდა — ბევრი პირის ლუსტრირება მოხდა. როდესაც ირმას გაუჭირდა, ყველამ ზურგი აქცია. არადა, ამ სიტუაციაში ის რამიშვილისა და ბექაურის წყალობით მოხვდა, მორალურად ის ყველაზე დაზარალებულია... დღეს აღმოჩნდა, რომ ირმა მხოლოდ ჩემი მეგობარი ყოფილა. მე მას არ ვუღალატებ და მინდა ჩემი სიტყვები თქვენმა იმ კოლეგებმა წაიკითხონ, ვინც დობას ეფიცებოდა მას და ახლა მიატოვეს.

თუ ვინმეს კობასთან კითხვები აქვს, მას გამოძიება უპასუხებს, მაგრამ არ გამოუვათ ჩვენი დაჩაგვრა და ასე ვთქვათ, „პონტზე აყვანა“...

**— კობა ბექაური ბიზნესსაქმიანობაში თქვენს სახელს რომ იყენებდა, ალბათ, გაიგებდით და ეცდებოდით მასთან რალაცის გარკვევას...**

— ეს რომ გავიგე, არათუ გადავამოწმე, ჩემს მეგობრებთან ერთადაც ავუხსენი კობას — ფრთხილად იყავი და არასასურველ რისკზე ნუ წახვალ-მეთქი...

**— რას გულისხმობდით?**

— ვურჩიე, ხელი აეღო „ოპიზაზე“... უფრო სწორად, მის მეუღლეს ჰქონდა საბაჟო ტერმინალში 20%-იანი წილი. ელენე თევდორაძემაც მითხრა, კობა ბექაური შენი სახელით მოქმედებსო, მაგრამ თქვენთან ჩემი სახელით ბინ ლადენი რომ მოვიდეს, დაუჯერებთ? რას ჰქვია ბექაური ჩემი სახელით მოქმედებს?! თუ რამის თქმა მინდა, თავად ვიტყვი.

ჩემმა ოპოზიციონერმა „მეგობრებმა“ კობაზე გადავლა მოინდომეს. თუ მან რამე ჩაიდინა, პასუხი უნდა აგოს, მაგრამ თუ მას უკანონოდ ფულს სძალავდნენ, ვალდებულიც იყო, რომ პოლიციისთვის მიემართა.

**— ფირზე რომელიც ტელევიზიით ვიხილეთ, გამოძალვა და შანტაჟი არ ჩანდა, ის უფრო პროვოცირება იყო...**

— ამას გამოძიება გაარკვევს, არც თქვენ ბრძანდებით შერლოკ ჰოლმსი და არც მე ვარ დოქტორი უოტსონი. შესაძლოა, თქვენ ვერ დაინახეთ მასში შანტაჟი, მე კი ის ვერ დავინახე, რომ რამიშვილს ჯიბეში ძალად ტენიდნენ ფულს.

**— როდესაც უმრავლესობა ბექაურს ზნეობრივ გმირად გვიხატავს, ცოტა უხერხულია.**

— კობა ბექაური სწორად მოიქცა, პოლიციას რომ მიმართა. მისგან ვიცი, რომ ეს პირველი შემთხვევა არ იყო — მას სხვადასხვა პირი აშანტაჟებდა, მათ შორის, ჩემი გვარის ხსენებითაც. ემუქრებოდნენ, დავწერთ, შენ და მიშას რომ საერთო ინტერესები გაქვთო. როცა კობა ეტყოდა, მაჭავარიანი რა შუაშიაო, პასუხობდნენ — ჩვენ დავწერთ და მიშამ როგორც უნდა, ისე იმართლოს თავიო. ჩვენთვის და პიარისთვის უფრო მომგებიანია, მაჭავარიანი ფიგურირებდესო. კობა უმეორებდა, ჩემზე რაც გინდათ, ის დაწერეთ, მაგრამ მიშა რა შუაშიაო... ყველაფერი ეს კობა ბექაურმა უამბო საგამოძიებო ორგანოებს.

**— როდესაც დეპუტატი ფარული კამერით მიდის შეხვედრაზე...**

— მერე რა, რომ კამერით მიდის...

**— თქვენ წახვიდოდით შეხვედრაზე ფარული კამერით?**

— ცოტა ისეთი შეკითხვაა... ღმერთმა ნუ ჩაგვაგდოს ნურც თქვენ და ნურც მე ასეთ მდგომარეობაში. ერთს გეტყვით, კანონს არ დავარღვევდი. თან არც საქმეს მივიყვანდი იქამდე, რომ ფარული კამერა დამჭირვებოდა. მაგრამ თუ ეს მექრთამის გამოვლენისთვის იქნებოდა საჭირო... მაინც არ შემიძლია ვთქვა, ამას გავაკეთებდი ან არა-მეთქი. მოკლედ, ვეცდებოდი აქამდე არ მისულიყო საქმე. ბექაურს ჩემს თანამებრძოლად ვთვლი. ბევრ საქმეში დამხმარებია. როდესაც თანამდებობიდან გადავდექი და პარლამენტში ვიყრიდი კენჭს, ბევრი გამიდგა განზე, კობა კი გვერდით მედგა რამდენიმე პირთან ერთად... ასეთ რამეს კაცს არ დავუკარგავ. თუმც, ეს არ არის ინდულგენცია საიმისოდ, თუ რამე ცუდი შევამჩნიე, მითითებისგან თავი შევიკავო.

**— საჯაროდაც ამხელთ ცუდის გამკეთებელ მეგობარს?**

— არ ვარ ისეთი პოლიტიკოსი, საკუთარი იმიჯისთვის ვინმეს ყველას დასანახავად რომ გადავუარო. თუ ადამიანს ვერ ვაგებინებ რა დააშავა, შესაძლოა, საჯაროდაც ვთქვა რამე, მაგრამ კობასთან ამის საჭიროება არ არის. კობას ვესაუბრეთ, მან გადაწყვეტილებები თავის ბიზნესთან დაკავშირებით მიიღო და ამას მალე გამოაცხადებს.

**— ზემოთ თქვით, ყველაზე მეტად ამ ვითარებაში ირმა სტეფნაძე დაზარალდაო, მაგრამ ერთი შეხედვით ჩანს, რომ ის იყო შუამავალი ბექაურსა და რამიშვილს შორის.**

— ირმამ ყველაფერი მიამბო და გამოძიებასაც მისცა ჩვენება. მალე ის ადვოკატს აიყვანს. საქმეში ფიგურირებს სატელეფონო ზარები. უნდა გაირკვეს, ვინ ვის ურეკავდა და რა საუბრები მიმდინარეობდა. რალაც ეტაპიდან ეს საუბრები იწერებოდა, რადგან გამოძიება უკვე მიმდინარეობდა. შედეგი როგორი იქნება, არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის მეგობარი მეგობრად დარჩება.

**— უმრავლესობაში (კერძოდ კი ბესო ჯუღელი) ფიქრობენ, რომ ბექაურს ძალიან უცნაური ბიზნესი ჰქონდა და ძალზე საეჭვოდ შოულობდა უპროცენტო სესხებს.**

— დაუსვას ბესომ კითხვები კობას, ბესოს კი ჩვენც შევეკითხებით რალაცას. თუ მე კითხვა მაქვს ბესო ჯუღელთან, ამას ტელეკამერის წინ არ ვიტყვი, მაგრამ თუ ბესო ჯუღელის პასუხი არ დამაკმაყოფილებს, ტელეკამერის წინ აუცილებლად განვაცხადებ. მეც მკითხონ, რაც უნდათ და ვუპასუხებ.

**— ნუთუ ასე ადვილია უმრავლესობაში კითხვების დასმა. ზურაბიშვილი აცხადებს, მას შემდეგ, რაც კითხვები გამიჩნდა, კარისკენ მიმითითესო.**

— ასე არ არის... თუ ვინმეს კითხვები აქვს, შეუძლია, სთხოვოს მაია ნადირაძეს, ამა და ამ კაცთან რალაც გასარკვევი მაქვს და შემახვედრეო. ამის პრობლემას მაია არასოდეს ქმნის — თავის კაბინეტში ახვედრებს ყველას. ზურაბიშვილს წასვლა ისედაც გადაწყვეტილი ჰქონდა და საბაბად გიგა ბოკერიას ნათქვამი გამოიყენა.

**— არადა, იმის გამო, რომ კითხვები გაუჩნდათ, უმრავლესობის რამდენიმე წევრი (მათ შორის, ელენე თევდორაძეც) უკვე „ჩემოდანზე ზის“.**

— შეკითხვების გამო არავინ დაისჯება, მაგრამ ფორმასაც ხომ გააჩნია. ჩვენი გუნდი ოჯახივითაა და ტელეკამერებით არ უნდა ველაპარაკოთ ერთმანეთს. ოჯახში რომ საქმელი არ მომეწონოს, ამის გამო პრესკონფერენცია რომ მოვაწყო, ხომ სიგიჟე იქნება? ჩემს თანაგუნდელებს კი ვეტყვი — ჩვენი თაფლობის თვე, როდესაც ყველას ვუყვარდით და ხელისგულზე გვატარებდნენ, გავლილია. ჩვენ დავიწყეთ რეფორმები, რამაც ათი ათასობით ადამიანი გაანაწყენა. ზოგმა შემოსავალი დაკარგა, ზოგმა — სამუშაო. დღეს ჩვენ დაუნდობელი ბრძოლა გვაქვს სიმართლისთვის. თუ ამ ბრძოლაში ზურგის იმედი არ გვექნება, რა გამოგვივა. ის, ვინც ამ ბრძოლაში ჩვენ გვერდით არ აპირებს ყოფნას, სჯობია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. წინ კიდევ გველის ძალიან მძიმე ბრძოლა. ბუნებრივია, ყველასთვის მოსაწონი ბიჭები ვეღარ ვიქნებით.

**— რამიშვილი-ბექაურის ინციდენტზე პრეზიდენტის პოზიცია თუ იცით?**

— ვიცი, მაგრამ უფლებამოსილი არ ვარ, რომ გავახმაურო.

**— ჩვენთან საუბრისას დათო კირკიტაძემ განაცხადა, — არაერთი ჟურნალისტის კორუმპირებულობაზე გვაქვს ინფორმაცია და მათ არ დავინდობთო... ვენდეტა ხომ არ გამოუცხადეთ მედიას?**

— ეს არაკეთილსინდისიერ ჟურნალისტებს ეხება. დამეთანხმეთ, რომ არც თქვენ შორის, ჟურნალისტებში, არიან ყველანი „პრავები“, ისევე როგორც ჩემთან, პოლიტიკაში... არ შეიძლება ყველას ერთ ქვაბში მოხარშვა. როგორც თქვენ იცით უსინდისო პოლიტიკოსები, ისე დათო კირკიტაძემ იცის, ვინ არის უსინდისო ჟურნალისტი. ეშმაკი თუ შეაცდენს, ყველას ციხე ელის — პოლიტიკოსსაც და ჟურნალისტსაც.

გაზვიადებულია ხმები, ჟურნალისტებსა და პოლიტიკოსებს შორის ომი იწყებაო... თავად დარწმუნდებით, ამ მასალის დაბეჭდვის შემდეგაც (მიუხედავად მწვავე კითხვებისა) როგორი ნორმალური ურთიერთობა გაგრძელდება მედიასა და პოლიტიკოსებს შორის.

იზო რკაძე

# რა ეშველება სასამართლოს?!

სასამართლო სისტემის რეფორმირების შემდეგ ქართულ სამართლებრივ სივრცეში დიდ გადატრიალებას ელოდა საზოგადოება. გადატრიალება მართლაც მოხდა, თუმცა არა ისეთი, როგორსაც პოსტრევოლუციური ემოციით დამუხტული საზოგადოება ელოდა.

გაუთავებელი რიგები, უპასუხოდ დარჩენილი მოქალაქეები, პარალიზებული სამართალწარმოება და აღშფოთებული საზოგადოება — სამწუხაროდ, დღევანდელი სასამართლო სისტემის ამსახველი სინამდვილეა. მოქალაქეებს თავგზა აქვთ აბნეული, — მოსარჩელეთა და მოპასუხეთა უმეტესობას ვერ გაურკვევია, სად არის მისი სარჩელი, გადაგზავნილია თუ არა საჩივარი ზემდგომ ინსტანციაში, როდის არის დანიშნული პროცესი. ვადების არსებობა ხომ სასამართლო სისტემაში სულ დაივიწყეს...

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სწორედ მაშინ მივედი, როცა მოთმინებადაკარგული მოქალაქეები სასამართლოს დაცვის მუშაკებს უტევდნენ და დაჟინებით მოითხოვდნენ თავმჯდომარის თანაშემწეებთან შეხვედრას.

**ნიაზ ჯავახიშვილი** (ადვოკატი): „რამდენი წელია ადვოკატი ვარ და ასეთი არაფერი მინახავს და გამიგონია — მოსამართლესთან შეხვედრა არ შეიძლება, თანაშემწე ტელეფონის ყურმილს არ იღებს... არადა საჩივარს ვადა ხვალ გასდის და დღემდე ვერ მივიღე პასუხი, რა ბედი ეწია — დააკმაყოფილეს საჩივარი, შემდგომ ინსტანციაში გადააგზავნეს თუ სულაც დაკარგეს. ვერ გავიგე... ასეთი განუკითხაობა, რაც დღეს სასამართლოშია, დავბერდი და არ მაგონდება ოდესმე ყოფილიყოს."

**დიმიტრი გაბუნია** (ადვოკატი): „უკვე ბევრი მიხვდა, რომ სასამართლო რეფორმა ნაჩქარევი იყო. რეფორმირება ჯერ კიდევ 2001-2002 წლებში (ლადო ჭანტურიას თავმჯდომარეობის დროს) განიზრახეს, მაგრამ მაშინაც ნაადრევად მიიჩნიეს — სასამართლო ამისთვის მოუმზადებელი იყო, მატერიალური ბაზა არ არსებობდა...

ახალი რეფორმა გაუაზრებლად და ფორსირებულად ჩატარდა. არც პერსონალი შეარჩიეს, არც შენობები. სამი კოლეგია დაჩეხეს. საქმეებს დალაგება, არქივის შექმნა სჭირდება. ახლა ზოგი საქმე დაკარგულია... სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერები და ფირმების რეგისტრაციაც აირია. საქალაქო სასამართლოებში რეფორმის პირველ დღეებში მართლმსაჯულება საერთოდ შეწყდა. პირველ ეტაპზე თითო მოსამართლეს 500-600 საქმე ჰქონდა. ეს ქაოსი დღესაც გრძელდება და ამას ძალზე ცუდი შედეგი მოჰყვება.

ადვოკატებს ვერ გამოგვიტანია ინფორმაცია სასამართლოდან და წარმოიდგინეთ, რა დღეში არიან მოქალაქეები? მოსამართლესთან შეხვედრა ხომ საოცნებო გახდა, ადვოკატებთან ურთიერთობა თანაშემწეებსაც ეკრძალებათ. მიღების საათები კი დაინიშნა, მაგრამ წარმოიდგინეთ, რა ხდება, როცა მიღების დრო 1 საათია, თითო მოსამართლეს კი 300-400 საქმე აწერია? აღარ შეიძლება თანაშემწეებისგან „ხვალ გამოიარეს", „არ ვიცი როდის დაინიშნება პროცესი", „მერე შეგატყობინებთ" და ა.შ. მოსმენა. როგორლაც მილაგებულ-მოლაგებული კოლეგები ახლა კიდევ იცვლიან დისლოკაციის ადგილს. მოკლედ კარგა ხანს არ დაგვადგება საშველი.

ამას ემატება ისიც (ეს სხვათა შორის, ძველი გადმონაშთია), რომ უზენაესი და საოლქო სასამართლოს მოსამართლეების უმრავლესობა შვებულებაშია. უზენაესი აფრთხილებს საოლქოს, საკასაციო საქმეები არ გადმომიგზავნო, შვებულებაში მივდივარო. ასეთი რამ არც ერთ კანონში არ წერია. სასამართლოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო კოლეგიებიც შვებულებაში არიან და საქმეები თითქმის აღარ იხილება. სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიას თავმჯდომარე უკვე ორი თვეა არ ჰყავს. საქმეებს ბიუროს უფროსი ანაწილებს. როგორ შეიძლება საქმე მოსამართლის გარდა სხვა ვინმემ გაანაწილოს? ადმინისტრაციული კოლეგია ორი თვეა უთავო მხედარივით არის დარჩენილი".

სასამართლოებში არსებული სიტუაციის გამოსასწორებელი გეგმა იუსტიციის საბჭოში აქვთ. იუსტიციის საბჭოს უმაღლესი მდივნის, ვალერი ცერცვაძის განმარტებით, სჯობია, მოსახლეობამ ცოტა მოითმინოს და დროებით გაიჭირვოს, რათა ულირსი და კორუმპირებული მოსამართლეებისაგან გათავისუფლდეს.

**ვალერი ცერცვაძე:** — სასამართლოებში დღეს არსებული მდგომარეობა ერთ-ორ კვირაში გამოსწორდება. თითო მოსამართლეს 600-700 საქმე აქვს განსახილველი და ცხადია, მათი ადმინისტრირება და კოორდინაცია ჭირს. მალე გაკეთდება ცენტრალური არქივი და ეს პრობლემაც მოგვარდება. სექტემბრიდან მოსამართლეებსაც დავამატებთ. ღირსეული და კარგად შერჩეული მოსამართლეები უნდა დავნიშნოთ.

P.S. თბილისის საქალაქო სასამართლოში (სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში) რამდენიმე კვირის წინ უსიამოვნო ინციდენტი მოხდა. სასამართლოს თანამშრომელი (მოსამართლის თანაშემწე) სასტიკად სცემეს. როგორც ადვოკატები ამბობენ, ის სწორედ იმ განუკითხაობას ემსხვერპლა, რაც სასამართლოში სუფევს. ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ სასამართლოში — ირწმუნებიან, ჩვენი კი არა, სხვა ორგანიზაციის თანამშრომელი სცემესო. ზოგი ინციდენტს ავტოსაგზაო შემთხვევას უკავშირებს, ადვოკატები კი სულ სხვაგვარად ხსნიან...

ერთი რამ ცხადია, მოქალაქეთა მოთმინების ფიალა ნელ-ნელა ივსება. ხელისუფლებას კი ისევ და ისევ მათი მოთმინებისა და სულგრძელობის იმედი აქვს(?!).

*ხათუნა პაიჭაძე*

# ადვოკატის განცხადება

მიმდინარე წლის 2 მარტს, აზერბაიჯანში, ქალაქ ბაქოში მოკლეს ცნობილი ჟურნალისტი ელმარ ჰუსეინოვი. გამოძიების ერთ-ერთი ვერსიით, დანაშაული შეიძლება ჩაედინათ თბილისში მცხოვრებთ: ტაჰირ ხუბანოვსა და თეიმურაზ ალიევს, რომლებიც მკვლელობის შემდეგ, მაშინვე დაბრუნებულან საქართველოში. როგორც დადგინდა, დასახელებული ორივე პირი საქართველოს მოქალაქეა. იმის გამო, რომ თ. ალიევის ქ. ბაქოში იმ პერიოდში ყოფნა, გადაადგილება და საქმის ზოგიერთი სხვა ფაქტობრივი გარემოება საეჭვოდ დაემთხვა დანაშაულის ირგვლივ არსებულ გარემოებებს, ე. წ. ირიბი მტკიცებულებების საფუძველზე, რაც გამოძიებამ საკმარისად მიიჩნია, ალიევი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცა. გამოცხადდა მისი ძებნა და ქ. ბაქოს ერთ-ერთი რაიონის მოსამართლის 2005 წლის 20 მაისის დადგენილებით შეეფარდა სამთვიანი წინასწარი პატიმრობა.

ჩვენთვის უცნობია, როგორ, რა გამოიძია და დაადგინა აზერბაიჯანის ეროვნული უშიშროების სამინისტრომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მთელი სამი თვის განმავლობაში, რამდენადაც თვით საქმე არ გვინახავს. არავითარი მრავალტომიანი საქმე საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ბაქოდან არ გამოუგზავნიათ, როგორც ეს ერთ-ერთი ტელეარხის საინფორმაციო გადაცემის დიქტორმა ამცნო საზოგადოებას. მე, როგორც თ. ალიევის კანონიერი ინტერესების დამცველმა, ჯერ კიდევ 10 ივნისს მივმართე ოფიციალურად საქართველოს გენერალურ პროკურატურას აღნიშნულის თაობაზე. სწორედ მას შემდეგ, რაც თ. ალიევმა შემთხვევით შეიტყო მის მიმართ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პროკურატურიდან საქართველოს გენერალურ პროკურატურაში რაღაც მასალების გამოგზავნის შესახებ, საშუალება მომეცა გავცნობოდი თ. ალიევის დაკავებისა და მისი ექსტრადიციის მოთხოვნის შესახებ მასალებს: დადგენილებებს თ. ალიევის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის, ძებნის გამოცხადებისა და დაკავების თაობაზე; მოსამართლის დადგენილებას აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულისთვის პატიმრობის შეფარდების შესახებ. ამ დოკუმენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბრალდება ფრიად სუსტი, ზოგადი და გაუმართავია.

მიუხედავად იმისა, რომ არც საქართველოს კანონმდებლობა, არც საქართველო-აზერბაიჯანს შორის სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულება და არც საერთაშორისო ხელშეკრულებები ამას არ ითვალისწინებს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პროკურატურამ ჩვენი ქვეყნის მოქალაქის, თ. ალიევის მათთვის გადაცემა მოითხოვა. მას შემდეგ, რაც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ამ მოთხოვნას სავსებით კანონიერად უარით უპასუხა, უპრიანი იქნებოდა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის იმავე უწყებას ემსჯელა სისხლის სამართლის საქმის გამოსაძიებლად გამოგზავნაზე, მაგრამ ამის ნაცვლად, ე. წ. საგამოძიებო დავალებით მოავლინეს ჯგუფი, რომლის თხოვნითაც საქმეზე ჩატარდა რამდენიმე საგამოძიებო მოქმედება, თუმცა, ფაქტობრივად, უშედეგო.

ამასობაში, ქართული ტელევიზია და პრესა არაერთხელ შეეხო ხსენებული დანაშაულის პერიპეტიებს. რაღა თქმა უნდა, ყურადღება გამახვილდა მის „ქართულ" კვალზე.

ერთ-ერთი სატელევიზიო-საინფორმაციო გადაცემით შევიტყვეთ, რომ ჩაუტარებიათ ჟურნალისტური გამოძიება, რომლის შედეგადაც დაუდგენიათ, რომ თურმე „ამ ხალხს (იგულისხმებიან ტ. ხუბანოვი და თ. ალიევი) არავინ ეძებს საქართველოში".

საზოგადოების სწორად ინფორმირების მიზნით, თქვენი პოპულარული გაზეთის საშუალებით მინდა განვაცხადო შემდეგი:

1. როგორც საქართველოს კანონმდებლობით (კონსტიტუცია, სისხლის სამართლის კოდექსი და სხვ.), ისე აღნიშნულის თაობაზე საერთაშორისო ხელშეკრულებებით, უცხო ქვეყნისთვის საქართველოს მოქალაქის გადაცემა, თუნდაც იქ ჩადენილი დანაშაულის გამო, დაუშვებელია. ჩადენილი დანაშაულისათვის საქართველოს მოქალაქეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჩვენი კანონმდებლობით უნდა დაეკისროს. ეს კი მას შემდეგ შეიძლება მოხდეს, რაც უცხო სახელმწიფო გამოგზავნის გამოსაძიებლად სისხლის სამართლის საქმეს ჩვენთან. საქმის წარმოებაში მიღების, საქართველოს სსკ-ის შესაბამისად დანაშაულის კვალიფიკაციის დაზუსტებისა და პირისთვის სათანადო ბრალის წარდგენისთანავე, შესაბამისი ორგანოები გადაწყვეტენ მისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხსაც. აქედან გამომდინარე, თუკი ჩვენი ქვეყნის მოქალაქემ უცხო სახელმწიფოში მართლა ჩაიდინა დანაშაული, რის შემდეგაც იგი დაბრუნდა საქართველოში, მხოლოდ ზემოაღნიშნული პირობებით უნდა აგოს პასუხი. ყველა სხვა შემთხვევაში, არათუ გადაცემა (გამონაკლისია მხოლოდ ე. წ. რომის სტატუტით გათვალისწინებული შემთხვევა), არამედ მისი წინმსწრები შემზღუდავი ღონისძიების — დაკავების უფლებაც კი არ აქვთ სამართალდამცველებს. დაკავება-დაპატიმრებას კანონი ითვალისწინებს მხოლოდ და მხოლოდ მისი გადაცემის დროს, ანუ ექსტრადიციის შესახებ სათანადო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ რატომ „არავინ ეძებს ამ ხალხს საქართველოში", რომ ჩვენი ქვეყნის სამართალდამცველთაგან ვინმე რაიმე სუბიექტური მოსაზრების გამო ხელს კი არ აფარებს ბრალდებულებს (ცალკე საკითხია, თუ რამდენად დასაბუთებულია ბრალდება), არამედ მოქმედებენ კანონის შესაბამისად;

2. გამოძიების ამ ეტაპზე თ. ალიევს არ სურს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამართალდამცველებთან ურთიერთობა შემდეგი მარტივი მიზეზის გამო: იგი თავს სრულიად უდანაშაულოდ ცნობს და ამიტომ უფლება აქვს, ეჭვი შეიტანოს მისთვის უსაფუძვლოდ წარდგენილი ბრალდების შემთხზველ გამომძიებელთა ობიექტურობაში. ამავე დროს, იგი მთლიანად ენდობა საქართველოს სამართალდამცველ და მართლმსაჯულების ორგანოებს და იმ შემთხვევაში, თუკი აზერბაიჯანის რესპუბლიკის სათანადო სტრუქტურა გადაწყვეტს და საქართველოს მოქალაქის ბრალდების საქმეს გამოსაძიებლად თავის ქართველ კოლეგებს გამოუგზავნის (როგორც ამას კანონი ითვალისწინებს), თ. ალიევი მზადაა, გამოძახებისთანავე გამოცხადდეს საქართველოს საგამოძიებო ორგანოებში და ითანამშრომლოს მათთან. ზემოაღნიშნული პოზიციისა და ჩვენი შესაბამისი თხოვნის თაობაზე უკვე ოფიციალურად ვაცნობე საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

პატივისცემით,

*„დემოკრატ იურისტთა კავშირის"*
*თანათავმჯდომარე, ბრალდებულ*
*თეიმურაზ ალიევის ინტერესების დამცველი,*
*ადვოკატი ზ. ზურაბაშვილი*

R



# „სასტუმრო“ კოსმოსში — დღე 2 მლნ დოლარად!




უზარმაზარ ეკრანზე მთელი დედამიწა მოჩანს, ბაზა — მნათი წერტილია, რომელიც ეკრანზე ნელ-ნელა მიცოცავს — ასეთია კოსმოსური ფრენების მართვის ცენტრში მიღებული პირველი შთაბეჭდილება.

მოსკოვის მახლობლად, ერთ დროს დახურულ ქალაქ კოროლიოვში, 45 წელია ფუნქციონირებს ერთ-ერთი ყველაზე გასაიდუმლოებული ობიექტი — ფრენების მართვის ცენტრი, საიდანაც ხდება კოსმოსში გაშვებული ხელოვნური თანამგზავრების მართვა.

დღეს ამ ობიექტზე მოხვედრა შედარებით გაადვილებულია, რითაც ისარგებლა კიდეც „კვირის პალიტრამ“ და ამ სტატიის ავტორმა საკუთარი თვალით ნახა, როგორ იმართება დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, მათ შორის პილოტირებული საერთაშორისო კოსმოსური სადგური.

უზარმაზარ ეკრანზე ერთი საინტერესო დეტალი დავაფიქსირეთ, თანამგზავრის ტრაექტორია შავ და კასპიის ზღვებს შუა, საქართველოზეც გადის — ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ღამით, ულრუბლო ცაზე, თბილისელებს (და არა მარტო მათ) შეუიარაღებელი თვალითაც შეუძლიათ შეამჩნიონ პატარა მნათი წერტილი, რომელიც დედამიწის ბრუნვის მიმართულებით პირველი კოსმოსური სიჩქარით (დაახლოებით 8 კმ/წმ-ში) მოძრაობს.

სხვათა შორის, პირველი ქართული კოსმოსური თანამგზავრის — დიდგაბარიტიანი რეფლექტორული ანტენის მართვაც 1999 წლის ივლისიდან სწორედ ამ ცენტრიდან ხდება.

ფრენის მართვის ცენტრში წლების განმავლობაში რამდენიმე ქართველი მეცნიერი მოღვაწეობდა, მათ შორის ყველაზე ცნობილი გახლავთ აკადემიკოსი ვაჩნაძე. 70 წელს მიტანებულ სნავლულს დღესაც ხშირად ეკითხებიან აზრს.

აქაურობისთვის გასაჭირი და დაბრკოლებები უცხო არ არის, მაგალითად, 27 აგვისტოს ცენტრის სპეციალისტებმა ახალგაშვებულ ხელოვნურ თანამგზავრ „მონიტორ-ე“-სთან კავშირი დაკარგეს და დიდი წვალებით მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ აღადგინეს.

პრობლემები „საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზეც“ აქვთ. მის კორპუსში ჩამონტაჟებულია სპეციალური რადიატორული სისტემა, რომელშიც ანტიფრიზისმაგვარი სითხე მოძრაობს. ამ სისტემის დანიშნულებაა მუდმივი ტემპერატურის შენარჩუნება სადგურის შიგნით, რომლის კედლები დღე-ღამეში, ღია კოსმოსში +100 გრადუსიდან -100 გრადუსამდე ტემპერატურულ ზემოქმედებას განიცდის.

ცოტა ხნის წინ, კოროზიის გამო, ამ რადიატორული სისტემიდან სპეციალური სითხის გაჟონვა დაიწყო და კოსმონავტები კინაღამ დაიწამლნენ.

ფრენის მართვის ცენტრის წარმომადგენლებს არაერთი მძიმე წუთის გადატანა მოუხდათ, ვიდრე დაზიანების ადგილს მიაკვლევდნენ.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ცენტრის მონახულებისას ის არის, რომ გთავაზობენ... გახდე პირველი ქართველი კოსმონავტი „სულ რაღაც“ 2 მლნ დოლარად, ოღონდ... დღეში!

კოსმოსური სადგურის ეკიპაჟის შეცვლისას მომნახულებელი ხომალდი მასთან 7-10 დღით მაინც შეპირაპირდება. ასე რომ, ეს სიამოვნება 15-20 მლნ დოლარზე ნაკლები არ დაჯდება და ქართული კოსმოსური თანამგზავრის შემდეგ საქართველოს საკუთარი კოსმონავტიც ეყოლება.

ცნობისთვის: საბჭოთა კავშირი ორი-სამი წლით გვიან რომ დაშლილიყო, პირველი ქართველი კოსმონავტი აუცილებლად გაჰყვებოდა ელგუჯა მეძმარიაშვილის ჯგუფის მიერ შექმნილ რეფლექტორს კოსმოსში გასახსნელად. საამისოდ უკვე დაწყებული იყო რამდენიმე ქართველი ინჟინრის შერჩევა სამედიცინო თვალსაზრისით და სპეცსამსახურების მხრიდან.

სანამ საქართველოში პირველი ქართველი კოსმონავტისთვის ვინმე 20 მლნ დოლარის შეგროვებას მოინდომებს, „ფრენების მართვის ცენტრში“ კოსმოსური ტურისტების უზარმაზარი რიგი დგას — მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მილიარდერებმა აღარ იციან, როგორ დახარჯონ მილიონები და მიზანში კოსმოსი ამოიღეს...

*სპეციალურად „კვირის პალიტრისთვის“ „კოსმოსური ფრენების მართვის ცენტრიდან“. ქალაქ კოროლიოვი.*

# დისციპლინა — არმიის ბრძოლისუნარიანობის მთავარი გარანტი

## გორის ბრიგადაში მომხდარი ინციდენტი სერიოზულ რეაგირებას მოითხოვს

ჯარი ერთგვარი ჩაკეტილი სისტემაა, რომელშიც ახალგაზრდა მამაკაცებს თვეობით უწევთ ურთიერთობა და ამიტომაც მათ შორის ჩხუბი და საქმის გარჩევები გამორიცხული არ არის.

ყაზარმული გარჩევები არც ამერიკული თუ ფრანგული არმიისთვის არის უცხო, რომ არაფერი ვთქვათ პოსტსაბჭოური რესპუბლიკების არმიებზე, სადაც საბჭოთა ჯარიდან შემორჩა „დედოვშჩინა“ და კუთხურობა.

ჩხუბი ქართული არმიისთვისაც არ ყოფილა უჩვეულო. ეს კი არა, ზოგჯერ უბრალო წვრილმანზე დაწყებული კინკლაობა ავტომატების სროლითა და მსხვერპლითაც კი დასრულებულა (გაიხსენეთ თუნდაც რამდენიმე წლის წინ მომხდარი ტრაგედია, როდესაც ყოფილი მე-8 პოლკის ტერიტორიაზე შინაგანი ჯარების ორმა ჯარისკაცმა ყაზარმის წინ ავტომატებით ოფიცრები დაცხრილა).

მაგრამ ის, რაც 29 აგვისტოს თავდაცვის სამინისტროს გორის მესამე ბრიგადაში მოხდა, დიდი შეშფოთების საფუძველს იძლევა. სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, ფაქტობრივად, მასობრივი არეულობა მოხდა — ერთმანეთს ათეულობით (ზოგი ინფორმაციით კი ასეულობით) სამხედრო დაერია. რამდენიმე ადამიანი სერიოზულად დაიჭრა, არიან მსუბუქად დაშავებულნიც. ეს ფაქტი, სამწუხაროდ, ქართული არმიის დისციპლინურ ნაკლოვანებებზე მიუთითებს და, უპირველესად, სამხედრო დანაყოფების პირად შემადგენლობასთან სუსტი მუშაობის მიმანიშნებელია. ამის გამო კი უხეშად ირღვევა სამხედრო წესდება.

ამ ინციდენტში ერთ-ერთი ყველაზე შემაშფოთებელი ის არის, რომ დაპირისპირებული აღმოჩნდნენ სხვადასხვა ბატალიონის სამხედროები. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ერთი შენაერთის სხვადასხვა დანაყოფში მშვიდობიან პერიოდშიც კი ურთიერთგაგება არ არის, ამან კი, საბრძოლო მოქმედებებისას საერთო საბრძოლო ამოცანის წარმატებით შესრულებას შეიძლება ხელი შეუშალოს.

გორის ინციდენტმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე აუცილებლად უნდა ფუნქციონირებდეს სამხედრო პოლიციის დანაყოფი, რომელსაც სამხედროების მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედებების აღკვეთა დაევალება.

დაბოლოს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი — სამხედრო უწყების ხელმძღვანელობამ გორის ინციდენტის მიჩქმალვა სცადა. ამგვარი ფაქტი პირველი არ გახლავთ, მაგალითად, თავდაცვის მინისტრმა თავის დროზე უარყო ამერიკული სამხედრო წარმომადგენლობის ოთახების გაძარცვის ფაქტი, თუმცა ეს ნამდვილად მოხდა, რასაც თავად ამერიკელი სამხედროებიც ადასტურებენ.

არმია საზოგადოების განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს, რათა იმავე საზოგადოებამ იცოდეს, რითი სუნთქავს იგი და ხომ არ ირღვევა ქვეყნის კონსტიტუცია შეიარაღებული სამხედროების მოქმედებებით.

არმიაზე საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმი აუცილებელი ატრიბუტია იმ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყნების არმიებისთვის, საითკენაც საქართველო მიილტვის. ამიტომაც გორის ბრიგადაში მომხდარი ინციდენტის მსგავსი ფაქტების მიჩქმალვა სირაქლემის პოზაში ჩაგვაყენებს, რადგან დამალული ჭირი თავს ომის დროს თუ იჩენს, მერე გვიან იქნება.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## უკრაინელ „ცისფერჩაფხუტიანებს“ ლიბანიდან აძევებენ

გაერომ გადაწყვიტა, დროზე ადრე ჩაანაცვლოს ლიბანში მდგარი უკრაინელი სამშვიდობო ბატალიონი სხვა ქვეყნის წარმომადგენლებით.

უკრაინელი „ცისფერჩაფხუტიანები“ ლიბანში 2000 წელს გამოჩნდნენ. მათ ევალებოდათ განნაღმვითი სამუშაოების შესრულება და ავტოგზატკეცილების გაყვანა.

გაეროს ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ლიბანში უკრაინელი სამხედროები ფინანსურ მაქინაციებში ამხილეს. მათ 1 მილიონი დოლარის ღირებულების ნავთობპროდუქტების გაყიდვა ბრალდებათ. თავის მხრივ, უკრაინის ხელმძღვანელობამ დაიწყო ამ ბატალიონის მეთაურების დისციპლინირებული მეთოდებით დასჯა. მარტო შარშან, უკრაინამ გაეროს ეგიდით სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისათვის 27 მლნ დოლარი მიიღო.



## ჩინეთი პირველი არასოდეს გამოიყენებს ბირთვულ იარაღს...

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ პრესის საშუალებით გაავრცელა დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც ვალდებულებას იღებს, ბირთვული იარაღი მხოლოდ თავდაცვის მიზნით გამოიყენოს. აღსანიშნავია, რომ ხსენებული დოკუმენტის გამოქვეყნება დაემთხვა ამერიკულ პრესაში ერთ-ერთი ჩინელი დისიდენტის ინტერვიუს დაბეჭდვას, სადაც ნათქვამია, რომ ჩინეთის მაღალ ეშელონებში განხეთქილება მწიფდება და თუ ქვეყანაში ომის პარტია გაიმარჯვებს, მაშინ ტაივანზე თავდასხმა გარდაუვალია. კონფლიქტში აშშ-ის ჩარევა კი გამოიწვევს ჩინეთის მხრიდან ატომური იარაღის გამოყენებას. ოფიციალური პეკინი ამ მოსაზრებას კატეგორიულად უარყოფს, მაგრამ ასევე კატეგორიულად ეწინააღმდეგება ტაივანის გაწევრებას რომელიმე რაკეტსაწინააღმდეგო სისტემაში.

## პენტაგონს მაროდიორთა ადგილზე დახვრეტის უფლება მიეცა



ის, რაც დღეს ახალ ორლეანში ხდება, ნათელი მაგალითია იმისა, როგორ სარგებლობს ერთი ადამიანი მეორის უბედურებით. ახალ ორლეანში ამჟამად სტიქიაზე მეტად მაროდიორობა მძვინვარებს — ათასობით შეიარაღებული დამნაშავე ლამის დაქცეულ ქალაქს და მის მცხოვრებთ დღისითაც და ღამითაც ურცხვად ძარცვავს. ამასთან დაკავშირებით აშშ-ის ხელმძღვანელობის რადიკალური გადაწყვეტილებით ერაყში ადგილობრივი პარტიზანების განადგურებაში დაოსტატებული ეროვნული გვარდიის დანაყოფი ახალ ორლეანში გადაისროლეს. მას მიეცა სრული უფლება, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე, ადგილზევე გაანადგუროს ყველა ის პირი, ვინც შემჩნეული იქნება მაროდიორობაში და არ დაემორჩილება კანონს. სტიქიის ზონაში მობილიზებულია 50 ათასამდე სამხედრო, რომლებსაც, გარდა წესრიგის დამყარებისა, მოსახლეობის ევაკუაციაც ევალებათ.

## „მტაცებელი“ უკანონო ემიგრანტებს დაერევა

აშშ-ის სასაზღვრო დეპარტამენტმა ახლახან უპილოტო Predator B-ები („მტაცებელი“) შეუკვეთა. ფედერალური სამსახური ამ თვითმფრინავებს არიზონის შტატში მოქმედ დანაყოფს გადასცემს, რათა მათ უფრო ეფექტიანად გააკონტროლონ არალეგალურ ემიგრანტთა გადაადგილება აშშ-მექსიკის საზღვრის არიზონის მონაკვეთზე. „პრედატორები“ საზღვრის ზოლის ფოტოსურათებს ონლაინ რეჟიმში გადასცემენ საოპერატორო სამსახურს, სადაც მათ მესაზღვრეები გააანალიზებენ და საჭიროების შემთხვევაში რეაგირებასაც მოახდენენ.



# თვითნებური კრიმინალი

ბენზინით სავსე კასრებით დატვირთული ოთხთვალა თავაწყვეტილი მიქროდა. ეს ერთადერთი გზა აკავშირებდა ტყესა და ქალაქს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ნაწვიმარი არ იყო, თორემ ისე ტრაქტორსაც უჭირდა გავლა. შემოდგომა იდგა და ორი კვირა იყო, გადაუღებლად წვიმდა. იმ დილით კი გამოიდარა. თანდათან მზემ ძალა მოიკრიბა და ატალახებული გზა გააშრო, მაგრამ ნაშუადღევს ისევ ღრუბელი ჩამოწვა და ცხენებსაც ამიტომ აჩქარებდა კოფოზე შესკუპებული გოგო, რომელსაც ცალი ხელით სადავეები ეჭირა, მეორეთი კი მათრახს დაუნდობლად უტყლაშუნებდა ისედაც გადარეულ ცხენებს. გოგომ იცოდა, წვიმას თუ არ გაასწრებდა, ოთხთვალა აქ ჩარჩებოდა... იქნებ გაზაფხულამდეც. იქ კი, ტყეში, პარტიზანები დიდი ხანია ელოდებიან. ამიტომ როგორმე უნდა გააღწიოს აქედან. გარდა ამისა, მტრის თვითმფრინავების შიშიც ჰქონდა. ახლა ის გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე იყო და ყოველ წუთს შეიძლებოდა „მესერშმიტები" გამოჩენილიყვნენ. ამიტომაც მარიას მზერა ახლა მხოლოდ წინ და ზემოთ, ცისკენ იყო მიპყრობილი.

წვიმის პირველ წვეთს რაღაც ზუზუნიც მოჰყვა. იფიქრა, მომეჩვენაო, მაგრამ წამის შემდეგ კვლავ გამეორდა იგივე ხმა. მერე თანდათან იმძლავრა და უეცრად მარიამ ცაზე მისი ოთხთვალას კვალდაკვალ მქროლავი „მესერშმიტი" დალანდა. გოგომ ცხენები ააჩქარა, თუმცა იცოდა, რომ თვითმფრინავს ვერაფრით გაასწრებდა. თვითმფრინავმა თავზე გადაუქროლა, მაგრამ არც ტყვია ჩამოუყრია, არც ჭურვი გადმოუგდია. თითქოს ისე, სასხვათაშორისოდ დაზვერა მსხვერპლი და ტყის მიმართულებით, აღმოსავლეთისკენ გაფრინდა, იქით, სადაც პარტიზანები უნდა ყოფილიყვნენ დაბანაკებული. ალბათ, იმათ დასაბომბად მიფრინავდა და ჩემზე ხელი არ გაისვარაო, — გაიფიქრა გოგომ და იმავე წამს თითქოს შუაგული ტყიდან ამოფრინდაო, ამჯერად წინ ჩაუქროლა „მესერშმიტმა". ის იყო, მათრახი მთელი ძალით მოიქნია, რომ სეტყვასავით წამოვიდა ტყვია. ეს სულ ორ ან სამ წამს გაგრძელდა. თვითმფრინავმა ოთხთვალას გადაუფრინა და სროლაც შეწყდა.

— ისევ დაბრუნდება, გველი! — აღმოხდა გოგოს, რომელსაც შიშისა არა ეტყობოდა რა. სანამ წამოვიდოდა, აუხსნეს, თუ ტვირთს ვერ მიიტანდა, პარტიზანებს ძალიან გაუჭირდებოდათ. იქ მარიას მამაც ეგულებოდა და დედით ობოლი გოგო მამისა და მისი თანამებრძოლების გადასარჩენად მიიჩქაროდა.

— ამხანაგო მეთაურო, ნება მოგვეცით ვესროლოთ, თორემ „მესერშმიტი" ოთხთვალას ნაცარტუტად აქცევს.

პარტიზანებმა კარგა ხნის წინ შენიშნეს მათკენ მიმავალი მარია, რომელსაც აგერ უკვე მთელი ორი კვირაა ელოდნენ.

— მერე? რომ ააცილოთ, ერთის ნაცვლად ხომ ათი გამოფრინდება! გავცეთ თავი და ჩვენი სამყოფელი?

— რაღაც უნდა ვიღონოთ!

— აეროდრომს ველაპარაკე, მითხრეს, ქარიშხალია მოსალოდნელი და გაფრენის განკარგულებას ვერ გავცემთ, მაგრამ ამწუთას ჰაერში ერთი „იაკია", მას დავავალებთ „მესერშმიტის" განეიტრალებასო.

— სადაა მერე ის „იაკი", სად? — თავს ველარ თოკავდა მაიორი.

— ბიჭოს, ქართველებს გვსაყვედურობენ, ფიცხები ხართო და უკრაინელები უარესები ყოფილხართ. სადაა და აგერ ა, მაღლა აიხედე! — და მართლაც დავით ბაქრაძის პარტიზანთა შტაბს ხუთვარსკვლავიანმა გამანადგურებელმა გადაუფრინა, მერე მარჯვნიდან შემოუარა და ზურგში მოექცა ახალ იერიშზე წამოსულ „მესერშმიტს". ოთხთვალას დევნით გართული გერმანელი, ეტყობა, საფრთხეზე აღარ ფიქრობდა, მით უმეტეს, მათ მიერვე ოკუპირებულ ზონაში და როცა ზურგიდან ცეცხლი გაუხსნეს, მაშინღა მოეგო გონს. ოთხთვალას ტყვია დაუშინა, მერე ამოტრიალდა და შეეცადა ქვემოდან მოქცეოდა „იაკს". საბჭოთა ასი (ამ წოდებას იმ მფრინავებს ანიჭებდნენ, ვისაც მტრის ხუთი და მეტი თვითმფრინავი ჰყავდა ჩამოგდებული) ბორბლებით ზემოდან დააჯდა გერმანელთა თვითმფრინავს. უეცრად „იაკი" ცალ მხარეს გადაიხარა, მოცურდა და ავისმომასწავებლად გაჰკვესა ფოლადმა. რამდენიმე წამის შემდეგ აღმოდებულმა „მესერშმიტმა" ტყის განაპირას რამდენიმე დიდტანიანი ხე გადატეხა და აფეთქდა. დაზიანებულმა „იაკმა" კი დაჯდომა სცადა, მაგრამ დაჭაობებულმა ნიადაგმა ვერ გაუძლო, სილრმისაკენ ნელ-ნელა წავიდა და ჩაიძირა. ამასობაში ოთხთვალა ტყეს მიუახლოვდა და პარტიზანები მის შესახვედრად გამოიშალნენ.

— ამხანაგო მეთაურო, მე მოვედი... — ესღა ამოთქვა სასომიხდილმა მარიამ, რომლისთვისაც მხარი გაეგლიჯა ტყვიას. გოგომ გონი დაკარგა.

— ექიმი, ჩქარა! — ბრძანა ბაქრაძემ და როცა დაინახა, სწორედ ექიმს ესვენა ხელზე ახალგაზრდა ქალი, ხმას დაუწია, — ნადირაძე, გონს რომ მოვა, გამაგებინეთ. თქვენ ნუ ეტყვით, რომ მამამისი დაიღუპა.

## ტყვე

მარია ელეგინას პარტიზანული შენაერთის ექიმმა შალვა ნადირაძემ გაუკეთა ოპერაცია. სერიოზული არაფერი იყო, მხოლოდ რბილი ქსოვილი დაეზიანებინა ტყვიას. არც მარია განიცდიდა დიდად ამ ამბავს, პირიქით, რაკი დავალება შეასრულა, სიხარულით მეცხრე ცაზე იყო. მხოლოდ ის ადარდებდა, მამამ რატომ არ მომიკითხაო, მაგრამ მეორე დღესაც რომ არ გამოჩნდა, მოიწყინა და შენაერთის მეთაურიც მიუხვდა.

— შენ ყოჩაღი გოგო ხარ, მარია, დროა სიმართლე გაიგო — მამაშენი გუშინ, შენს მოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე ნაღმზე აფეთქდა... საკუთარი სისხლი გადაუსხა ჩვენმა ექიმმა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ჭრილობები სასიკვდილო აღმოჩნდა, — დავითი დანაშაულზე ნასწრებულ ბავშვს ჰგავდა. ერთხელაც ვერ გაიხედა მარიასკენ. სათქმელი რომ დაამთავრა, თავი ასწია და საწოლს დახედა. გოგო ბალიშზე დამხობილიყო და ისე მწარედ ქვითინებდა, რომ დავითსაც ცრემლი მოადგა.

იმ დღეს დაიფიცა მარიამ, რომ ტყეს მანამ არ დატოვებდა, სანამ თუნდაც ერთი პარტიზანი იბრძოლებდა. დავითმა კი შინ დაბრუნება ურჩია.

— სად წავიდე, ვისთან, კედლების მეტი არაფერი შემრჩა. აქამდე იმის იმედი მაინც მქონდა, მამა დაბრუნდება-მეთქი, ახლა ვის ველოდო, გერმანელებს? არა, მირჩევნია თქვენთან დავრჩე, ვიდრე თაგვივით მარტო ვიცხოვრო იმ სოროში.

— როგორ ხარ, მარია? ტკივილი კიდევ გაწუხებს? — ჰკითხა მათ საუბარს შემოსწრებულმა შალვა ნადირაძემ და თვალებში ჩახედა პაციენტს. გოგო გაწითლდა, თავი დახარა და ძლივს ამოღერღა:

— არა, ტკივილი აღარ მაწუხებს.

— ოჰო! ვატყობ, სხვა ავადმყოფობა შეგყრია. ისეთი, სიცოცხლეს რომ ახანგრძლივებს. ასე არ არის, ექიმო? — დავითი ახლა შალვას მიუბრუნდა.

— მე რა შუაში ვარ, ამხანაგო მეთაურო.

— მაშ ვინ არის შუაში, ბიჭო!.. მოკლედ, დარჩეს მარია, ექთანი მაინც არ გვყავს, მოგეხმარება, — ეს მხოლოდ შალვას გასაგებად, ქართულად წარმოთქვა დავითმა.

მეორე დღეს დაზვერვაზე წასულმა ბიჭებმა რამდენიმე ტყვე გერმანელი მოიყვანეს. ერთ-ერთს ძველი ჭრილობა გახსნოდა და თქრიალით მოსდიოდა სისხლი. შალვამ მარიას გახედა და მანაც წამსვე მოურბენინა წითელჯვრიანი ჩანთა.

— Отставить! — გაისმა უეცრად მკაცრი ბრძანება. ეს შტაბის უფროსი ფისუნენკო იყო. მაიორი გაალმასებული მისჩერებოდა ექიმს.

— მე ექიმი ვარ, ამხანაგო მაიორო, ჩემთვის მტერიც პაციენტია. გთხოვთ, მომავალშიც გაითვალისწინოთ ეს, — უპასუხა შალვამ ფისუნენკოს და დინჯად შეუდგა გერმანელის ჭრილობის დამუშავებას. მაიორი დადუმდა. იცოდა, შალვა მარტო ექიმი კი არა, რაზმში ერთ-ერთი გამორჩეული მებრძოლი იყო. დაზვერვაზეც დადიოდა. ამას წინათ გერმანელთა გზააბნეული ტანკი რომ ჩაიგდეს ხელთ, მის მეტმა ვერავინ დაძრა ადგილიდან. მერე შალვამ ტანკს თავისი ხელით მიახატა წითელი ვარსკვლავი და შეძლებისდაგვარად ტექნიკურადაც გამართა. ასეთ კაცს ფისუნენკო აშკარად ვერ აუხირდებოდა, მით უმეტეს, იცოდა, მეთაურს გამორჩეულად უყვარდა შალვა... არა მარტო ქართველობისთვის. რაკი მისი ბრძანება არ შეასრულეს, მაიორმა ზიზღით გაალრჭიალა კბილები და სამაგიეროს გადახდა სხვა დროისთვის გადადო.

ნამკურნალევი გერმანელი ბალღივით სულ უკან დასდევდა თავის მხსნელს და შალვამ დავითს სთხოვა, გამოჯანმრთელების შემდეგ მისი პაციენტი აკრძალულ ზონაში არ შეეგდოთ სხვა ტყვეებთან ერთად. ამას კი ის მოჰყვა, რომ ორიოდ კვირის შემდეგ შალვა გერმანულს ამტვრევდა, გერმანელი კი თავისთვის ღიღინებდა — „სულში ჭირიმე, გულში ჭირიმე, შენი ჭირიმე"-ს.

ერთ დღეს გერმანელთა მფრინავმა შენიშნა პარტიზანთა ბანაკი. მერე თავისიანებსაც უხმო და ახლა ერთბაშად ექვსი თვითმფრინავი ბომბავდა ტყეს. მეთაური ადგილზე არ იყო. სახეშეშლილმა ფისუნენკომ ჯერ ტყვეების დახვრეტა, მერე კი ბანაკის დატოვება ბრძანა. შალვამ ეს მხოლოდ მაშინ გაიგო, როცა მისი გერმანელიც წაათრიეს დასახვრეტად. საბრალო შეშლილივით ღრიალებდა, — „შალვა, უშველე! შალვა, უშველე!" კი გაქანდა მისაშველებლად, მაგრამ მაიორმა დაასწრო და კეფაში დაახალა ტყვია საბრალო ჰანსს. თავზარდაცემული შალვა მუხლებზე დავარდა და ბავშვივით აქვითინდა. მაიორთან კამათს აზრი არ ჰქონდა — ომი იყო და ფისუნენკომ ომის კანონი აღასრულა.



ცოტა ხანში ტყეში ჩაკარგულ ბილიკს დაადგა რაზმი. გერმანელები ბრმად, აქა-იქ მაინც ბომბავდნენ ტყეს. პარტიზანების ახლოსაც ჩამოვარდა ერთი ჭურვი და მუხლის სახსარში წააგლიჯა ფეხი ფისუნენკოს. სასწრაფოდ უხმეს ექიმს. შალვამ სამედიცინო ჩანთა გახსნა, მაგრამ დანანებით გადააქნია თავი — მხოლოდ წამლები წამომიღია, ამპუტაციისთვის საჭირო ინვენტარი და შესახვევი მასალა იმ აურზაურში ბანაკში დამრჩენიაო და ყველა მებრძოლი მიხვდა, რომ მაიორს აღარაფერი ეშველებოდა.

ფისუნენკომ უმწეო ტყვე განირა და არც ის დაინდო განგებამ — სიცოცხლით აგო პასუხი ბოროტებისათვის.

## ღამის კოშმარი

მას შემდეგ ბევრი ბრძოლა გამოიარა პარტიზანთა რაზმმა. დასამარცხებლად განწირული, გააფთრებული მტერი უკან იხევდა, მაგრამ ქვას ქვაზე არ ტოვებდა, სისხლის გუბეებს აყენებდა.

მთავარსარდლობის გადაწყვეტილებით მეთაური პარტიზანულ დანაყოფს რეგულარულ სამხედრო ნაწილებთან შესაერთებლად ამზადებდა.

— თავს იმის უფლება არ უნდა მივცეთ, რომ თუნდაც რამდენიმე ერთეული მანქანა ან ქვემეხი ტყეში ჩავტოვოთ. ჰო, მართლა ერთი ტანკიც ხომ გვყავს? — დავითმა შალვას გახედა, — ამ ჭანჭყობში სწორედ მაგ ტანკით უნდა გადმოვათრიოთ სატვირთო მანქანები და ის ორი ქვემეხიც, ტყეში რომ გვაქვს გადამალული. მოემზადეთ, დილით გახვალთ. ახლა კი ჯგუფებად დავიშალოთ — ასე უფრო ძნელად აღმოგვაჩენს მტერი.

ეს საუბარი სალამოს შედგა, ღამე კი კოშმარული იყო. თავდაპირველად მხოლოდ ჭოტის კივილი არღვევდა მყუდროებას. ჯგუფებად დაშლილი რაზმის იმ მეომრებს, რომლებშიც მარია და შალვაც იყვნენ, ტყეში ვინ იცის საიდან შემოხეტებული ხბო დაეკლათ, გაეტყავებინათ და ხორცს ხარშავდნენ. ეტყობა, ცეცხლის ალი შენიშნა მტერმა და კანტიკუნტად ისროდნენ ყუმბარმტყორცნებიდან, მაგრამ გემრიელი ვახშმის მოლოდინში ყურადღებას არ აქცევდნენ მებრძოლები. ბიჭები რიგრიგობით მოარბენინებდნენ ფიჩხს და ცეცხლს უკეთებდნენ.

— ახლა ჩვენი რიგია, ძმებო, მე და მარიაც მოვიტანთ ფიჩხს, — შალვამ ხელი ჩაჰკიდა მარიას და ორივემ ტყეს მისცა თავი. ფიჩხის მეტი რა იყო, მაგრამ სიბნელეში ვერაფერს არჩევდნენ და ცოტა შეაგვიანდათ. ამასობაში რამდენიმე ჭურვი დაეცა მათ მახლობლად. ერთი ისე ახლოს აფეთქდა, ჰაერის ტალღამ შალვას ქუდი გადააძრო თავიდან.

— ამხანაგო კაპიტანო! — სერჟანტ ანდრეევის შეშფოთებული ხმა იცნო შალვამ.

— რა ხდება, ვიტია, რამ დაგაფეთა? — გაეხმაურა სიბნელეს შალვა.

— რა და, ქვაბი აფეთქდა, ამხანაგო კაპიტანო, ქვაბი!

— აშკარად კონტუზირებულია ეს უბედური. ეტყობა, ჭურვის აფეთქების ზონაში მოხვდა. წავედით.

შალვა და მარია ვიტიასაკენ გაქანდნენ. მიმქრალ კოცონთან ჩაჩოქილიყო ბიჭი და ერთსა და იმავეს იმეორებდა, — ქვაბი აფეთქდა, ამხანაგო კაპიტანო, ქვაბი აფეთქდა.

შალვა გაოგნდა — თორმეტი მებრძოლიდან მხოლოდ ვიტია გადარჩენილიყო. ჭურვი პირდაპირ მოთუხთუხე ქვაბში ჩავარდნილიყო. დასისხლიანებული, კიდურებდაგლეჯილი თანამებრძოლების დანახვამ მრავალნაცად სამხედრო ექიმსაც კი ლამის გონება დააკარგვინა.

გამთენიისას მარიამ თანაგრძნობის ნიშნად მხარზე ხელი მოხვია შალვას.

— ფიჩხმა გადაგვარჩინა.

— ამას თუ გადარჩენა ჰქვია, — მწარედ გამოცრა შალვამ, ტანსაცმელი დაიბერტყა და ტყეში გაფანტული თავისიანების მოსაძებნად წავიდა. დაღუპულები უნდა დაემარხათ.

## შურისძიება „გერმანელ" გენერალზე

შალვა და კიდევ თხუთმეტამდე მებრძოლი ორი დღე ეძებდნენ ტყეში გადამალულ სატვირთოებსა და ნაალაფარ ტანკს. ბოლოს გაჭირვებით მიაგნეს. მანქანები ერთმანეთს გადააბეს, ბოლოში ქვემეხები ჩააბეს, თავში ტანკი და კოლონა დაიძრა. თოვლიან-ტალახიანი გზა იყო. დავითმა ბიჭები გააფრთხილა — ამ გზით ხვალზეგ არმიის შტაბიც ისარგებლებს და ყურადღებით იყავით, გზა არსად ჩაუკეტოთო და შალვაც ჩქარობდა ამ ვიწროებიდან გასვლას, მაგრამ ტანკს იმდენად დიდი ტვირთი ჰქონდა აკიდებული, რომ იძულებული იყვნენ, კუს ნაბიჯით ევლოთ. ამასობაში შტაბის მანქანებიც წამოეწივნენ და სირენით ანიშნეს, გზა დაგვითმეო, მაგრამ გვერდის ასაქცევი არსად იყო და სად უნდა წასულიყვნენ. უნდოდათ თუ არა, ამ ტალახიან, ვიწრო კალაპოტში უნდა გაეგრძელებინათ გზა.

როგორც იქნა, ნაშუადღევს გააღწიეს ვიწროებიდან. უკვე ბუქსირის ჩახსნაც შეიძლებოდა, მანქანები ისედაც გააგრძელებდნენ სვლას.

პირველად „ვილისი" გამოჩნდა და ტანკის წინ გაჩერდა. მანქანიდან ახალგაზრდა გენერალი წამოიმართა და ტანკის ეკიპაჟს გინებით მოსთხოვა განმარტება, რატომ არ უთმობდნენ აქამდე გზას.

— ბიჭოს, ეს ისე იქაჩება, შეიძება გაგვლახოს კიდეც. გამატარეთ, მე დაველაპარაკები, — შალვამ წამოდგომა სცადა, მაგრამ ისეთი ჭყლეტა იყო, ფეხიც ვერ მოიცვალა ადგილიდან. ამასობაში ქაფმორეული გენერალი უშვერად ილანძღებოდა და ეკიპაჟის წევრებს ითხოვდა.

ლიუკთან ახლოს ლეიტენანტი მოისეევი იჯდა. ამიტომ უნდოდა თუ არა, პირველი ის უნდა ამძვრალიყო ზემოთ. ლიუკი გახსნა და შეეცადა აეხსნა გენერლისთვის, — ვიწრო გზა იყო, გვერდის ასაქცევი არ გვქონდაო, მაგრამ გაცეცხლებულ გენერალს არაფრის გაგონება არ სურდა. პისტოლეტი იძრო და უეცრად, ისე, რომ გაოცებაც ვერავინ მოასწრო, შუბლში დაახალა ტყვია უდანაშაულო ოფიცერს. სწორედ ამ დროს მოპირდაპირე მხარეს მტრის ტანკები გამოჩნდნენ. არტილერიაც ამუშავდა და ჯერ კიდევ დაულაგებელი, ჭაობიდან ახლახან თავდახსნილი საბჭოთა ჯარის ნაწილები პანიკამ მოიცვა. გენერალი, წუთის წინ რომ გოლიათად წარმოედგინა თავი, თხუნელასავით მოიკუნტა „ვილისში", მძღოლის უკან ჩაწვა და გაქცევა უბრძანა.

გაცეცხლებულ გენერალს არაფრის გაგონება არ სურდა. პისტოლეტი იძრო და უეცრად, ისე, რომ გაოცებაც ვერავინ მოასწრო, შუბლში დაახალა ტყვია უდანაშაულო ოფიცერს. სწორედ ამ დროს მოპირდაპირე მხარეს მტრის ტანკები გამოჩნდნენ. არტილერიაც ამუშავდა და ჯერ კიდევ დაულაგებელი, ჭაობიდან ახლახან თავდახსნილი საბჭოთა ჯარის ნაწილები პანიკამ მოიცვა. გენერალი, წუთის წინ რომ გოლიათად წარმოედგინა თავი, თხუნელასავით მოიკუნტა „ვილისში", მძღოლის უკან ჩაწვა და გაქცევა უბრძანა.

დავით ბაქრაძის პარტიზანთა შტაბს ხუთვარსკვლავიანმა გამანადგურებელმა გადაუფრინა, მერე მარჯვნიდან შემოუარა და ზურგში მოექცა ახალ იერიშზე წამოსულ „მესერშმიტს". ოთხთვალას დევნით გართული გერმანელი, ეტყობა, საფრთხეზე აღარ ფიქრობდა, მით უმეტეს, მათ მიერვე ოკუპირებულ ზონაში და როცა ზურგიდან ცეცხლი გაუხსნეს, მაშინღა მოეგო გონს. ოთხთვალას ტყვია დაუშინა, მერე ამოტრიალდა და შეეცადა ქვემოდან მოქცეოდა „იაკს".

— ახლა ჩემი ჯერია, გენერალო, ასე ადვილად ველარ დამისხლტები ხელიდან, შე ნაძირალა! — შალვამ ადგილიდან მოწყვიტა ტანკი და ნახნავებში მიმავალ „ვილისს" დაედევნა. ტანკი თანდათან უახლოვდებოდა სამიზნეს. კიდევ კარგი, მძღოლი მანქანიდან გადახტა და მისი ცოდვა არ დაიდო შალვამ. მანქანაში თავქვედამხობილი გენერალი კი, თავისი ფიქრით გერმანელებს რომ გაურბოდა, გერმანულმა, მაგრამ საბჭოთაეკიპაჟიანმა ტანკმა გადათელა...

**P. S.** იმ დიდი ომის ისტორიაში საველე სასამართლომ პირველად დახუჭა თვალები და ტანკის ეკიპაჟს „დაუჯერა", რომ ისინი მათი ფიქრით გერმანელ გენერალს დაედევნენ. დაუჯერეს, რადგან გენერლის ნამოქმედარი სისასტიკით ბევრად აჭარბებდა ეკიპაჟისას.

ათეული წლების შემდეგ, როცა ამ ამბავს გაიხსენებენ, ჩვენი სახელოვანი მოქანდაკე, აწ განსვენებული ელგუჯა ამაშუკელი იტყვის: — იმ ტანკის ეკიპაჟში ჩემი ძმაც იყოო.

დასანანია, რომ გარდა ზემოთქმულისა, ავტორს სხვა მასალა არ მოეპოვება ამ ამბის შესახებ.

*ვაჟა გავაშელი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თრუსოს ხეობას საფრთხე ემუქრება



## დიდი ეკონომიკური ინვესტიცია თუ ფულის გასათეთრებლად მოგონილი ბიზნესი

კავკასიონის მთავარი ქედის ძირში ჰიდროკარბონატულ-კალიუმიანი მძლავრი წყაროები გამოედინება. ეს გახლავთ თრუსოს უნიკალური ხეობა ყაზბეგის რაიონში, რომელიც ზღვის დონიდან 2 300 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. 1965 წელს, თრუსოს მინერალური წყაროები „ბუნების ძეგლად“ გამოაცხადეს და სახელმწიფო დაცვას დაუქვემდებარეს. ხეობაში ნაკადულებად ჩამომავალი მინერალური წყლები კიროვან ნალექს ქმნის და აქაურობას კიდევ უფრო მეტ უნიკალურობას მატებს. ცნობილია, რომ დედამიწაზე მხოლოდ რამდენიმე ასეთი ძეგლი არსებობს და ჩვენგან განსხვავებით, თეთრ კრისტალურ ველზე სიარული ტურისტებისთვის მხოლოდ სპეციალური ფეხსაცმლით არის ნებადართული. 1996 წელს, ჩვენმა სახელმწიფომ გარემოს დაცვის ახალი კანონმდებლობა შეიმუშავა, სადაც თრუსოს ხეობას, სხვა ძეგლების მსგავსად, მინიჭებული სტატუსი გაუუქმდა. თუმცა ის, რომ თრუსოს მინერალური წყლები „წითელ წიგნშია“ შეტანილი, მის უნიკალურობას ხაზს კიდევ ერთხელ უსვამს. ცოტა ხნის წინ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ხეობაში არსებული მინერალური წყლებისა და მათში შემავალი ნახშირორჟანგის შესწავლა-გადამუშავების ლიცენზიის მოსაპოვებლად კონკურსი გამოაცხადა და ტენდერში მონაწილე ერთადერთი კომპანია „კასარა“ გამარჯვებულად ცნო. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ ქართველი ექსპერტებისა და არასამთავრობო ბუნების დამცველების აღშფოთება გამოიწვია. მათი თქმით, ნახშირორჟანგის მოსაპოვებლად ხეობაში ქაბურღილის დადგმა თრუსოს ულამაზეს ლანდშაფტს დააზიანებს და შესაძლოა, ეკოლოგიური კატასტროფის მიზეზიც კი გახდეს. სახელმწიფო უწყება კი ირწმუნება, რომ თრუსოს ხეობაში ინვესტიციების ჩადებით სახეზე კიდევ ერთი მძლავრი ეკონომიკური პროექტი გვექნება.

***მაია კაპანაძე*** *„გარემოს დაცვის ლიგა“:*

— თრუსოს ხეობა მსოფლიოში ცნობილი უნიკალური ბუნების ძეგლია. მინერალური წყლები აქ რამდენიმე ადგილას გამოედინება, მათ შორის, ერთგან ტბასაც ქმნის. კიდევ ერთი საოცრება ის არის, რომ ნაკადულებად ჩამომავალი წყალი ზოგან ცხელია, ზოგან კი ყინულივით ცივი. თრუსოში უხვადაა ტრავერენტული ველები, ანუ მინერალური წყაროების მიერ დალექილი კიროვანი ნივთიერება, რომელიც უნიკალურ ლანდშაფტს ქმნის. საკანონმდებლო ლაფსუსია თუ ჩვენი ხელისუფლების დაუდევრობა, მაგრამ საქართველოში უსახსრობის გამო ძეგლების ხელახალი აღწერა აღარ მომხდარა, რასაც ითვალისწინებდა 1996 წელს „გარემოს დაცვის შესახებ“ მიღებული კანონი. სწორედ ამით ისარგებლა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ და თრუსოს ხეობა ფაქტობრივად გაასხვისა. ეჭვს ბადებს ის გარემოებაც, რომ ხეობაში მინერალური წყლების ლიცენზიის მოსაპოვებლად სამინისტროში განაცხადი მხოლოდ ერთმა კომპანიამ, „კასარამ“ წარმოადგინა და გამარჯვებულადაც ის გამოცხადდა. თუმცა შეუძლებელია სამინისტროში არ სცოდნოდათ, რომ თრუსოს ხეობა „წითელ წიგნშია“ შეტანილი და ბუნებრივი ძეგლის ხელყოფა დიდი დანაშაულია. გარემოს დაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ თრუსოს ხეობა სახელმწიფოს დაცვას აღარ ექვემდებარება და შესაბამისად, მასზე ლიცენზიის გაცემაც ლეგიტიმურია(!). გარემოს დამცველი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, სამინისტროსა და კომპანია „კასარას“ წარმომადგენლებთან ერთად გავემგზავრეთ თრუსოს ხეობის მოსანახულებლად, თუმცა ვერანაირ კომპრომისზე სახელმწიფო უწყება ვერ დავიყოლიეთ. მეტსაც გეტყვით, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის მოადგილემ ბესო საბაშვილმა პირდაპირ გვითხრა: — ეს საქმე უკვე გადაწყვეტილია და თავს ნულარ შეიწუხებთო. აშკარაა, რომ სახეზე გვაქვს სახელმწიფოსა და კერძო კომპანიას შორის დადებული კორუფციული გარიგება.

***ლაშა ჩხარტიშვილი,*** *— „გარემოსა და ცხოველთა უფლებების დამცველი კავშირი“:*

— საქართველოში კომპანია „კასარა“ თავისი საქმიანობით დღემდე არავისთვის არ არის ცნობილი, ჩვენც კი არ გვაძლევენ მათთან საკონტაქტო რეკვიზიტებს. მხოლოდ ის ვიცით, რომ კომპანიის თანამშრომლები მუქი ფერის სათვალეებითა და ჯიპის მარკის ავტომობილებით დადიან. ეჭვგარეშეა, რომ ამ ხალხს სერიოზული ლობისტები უნდა ჰყავდეთ სახელისუფლებო წრეებში, რადგან მათი ინტერესები ზედმიწევნით სრულდება. კომპანიამ ვერ წარმოადგინა საბანკო გარანტიები, ხოლო მათ მიერ წარმოდგენილი ბიზნესგეგმა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მაგალითად, გეგმაში კონკრეტულად არ არის გაწერილი, რა თანხები დაიხარჯება გარემოს დაცვით ღონისძიებებზე, რეალურად, არავინ იცის, მინერალური წყლების მოპოვება სურთ თუ მასში შემავალი აირის. დუმილის სანაცვლოდ, ყაზბეგის მოსახლეობას გზების მშენებლობასა და ათასგვარ სისულელეს ჰპირდებიან. მაგრამ ნებისმიერმა ყაზბეგელმა იცის, რომ ამ ხეობაში წყლის დასალევად ჯიხვები ჩამოდიან, ხოლო ქაბურღილის ამუშავების შემთხვევაში, ცხოველებს შესაძლოა გადაშენების საფრთხეც დაემუქროს.

***სანდრო თვალჭრელიძე,*** *ეკონომიკური ექსპერტი:*

— როდესაც თრუსოს ხეობაზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოში ტურიზმის განვითარებისთვის აქ საუკეთესო ნიადაგია. ულამაზესი ტრავერენტული ველების სანახავად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უამრავი ტურისტი ჩადის. აღნიშნული ეკონომიკური პროექტი კი გვიქადის, რომ თრუსოს წყაროებზე მისასვლელად, ველების გავლით, საჭირო იქნება მძიმე ტექნიკის გამოყენება, რაც მთლიანად გამოიწვევს მათ დაშლასა და განადგურებას. მეტიც, თრუსოში წყალი და ბუნება ერთმანეთთან წონასწორობაშია. თუ წყლიდან ნახშირორჟანგს ამოვიღებთ, წყალი აგრესიული გახდება და თვითონვე დაშლის ამ უნიკალურ დანალექებს. გასაგებია, რომ თრუსოს წყლებში სხვა საბადოებთან შედარებით ნახშირორჟანგის ყველაზე მაღალი — 99%-იანი შემცველობაა, თუმცა არ მესმის კერძო ინვესტორის ინტერესების გათვალისწინების ხარჯზე რატომ უნდა მოხდეს ბუნების ხელყოფა. თუ ამ საკითხს წმინდა ეკონომიკურ ჭრილში განვიხილავთ, ინვესტორმა ეკონომიკური ეფექტის მოსახდენად თრუსოს ხეობაში დღეში დაახლოებით 45-50 ტონა ნახშირორჟანგი უნდა მოიპოვოს. მისი ტრანსპორტირებისთვის კი აუცილებელი იქნება ყაზბეგის გაუმართავ გზებზე ყოველდღიურად რამდენიმე ათეულმა მძიმე ტექნიკამ იაროს. ვფიქრობ, ზედმეტია იმის კომენტირება, თუ რა ზიანს მოუტანს ეს ხეობას. ერთი ტონა ნახშირორჟანგის საბაზრო ფასი 200 დოლარია, მარტივი ეკონომიკური გათვლები კი გვიჩვენებს, რომ თრუსოს ხეობიდან ამავე ოდენობის ნახშირორჟანგის თურქეთის საზღვრამდე მიტანა (ჩვენი ინფორმაციით, კომპანიას აქ სურს მისი რეალიზაცია), ანუ ტრანსპორტირების დანახარჯები 500 ლარს გადააჭარბებს, აღარაფერს ვამბობ მოპოვების ხარჯებზე, რაც ძალზე კაპიტალტევადი პროცესია. არსებობს კიდევ ერთი ალტერნატივა. შესაძლოა, ინვესტორმა ხეობაში ნახშირორჟანგის მომპოვებელი ქარხანა ხეობის მახლობლად ააშენოს და ხეობიდან წყალი სპეციალური ძვირად ღირებული მილებით გადაქაჩონ. მსოფლიო ტარიფებით 1 კილომეტრი ასეთი მილი მილიონობით დოლარი ჯდება ანუ ამ პროექტმა ხარჯებით შესაძლოა ბაქო-ჯეიჰანის პროექტიც კი დაჩრდილოს. შესაბამისად, ეს პროექტი ჩანასახშივე განწირულია (მოგებას ვერ მოიტანს!). სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ ეს ერთგვარი ეკონომიკური მაქინაციაა, რომელიც საბოლოოდ, ფულის გათეთრებას ისახავს მიზნად(!).

P.S. კომპანია „კასარაზე“ ინფორმაციის მოსაპოვებლად საქართველოს საინფორმაციო ბანკს დავუკავშირდით, თუმცა მას ასეთი კომპანიის არსებობის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მოეპოვება. „კასარას“ შესახებ ვერც ინტერნეტის საშუალებით შევიტყვეთ რამე. თუმცა ერთის თქმა ნამდვილად შეგვიძლია, და ამ აზრს დამოუკიდებელი ექსპერტებიც იზიარებენ: კანონი „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“, რომელიც საქართველოს პარლამენტმა ამა წლის ივნისში მიიღო, სრულყოფილებისგან ნამდვილად შორსაა და ე. წ. საკანონმდებლო „ხვრელებით“ არის დახუნძლული. ასეთი „კანონების“ ხელშეწყობითა და ინვესტიციების დაბანდების მიზნით კი მიმზიდველ ეკონომიკურ პროექტად, ადვილი შესაძლებელია, საქართველოში არსებული ნებისმიერი ბუნების ძეგლი იქცეს.

***ემა ტუხიაშვილი***
***თემურ კაციაშვილი***


კავკასიის აკადემიური ცენტრი

CAC სი ეი სი

გთავაზობთ
ფინანსური აღრიცხვის
Financial Accounting
4 თვიან
სასწავლო პროგრამას



კურსის მსვლელობისას ისწავლება:
- სრული ფინანსური პაკეტის შედგენა და ანალიზი:
  მოგება-ზარალის უწყისი;
  გაუნაწილებელი მოგების უწყისი;
  საწარმოს ბალანსი;
  ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი.
- აღრიცხვის ფუნდამენტური მოდელი, ორმაგი ჩაწერის პრინციპი;
- ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის აღრიცხვის სპეციფიკა;
- ანალიზისათვის გამოსაყენებელი ძირითადი კოეფიციენტები;
- საქართველოს ბიზნესის კანონმდებლობა
  კანონი მეწარმეთა შესახებ
  საბაჟო და საგადასახადო კოდექსები

სასწავლო კურსის სრულყოფილად დაუფლების შემდეგ შეგეძლებათ:
- დამოუკიდებლად აწარმოოთ ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება;
- სრულფასოვნად წარმართოთ აღრიცხვა გადასახადებისთვის;
- ანალიტიკურად გაანალიზოთ საანგარიშგებო პერიოდში მიმდინარე ფინანსური მოვლენები.

პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ მოგენიჭებათ CAC (სი ეი სი)-ს სერტიფიკატი.

მსმენელები უზრუნველყოფილნი არიან სასწავლო ლიტერატურით;

მიღება მიმდინარეობს 20 სექტემბრამდე.

*დაგვიკავშირდით, ნებისმიერ დაინტერესებას დაწვრილებით განვმარტავთ*

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზ. 41; მე-6 სართული.
ტელ. 25-17-30; 29-40-80 ელ. ფოსტა: cac@gol.ge



თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»

თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები – მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები.
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია. FOX-პროცედურები

თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.

ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge



ონიქსი
გრანიტი
პარკეტი
მარმარილო
რბილი იატაკი
ხელოვნური ქვა
ხალიჩები
კერამოგრანიტი
კაუჩუკის იატაკები

თბილისი 0160, ყაზბეგის გამზ. 12ა
ტელ.: +995 32 339 777
ფაქსი: +995 32 335 888
E-mail: info@phoenix.ge

შ.პ.ს. ფენიქსი
www.phoenix.ge

# „ერს, რომელსაც ისტორია არა აქვს, მიეცით გარეჯი და ისტორია ექნება“

*ნიკო კეცხოველი*



სამარტომყოფო კოშკი. ჩიჩხიტურის სავანე

წმინდა მამა დავით გარეჯელმა იერუსალიმის მოლოცვა გადაწყვიტა და რამდენიმე მოწაფესთან ერთად გაუდგა გზას. როცა იერუსალიმის კარიბჭესთან მივიდნენ, მხცოვანმა დავითმა თქვა: „ვითარ გავბედავ ცოდვილის ჩემის ფერხითა ვთელო ნავალი ღმერთკაცისა“, მოწაფეები იერუსალიმში შეუშვა, ხოლო თვითონ შორიდან უმზერდა უფლის საფლავის ტაძარს. მოილოცა შორიდან და სახსოვრად (ევლოგიად) სამი ქვა აილო. უკან რომ ბრუნდებოდნენ, სწორედ იმ დროს იერუსალიმის პატრიარქს, ილიას სიზმარში ეუწყა: უფლის საყვარელი მონა დავითი მოუახლოვდა იერუსალიმს და მადლი იერუსალიმისა სრულიად მიაქვსო. უფალმა უბრძანა: „სარწმუნოებითა შენითა წაგიღია შენ მადლი ქალაქისა ჩემისა იერუსალიმისა, გარნა მე მნებავს ორი წილი დაუბრუნო იერუსალიმს, რომ სრულიად არ წაერთვას მას მადლი, ხოლო ერთი წილი მომიცია შენთვის, შენი უდაბნოსთვის, წაიღე ეს ქვა ვითარცა მადლი, შენ უდაბნოში სახსოვრად და საუწყებლად სარწმუნოებისა შენისა“.

მართლაც, წმინდა დავითმა ორი ქვა დაუბრუნა პატრიარქს და თან მხოლოდ ერთი პატარა ქვა წამოიღო და დავითგარეჯის უდაბნოში დაავანა. ეს ლეგენდაც ცხადყოფს, რომ დავით გარეჯის კომპლექსი საქართველოსთვის უდიდესი სიწმინდეა, რომელიც თავისი მადლით იერუსალიმის მესამედს უტოლდება. ეს დიდი კულტურული და სულიერი საგანძური კარგა ხანია შველას ითხოვს. რამდენიმე დღის წინ საზოგადოება აღაშფოთა ფაქტმა: ქართველები ტიტე გოგსაძე და ზურაბ ნაფეტვარიძე აზერბაიჯანელებმა დაიჭირეს მაშინ, როცა დავითგარეჯის კომპლექსის ერთ-ერთ ძეგლზე აღდგენით სამუშაოებს ატარებდნენ.

მეცნიერების ფონდის, „უდაბნოს“

## „ჩვენ ვიცოდით, ადრე თუ გვიან ეს პრობლემა დადგებოდა“

თავმჯდომარე **ლადო მირიანაშვილი** დიდი ხანია დავითგარეჯსა და სხვა კლდეში ნაკვეთ ძეგლებზე მუშაობს. სწორედ მას ვთხოვეთ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის დავითგარეჯზე ეამბნა:

— დავითგარეჯის კომპლექსის ისტორია VI საუკუნის I ნახევრით იწყება, როცა ქართლში ასურელი მამა დავითი მოვიდა. ჯერ ზედაზნის მთაზე მოღვაწეობდა, შემდეგ თბილისში და



წმ. იაკობ სპარსის სამლოცველო. ჩიჩხიტურის სავანე

ბოლოს, დავითგარეჯში. აქ დაემკვიდრნენ წმინდა დავითი და ლუკიანე და დააარსეს ლავრის ტიპის მონასტერი (აქ მოღვაწეობდნენ მარტომყოფი ბერებიც და ერთობლივი სამონასტრო ცხოვრებით მოღვაწე ბერებიც). მალე იმდენი მსურველი გამოჩნდა ბერობისა, საჭირო გახდა სხვა მონასტრების დაარსებაც. დავითგარეჯის კომპლექსში შედის 20-ზე მეტი მონასტერი და მათზე დაქვემდებარებული განაყოფი. ჩიჩხიტური, სადაც ახლახან ინციდენტი მოხდა, წმინდა დავითის ლავრაზე დაქვემდებარებული ე. წ. სამარტომყოფო სავანეა, XI-XII საუკუნეებში დაარსებული, აქვეა სამარტომყოფო კოშკი, XVII საუკუნის წინამძღვრის, ონოფრე მაჭუტაძის მოღვაწეობის დროს აგებული (ზოგიერთის აზრით, ჩიჩხიტური სათვალთვალო კოშკი უნდა ყოფილიყო). ასეთი ტიპის კოშკები ბევრი იყო სირიაში, პალესტინაში, საქართველოში.

— **რამხელა ტერიტორიაზეა გაშლილი დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი?**

— 350 ჰექტარზე. 1996 წელს ჩვენ აღმოვაჩინეთ მანამდე უცნობი მონასტრები — მრავალწყარო (ასე დავარქვით პირობითად), VIII-IX საუკუნისა და ამავე პერიოდში დაარსებული მონასტრები ივრისპირეთში. ასე რომ, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი ივრისპირეთამდე იყო გადაჭიმული.

— **ეს ტერიტორია თუ ყოფილა ოდესმე სადავო მეზობელ ქვეყნებთან?**

— არა, ყოველთვის საქართველოს კუთვნილება იყო. ამას ადასტურებს წერილობითი წყაროები, მამათა ცხ-



წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ფრესკა უდაბნოს მონასტერში

ოვრებანი. თავის დროზე აზერბაიჯანული მხარე ამტკიცებდა, ეს ალბანური ძეგლებიაო. აქ IX-X-XI-XII-XIII საუკუნეების უძველესი ფრესკებია, ქართული წარწერებით.

— **რომელ ძეგლებს გვედავება აზერბაიჯანი?**

— უდაბნოს, ჩიჩხიტურის... სამწუხაროდ, ბერთუბანი აზერბაიჯანის სიღრმეში უკვე 2 კილომეტრითაა შეჭრილი. ეს ტერიტორია 1921 წელს სერგო ორჯონიკიძემ, მაშინდელმა ამიერკავკასიის კომისარმა, საგანგებო განკარგულებით გადასცა აზერბაიჯანს. ამის შედეგს დღესაც ვიმკით. მაშინ საზღვარი მთის თხემზე გაატარეს და გამოქვაბულების შესასვლელები აზერბაიჯანის მხარეს მოხვდა. ჩიჩხიტური შუაზეა გაყოფილი. მისი გამოქვაბულების შესასვლელებიც აზერბაიჯანის მხარეს დარჩა.

— **თქვენ ბრძანეთ, რომ ამ ძეგლების ალბანურ წარმოშობას ვერ ამტკიცებენ აზერბაიჯანელი მეცნიერები არგუმენტების უქონლობის გამო. ასეთი პრობლემები გვაქვს სამცხე-ჯავახეთშიც. რატომ გვიჭირს ჩვენ, არგუმენტებით კარგად აღჭურვილ ქართველებს სიმართლის დამტკიცება?**

— სამწუხაროდ, 60-იან და 70-80-იან წლებში ჩვენი სამეცნიერო წრეებისგან ინფორმაცია არ ჰქონდათ მეზობელ ქვეყნებს. ბოლო დროს, როცა სიტუაცია გამწვავდა, ყველანაირად ვეცადეთ ხმა მიგვეწვდინა მათი სამეცნიერო წრეებისთვის. ინტერვიუები მივეცი აზერბაიჯანის გაზეთებს, სადაც ვამბობდი, რომ ამ ძეგლებზე კამათი არ შეიძლება, რომ აქ ალბანური არაფერია. თუკი რაიმე საბუთი გაქვთ, წარმოადგინეთ-მეთქი. დღეს უკვე ეს პრობლემა აქტუალური არ არის. მათ ტაქტიკა შეცვალეს — ორი წლის წინ თუ ძეგლების ალბანურ წარმოშობაზე კეთდებოდა აქცენტი, ახლა ამბობენ, ჩვენ შეიძლება დაგეთანხმოთ ტერიტორიების გაცვლაზე, მაგრამ სამხედროები წინააღმდეგი არიან სტრატეგიული მოსაზრებით. ჩიჩხიტური არის სტრატეგიული სიმაღლე, რომლის დაკარგვა წამგებიანია სახელმწიფოსთვისო. აზერბაიჯანულ გაზეთებში ბერთუბნის ნაყოფიერ მიწებზე გაცვლის წინადადება დიდი აურზაური მოჰყვა. დავინტერესდი და მოვიძიე ინტერნეტში სტატიები. საოცარ ტექსტებს წავაწყდი. მაგალითად, ერთგან წერია: ჩიჩხიტურიდან იშლება ფართო ხედი: რუსთავი, გარდაბანი, ამიტომ სტრატეგიულად ჩვენთვის მნიშვნელოვანიაო(!).

— **როცა რაიმე პრობლემა იქმნება, ოფიციალური მხარე გვეუბნება, მიმდინარეობს მოლაპარაკებებიო. როდემდე შეიძლება გაგრძელდეს მოლაპარაკება?**

— ჩვენ ვიცოდით, რომ ადრე თუ გვიან ეს პრობლემა დადგებოდა, ამიტომ რეჟისორ მაია ყიფიანთან ერთად გავაკეთეთ ხუთგადაცემიანი სერია დავითგარეჯზე. ერთი გადაცემა საზღვრის პრობლემას დავუთმეთ. მაშინ პირველად ვაჩვენეთ და დაუფარავად ვთქვით, რომ გამოქვაბულები აზერბაიჯანის მხარეს იყო მოქცეული. მაშინ მე ოფიციალური განცხადებით შევედი სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში. ყველაზე დიდი გაოცება იმან გამოიწვია, რომ პირებმა, ვინც საზღვრის დელიმიტაციაში მონაწილეობდნენ, არც იცოდნენ, რომ სახელმწიფო საზღვრის სამხრეთით ქართული ძეგლი იდგა. მათ ეგონათ მონასტრები მარტო ლავრაში იყო, ქვემოთ კი მხოლოდ გამოქვაბულები. 1988 წელს აზერბაიჯანს შესთავაზეს ამ ტერიტორიებისა და ბერთუბნის უფრო ნაყოფიერ ტერიტორიებზე გაცვლა. მაგრამ მალე თბილისის ომი დაიწყო და ყველაფერი ჩაიშალა. თუმცა, როგორც შევიტყვე, მაშინ აზერბაიჯანული მხარე ტერიტორიის გაცვლაზე უარზე იყო.

1 თვის წინ ოფიციალური განცხადებით მივმართე საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურის დეპარტამენტს, ასევე გადავეცი მთელი მასალა. მითხრეს, გავითვალისწინებთ და ვეცდებით, ზემოქმედება მოვახდინოთ დელიმიტაციის კომისიის მუშაობაზეო.

— **სიტყვიერი დაპირება ერთია, მაგრამ გამოსავალი რაშია?**

— გამოსავალი ტერიტორიების გაცვლაა. ეს სავსებით შესაძლებელია. როცა ამის შესახებ აზერბაიჯანელ ჟურნალისტებს ვუთხარი, თქვეს, ეს პრობლემებს შექმნის, მოსახლეობის გადასახლებას მოითხოვსო. წამოვიყვანე და ვუჩვენე — იქ 100 კმ-ის მანძილზე არც ერთი სოფელი არ არის, უბრალოდ ველია. აქედან გამომდინარე, პრობლემაც არ არსებობს.

1635 წელს უდაბნოში 6000 ბერი ამოწყვიტეს. ეს მიწა წმინდა სისხლით არის მორწყული. იქ განმარტოვდებოდა ხოლმე წმინდა დავითი ლოცვისას. აქ არის ქართული ფრესკები, ხატწერის შესანიშნავი ნიმუშები.

— **ბერთუბნის ფრესკები რა დღეშია?**

— კამარაზე და კედლის ზედა ნაწილზე ზოგიერთი მონაკვეთი კარგად არის შენახული, მაგრამ, რასაც ადამიანის ხელი შესწვდება და მის ქვემოთ ყველაფერი დაკარგულია. უამრავი ნაკაწრია აზერბაიჯანულ ენაზე, ფრესკა აღარ ჩანს. ასევეა ბერთუბნის სატრაპეზოც. შარშან ბერთუბანში რუსული ალფაბეტით შესრულებული აზერბაიჯანული წარწერების გვერდით ლათინური ალფაბეტით შესრულებული წარწერებიც გაჩნდა. ლათინური ალფაბეტი აზერბაიჯანში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეიქმნა. ასე რომ, ბერთუბანი განადგურების პირასაა. აზერბაიჯანი ამტკიცებს, მთელ ამ ტერიტორიაზე აზერბაიჯანის კულტურის სამინისტრო ზრუნავსო. საქმით ეს არ ჩანს.

**P. S.** შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ ჩიჩხიტურში არის უნიკალური ფრესკული მოხატულობა. აქაა წმინდა იაკობის წამების მონუმენტური სცენა, რომლის მსგავსი მსოფლიოში არსად არის, გარდა გერმანიის ფრაიზინგის სემინარიისა, რომელიც XIV-XVს.ს-ით თარიღდება. ჩვენი ფრესკა კი XII საუკუნეშია შექმნილი. გარდა ამისა, წმინდა ქალაქის, იერუსალიმის მესამედს ალაღბედზე რომელი ერი მიატოვებს?

*ლელა ჯიყაშვილი*




## რას გვეტყვი, მამაო?

— **ჩემმა გოგონამ მითხრა, რომ რამდენჯერაც ახალშეძენილი ჯვარი გაიკეთა, იმდენჯერ რაღაც უსიამოვნება შეემთხვა. ხომ არ არის ეს დაკავშირებული ბოროტ ძალებთან?**

— პირველ რიგში გეტყვით, რომ ჯვარს, რომელიც ქრისტეს სიმბოლოა, არანაირი უსიამოვნების მოზიდვა არ შეუძლია. თქვენს კითხვაში საფიქრებელი მხოლოდ ის არის, თუ რატომ აკავშირებს თქვენი გოგონა ჯვართან უსიამოვნების ფაქტორს. ჩვენი აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ მას რწმენაში განმტკიცება აკლია. ამიტომაც ურჩიეთ, რომ ეკლესიაში იაროს და არა მარტო ეს შიში გაუნელდება, სხვა საქმეშიც მოემართება ხელი... ზოგადად კი გეტყვით, რომ თუ ადამიანს ხიფათი შეემთხვევა, ჯვრის ტარებას არ უნდა „დააბრალოს“. ჯვარი სწორედ იმაში გვეხმარება, რომ უსიამოვნებანი ვერ მოგვერიოს, სულიერად გავძლიერდეთ და განსაცდელს გავუძლოთ...

— **საქართველოში ბევრ ტაძართან არსებობს კელიები, სადაც წმინდა მამები ცხოვრობენ. როგორ მოვიქცეთ თუ იქ შესვლის შესაძლებლობა მოგვეცემა, პირჯვარი გადავისახოთ?**

— აუცილებლად. ის ადგილი, სადაც საეკლესიო მოღვაწეები ცხოვრობდნენ და ერისა და ქვეყნისთვის ათეული წლების მანძილზე ლოცულობდნენ, წმინდად ითვლება. სიწმინდეებთან მიახლოებისას კი პირჯვრის გადასახვა გვმართებს.

— **დედამ შვილის საწოლზე დასამაგრებლად გადმომცა ავგაროზი, რომელიც მას ბებიაჩემისგან აქვს მიღებული და ჩემი და ჩემი და-ძმის საწოლზე ამაგრებდა. ძალიან მაინტერესებს, რა წერია ამ ავგაროზში?**

— ასეთ ავგაროზებში ტრადიციულად უნდა ეწეროს 90-ე ფსალმუნი, რომელიც ბოროტი ძალებისგან გვიცავს... ასეთივე ტყავში ან ქსოვილში გამოკრული ფსალმუნები ეკლესიაშიც შეგიძლიათ შეიძინოთ. კარგია, როცა ამ ფსალმუნს ჩვილების საწოლზე ამაგრებენ, მაგრამ გირჩევთ გაითვალისწინოთ ერთი ნიუანსი — ზოგჯერ ასეთ „ავგაროზებში“ სოფლის მკითხავის ან „შემლოცველის“ გაურკვეველი ხელით ნაწერი ქაღალდიც უნახავთ. ამიტომ სჯობს სახსოვარი მოძღვარს ანახვოთ, ან სულაც თქვენ გახსნათ. თუ შიგ ფსალმუნები ეწერება, შეგიძლიათ მშვიდად იყოთ.

— **ჩემმა ახლობელმა, რომელიც სამწუხაროდ ზოგჯერ უფალსაც გმობს, ჯვარი მაჩუქა. არ ვიცი, დავიტოვო თუ არა იგი.**

— რატომ არ უნდა დაიტოვოთ? თუ თქვენი ახლობელი ცოდვას სჩადის, მის ჯვარს ამით მადლი ვერ დააკლდება. ამიტომაც თუ სურვილი გაქვთ, დაიტოვეთ, ატარეთ კიდეც და ილოცეთ იმაზე, რომ თქვენს ახლობელს გული უფლისკენ მოუბრუნდეს.

— **ორმოცი წლის წინ მართლმადიდებელმა კაცმა სომხურ ეკლესიაში მოვნათლე ვაჟი, რადგან ახლომახლო არც ქართული ტაძარი იყო და არც ის ვიცოდი, ამას მნიშვნელობა ჰქონდა თუ არა. ახლა ჩემი ვაჟი მსაყვედურობს. რა ვქნა, შეიძლება ორმოცი წლის კაცის გადანათვლა?**

— ასაკი რა შუაშია! მართლმადიდებლობას ადამიანი ნებისმიერ ასაკში შეიძლება ეზიაროს. ეკლესიის ისტორიაში არაერთი მაგალითია თვით წმინდანების ხანდაზმულობაში მონათვლისა... მართებული არ გახლავთ თქვენი მოსაზრება „გადანათვლის“ შესახებ, რადგან თქვენი ვაჟი მართლმადიდებლურად მონათლულად ვერ ჩაითვლება. მისი საყვედური ან თქვენი განცდა ამ საქმეს ვერ უშველის. მას შეუძლია ნებისმიერ მართლმადიდებლურ ტაძარში მივიდეს და მოინათლოს... ამით ქრისტეს ნათელსაც ეზიარება, დამშვიდდება კიდეც და თქვენც დაწყნარდებით...

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიგარეტის კონტრაბანდის ორგანიზატორები თავად მისი მწარმოებელი კორპორაციები არიან(?!)

## „საქართველოში, სამწუხაროდ, სიგარეტის მოწევა კულტურად იქცა"




საქართველოში სტუმრად მყოფი ინგლისელი სოციოლოგი, თამბაქოს კონტროლის საკითხებში **ჯუდი ვოთი** [illegible]

— თამბაქოს წინააღმდეგ საერთაშორისო „ბრძოლის" დაწყებისთანავე თამბაქოს მწარმოებლებმა შეიმუშავეს საშინელი პოლიტიკა, — რაც უფრო გაიზრდებოდაა ანტინიკოტინური პროპაგანდა, მით უფრო გაეზარდათ სიგარეტის კონტრაბანდული მოძრაობა მთელ მსოფლიოში. ამიტომაც არის, სიგარეტის კონტრაბანდასთან ბრძოლა თქვენთანაც ასთავიან ურჩხულთან ბრძოლას რომ ჰგავს, რაც უფრო ანადგურებ, მით უფრო მრავლდება.

სასამართლო განხილვების პროცესში ხელმისაწვდომი გახდა თამბაქოს მწარმოებელ კომპანიათა შიდა დოკუმენტების მთელი ბაზა, რამაც საფუძველი მოგვცა, დაგვემტკიცებინა მთელ მსოფლიოში კონტრაბანდულ საქმიანობაში მათი მონაწილეობა. ყოველთვის არსებობდა ეჭვი თამბაქოს მწარმოებელთა დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, მაგრამ მისი დამტკიცება ვერ ხერხდებოდა. ამიტომაც სასამართლომ მოითხოვა კომპანიებიდან ყველა დოკუმენტის ამოღება. ლაპარაკია კომპანიებზე „ალტრია" (ყოფილი „ფილიპ მორისი"), „რეინოლდსი", „ბრიტიშ ამერიკან ტობაკო"... სწორედ ეს უკანასკნელია კონტრაბანდული სიგარეტის მოძრაობის ყველაზე დიდი ორგანიზატორი. თავად ვატარებდი გამოკვლევებს ამ კომპანიაში. ჩემი თვალით ვნახე უამრავი დოკუმენტი, რომლებიც მეტყველებენ იმაზე, რომ „ბრიტიშ ამერიკან ტობაკო" პირდაპირ უწყობს ხელს კონტრაბანდის მოძრაობას.

**— კონკრეტულად საქართველოს შესახებ ნახეთ მონაცემები?**

— პირადად მე არა. ამაზე მუშაობდა და უამრავი მასალა აქვს ინგლისში ჩემს კოლეგას ანა გილმურს. მოკლედ, ამგვარად მოქმედებენ ეს კომპანიები. მერე კი მიდიან სხვადასხვა ქვეყნის მთავრობასთან (სადაც კონტრაბანდულ სიგარეტს თავადვე უშვებენ) და ეწუწუნებიან — ნახეთ, კონტრაბანდის რა დონეა. ეს იმის გამო ხდება, რომ გადასახადები მოგვიმატეთ, რის გამოც ფასები გავზარდეთო და ა.შ. ამასთან, სერიოზულ ზეწოლას ახორციელებენ პოლიტიკოსებზე, ცდილობენ ლობისტებად გამოიყენონ გავლენიანი პირები, რათა საკანონმდებლო ორგანომ მოითხოვოს გადასახადების შემცირება. ასე მანიპულირებენ სიგარეტის მწარმოებლები მაშინ, როდესაც კონტრაბანდის შემოდინება გადასახადების გაზრდის კი არა, თამბაქოს ინდუსტრიის კრიმინალურ სამყაროსთან შეკვრის გამო დაიწყო. მიკვირს, როდესაც მთავრობის და საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებს სჯერათ ამ ფარისევლების. ამჟამად საქართველოს მთავრობის ამ კუთხით მოქმედება ფანტასტიკას უფრო ჰგავს. სასიამოვნოა, რომ ისინი არ იკარებენ ფარისეველ თამბაქოს მწარმოებლებს. გვაქვს ინფორმაცია, რომ საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია აპირებს ხელისუფლებას წარუდგინოს კვლევის შედეგები, რომლის თანახმად კონტრაბანდის ზრდა თითქოს გადასახადების ზრდამ გამოიწვია. ეს აბსურდია და ვთხოვ საქართველოს ხელისუფლებას, გაითვალისწინოს აღნიშნული. ამასთანავე მზად ვართ, გამჭვირვალედ ჩატარებული კვლევის შედეგებით დავამტკიცოთ საპირისპირო.

**— საქართველოში თამბაქოს ადგილობრივ მწარმოებლებსაც უჭირთ მუშაობა კონტრაბანდის და გადასახადების გაზრდის გამო.**

— გასაგებია მათი წუხილიც, რომ წამგებიანი ბიზნესი აქვთ, მაგრამ მხოლოდ თამბაქოს წარმოება არ არის ბიზნესი და კიდევ ერთი, მეთამბაქოეთა საქმეზე ძვირფასი ადამიანების ჯანმრთელობაა. მართალია, თამბაქო ლეგალური პროდუქციაა და მას საერთოდ ვერ აკრძალავ, მაგრამ იგი უბრალოდ მავნე პროდუქტი კი არა, მომაკვდინებელია. ამიტომაც მისი ინდუსტრიის განვითარებას არსად და არავინ არ უნდა შეუწყოს ხელი. კატეგორიულად უნდა აიკრძალოს თამბაქოს პროდუქციის რეკლამირება.

**— თქვენ ისეთი სასტიკი პოლიტიკის გატარებას მოითხოვთ, რომ ამ შემთხვევაში თამბაქო ნარკოტიკს შეიძლება შევადაროთ.**

— განა ასეც არ არის? პოპულარული ნარკოტიკული საშუალებები ძალიან სწრაფად ანადგურებენ ადამიანის ჯანმრთელობას, სიგარეტი კი ნელი მოქმედების ნაღმია, რომელსაც საშინელი შედეგები მოაქვს კაცობრიობისთვის. მე მოვუწოდებ თქვენს მთავრობას, არავითარ შემთხვევაში არ მისცენ უფლება თამბაქოს მწარმოებლებს და იმპორტიორებს, რომ მათ თვითონ მოაწყონ თამბაქოს საწინააღმდეგო აქციები, გადაუხადონ ფული კომპანიებმა ხელისუფლებას და ის უკეთ გადაწყვეტს, სად და როგორ აწარმოოს ანტინიკოტინური პროპაგანდა. ნუ მისცემთ მეთამბაქოეს იმიჯის შექმნის საშუალებას. წარმოიდგინეთ რა ხდება, როდესაც თამბაქოს მწარმოებელი მიდის ახალგაზრდებთან, უშენებს სპორტულ მოედანს, ჩუქნის სპორტულ ინვენტარს, მაისურებს თავისი ფირმის ან პროდუქციის სახელწოდებიანი წარწერებით. ეს სახელი ჯდება მოზარდის ცნობიერებაში და მეორე წუთში ტელეეკრანზე ან ბილბორდებზე ამავე დასახელების თამბაქოს პროდუქციას რომ ხედავს, ისევე იქცევა, როგორც რეკლამა მოუწოდებს. თამბაქოს მწარმოებლებისგან ანტინიკოტინური პროპაგანდა ფარისევლობაა და თუ სახელმწიფო მათ ამის ნებას აძლევს, ხელისუფლებაში ყველაფერი რიგზე ვერ უნდა იყოს. თამბაქო არ არის ისეთი პროდუქტი, რომელიც შეიძლება ხარისხის მიხედვით დავყოთ, თუნდაც როგორც ღვინო. ყველა სახის თამბაქო დამღუპველი და მომწამვლელია და არანაირი სიკეთის მოტანა არ შეუძლია ადამიანისთვის. მე აღარ დავიწყებ იმის განმარტებას თუ როგორ აზიანებს ყოველი ღერი სიგარეტი ადამიანის ჯანმრთელობას. ეს ყველამ კარგად იცის, თუმცა ამის შეგნება უჭირთ ყველგან და განსაკუთრებით საქართველოში, სადაც სიგარეტის მოწევა კულტურად იქცა. ძალიან ბევრი ქართველი ექიმი ეწევა თამბაქოს. ეს კი დაუშვებელია, თამბაქოს მიმართ ანტიგანწყობა მათ სტუდენტობიდანვე უნდა ჩაუნერგოთ. არადა, ძალიან ძნელია პაციენტი დაარწმუნო სიგარეტის მავნებლობაში, როდესაც ექიმი ცხვირწინ უბოლებს სიგარეტს.

თამბაქოზე გადასახადებისა და ფასის მომატებას სამი ეფექტი აქვს. პირველი — ხელს უშლის ბავშვებს სიგარეტის მოწევის დაწყებაში...

**— საქართველოში ეს ფაქტორი ვერ „მუშაობს", ბავშვები ღერებით ყიდულობენ სიგარეტს.**

— ღერებით სიგარეტის რეალიზაცია კანონით აკრძალულია ყველგან და თქვენთანაც. ამიტომ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს მთავრობამ. ვინც 18 წლამდე მოზარდს სიგარეტს მიჰყიდის, ის მკაცრად უნდა დაისაჯოს. მე მითხრეს, რომ მაღაზიებში ეს პრობლემა არ არსებობს, რომ გარემოვაჭრეები არღვევენ კანონს. ერთადერთი გზა გვაქვს — ამ ხალხს უნდა შევაგნებინოთ, რომ მომავალს უქმნიან მომაკვდინებელ საფრთხეს, რადგან სიგარეტის 18 წლამდე ასაკის ბავშვისთვის მიყიდვა არანაკლებ მძიმე დანაშაულია, ვიდრე ნარკოტიკების რეალიზაცია.

**— წეღან ბრძანეთ, რომ სიგარეტზე გადასახადების და ფასის მომატებას სამი ეფექტი აქვს. პირველი გასაგებია, რას გულისხმობთ დანარჩენ ორში?**

— ეს ფაქტორი დაეხმარება მწეველებს, რომ მოწევა შეწყვიტონ. სიგარეტის შესაძენად დიდი თანხის გადახდას მწეველთა უმრავლესობა ვერ შეძლებს და ექნებათ მყარი მოტივაცია მოწევაზე თავის დასანებებლად. როგორც მაცნობეს, საქართველოში სიგარეტზე ფასების გაზრდამ ეს ფაქტორი გამოაჩინა. სტატისტიკა ჩვენს პროგნოზებს ამართლებს, რაც შეეხება მესამე ეფექტს, იმაში მდგომარეობს, რომ ვეხმარებით ეკონომიკას, — გადასახადების ზრდის პარალელურად საბიუჯეტო შენატანები იზრდება. ამასთან, მწეველი, რომელიც უარს იტყვის სიგარეტზე, სხვა პროდუქციას შეიძენს სიგარეტის ნაცვლად და ეს თანხა ისევ ბიუჯეტში შევა. სიგარეტზე გადასახადებისა და ფასების აწევის შედეგად შემოსული თანხებით კი ჯანდაცვის სამინისტროს შეეძლება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე იზრუნოს.

*ეკა ლომიძე*

# აკადემიური ნოვაცია წარმატებული მენეჯერებისთვის

ახალი სასწავლო წლის დამდეგს კავკასიის ბიზნესის სკოლა, გრენობლის ბიზნესის სამაგისტრო სკოლასთან ერთად, ქართულ აუდიტორიას აკადემიური ცოდნის ამაღლების უნიკალურ შანსს სთავაზობს. კერძოდ კი შეიქმნა გრენობლისა (საფრანგეთი) და კავკასიის სკოლების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა, რომელიც პერსპექტიულ მენეჯერებს გზას გაუკვალავს გლობალურ ბიზნესში წარმატების მოსაპოვებლად. საქმიანობაზე ორიენტირებული სწავლება, გლობალური ფოკუსი, რეგიონული ხელმისაწვდომობა და მოქნილი სტრუქტურა — სწორედ ამ მახასიათებლებით გამოირჩევა ახალი ერთობლივი პროგრამა, რომლის დაუფლების შედეგად მაღალი პოტენციალის მქონე მენეჯერებს რეგიონული და საერთაშორისო ბიზნესის მწვერვალების დაპყრობის შანსი ეძლევათ. გრენობლისა და კავკასიის ბიზნესის სკოლების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა საუკეთესოა ბიზნესის სფეროში მოწინავე აკადემიური განათლების მისაღებად. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ გრენობლის ბიზნესის უმაღლესი სკოლა ერთ-ერთი წამყვანი საგანმანათლებლო ცენტრია არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამის დასტურია ე. წ. „სამმაგი გვირგვინი" — ანუ სამმაგი აკრედიტაცია, რომელიც ხსენებულ სასწავლებელს ამშვენებს და რაც დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ასეთი „სამმაგი გვირგვინით" მსოფლიოში მხოლოდ ოციოდე სასწავლებელი თუ მოიწონებს თავს, ამიტომ გრენობლის მაგისტრის ხარისხი თავისთავად წარმატების გარანტი გახლავთ. ამრიგად, ჩვენთვის ძალზე საამაყოა გრენობლთან ერთად პარალელური პროგრამის შექმნა, მით უფრო, რომ ეს პირველი პრეცედენტია მთელ ამიერკავკასიაში. გრენობლისა და კავკასიის ბიზნესის სკოლების ერთობლივი პროგრამა, ევროპასა და ამიერკავკასიას შორის მსგავსი თანამშრომლობის პირველი მაგალითია. ამ სკოლადამთავრებული პრაქტიკოსი მმართველები ორი პარალელური დიპლომის მფლობელები ხდებიან. პროგრამის დეტალებსა და საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებზე სასაუბროდ, თავად ამ პროგრამის დირექტორს, მენეჯმენტისა და საერთაშორისო დისციპლინათა ასოცირებულ პროფესორს, ბატონ დავით ირემაძეს შევხვდით.



**დავით ირემაძე:**

— ორმაგი სამაგისტრო ხარისხის პროგრამა (**www.dualmba.csb.ge**) ორიენტირებულია ორგანიზაციათა მმართველებზე, გამოცდილ მენეჯერებზე, მეწარმეებზე, ანუ იმ ადამიანებზე, ვისაც სულ მცირე 3 წლის პრაქტიკული გამოცდილება აქვს ბიზნესში. პროგრამას გააჩნია ორიგინალური სტრუქტურა, მორგებული საქმიანი ადამიანების ცხოვრების რიტმზე. კერძოდ კი სალექციო მასალა თავმოყრილია მოდულებად (მონათესავე საგანთა ერთობლიობა), ანუ თორმეტ 6-დღიან ბლოკად. უფრო თუ დავკონკრეტდებით, პროგრამის დასაუფლებლად მსმენელი თვეში მხოლოდ 4 სამუშაო დღეს კარგავს. ერთი მოდულის მოსმენის შემდეგ, პროგრამის მონაწილე თვითორგანიზაციის საფუძველზე პოულობს დროს იმისათვის, რომ თავად იმუშაოს და გააანალიზოს უკვე გავლილი მასალა. მომდევნო ბლოკის ასაქმელად მოსულს კი მომზადებული უნდა ჰქონდეს წინა მოდულის თემატიკა. პროგრამის ორიგინალობა მის ხანგრძლივობაშიც მდგომარეობს. მსმენელს საშუალება ეძლევა პრაქტიკულად ერთ წელიწადში ღრმა აკადემიური ცოდნა მიიღოს. პროგრამის დასასრულს, აბსოლუტურად ყველა მსმენელი 2-კვირიან საერთაშორისო ბიზნეს-რეზიდენტურას გაივლის საფრანგეთში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევროპის გაერთიანების წიაღში მათ საშუალება ექნებათ შეხვდნენ წარმატებულ პრაქტიკოს ბიზნესმენებს, მოისმინონ სემინარები მათთვის აქტუალურ საკითხებზე. ე. წ. მესამე საფეხური, რომლის გავლაც ჩვენს მსმენელებს მოუწევთ, სადიპლომო ნამუშევარი გახლავთ. რა თქმა უნდა, თემის შერჩევისას ისინი საკუთარი ინტერესებით იხელმძღვანელებენ. ხოლო ის სტუდენტები, რომლებიც წარმატებით გაივლიან ჩამოთვლილ სამ საფეხურს, მიიღებენ სამაგისტრო ხარისხის დამადასტურებელ ორ დიპლომს: პირველს გრენობლის ბიზნესის უმაღლესი სკოლისაგან (ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მფლობელისა — **MBA**), კავკასიის ბიზნესის სკოლა კი გასცემს მეორე დიპლომს, რომელიც გახლავთ საერთაშორისო სამაგისტრო ხარისხი მმართველთათვის — **International Executive MBA**. აქვე, კავკასიის სკოლის სამაყოდ მინდა გითხრათ, რომ იგი პირველი სასწავლებელია ამიერკავკასიაში, რომელმაც საერთაშორისო აკრედიტაცია მიიღო „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მენეჯმენტის განვითარების ასოციაციისგან". შესაბამისად, ჩვენ მიერ გაცემული დიპლომი კონვერტირებადია ევროპის ყველა ქვეყანაში, აღარაფერს ვამბობ გრენობლის დიპლომზე, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დიდი აღიარებით სარგებლობს და პირდაპირ მიანიშნებს მისი მფლობელის ღრმა აკადემიურ ცოდნაზე ბიზნესის სფეროში.

***— იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ, როგორია პროგრამის მიხედვით მოდულების თემატური დატვირთვა?***

— პროგრამით გათვალისწინებულია ბიზნესის დისციპლინების მთელი სპექტრი. სკოლაში ისწავლება ისეთი საგნები, როგორიცაა მარკეტინგი, საერთაშორისო მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა, ფინანსები და ეკონომიკა, ინფორმაციის მართვა, სტრატეგიული მენეჯმენტი, ტექნოლოგიათა მენეჯმენტი, ორგანიზაციათა მართვა და ბიზნესის სამართალი. სტუდენტებს საშუალება ექნებათ აირჩიონ გლობალური მენეჯმენტის, მენეჯმენტ-კონსულტანტის ან ბიზნესის შემეცნების სპეციალიზაცია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩამოთვლილი საგნების 75%-ს წაიკითხავენ გრენობლიდან მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები, დარჩენილი საათები კი საქართველოს წამყვან ლექტორებს დაეთმობათ. ეს სამაგისტრო პროგრამა მორგებულია იმ ადამიანებზე, ვისაც აქვს წარმატებები ბიზნესსაქმიანობაში, თუმცა სურთ არ ჩამორჩნენ დროს და საკუთარი აკადემიური ცოდნა ამ სფეროში კიდევ უფრო გაიღრმავონ, რათა კიდევ უფრო ეფექტიანად აწარმოონ თავისი საქმიანობა.

***— რამდენად აქტუალურია ასეთი პროგრამა მსოფლიოს ძლიერ სახელმწიფოებში?***

— მინდა გითხრათ, რომ ყველა წამყვანი კომპანიის ე. წ. შუა და ზედა ფენის მენეჯერები, აუცილებლობად თვლიან, რომ გაიარონ სამაგისტრო პროგრამა მმართველთათვის (**Executive MBA**). მეტიც, ამ პროგრამის გავლა პრივილეგირებულადაც კი ითვლება. მაგალითისთვის გეტყვით, რომ კოლუმბიის უნივერსიტეტში ასეთი პროგრამის დაუფლება, მსმენელს 160.000 დოლარი უჯდება. გარდა იმისა, რომ მსმენელი თეორიულ ცოდნას ეუფლება, არსებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ჯგუფში იკრიბებიან პრაქტიკული ორიენტაციის, საკმაოდ სოლიდური გამოცდილების მქონე ადამიანები, შესაბამისად, ხდება ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა. ბიზნესპროფესიონალისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ლექციის დროს ურთიერთობა ექნება არა უბრალო სტუდენტთან, არამედ ისეთ პროფესიონალთან, ვისთანაც შეუძლია ბიზნესში არსებული პრობლემები განიხილოს ან სარფიანი გარიგება აწარმოოს. მერწმუნეთ, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მსგავსი პროგრამების წყალობით არაერთი საქმიანი ალიანსი შემდგარა, ერთობლივი საწარმო შექმნილა და საინტერესო წამოწყებებს აუღია სტარტი.

***— რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ ის ადამიანები, ვისაც სურს დაეუფლოს ამ პროგრამას?***

— ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამის ნომინალური მოთხოვნა საუნივერსიტეტო საბაზისო განათლება გახლავთ, რაც თანამედროვე განათლების სისტემით ბაკალავრის დიპლომით გამოიხატება. პროექტში მოსახვედრად, მეორე მნიშვნელოვანი მოთხოვნა გახლავთ სულ ცოტა 3-წლიანი გამოცდილება კერძო ბიზნესში ან უმაღლესი ეშელონის მმართველ სტრუქტურაში. ხოლო მესამე მოთხოვნით მსმენელს უნდა შეეძლოს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის დამყარება ინგლისურ ენაზე (იმის გათვალისწინებით, რომ მთელი სასწავლო პროცესი წარიმართება ინგლისურ ენაზე, თარჯიმნის გარეშე). განაცხადის წარდგენა სასურველია რაც შეიძლება ოპერატიულად მოხდეს, რადგან საბოლოო გადაწყვეტილებას მსმენელთა ჩარიცხვაზე გრენობლი იღებს. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მოგვმართონ (ტ. 31-32-25, **E-mail: dualmba@csb.ge**).

***— საინტერესოა, რა თანხით განისაზღვრება სწავლების საფასური?***

— მინდა გითხრათ, რომ გრენობლის დიპლომი უკვე ნიშნავს, რომ მის მფლობელს შეუძლია ბიზნესკარიერა მსოფლიოს ნებისმიერ წამყვან კომპანიაში გააგრძელოს. ასეთი პროგრამის გავლა კი ხსენებულ საგანმანათლებლო ცენტრში 20 ათასი ევრო ღირს. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ გრენობლისა და კავკასიის ბიზნესის სკოლების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ამჯერად ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებს, მისი ღირებულება დასახელებული თანხის ნახევარს არ გადააჭარბებს. აქვე გეტყვით, რომ თანხა ოთხ ნაწილად გაიყოფა და შესაბამისად, მისი ოთხ ეტაპად გადახდა მოხდება. თუმცა ამ პროგრამით მიღებული ცოდნა შეუდარებელი ინვესტიციაა ნებისმიერი კომპანიისთვის, რადგან იზრდება რა ტალანტის შენარჩუნების მაჩვენებელი, იზრდება კომპანიის პროდუქტიულობა და შემოსავლებიც.

***— სად განთავსდება ამ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო ბაზა?***

— კავკასიის სკოლის სტანდარტული სამაგისტრო და ამ ახალი საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამების მმართველთათვის გავწიეთ დამატებითი ინვესტიცია და მსმენელთათვის მათი გაცნობა მოხდება ახალ კეთილმოწყობილ შენობაში, რომელიც საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის მეზობლად მდებარეობს. ეს შენობა აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნოლოგიებით, რაც კიდევ უფრო პროდუქტიულს გახდის სწავლების პროცესს და დარწმუნებული ვართ, რომ მსმენელები სიამოვნებით დაჰყოფენ იქ მათთვის განკუთვნილ დროს. ამასთანავე მინდა გითხრათ, რომ კავკასიის ბიზნესის სკოლას გააჩნია სოლიდური გამოცდილება და თვითმყოფადი ისტორია. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და ჯორჯიის უნივერსიტეტის ხელშეწყობით, ჩვენი სასწავლებლის ბაზაზე კარგა ხანია ფუნქციონირებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ბიზნესის ადმინისტრირებაში. ახლა კი მათივე ხელშეწყობით დავამატეთ სადოქტორო პროგრამა ბიზნესის სპეციალობაში, რაც პირველი პრეცედენტია მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ახლო მომავალში კი კავკასიის ბიზნესის სკოლა გადაინაცვლებს კავკასიის უნივერსიტეტის „ქოლგის" ქვეშ და მთელი ეს განათლების კერა ერთ მასშტაბურ შენობაში განთავსდება.

*ემა ტუხიაშვილი* R

# ლედი ნინო

VOGUE

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გვიამბობს თავის ქვეყანაზე, საკუთარ თავსა და მისი ოჯახის პოლიტიკურ მრწამსზე:**



— ერთხელ, უმცროსმა ვაჟმა მითხრა: — რატომ არ შეიძლება, რომ მეც ჩვეულებრივი დედა მყავდეს? დედებს შვილები სკოლაში მიყავთ, მერე ხვდებიან... მე კი მხოლოდ ტელევიზორში გხედავო. მართალი იყო. შვილებისთვის დრო თითქმის არ მრჩება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველთვის ვიცი, სად არიან და რას აკეთებენ. ზაფხულში კი ვახერხებთ ხოლმე ერთად დასვენებას. ჩემს ოჯახში სრული დემოკრატია სუფევს. რატომღაც მიჩნეულია, რომ ქართულ ოჯახში ქმარი მაგიდაზე მუშტს დაარტყამს და მორჩა — მისი სიტყვა კანონია. მსგავსი რამ ჩვენს ოჯახში არასოდეს ყოფილა.

მეუღლე ჩემი მთავარი საყრდენია. გარდა სიყვარულისა, ერთმანეთს უსაზღვროდ ვცემთ პატივს. ის ძალიან აფასებს ჩემს ნიჭს. დაქორწინების დღიდან მოკიდებული, მუდამ გვერდში მიდგას. რევოლუციის დროს საველე სამხედრო ფორმა ჩაიცვა და წუთით არ მომშორებია. უმცროსი ვაჟიც ჩემს გვერდით იყო მიტინგებზე. უფროსი ინგლისში სწავლობდა. კრიტიკულ მომენტში დამირეკა — უნდა ჩამოვიდე, ყველას შვილი მანდ არის და მე განზე ვერ დავდგებიო. ჩამოფრინდა — მეც დავმშვიდდი.

რატომღაც ფიქრობენ, რომ პოლიტიკა მამაკაცის საქმეა. მაგრამ ქალებმაც ბევრი რამ გააკეთეს პოლიტიკაში და ახლაც აკეთებენ. მეკითხებით, მატრიარქატი ხომ არ დაბრუნდებაო. ეს მამაკაცზეა დამოკიდებული. ჩემთვის მამაკაცი რაინდი, სიტყვისა და საქმის კაცია. მაგრამ ხშირად პოლიტიკოსი მამაკაცები ულირსად იქცევიან. მესმის, რომ ადამიანი იცვლება, შეხედულებებსაც იცვლის, მაგრამ საშინელებაა, როცა გამიზნულად ტყუის, იძლევა სიტყვას, რომელსაც, იცის, რომ ვერ შეასრულებს. ასეთი რამ ქალს შეიძლება ვაპატიო, მაგრამ მამაკაცს — არა. არ მიყვარს უნებისყოფო ადამიანები, მაგრამ თუ უნებისყოფო პოლიტიკური ლიდერია, ეს დიდ ზიანს მოუტანს ქვეყანას.

ქალები ძლიერები არიან, მაგრამ მე არ მომწონს, როცა მამაკაცებს ემსგავსებიან. ვიცი, რომ ვალდებული ვარ, ავიტანო ყოველგვარი დარტყმა. არავის უნდა, მნახოს უმწეო და ფარხმალდაყრილი. თუმცა, არიან ისეთებიც, ვისაც ეს გაახარებს. რატომ უნდა ვასიამოვნო მათ? არასოდეს!

საკუთარ თავს კი ვანიჭებ სიამოვნებას — ისე ვიცვამ, როგორც მე მომწონს. მიყვარს მკაცრი ევროპული მარკები — Eskada, Valentino, Salvatore Farragamo. პროფესია მავალდებულებს, ვიცოდე, სად რა ჩავიცვა. არ შეიძლება ოფიციალურ შეხვედრაზე სათანადოდ ჩაცმული არ მიხვიდე.

ტანსაცმელს ყოველთვის ვენაში ვყიდულობ. ჩვენ მეტად მოსახერხებელი რეისები გვაქვს ვენის გავლით — ბრიუსელში და თუ გრაფიკი მაძლევს საშუალებას, ორ-სამ საათს გამოვძებნი ხოლმე შოპინგისთვის. ეს სასიამოვნოა და აუცილებელიც. მაღაზიაში მარტო შევდივარ, მცველებს გარეთ ვტოვებ. აბა, მათი თანდასწრებით ხომ არ დავიწყებ ტანსაცმლის შერჩევას, ან თმის დავარცხნას.

ხალხს საჭორაო არ გამოელევა. ზოგს ჩემი ვარცხნილობა მოსწონს, ზოგს — არა. ერთნი ფიქრობენ, რომ კოხტად და ფაქიზად უნდა გამოვიყურებოდე, მეორენი ბუზღუნებენ — რაში ხარჯავს ძვირფას დროსო. მაგრამ პოლიტიკოსის ღირსეული სახე ხომ სახელმწიფოებრივი საქმეა? შენ გამო არავინ უნდა შერცხვეს.

როცა რევოლუცია დაიწყო, შინ წავედი, ჩავალაგე ჩემოდანში საჭირო ნივთები და სამი კვირა კაბინეტიდან არ გამოსულვარ. ღრმად რომ არ ჩამძინებოდა, სავარძელში ვიჯექი. ფიზიკურად იმდენად არა, მაგრამ ემოციურად უფრო დავიღალე. ხალხთან გამოვდიოდი დღისითაც და ღამითაც, ყოველ ნახევარ საათში ერთხელ და ყოველთვის ძლიერი და მოწესრიგებული უნდა ვყოფილიყავი, რათა არავის შეემჩნია ის შიში, რომელიც, რასაკვირველია, თვალებში მქონდა. მე უნდა გამეღიმა და ვიღიმებოდი კიდეც.

***(იბეჭდება შემოკლებით)***

# „შესაძლოა აზერბაიჯანელებმა საქართველოდან გასვლა დაიწყონ“

ЭХО

„შესაძლოა აზერბაიჯანელებს საქართველოდან გასვლა მოუხდეთ“, — აცხადებს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნაზიმ იბრაჰიმოვი. საქართველოში აზერბაიჯანული სათვისტომოს პრობლემებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ ზოგიერთი საინფორმაციო საშუალება დამახინჯებულ ინფორმაციას იძლევა საქართველოში აზერბაიჯანელთა ყოფაზე, აზვიადებენ მათ პრობლემებს. თუმცა პრობლემები არის და გულხელის დაკრეფა ცუდ ნაყოფს გამოიღებს. „ყველას გვახსოვს, რომ სწორედ აზერბაიჯანული ხელისუფლების უმოქმედობამ გამოიწვია 1988 წელს სომხეთიდან აზერბაიჯანელთა გამოდევნა. პრობლემების გამწვავებამ შეიძლება ქართველი აზერბაიჯანელები ლტოლვილებად აქციოს. ქვეყანაში ისედაც მილიონი დევნილია, წარმოიდგინეთ, რა მოხდება საქართველოდან 500 ათასი კაცი რომ დაიძრას, — თქვა იბრაჰიმოვმა და დასძინა, რომ ამ პრობლემის გადასაწყვეტად შემუშავებული აქვს 82-პუნქტიანი დოკუმენტი, რომელიც მინისტრთა კაბინეტს წარუდგინა განსახილველად, — ვიცით, რომ საქართველოში ცხოვრების დონე სახარბიელო არ არის — უმუშევრობა, უსინათლობა და სხვა სოციალური პრობლემები ეხება არა მარტო აზერბაიჯანელებს, არამედ საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებსაც. მედია ხშირად აღნიშნავს, საქართველოს სომხებით დასახლებული რაიონები გაცილებით უკეთ ცხოვრობენო. ამის ახსნა შეიძლება. იქაური სომხები გამომწვევად იქცევიან, ჯავახეთის საქართველოდან გამოყოფას ითხოვენ, ამიტომ მთავრობა, უპირველესად, ამ რეგიონის სოციალური პირობების მოგვარებას ცდილობს. ჩვენები კი, ყოველთვის დუმდნენ, რადგან ემუქრებოდნენ — გაჩუმდით, თორემ უარესი დაგემართებათო.“

ჟურნალისტებმა იბრაჰიმოვს შეახსენეს, რომ წინა არჩევნებზე, რომელსაც „ვარდების რევოლუცია“ მოჰყვა, სწორედ ოფიციალური ბაქო არწმუნებდა ქვემო ქართლში ჩვენს თანამემამულეებს, შევარდნაძეს მიეცით ხმაო, რაც აასრულეს კიდეც. უსაყვედურეს, — სწორედ თქვენი კომიტეტის მეცადინეობით მოხდა განხეთქილება ერთ დროს ერთიან აზერბაიჯანულ დიასპორაშიო, რაზეც იბრაჰიმოვმა უპასუხა: — დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად საქართველოში ნაციონალისტური პოლიტიკა დამკვიდრდა, ეთნიკური უმცირესობისადმი დამოკიდებულება აგრესიული გახდა და ისინი საზოგადოებრივ პროცესებს მოსწყვიტეს. შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აზერბაიჯანელებს იმედი ჩაესახათ და თავად მისცეს მას ხმა. აღმოსავლეთ საქართველოში ბევრი ისტორიული აზერბაიჯანული მიწაა, მაგრამ ჩვენ ამ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას ვცემთ პატივს და პრეტენზიებს არ ვუყენებთო.

მისი აზრით, ბევრ პრობლემაში, რასაც აზერბაიჯანელები აწყდებიან, თავად არიან დამნაშავენი — არ ცდილობენ სახელმწიფო ენის შესწავლას. არც ერთმა დეპუტატობის კანდიდატმა არ იცოდა ქართული. როცა მიწების იჯარით გადაცემის პროცესი დაიწყო, ადგილობრივმა აზერბაიჯანელებმა საჭირო ქაღალდების გაფორმებაც კი ვერ შეძლეს, რის გამოც ქვემო ქართლის მიწების უმეტესობა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა ქართველებმა აიღეს იჯარით. „ჩვენ სათვისტომოების ერთიანობის წინააღმდეგი არა ვართ. პირიქით, როცა საქართველოში პირველად ჩავედი, იქ 17 აზერბაიჯანული ორგანიზაცია მოქმედებდა. მათი გაერთიანება მოვინდომეთ. გაზეთმა „აზადლიგმა“ მაშინვე განგაში ატეხა — სახელმწიფო კომიტეტი ქართველ აზერბაიჯანელებს სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებსო. ეს ტყუილია. ჩვენ ვცდილობთ, თანამემამულეებს პრობლემების მოგვარებაში დავეხმაროთ. ფაქტია, რომ საქართველოში აზერბაიჯანელებს მიზანმიმართულად არ ავიწროებენ. კრიმინალურ შემთხვევებს კი აზერბაიჯანელები ნაციონალური ნიშნით ზეწოლად აღიქვამენ. თუ მოკლე ხანში სიტუაციას არ შევცვლით, შესაძლოა აზერბაიჯანელებმა საქართველოდან გასვლა დაიწყონ. ამიტომაც ვაპირებთ მჭიდრო თანამშრომლობას საქართველოს ხელისუფლებასთან.“

# საქართველოში „დემოკრატიის ჯიხური“ მიხურეს



VESTI.RU

საქართველოში დიდი სკანდალია ატეხილი: ერთ-ერთი ოპოზიციური ტელეკომპანიის ხელმძღვანელი ფულის გამოძალვაში არის დადანაშაულებული. „ცნობილი მოვლენების გამო არხი საგანგებო რეჟიმში მუშაობს“, — იუწყება ტელეკომპანია „202“-ის ეთერი. „ცნობილ მოვლენებში“ კი იგულისხმება არხის დამფუძნებლისა და პოლიტიკური ტოქშოუ „დებატების“ წამყვანის, შალვა რამიშვილისა და გენერალური დირექტორის დავით კოხრეიძის დაჭერა. რამიშვილი მაშინ დაიჭირეს, როცა საქართველოს პრეზიდენტის სააკაშვილის უახლოესი თანამებრძოლისგან, პარლამენტარ კობა ბექაურისგან, დოლარებს იღებდა. სანაცვლოდ კი ჰპირდებოდა, შენს მაკომპრომეტირებელ ფილმს ეკრანზე არ გავუშვებო. ფულის გადაცემა ბექაურმა ფარული კამერით გადაიღო.

შალვა რამიშვილს წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს. სასამართლოზე ჟურნალისტმა განაცხადა, რომ ეს ყოველივე საქართველოს ხელისუფლების მიერ დაგეგმილი პროვოკაცია იყო. „მე ვაწარმოებდი გამოძიებას, თუ რამდენს გადაიხდიდა ბექაური თავისი კორუმპირებულობის დასაფარავად და ამ ეპიზოდის ჩართვას ვაპირებდი ჩემს ფილმში“, — თქვა მან.

პროგრამა „დებატები“ ხელისუფლების, კერძოდ კი, პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ მძაფრი კრიტიკით გამოირჩეოდა, რამიშვილი დაუფარავად ლაპარაკობდა საქართველოს ყველაზე ტაბუდადებულ თემებზე. სწორედ ამ არხმა უჩვენა ფილმი ზურაბ ჟვანიას დაღუპვის შესახებ, სადაც ეჭვქვეშ დგებოდა პრემიერ-მინისტრის სიკვდილის ოფიციალური ვერსია. რამიშვილის სასამართლოს დაღუპული პრემიერის ძმა, გიორგი ჟვანიაც ესწრებოდა. მისი აზრით, ჟურნალისტი მედიის თავისუფლებას ეწირება.

„ეს სატელევიზიო არხი ყველაზე ოპოზიციური და სიმართლის მთქმელი იყო, მთავრობას დიდი ხანია მისი დახურვა უნდოდა და პროვოკაციაზე წავიდა“, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა კობა დავითაშვილმა. რამიშვილის ახსნა-განმარტებები იმის შესახებ, რომ ქრთამი არ აუღია, ბევრ ტელემაყურებელს არადამაჯერებლად მიაჩნია. ისინი ამბობენ, რომ ასეთი ფაქტის შემდეგ დამოუკიდებელი მედიის ნდობა დაკარგეს.

„ქართული დემოკრატიის ჯიხური“ — ასე უწოდებდა თავის გადაცემას ჟურნალისტი რამიშვილი, — მიხურეს. მოკლე ხანში, ალბათ, თვით ტელეარხის არსებობაც საჭოჭმანო გახდება.

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***

# ვლადიმირ პუტინი დსთ-ის რეფორმირებას ცდილობს

Le Monde

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა დაშლას გადაარჩინა. არადა ამის საშიშროება საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ ჯერ კიდევ აგვისტოს დასაწყისში შექმნეს, როცა რეგიონული გაერთიანების პროექტი „დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობა“ წარადგინეს. როგორც კარგ დიპლომატს შეეფერება, მიხეილ სააკაშვილმა სამიტზე, თავის გამოსვლაში განმარტა, რომ ბორჯომში მიღებული ერთობლივი დეკლარაცია რუსეთის საწინააღმდეგო არ არის და არც დსთ-ის ალტერნატიულია. „დსთ-ს პრობლემები აქვს და საჭიროა მათი გადაწყვეტა, რათა უფრო ეფექტიან ორგანიზაციად გადაიქცეს“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

უფრო თავშეკავებულმა ვიქტორ იუშჩენკომაც შემრიგებლური ტონი არჩია. დიდი ჭოჭმანის შემდეგ უკრაინის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა მოსკოვს, ასტანასა და მინსკს შორის ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის დეკლარაციას. მაგრამ ხაზგასმით განაცხადა, რომ უკრაინის მთავარი მიზანი არის ევროპულ კავშირთან დაახლოება.

უეჭველია, რომ დსთ-ის ეკონომიკური კავშირიდან გასვლის კანდიდატები მიხვდნენ, რას დაკარგავდნენ მოსკოვთან განხეთქილებით, რომელიც დღითი დღე მდიდრდება მსოფლიო ბაზარზე ნავთობის გაძვირებით. „ნარინჯისფერი რევოლუციების“ შემდეგ მოსკოვმა გადაწყვიტა, მეზობლებს გაზი გაუძვიროს. აშკარაა, რომ სწორედ ამის გამო გახდნენ რევოლუციონერები ასეთი დამყოლნი.





# ალმა მატერი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სკოლა და მრავალპროფილიანი კოლეჯი აცხადებს მიღებას

**სკოლის სპეციალიზებულ ჯგუფებში:**

ინგლისური ენა, გერმანული ენა, სამართალმცოდნეობა, ეკონომიკა და ბიზნესი, ქიმია-ბიოლოგია, ჟურნალისტიკა.

მაღალკვალიფიციური პედაგოგთა კორპუსი, უახლესი ტექნოლოგიები, მაღალკომფორტული გარემო განაპირობებს მოსწავლეებში სწავლისადმი გონივრული მოტივაციის ფორმირებას და, შესაბამისად, მაღალ აკადემიურ მოსწრებას, ამასთან, მათ მომზადებას ეროვნული გამოცდებისათვის. სკოლაში ხორციელდება აშშ რიზეთის აკადემიასთან ერთობლივი პროგრამა, რომლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულები მიიღებენ რიზეთის აკადემიის ატესტატს.

მსურველები გაიგზავნებიან როგორც ენის შემსწავლელ საზაფხულო სკოლაში, საზღვარგარეთ, ისე შეერთებულ შტატებში დამამთავრებელი წლის სრული კურსის გასავლელად და მიიღებენ შესაბამის ატესტატს.

სკოლაში მიიღებიან მოსწავლეები ცხრა კლასის ატესტატით.

**კოლეჯის შემდეგ სპეციალობებზე:**

სამართალმცოდნეობა; ორთოპედიული სტომატოლოგია; ფინანსები; ტურიზმის მენეჯმენტი; ტელერეჟისორის ასისტენტი; ტელეოპერატორი; ფარმაცია; ფინანსები; საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი, ანალიზი და კონტროლი.

უახლესი პედაგოგიური ტექნოლოგიები,თანამედროვე ტიპის სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების აღზრდას, მეორე მხრივ, მათ მომზადებას ეროვნული გამოცდებისათვის. მოსწავლეებს ფართო არჩევანი აქვთ საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობისათვის. კოლეჯის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულები მიიღებენ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს არჩეული სპეციალობის მიხედვით.

კოლეჯში მიიღებიან როგორც ცხრაკლასდამთავრებული მოსწავლეები, ისე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები.

მის: თბილისი, ჯანო ბაგრატიონის №6
ტელ: 38-44-06; ფაქსი: 25-19-81

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები გვიითხრობენ

ერთხელ ბებომ **მარიამს** ბინის ფანჯრიდან ქუჩაში მიმავალი მანქანა დაანახვა:

— მარიამ, ეს არის ავტომანქანა „ნივა“ (იმ დღეებში მარიამი ტელევიზიით „იღბლიანი დარტყის“ გათამაშებას უყურებდა და სულ ერთი და იგივე ესმოდა). მარიამმა ეს რომ გაიგონა, ბებოს ჰკითხა:

— ბებო, იღბლიანი დარტყმა შიგ ზის?

***

ერთ დილას, 3 წლის **ანანომ** ტირილით გაიღვიძა და ძიძას შესტირა:

— ია დეიდა! ავად ვარ, სიცხე მაქვს. ვერიკო ექიმი რომ მოვა, კარი არ გაუღოთ, „გლაზოკიდან“ მიეცით ფული და წავიდეს.

***

3 წლის **ხათუნა ფეიქრიშვილის** ბიძა ბორჯომში გაემგზავრა.

— მერე კოკა-კოლაში წავა? — იკითხა ხათუნამ.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„მიწისქვეშა ცხოველია, ბრმა არის და მეტად წყნარი, ჭია-მატლებს მარჯვედ ხოცავს, არის ბოსტნის მეგობარი“.**




## ვისაუბროთ სწორად!

| | | |
|---|---|---|
| სიმპათიური | და არა | ~~სიმპატიური~~ |
| სთხოვს | და არა | ~~თხოვს~~ |
| ტრავმა | და არა | ~~ტრამვა~~ |
| ხვრეტს | და არა | ~~ხვრიტავს~~ |
| ჰალვა | და არა | ~~ხალვა~~ |

II რომელია ზედმეტი?



### ზღაპრები

## ხარბი დათუნიები

ტყეში კურდღლებმა საქანელა ჩამოაბეს ხეზე, არხეინად ქანაობდნენ, თან მღეროდნენ. დათუნიებმა სიმღერა რომ გაიგონეს, მოირბინეს და ყურცქვიტებს ცქერა დაუწყეს.

— მოდი ერთი, ისინი ჩამოვყაროთ და ჩვენ ვიქანაოთ! — უთხრა უფროსმა დათუნიამ უმცროსს.

— აბა, აქედან წაეთრიეთ, თვალით აღარ დაგვენახვოთ, თქვენმა სიმღერამ ყურები გამოგვიჭედა! — ებურდღუნებოდნენ დათუნიები და თათებს უბარტყუნებდნენ.

ჩამოყარეს ძირს საწყლები, შესხდნენ საქანელაზე და გაქანდნენ და გამოქანდნენ. საბრალო კურდღლები კი იქვე ჩაცუცქულიყვნენ და იცრემლებოდნენ.

უცბად საქანელა გაწყდა და დათუნიებმა ძირს მოადინეს ბრაგვანი. კურდღლების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— აბა, რა გეგონათ, ძალადობა შეგრჩებოდათ, ხარბებს და შურიანებს ასე მოუხდებათო! — მიაძახეს ყურცქვიტებმა.

## ბუზი და ჭიანჭველა

ერთხელ ბუზმა ჰკითხა ჭიანჭველას:

— რა არის, რომ მუდამ ასე ჩუმად დადიხარ და ხმას არ იღებ?

— რა ვქნა, ძმაო, ხომ ხედავ, ვმუშაობ... შენ რაღას აკეთებ?

— როგორ თუ რას ვაკეთებ, არ გესმის, რომ ვბზუი?

— ბზუილი კი მესმის, მაგრამ შენს გაკეთებულს ვერაფერს ვხედავო, — მიუგო ჭიანჭველამ.

*ქუქური გოგიაშვილი*




**„კვირის პალიტრის“ „ზღაპრების სახლმა“ უკვე 55-ზე მეტი ქართული და უცხოური ზღაპარი გამოსცა. შეამოწმეთ, არის თუ არა ყველა ზღაპარი თქვენს კოლექციაში. ის ზღაპრები, რომლებიც წაკითხული გაქვთ, აღნიშნეთ ასე — ⊕ და სია აჩვენეთ მშობლებს:**

1. მელია და მწყერჩიტა
2. ქალთევზა
3. ნაცარქექია
4. მძინარე მზეთუნახავი
5. კომბლე
6. ირმისა
7. ჩიპოლინო
8. წითელქუდა
9. ფიფქია და შვიდი ჯუჯა
10. ხუთკუნჭულა
11. მაკნაზუნა
12. თოვლის დედოფალი
13. ბრემენელი მუსიკოსები
14. ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი
15. სამი გოჭი
16. თორმეტი თვე
17. სიზმარა
18. მაუგლი
19. ჩექმებიანი კატა
20. მგელი და შვიდი თიკანი
21. ნამცეცა
22. ნახევარქათამა
23. სამი ფორთოხალი
24. გოგონა და ურჩხული
25. წიქარა
26. ალადინი
27. ღორების მწყემსი
28. მძლეთამძლე
29. ქორჩილა რიკე
30. უფლისწული ბაყაყი
31. ბულბული
32. რიკი-ტიკი-ტავი
33. კონკია
34. მახინჯი იხვის ჭუკი
35. კატა, მამალი და მელა
36. ცეროდენა
37. გაუცინარი პრინცესა
38. ველური გედები
39. გაქვავებული სამეფო
40. გოგონა და სამი დათვი
41. წითელი ფეხსაცმელები
42. მოჯადოებული კატა
43. მეჩონგურე
44. თხისყურებიანი მეფე
45. ბურატინოს თავგადასავალი
46. ლომი და კურდღელი
47. მოჯადოებული ტყე
48. არვიცის ამბავი
49. ჯიუტი სილუკა
50. შრომის ფასი
51. ვარსკვლავბიჭუნა
52. გენერალი ფანტა-გირო
53. კოკროჭინა
54. სამი და
55. ზარმაცი მზეთუნახავი
56. ასფურცელა

**ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები 1 ლარი და 20 თეთრი ღირს**

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

## იპოვე 10 განსხვავება



პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*






## III აბა, გამოიცანი

**1. ვინ არის ავტორი პოემისა „ბასიანის ბრძოლა“?**

ა) ილია ჭავჭავაძე; ბ) ნიკოლოზ ბარათაშვილი; გ) ლადო ასათიანი; დ) გრიგოლ ორბელიანი.

**2. ვისი სახელობისაა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი?**

ა) ვანო სარაჯიშვილის; ბ) ზაქარია ფალიაშვილის; გ) ვიქტორ დოლიძის; დ) ვახტანგ ჭაბუკიანის.

**3. რომელი ქართველი მეფე დასვეს ტახტზე 11 წლის ასაკში?**

ა) დავით აღმაშენებელი; ბ) დემეტრე II; გ) თამარი; დ) ბაგრატ IV.

**4. რომელი დაავადება არ არის გადამდები?**

ა) ბოტკინი; ბ) ყბაყურა; გ) წითელა; დ) რადიკულიტი.

მეცამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველო თავისი ძლიერების მწვერვალზეა. ასწლეულების მანძილზე თავდაუზოგავმა ბრძოლამ და ქვეყნის აღმშენებისადმი სწრაფვამ შედეგი გამოიღო. არ იყო ქვეყანა არც სამეზობლოში და არც უფრო შორს, ოდნავ მაინც რომ გასცდენოდა მის სიდიადეს. როგორც პოეტი იტყვის, „...საქართველოს ჰყოლია ვასლები, თამარს უკრეფია სულ ოქროს ვაშლები". არაკად ქცეული შამქორისა და ბასიანის შემდგომ საზღვარს გადაღმა ძლევამოსილი ლაშქრობებიც მოეწყო... ჯერ იყო და ტრაპიზონ–სამსუნ–ჰერაკლიას სანახები მოინარცხლეს ქართველმა რაინდებმა. მერმედ ამისა — მანამდე გაუგონარი და არნახული ლაშქრობა ირანის შუაგულამდე: თავრიზ–ყაზვინ–ზენჯანიდან უხვად დატვირთულნი დაბრუნდნენ.

მაგრამ როგორც დრომ აჩვენა, „ახალ ბიზანტიად გამზადებულ" უძლიერეს ქვეყანას თვალით დაუნახავი და შეუმჩნეველი ბზარიც შეპარვოდა... ამას ისიც დაერთო, რომ მოულოდნელად ტაბახმელაში გარდაიცვალა სხივმოსილი მეფეთ მეფე თამარი. საქართველოს ტახტის ერთპიროვნული მპყრობელი გახდა მისი და დავით სოსლანის ვაჟი, გიორგი მეოთხე ანუ ლაშა–გიორგი (1213–1223). სახელი ლაშა ზედწოდება იყო და აფხაზთა ენაზე „განმანათლებელს სოფლისას" ნიშნავდა. ტაბახმელაში დაბადებული „ნანინანატრი" მემკვიდრე ჭაბუკობაში შესულიყო. ბოლო დროს დამკვიდრებული ტრადიციით, 1207 წელს სახელოვანი დედის თანამესაყდრედ გამოცხადდა. მეფობისთვისაც თანდათანობით ამზადებდნენ. და აი, ოცი წლის ჭაბუკი უძლიერესი სახელმწიფოს მეფე გახდა.

# მანათობელი ქვეყნისა — ლაშა-გიორგი

## უპირველესად იყო განძა...

მთელი კავკასია და წინა აზია გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს საქართველოში მიმდინარე პროცესებს. განსაკუთრებული „იმედით ალიჭურვენ" ქვენაგამხედვარე ყმადნაფიცები. როგორც ყოველთვის, „პირველობა" არავის დაუთმო განძის ათაბაგმა. ურჩობა გამოაცხადა. ძალზე საპასუხისმგებლო მომენტი დადგა. როგორც ხდება ხოლმე, მოხარკეთაგან ბევრი შედეგს დაელოდა, რათა მერე ერთად აშლილიყვნენ.

ამის თავიდან ასაცილებლად განძელთა სამაგალითოდ დასჯა იყო უცილობელი. გულდინჯად მიმართა ლაშა-გიორგიმ მოწვეულ დარბაზს. ლაშქრის შეკრებაც ბრძანა — ამიერ და იმიერ. ველარ გაბედა განძის ათაბაგმა პირისპირ შებმა, თავისი სამფლობელო ლაშა გიორგის სპას მიანება საალაფოდ, თავად კი მთავარი ძალებით ციხე-ქალაქს შეიკეტა. ხანგრძლივი და უჩვეულო ალყა იწყებოდა. დროდადრო გამოვიდოდნენ განძიდან მცირერიცხოვან გუნდებად განთქმული მეომარ-ფალავნები. გაიმართებოდა ურჩეულესთა შერკინებანი, ხან ერთი მხარე იმარჯვებდა, ხან მეორე. გაბეზრდა ლაშქარი და მეფეც. და აი, მიიღო კიდეც პირველი დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, თუმცა კი სარისკო ერთობ — სარდლების დაუკითხავად გამოარჩია ოთხი ათასი რჩეული ვაჟკაცი, უმეტეს მესხნი და დაიწყო ქალაქის გარს შემოვლა. „ფიცხელ ომში" გამოიწვია განძელნი.

რა ნახეს განძელთ ქართველი მეფე მცირე რაზმით, გახსნეს ციხის კარები მტკვრის ჩაყოლებით და ათი ათასი მხედარი „ვითარ მხეცნი ზედა მიუხდეს". სწორედ ამას ელოდა ლაშა გიორგი. წინასწარ გამორჩეული წინამძღოლები იახლა თან — თავისივე ტოლნი ბიბილა გურკელი, ყვარყვარე ჯაყელის ძე ბექა და ბოცო ჯაყელის ძე, თავადაც ბოცო. არნახული გააფთრებით ეკვეთნენ განძის ციხეში გამაგრებულთ. უშიშრობის მაგალითს მეფე იძლეოდა. მკლავიც მაგარი ჰქონდა „თამარის ძეს" და მახვილსაც რიგიანად იქნევდა! შედრკნენ განძელნი და თავისივე კარიბჭეს მიაწყდნენ. ულმობელ ხმალთაკვეთაში მცირეოდენმა თუ შეასწრო ქალაქში. „უმრავლესნი ტყვე ყვეს და ზოგი მოსრნეს", — წერდა მემატიანე. შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა ჭაბუკმა მეფემ, — დაგეგმილი, გამოზომილი და ამავდროულად რისკიანი.

ახალგაზრდა მეფის სარდალთაგან დაუკითხავად გადადგმულმა სახიფათო ნაბიჯმა (თუმცა კი გამარჯვების მომტანმა) შელახა დიდებულთა პატივი. იუკადრისეს... მცირე ხნით ადრე, გამძვინვარებული ბრძოლის მიწურულს ძირითადი ლაშქრით გაეშურნენ მეფის დასახმარებლად. იქნებ იმიტომაც, მეფისთვის რომ ეჩვენებინათ, უჩვენოდ ვით გაიმარჯვებო. არადა, ბრძოლა უკვე გადაეხადა ჭაბუკ მეფეს და მილოცვის ნაცვლად საყვედურით აავსეს უკითხაობისა და სამხედრო წესების დარღვევისათვის. ისიც ცუდად ენიშნათ, ვაითუ სამომავლოდ მეფე თავის თანამოასაკეებს ენდოს მხოლოდო. „განაწყენებულთა" თავში ივანე მხარგრძელი იყო, რომელმაც თამარს მეფობის ბოლოს ათაბაგობა „გამოსტყუა".

— მეორედ თუ ასეთი რამ მოხდება, აღარც სალაშქროდ გამოვალთ და აღარც შენს კარზე ვიმსახურებთო, — შეჰკადრეს მეფეს.

გონივრული თავდაჭერილობა და ტაქტი გამოიჩინა მეფემ, მსწრაფლ ჩამოხდა ცხენიდან და „უმეცრებით ქმნულისათვის შენდობა ითხოვა".

ეს იყო ლაშა-გიორგის პირველი უკანდახევა გულზვიადი დიდებულების მიმართ.

განძისა და მისი ათაბაგის ბედი კი გადაწყვეტილი იყო. სინანული და პატიება გახლდათ გამოსავალი. მეფემაც შეიწყნარა და ყმადნაფიცობის პირობით განძა კვლავ საქართველოს ფრთებქვეშ დარჩა. განძა დიდი გაკვეთილი იყო სხვა ყმადნაფიცებისთვის, რომელნიც დიდის გულის მიყურადებით ელოდნენ „განძელთა ამბის" გასრულებას.

განძელთა ამბავი სამაგალითო აღმოჩნდა სხვა ქვეყნებისთვისაც. სადაც მაგალითი არ ჭრიდა, იქ ხმალი კვეთავდა. და ასე, სამხრეთის სამანებისკენ „მეფემან აილო ოროტნი და ყოველნი ციხენი და მიმდგომი მისნი", ვიდრე ნახჭევანამდე. „მოწვა და მოარბია ხლათის ქვეყანა. „შემოეხვეწნენ" ხლათელები და ძლევამოსილმა მეფემ შეუცოდველობის პირობით ზავი აღუდგინა. „შემოეხუენა კარნუქალაქი მოყვარად და ერთგულად სახლსა მისისა"...

შემდგომად, შალვა ახალციხელის, ამ უებრო მეომრისა და ვაჟკაცის მეოხებით კეჩროლიც შემოიმტკიცეს და ამით, დიდი თამარისეული საზღვრები საქართველოს გავლენისა უკლებლივ აღდგა.

## „თავისუფალი ბნე" მეფისა

გამორჩეული გარეგნობის, აღნაგობისა და ბუნებისა ყოფილა ლაშა-გიორგი. „ყვავილი ყოველთა ფერთაგან შემკობილი, ლომი ძალითა და უმანკო გონებითა... მშვილდოსანი და ცხენოსანი გულოვანი, შემმართებელი... დაჭირვებულთა განმკითხველი, ბჭე და მოსამართლე"... ასე ახასიათებს მეფეს ლაშას დროინდელი მემატიანე.



გიორგი IV ლაშა (ბერთუბანი)

სულ სხვა განწყობით მოგვითხრობს ასი წლის შემდგომ იმავე ამბებს კალმისა და აზრის შესანიშნავი ოსტატი, რომელიც „ჟამთააღმწერლის" სახელით არის ცნობილი. საქართველოს შემდგომი დამცრობის დასაწყისად იგი ბევრ ფაქტორთან ერთად ლაშასა და მისი დის, რუსუდანის „ნაკლულოვანებასაც" მიიჩნევს...

ლაშა გიორგის დახასიათებისას ჟამთააღმწერელი არაფერს უკარგავს მეფეს: „ტანითა ძლიერ, მხნედ მოისარი... უხვი და არავისთვის მოშურნე, მლოცველი, მმარხველი, განმკითხავი და მოწყალე... გოლიათი მკლავითა სვიანითა და ხელითა გოლიათითა..." ვერაფერს იტყვი, მშვენივრად შეუმკია. მაგრამ ერთ ადგილას, სადაც დადებით თვისებებს კვლავ იმეორებს, თავისი თვალთახედვით მანკიერ მხარეთაც ჩამოთვლის მეფისას: „იყო ესე ლაშა-გიორგი მხნე, ახოვანი, ძლიერი, ლალი... ამპარტავანი, თავხედი, თვითბუნება, ვითარცა მითქუამს, უხვი, სახიობის მოყუარე, ღვინის მოყურე და გემოთ მოყუარე..."

ამპარტავნობას, თავხედობას და თვითბუნებას რომ მანკიერად უთვლის მემატიანე, გასაგებია, მაგრამ სილაღეს და სახიობის მოყვარეობასაც რომ ზედ მიაყოლებს, ეს კი საკამათო გამხდარა იმ ჟამიდან დაწყებული. განსაკუთრებით ვერ აპატიეს მეფეს ე. წ. რინდებთან ურთიერთობა. ვინ იყვნენ რინდები? თუ ლექსიკონის მიხედვით პირდაპირ განვსაზღვრავთ მის მნიშვნელობას, რინდი სპარსული სიტყვაა და „ლოთს", „მსმელს" ნიშნავს. მათთან ურთიერთობის დროს მეფეს ცალი თვალიც დაუზიანებია. ტრადიციული წესისა და რიგის დამცველი მემატიანე აღნიშნავს: „...ოდესმე მსმელი ფრიადისა ღვინისა თაფლუჭისა, ტფილისს მყოფი, წარიყვანეს რინდთა თანა, რათა მუნ განიძლონ სიბილწე თვისი. ხოლო რინდნი, მეფისა მისლვასა არა მგონებელნი და ღვინით უცნობო-ქმნილნი, ზედა მიეტევნეს მგუემელნი ძლიერად ვიდრემდე ერთიცა თუალი მარჯუენე ხედვისაგან უხელვო ყვეს".

მეორე მხრივ, რინდები ერთგვარი ოპოზიცია გახლდათ ფეოდალური არისტოკრატიის მძლავრობის მიმართ. ესენი იყვნენ საქალაქო წრის წარმომადგენელნი, რომელნიც ხშირად მონაწილეობდნენ გაბატონებულ არისტოკრატთა წინააღმდეგ მიმართულ სოციალურ მოძრაობებში. ამიტომაც ვერ აუტანია ჟამთააღმწერელს მეფის სიახლოვე მათთან და ყველა შემდგომი უბედურების სათავეს აქ ეძიებს.

არადა, არც მთლად ასეა საქმე.. ბოლო გამოკვლევებით დასტურდება, რომ რინდები სულ სხვა ხალხი ყოფილან. რინდობა გახლდათ ფილოსოფიურ-ეთიკური მიმდინარეობა, რომლის წევრებიც რაინდობას, მიჯნურობას, პატიოსნებას, სიამაყესა და კეთილშობილებას ქადაგებდნენ. არადა, თვით ჟამთააღმწერლის თანამედროვე, მეთოთხმეტე საუკუნის გამოჩენილი სპარსი პოეტი ჰაფეზიც რინდი ყოფილა!

ლაშა გიორგიც ხომ ჰუმანისტურ იდეებზე აღიზარდა. თავისუფალი რწმენისა და აზროვნებისა იყო. ეგეც რომ არ იყოს, რინდების მაჰმადიანობა არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენდა დავით აღმაშენებლის შთამომავლისათვის...

## ამბავი სევდიანი სიყვარულისა

ლაშა-გიორგი მეფეთაგან წარმოუდგენელი სიყვარულის ერთგული დარჩა. სწორედ ეს სიყვარული გახდა შემდგომში მისი არაერთგზის განქიქების წყარო. ამ ამბავს სხვადასხვა ეპოქის მემატიანენიც სხვადასხვაგვარად გადმოგვცემენ. ლაშას დროინდელ მემატიანეს ამაზე, ვფიქრობთ, შეგნებულად არაფერი აქვს ნათქვამი. ჟამთააღმწერელი კი დაწვრილებით გადმოგვცემს და თავის გამკიცხველ პოზიციასაც მოაყოლებს.

...თავისი დიდი წინაპრის, დავით აღმაშენებლის მსგავსად, ლაშასაც ჩვევად ჰქონია დაეხედა ქვეშევრდომთათვის დროდადრო. კახეთში, ველისციხეში მოგზაურობის დროს ერთ ულამაზეს ასულს გადაჰყრია. გადაჰყრია და... დიდი სიყვარულიც სწვევია. სხვა დროს და სხვა გარემოებაში სიყვარულის წინააღმდეგი ვინ იქნებოდა, მაგრამ საქმე საქართველოს მეფეს ეხებოდა. ჯერ ერთი, ველისციხელი ასული გათხოვილი იყო და მეორეც, თავისი ქვეშევრდომის შერთვაც საუკუნეებით დამკვიდრებული წესით და რიგით მეფეს არ შეეძლო!

ცხადია, ეს ყველაფერი მშვენივრად უწყოდა ლაშა-გიორგიმ. მაგრამ იმდენად ძლიერი აღმოჩნდა ჭაბუკი ხელმწიფის ტრფობა, რომ თავის სულსა და გრძნობას თავისუფლება მისცა...

შვილიც შეეძინათ ჯვარდაუწერლებს, — დავითი. დიდი განსაცდელი და ქარტეხილი გარდახდა შემდგომ, რომ ბოლოს საქართველოს მეფედ, დავით მეშვიდედ (ულუ) ელიარებინათ...

მანამდე კი... აიჯაგრნენ დიდებულები, შეშფოთდა ეკლესია ამ გაუგონარი ამბის შეტყობით. თავიდან დროებით ამბად ჩათვალეს, — რომელ მეფეს არ შემთხვევია მსგავსი რამ, რომელს არ სწვევია „საიდუმლო სიყვარული"...

არ გამართლდა დიდგვაროვანთა მოლოდინი და იმედი, არ გაუცივდა გული და არ გაუნელდა სიყვარული მეფეს. მაშინ კი, „შეკრბეს კათალიკოსნი, ეპისკოპოსნი და ვაზირნი" და მოსთხოვეს მეფეს უღირსი ქალის გატევება: „არა ჯერ არს, რათა მხევალი გესვას და არა ცოლი!.." ველარა გააწყო ლაშა-გიორგიმ, ვერ დასძალა საუკუნოვანი წესი და რიგი: „წარგვარეს ქალი იგი, დედა დავითისი და ქმარსავე მისსა მისცეს". მეფემ კი თავისი უღალატობა იმითღა გამოხატა, რომ ამის შემდგომად ცოლი აღარ შეურთავს, დიდი სიყვარულის ერთგული დარჩა და „ეგო უქორწინებლად".

არ გამართლდა დიდგვაროვანთა მოლოდინი და იმედი, არ გაუცივდა გული და არ გაუნელდა სიყვარული მეფეს. მაშინ კი, „შეკრბეს კათალიკოსნი, ეპისკოპოსნი და ვაზირნი" და მოსთხოვეს მეფეს უღირსი ქალის გატევება: „არა ჯერ არს, რათა მხევალი გესვას და არა ცოლი!.." ველარა გააწყო ლაშა-გიორგიმ, ვერ დასძალა საუკუნოვანი წესი და რიგი: „წარგვარეს ქალი იგი, დედა დავითისი და ქმარსავე მისსა მისცეს". მეფემ კი თავისი უღალატობა იმითღა გამოხატა, რომ ამის შემდგომად ცოლი აღარ შეურთავს, დიდი სიყვარულის ერთგული დარჩა და „ეგო უქორწინებლად".

ეს ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს ასე, რომელიც კილავს და კიცხავს მეფეს ასეთი „ამჩატებისათვის" და ეს ამბავიც საქართველოს შემდგომი დროის ყველა უბედურების ერთ-ერთ უმთავრეს გამომწვევ რგოლად მიაჩნია.

მოგვიანებით მეფის ამ სიყვარულს სხვაგვარად წარმოაჩენს იოანე ბატონიშვილი. თავის „კალმასობაში" იგი აღწერს, რომ მეფეს უმშვენიერესი ასული ჭერემში უხილავს საეკლესიო დღესასწაულზე... არც გათხოვილი ყოფილა იგი, ჯერ მხოლოდ უპირებდნენ თურმე ველისციხეში გათხოვებას... არც უწუგეშოდ მდაბიო ყოფილა — ოდესღაც მძლავრი კლდეკარის დიდებულთა შთამომავალია, ახაშენში რომ გადმოსახლებულან და დამცრობილან.

სწორედ ეს ვარიანტი აულია ფაბულად მწერალ გრიგოლ აბაშიძეს ტკივილით სავსე რომანში „ლაშარელა", რომელშიც უბედო მეფის ცხოვრებას აღწერს.

„კალმასობის" მიხედვითაც ტრაგიკულად მთავრდება ეს სიყვარული. გავეშებული დიდებულების დაწყნარებამდე, ლაშამ დროებით მთაში დატოვა საყვარელი ქალი, ფაქტობრივად დედოფალი. ამბოხებულ ფშავ-ხევსურთა სოფლების დასაშოშმინებლადაც მიმართა მეფემ მისი კდემა და სათნოება. დიდი პატივით და სიხარულით მიეგებნენ მთიელნი დედოფალს. მაგრამ მთაში მოგზაურობისას გაცივებულა და ველარა უშველიათ დასტაქარ-მკურნალებს. დიდი მწუხარებით დაუტირია მეფეს და იქვე, თიანეთს, ეკლესიასა შინა მიუბარებიათ მიწისთვის...

## ლაშარის ჯვარი — საბრძანისი ხმელგორზე

დიდი სახელი დატოვა ლაშა-გიორგიმ მთაში. ხალხური გადმოცემის თანახმად, მას დაუარსებია თავისი მოსახელის, ლაშარის ჯვრის სალოცავი წმინდა გიორგის სახელზე. ვახუშტი ბატონიშვილი ლაშას ჯვრის სახელით იხსენიებს ფშავის ხევის მთავარ სალოცავს. ლაშარი იყო ფშავის გამაერთიანებელი ჯვარი და მისი სახელით იკრიბებოდა ფშავისხევის თორმეტივე საყმოს დროშა.

არაგვის მარცხენა ნაპირზე, ხმელგორზე, ხოშარას მარჯვნივ, თავისი საბრძანისიდან ამაყად გადმოჰყურებს მთელ ხეობას მთიელთა დიდი სალოცავი. აქ შეუწირავს ოქროს ჯვარი ლაშას... უეჭველია, აქ მანამდეც წმინდა ადგილი იყო, წარმართული სალოცავი. ხალხის რწმენაში ლაშარის ჯვარი მოლაშქრე ღვთაება იყო, წინ მიუძღოდა საყმოს ლაშქრობებს გიშრისფაფრიანი ნისლა ცხენით. ფშაველებთან ერთად ლაშარის ჯვარს შესთხოვდნენ ბარაქიანობასა და კეთილდღეობას თუშები, ხევსურები და ჩრდილოკავკასიელებიც კი...

## ჯვაროსანთა იმედი

საქრისტიანო მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობისთვის ემზადებოდა. ევროპას არ ასვენებდა აზრი ურჯულო თურქთაგან ქრისტეს საფლავისა და პალესტინის სხვა წმინდა ადგილების გამოხსნისა. მოკავშირედ დაკნინებული ბიზანტია აღარ გამოდგებოდა. ახლო აღმოსავლეთის თვალსაწიერზე მხოლოდ საქართველო ჩანდა, რომელსაც უნდა დაყრდნობოდნენ პალესტინაზე გალაშქრებისას...

ევროპას ეიმედებოდა ლაშა-გიორგი — ნახევრად ლეგენდარულ საბურველში გახვეული უბრწყინვალესი თამარის ძე ქრისტეს რწმენის ერთგულ ქომაგად მიაჩნდათ.

1219 წელია. ევროპიდან დაძრულმა ჯვაროსანთა ახალმა ტალღამ კარდინალ პელაგიუსის ხელმძღვანელობით ეგვიპტეში, ნილოსის შესართავთან დამიეტა აიღო, საიდანაც უსტარი აახლეს ლაშა-გიორგის მუსლიმთა წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებისა.

ლაშა-გიორგიმ დაიწყო კიდეც მზადება. მაგრამ სამწუხაროდ, უკვე სხვა დრო დამდგარიყო: აღარც ჯვაროსნები იყვნენ ძველებურად ძლიერები და საქართველოს დიდებაც დაღმა ეშვებოდა. ამას დაერთო ახალი და გამოუცნობი მტრის, მონღოლთა გამოჩენა!

## დიდი საშიშროება

1220 წელს, როცა ქართველნი ჯვაროსნული ლაშქრობებისთვის ემზადებოდნენ, მოხდა მოულოდნელი რამ. ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთი მიჯნები, სომხით-ჰერეთის საზღვრები უცნობი წარმომავლობის მხედრიონმა გადმოლახა. ელვისებრ მიმოაოხრეს სანაპირო ოლქები და პირი იბრუნეს. ქართველთა რაზმები ბალისწყალზე წამოეწივნენ, მაგრამ რიცხვმრავალ მტერთან მწარედ დამარცხდნენ.

ეს არის მონღოლთა პირველი გამოჩენა — მოულოდნელი, საშინელი და წარმოუდგენელი — არამეზობელს რომ არ ჰგავდნენ, მემატიანის თქმით, „უცხოთესლნი ვინმე". და როცა მთელი აზია შეძრულიყო ახალი, მანამდე არნახული მტრით, ჩვენთან მათზე არა უწყოდნენ არც დიდებულებმა, არც სამეფო კარმა და როგორც ჩანს, არც დაზვერვამ. აშკარაა, რომ თავად მონღოლები აქტიურად აწარმოებდნენ დაზვერვით ბრძოლებს...

1921 წლის მიწურულსაც მოადგნენ აღმოსავლეთის საზღვრებს, „წყალსა ზედა ბერდუჯსა". ორი სარდალი — ჯებე და სუბუდაი მოუძღოდათ. საკმაო ძალა დაახვედრეს ქართველებმა. ხუნანის ველზე შებმიან ერთმანეთს. მონღოლებმა ჩვეული ხერხი იხმარეს. ჯებე ბრძოლაში ჩაება, სუბუდაი კი წინასწარგამიზნული უკანდახევის ადგილას ჩაუსაფრდა ქართველთ. გაქრა მათმა ცბიერებამ. განზრახ დაიხია უკან მონღოლმა, ქართველნიც გაიტყუა. ალყაში მოქცეულნი სასტიკად დამარცხდნენ — 30 ათასამდე მეომარი დაკარგეს...

ჯებე და სუბუდაი კი... საქართველოდან გაბრუნდნენ და დარუბანდის გზით ყივჩაღ-რუსეთის ველებისკენ გაეშურნენ მომავალი დასაპყრობი მიწების დასაზვერავად...

მონღოლებთან შეტაკებაში დაჭრილა ლაშა-გიორგი. როგორც ჩანს, ჭრილობა (ვინ იცის, მოწამლული მახვილით მიყენებული) სასიკვდილო აღმოჩნდა და 1223 წელს აღესრულა კიდეც...

10 წლის შემდგომ კი მონღოლები რუსეთისა და საქართველოს მიწა-წყლის სხვადასხვა ფრთიდან მიადგნენ, ოღონდ ამჯერად არა დასაზვერავად, არამედ დასაპყრობად...

*ისტორიული წყაროების მიხედვით*

*მოამზადა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ნოდარ შოშიტაშვილმა*

# „გოგო ერთი საათით რომ გამიჩერდებოდა, იმას თავბრუს ვერ დავახვევდი?!“

## „მთელი სახლი, აივანზე გადმომდგარი, ტაშის გრიალით შემეგება“

*ისინი დღესაც სიყვარულით ცხოვრობენ და ხშირად იგონებენ იმ წუთებსა თუ თავგადასავლებს, რამაც მათ სიყვარულს დაუდო სათავე ან კიდევ უფრო გაამშვენიერა იგი.*

**სერგო ორჯონიკიძე:** — მანანა (აბაზაძე) „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ გადაღებაზე გავიცანი. მთავარი როლისთვის რომ მოიყვანეს, 13 წლის იყო. ბატონი თენგიზ აბულაძე ცდილობდა, ჩვენი „ფილმისმიერი სიყვარული“ რეალობად ქცეულიყო...



კადრი ფილმიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“

მანანა ჩემს ცხოვრებაში მერის სახით შემოვიდა და სხვა სახის ძიება მასში აღარც მიცდია. ჩვენ ხომ საკუთარ თავს ვთამაშობდით.

ჩვენი მსახიობური უნიჭობის გამო, ბატონ თენგიზს იმდენჯერ მოუხდა სიყვარულის ახსნის ეპიზოდის გადაღება, ილიკო ჩიგოგიძის თქმისა არ იყოს, მართლა აბდალი უნდა ვყოფილიყავი, სხვაგვარი გაგრძელება რომ ჰქონოდა ამ ურთიერთობას.

ის ეპიზოდი თუ გახსოვთ, ზურიკელამ საქვეყნოდ რომ დადო პირობა: მე მეყოლება მერი და 12 შვილი, თერთმეტი ბიჭი და ერთი გოგო... ჰოდა, პირველი გოგო რომ შეგვეძინა, გახარებულმა ოლღა ბებიამ (სესილია თაყაიშვილმა) მითხრა: — აბა, ნენა, შენ იცი ანი, პირობის მეორე ნახევარი ხომ შეასრულე, ახლა ვნახავ, პირველ ნახევარს როგორ შეასრულებო... თერთმეტ ბიჭს გულისხმობდა... მაგრამ როცა მეორეც გოგო შეგვეძინა, აშკარად დარღვეულ პირობას უკვე ვეღარაფრით გამოვასწორებდი... „პირობას“, ალბათ, ჩვენი შვილები შეასრულებენ.

**თამრიკო ჭოხონელიძე:** — მიუხედავად ერთად მუშაობისა, გია (როინიშვილი) სრულიად შემთხვევით გავიცანი და ერთმანეთიც სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინეთ... მახსოვს, ერთხელ, დაბადების დღეზე ნამყვა. იქიდან ტაქსით საკმაოდ დიდი გზა გამოვიარეთ, სახლთან რომ მომიყვანა, მოულოდნელად მკითხა: — უკაცრავად, მაგრამ იქნებ მითხრათ, გადაცემის გარდა (ტელევიზიაში ვმუშაობდი), თქვენი ნახვა სად შეიძლებაო... ვის უბედავ-მეთქი! — ერთბაშად გავცეცხლდი, თუმცა ეტყობა, მაინც ზეცაში წყდება ყველაფერი. აბა, ის რა იყო, მიჯახუნებული კარი წამსვე გამოვაღე და სხვათა შორის, ვისაც ჩემი ნახვა უნდა, ორშაბათს, სამშაბათს და პარასკევს კონსერვატორიაში უნდა მომაკითხოს-მეთქი, გავძახე...

არასდროს დამავიწყდება ის მაისი — თამარობას გიას პირველი სტუმრობა რეჟისორ



ოთარ ეგაძესთან (გიას მეგობარი, ჩვენი მეჯვარე) ერთად და მათ მიერ მორთმეული პირველი „ყვავილები“.

ზარი დაირეკა... კარი გავაღე... ვხედავ, წინ ოთარი დგას, ხელები ზურგს უკან აქვს დამალული. უხერხულად იღიმებიან. მერე, ოთარმა გაბედა და: — აი, ეს ყვავილები ჩემგან და გიასგან, ოღონდ, ბოდიშს ვიხდით, გვიანი იყო და უკეთესი ვერაფერი ვიშოვეთო... თვალს არ ვუჯერებ, ცოცხის ღეროებს მაწვდიან. დღესაც არ ვიცი, სად იშოვეს ცოცხის ღეროები...

ერთი წლის შემდეგ დავქორწინდით.

**იმედა კახიანი:** — ჩემს საცოლეს შორიდან ვიცნობდი, მართალია პლეხანოვზე, ერთ უბანში ვცხოვრობდით, მაგრამ სასინჯ გადაღებაზე გავიცანი („საბუდარელ ჭაბუკში“ თებროლეს როლისთვის მოჰყავდათ ლამაზი გოგონები). იქიდან დაიწყო ჩვენი სიყვარულის ხუთწლიანი „ეპოპეა“. თუმცა, დაწუნებულ უდიპლომო სასიძოს პრობლემები შემექმნა. ფლორას ოჯახს პრინციპულად არ ვუნდოდი. ჩემი სასიმამრო სამხედრო პირი, რეჟიმისა და დისციპლინის მოყვარული კაცი იყო, მუხლებად ჰქონდა ჩამოყალიბებული ჩემი საწინააღმდეგო „სამხილები“: ჯერ ერთი, აზნაურიშვილია, ეგეც წინაპრებსავით ფუქსავატობასა და დროს ტარებას გადაჰყვებაო. უდიპლომოა, თანაც ინსტიტუტიდან გარიცხული და კიდევ უსაქმურიც, დღედაღამ ბირჟაზე დგასო... რაშიც ბრალს მდებდა, ყველაფერში მართალი იყო, სასიდედროც მხარს უბამდა. ვერაფერში შეედავებოდი. თანაც, შეყვარებული ვიყავი და სხვაგან სად უნდა ვმდგარიყავი, თუ არა ბირჟაზე... არასერიოზული კაცი რად გვინდაო, გაიძახოდნენ, მაგრამ, რაკი საიმედო პოზიცია (შეყვარებულისგან მხარდაჭერა) მეპყრა ხელთ, ამიტომ არ ვნერვიულობდი.

თუმცა, ბოლოს ისე გააქტიურდნენ, იძულებული გავხდით, გვეთქვა, ერთმანეთს აღარ ვხვდებითო. სინამდვილეში, ადრე თუ სახლამდე მივყვებოდი, ახლა ცოტა მოშორებით ვცილდებოდით ერთმანეთს. ამან გაჭრა და პროტესტიც მინელდა. გავთამამდით და ერთ დღეს, კინოდან სეირნობით ვბრუნდებით. ლამის ათითერთმეტი საათია. გვიანი შემოდგომაა, თოვლიც წამოვიდა, ულამაზესი საღამოა, მთლად გადათეთრდა ყველაფერი. ფლორას სახლის წინ ვდგავართ და ვლაპარაკობთ. იქვე, სარდაფში,



კადრი ფილმიდან „საბუდარელი ჭაბუკი“

სახინკლე იყო — გვიან ღამემდე ლოთების თავშესაფარი და გაუთავებელი აყალ-მაყალის ადგილი. მე და ჩემი საცოლე კი ვლაპარაკობთ, მაგრამ მტერს არ სძინავს და მაინც ფხიზლად ვარ, გარემოს ვზვერავ. ვერც ვერაფერს ვხედავ, გარდა სახინკლის წინ მდგარი ორი სამხედრო პირისა. მოულოდნელად, ატყდა ქალების განწირული კივილი. ვიხედები აქეთ-იქით, ქალის ნასახი არ ჩანს, არადა კივილი ისმის. ბოლოს, აღმოვაჩინე, რომ ეს სამხედროები კივიან და გარბიან... თურმე, ჩემს სასიდედროს ჩაუცვამს თავისი პოლკოვნიკი ქმრის ფარაჯა, საცოლის ბიცოლას კიდევ, თავისი პოლკოვნიკი ქმრისა და ჩვენს სათვალთვალოდ გამოსულები, სახინკლის წინ დამდგარან. ლოთებმა შეამჩნიეს, ესენი რომ ქალები იყვნენ და... შეშინებული „პოლკოვნიკები“ კივილ-კივილით გავარდნენ. ერთ-ერთი „პოლკოვნიკი“ მგონი, დედაშენია-მეთქი, ვუთხარი ფლორას. წარმოიდგინეთ, ამ ამბის მერე, ჩვენ რაღა დღეში აღმოვჩნდებოდით, მაგრამ სიყვარულმა გაიმარჯვა და ახლაც ერთად ვართ...

**ოთარ კობერიძე:** — ლია მეტად უცნაურად გავიცანი. მანამდე არ შევხვედროდი. არადა, უკვე ბრწყინავდა, გადაღებული იყო ფილმში „ჩრდილი გზაზე“... მე კი ახალი ჩამოსული ვიყავი სოხუმის თეატრიდან. მიღებდნენ „ბაში-აჩუკში“. ღამის სცენა იყო, ის ეპიზოდი, როდესაც პირიმზისას მოჰყავს აბდუშაჰილი... მსახიობები ვსხედვართ და ველოდებით... ლია არ ჩანს, ბოლოს ვეკითხები რეჟისორს გაგულისებული: — ბატონო ლეო, გამაგებინეთ, ვინ არის მთავარ როლში, ოთარ კობერიძე თუ ლია ელიავა? რამდენ ხანს უნდა ველოდო კიდევ? მიპასუხა: — აი, რომ მოვა, ნახავთ, ვინ არის მთავარ როლშიო.

მართლაც, გავიდა ცოტა ხანი და... ხე იყო იქ და უცბად გამოფრიალდა თეთრი მშვენება... შევხედე და თვალთ დამიბნელდა... შემდგომში ლიას ვეუბნებოდი, ყოველთვის ასე დაბნელებული თვალებით მოგყვები-მეთქი.

შემდეგ ლიამ მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა... მე მაინც ჯარში ნამყოფი, ნაომარი, ცოტა უხეში კაცი ვიყავი, მან სულ ერთიანად „შემცვალა“... ახლა უფრო და უფრო მეტად ვგრძნობ, თუ როგორი ანგელოზი მყავდა გვერდით...



კადრი ფილმიდან „ბაში-აჩუკი“

**ჯემალ ქუპატელი:** — 1957 წლის მაისი იდგა... დეიდაჩემთან, ფიროსმანის ქუჩაზე, ვიყავი სტუმრად. ეზოში მშვენიერ გოგონას მოვკარი



თვალი. ჰოდა, ძალიან რომ მომეწონა, მაშინვე გავიფიქრე, როგორ შეიძლება, ასეთ ფერიას შეყვარებული არ ჰყავდეს-მეთქი (მე რომ მყავდა, მაშინვე დამავიწყდა)... ერთი სიტყვით, ის მეცხრეკლასელი გიული ჭულუხაძე გახდა ჩემი უძილო ღამეების მიზეზი. რამდენიმე ხნის შემდეგ მივხვდი, ჩემ მიმართ ვერც ის იყო მთლად გულგრილი. მივხვდი თუ არა, გავთამამდი, დროც ვიხელთე და მაშინვე ყურში „რაღაც“ ჩავჩურჩულე... დანიშნულ დროსა და ადგილზე ზუსტად მოვიდა. ჩვენ კიდევ ერთხელ აღმოვაჩინეთ, რომ „თვით უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“ და ისიც — სიყვარულსა მალვა რომ უნდა... იმხანად, ერთ-ერთ ანსამბლში ცეკვავდა, ჰოდა, რეპეტიციაზე რომ დავუსწარი, გეფიცებით, იმავე წამში, ხელოვანთა „ოჯახი“ შევქმენი — რასაკვირველია, ოცნებაში. სულ მალე კი, რეალობადაც ვაქციე. იმ დღეს რა დამავიწყებს: 7 ნოემბერია, ზაურ ბოლქვაძემ რამდენიმე დღით კახეთში საქეიფოდ წასვლა შემომთავაზა. სიამოვნებით კი დავთანხმდი, მაგრამ საღამოს გიულის უნდა შევხვედროდი და არ ვიცოდი, ჩემი წასვლის ამბავი როგორ გამეგებინებინა...

ეზოში დედამისს, ქალბატონ ანასტასიას მოვკარი თვალი და — თქვენს გოგონასთან სულ ერთი წუთის საქმე მაქვს, თუ შეიძლება, გამოვიდეს-მეთქი. მართლაც, გამოცქრიალდა მოსწავლის ფორმით. სადგურის მოედანზე, გასტრონომში პური უნდა ვიყიდოო. ცხადია, კვალში ჩავუდექი. ჰოდა, კახეთში მივდივარ და საღამოს ვერ შეგხვდები-მეთქი, რომ ვუთხარი, მივხვდი, ეწყინა, ისე შემომანათა წყლიანი, უმშვენიერესი თვალები. სწორედ ეს შემოხედვა და ის დღე აღმოჩნდა გადამწყვეტი ჩვენს ცხოვრებაში... ქორწინება (თანაც უმოკლეს ხანში) ყველა ახლობელმა (ცხადია, გარდა სიდედრისა) ილბლიანად მონათლა.. ეს კია, მას შემდეგ, გასათხოვარი გოგონები ხშირად აკითხავდნენ ჩემს სიდედრს და პურის საყიდლად ჩვენც გაგვაგზავნე რაო, — ხშირ-ხშირადაც ეხვეწებოდნენ. ანასტასიამ კიდევ, ჩემიც საკმარისიაო და „გასაუბედურებლად“ სხვები აღარ გაიმეტა...

**დოდო ჭიჭინაძე:** — ძალიან ახალგაზრდას სულ სხვა მიყვარდა და სხვას გავყევი... როცა მისგან წამოვედი, გათხოვებაზე დიდხანს აღარც ვფიქრობდი. ძალიან გვიან, ისიც ჩემი ბიძაშვილის, დათო ჭიჭინაძის და კიდევ — ოთარ ეგაძის წყალობით გავთხოვდი. რას აკეთებ, დოდო, ცოდო ხარო — სულ მეუბნებოდა... დათომ მითხრა, ამ არაჩვეულებრივ კაცს, რომელსაც შენც კარგად იცი, მთელი ცხოვრებაა უყვარხარ, უნდა გაჰყვე, ახლავე წამოხვალ და ხელს მოაწერთო. ოთარიც იქვე იყო. თურმე, მოლაპარაკებულები ყოფილან და, მართლაც რაიონის მმაჩის ბიუროში გამაქანეს. რომ მივედით, იხუმრეს, ესენი ძალით დავიჭირეთ და ხელის მოწერა უნდა გავაფორმოთო, იმათ კიდევ, რას ბრძანებთ, ამას ერთი თვე სჭირდებაო. მაშინ ოთარმა მეგობარ რაიკომის მდივანს, რომელიც ბიუროს სხდომას ატარებდა, დაურეკა: — ეს ჩვენი გიჟი დოდო ჭიჭინაძე, როგორც იქნა, გათხოვებაზე დავითანხმეთ, აქ, მმაჩის ბიუროში კი, ამას ერთი თვე სჭირდებაო, — უარს გვეუბნებიან. რაიკომის მდივანმა ეს „საკითხი“ ბიუროზე გაიტანა, იმათ კიდევ ერთი ამბავი ატეხეს — ახლავე მოაწერონ ხელიო... რა სასაცილო კაბა მეცვა, ახლაც შენახული მაქვს. ამბის ატეხა მაშინ გენახათ, ჩემი გათხოვება კამოს ქუჩის 4-მა რომ გაიგო, მთელი სახლი აივანზე გადმომდგარი, ტაშის გრიალით შემეგება.



ჩემი მეუღლე მართლაც უბრწყინვალესი პიროვნება, გამორჩეული ვაჟკაცი ოთარ ბუზოღლი გახლდათ, პროფესიით ინჟინერი, კარგი სპეციალისტი. უამრავი ფაბრიკა-ქარხანა აქვს აშენებული. უნიჭიერესი კაცი იყო, ექვს ენაზე ლაპარაკობდა, მთელ მსოფლიოში ვმოგზაურობდით... მის გვერდით მართლაც ბედნიერი ქალი ვიყავი...

**გიზო ნიშნიანიძე:** — სიყვარული კორექტურულ შეცდომას ჰგავს, სადაც არ ელი, სწორედ იქ შემოგეპარებაო, — ნათქვამი აქვს კონსტანტინე გამსახურდიას. მართლაცდა, როგორ ვიფიქრებდი, რომ ჩემს სიყვარულს ასე უჩვეულო სიტუაციაში — სტალინისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე საპატიო ყარაულში მდგომ ერთ მშვენიერ გოგონაში თუ აღმოვაჩენდი...

ყველაფერი კი ასე მოხდა: ეს ის პერიოდი იყო, როცა თვალი არ მიჩერდებოდა, მაგრამ ლიანა რომ დავინახე, თვალიც გამიჩერდა და გულიც. ყველაზე „სტრაშნი“ ის იყო, ლიანა ოზურგეთიდან რომ გამოუშვეს, იქვე ნიშანი დაადეს. მართლა ლამაზი გოგო იყო, ქართულს ცეკვავდა... სხვათა შორის, ვეფხვაძის ნახატში, შოთა რუსთაველი თამარს რომ „ვეფხისტყაოსანს“ უკითხავს, თამარში ლიანას სახეა ჩახატული.



1953 წლის 5 მარტი იყო... ჩემი მომავალი მეუღლე, ვიღაც გოგოსთან ერთად, სტალინის ბიუსტთან იდგა საპატიო ყარაულში. ჰოდა, მეც ჭირისუფალივით ვიდექი მის გვერდით და უფრო „საპატიო“ რაღაცეებზე დავუწყე ლაპარაკი — ის, რომ ცხოვრება წინ არის და მაინც გრძელდება...

გოგო რომ ერთი საათი გამიჩერდებოდა, იმას თავბრუს ვერ დავახვევდი? ვერ გადავდე, სიყვარულის გადადება არ შეიძლება... ფაქტობრივად, მოვიტაცე. კრიმინალი რომ არ დარქმეოდა და სისხლის სამართლის საქმეში არ გადაზრდილიყო, ტრამვაით წავიყვანე — თერთმეტი ნომერი ტრამვაით... მამაჩემისგან ჩაგონებული მქონდა, რძალი ყველა ოხერია, მაგრამ ლამაზი მაინც იყოსო... თბილისში კი ჩემ გასაცნობად ჩამოსულ ცოლისძმასთან შეხვედრა (ლიანას მშობლები კარგა ხანს ხმას არ მცემდნენ) კაკო ყაჩაღისა და ზაქროს შეხვედრას უფრო ჰგავდა. ამის შემდეგ ერთად მიგვაქვს ეს წუთისოფელი...

*ნათია ჩუბინიძე*

# განვლილ ცხოვრებასთან ხან ცინიკური, ხანაც სევდიანი დამოკიდებულება მაქვს

## „არის შეცდომები, რომ მახსენდება, დღესაც ყელში მიჭერს“



სახლები, როგორც ადამიანები, განსხვავებული გარეგნული იერით და განწყობით გამოირჩევიან. ზოგი თითქოს მკაცრია, ზოგი — უკარება, ზოგი იმდენად ჩვეულებრივი, ვერც შეამჩნევ, ზოგიც — მიტოვებული და უიმედო... ყველა სახლს კი ერთი რამ აერთიანებს, ყველა თავის პატრონზე გვიამბობს.

ეს კოხტა სახლი ქალაქის ერთ-ერთ ცნობილ უბანში აუცილებლად მოგხვდებათ თვალში. ზედმიწევნით მოვლილი და გაკოპწიავებული იმიტომ არ აუგიათ, რომ სხვებზე დიდი ყოფილიყო, არც თავის მოსაწონებლად. ეს არის ღობით შემოსაზღვრული სამყარო, კედლებს შორის მოქცეული ფიქრი. აქ ცხოვრობენ ცნობილი მსახიობები — ჟანრი ლოლაშვილი და თათული დოლიძე. აქ ყოველი კუთხე, ყოველი ნივთი მათზე გვესაუბრება. მითხრა კიდეც, ვითომდა სხვათა შორის, ბატონმა ჟანრიმ: „მშვენიერებაზე ლაპარაკი არ მიყვარს. ბუნებაში რომ ვარ და ვიღაც მიმითითებს: ნახე, რა ლამაზიაო, ვღიზიანდები. ვგრძნობ და ვხედავ ყველაფერს. სხვისი კომენტარი არ მჭირდება. ერთხელ, მიხეილ ხერგიანს ერთმა ახალბედა ალპინისტმა სთხოვა, თქვენს ჩაბმაში ჩამაყენეთო. ჩააყენა თურმე. ყველაფრით აღფრთოვანებული იყო ახალბედა, ხმამაღლა აღნიშნავდა: ნახეთ, რა მშვენიერია, ის ნახეთ, ეს ნახეთო! მოხსნეს ჩაბმიდან და დატოვეს. სხვისი შეფასებული სამყარო ვის სჭირდება? თუ გაინტერესებს, თვალი გაახილე, ნადი და თვითონ ნახე...“

მეც წავედი... ამჯერად ჟანრი ლოლაშვილის სამყაროში. ჩვენს მკითხველსაც ყოველგვარი შეფასების გარეშე შესაძლებლობას ვაძლევ, თვითონ დაინახოს და განიცადოს, მოუსმინოს საყვარელ მსახიობს.

**ჟანრი ლოლაშვილთან** ერთად მისი ნახატები შემომეგება: არაჩვეულებრივი პეიზაჟები, ნატურმორტები... ეს პეიზაჟები ცხადშიც გინახავთ-მეთქი? — დავინტერესდი.

— მხატვრობას, ჩემი აზრით, სულაც არ სჭირდება ბუნების წიაღში წრიალი, წარმოსახვით ვმუშაობ. ის მაინტერესებს, რაც მიახლოებულია რეალურთან, ასოციაციურია. ჩემს ნახატში შეიძლება იყოს ხე, რომელიც ჰგავს ბუდეს და ამასთან ერთად კიდევ რაღაცას... ამაზე შეიძლება დიდხანს იფიქრო. თუმცა მოგზაურობაც, ბუნებაში ყოფნაც აუცილებელია, ისე, როგორც ქალთან ურთიერთობა (სულაც არ ვგულისხმობ სექსუალურ კავშირს, ადამიანურ ურთიერთობაზე გელაპარაკებით). ბუნებაში არის იმისი საშუალება, რომ ჩუმად ებაასო ხეს, ბალახს... ჩემს ასაკში ბუნებაში მშვენიერებით ტკბობის განცდა მიჩნდება და სამყაროც ბევრად უფრო სხვანაირი მეჩვენება, ვიდრე ადრე...

**— თქვენს თავზე ისე მელაპარაკებით, თითქოს აბსოლუტურად გამოიცვალეთ და ათი წლის წინანდელ ჟანრის აღარც ჰგავხართ.**

— რაღაც იცვლება და რაღაც — არა. მე არის მე. სცენაზეც, ადამიანებთან ურთიერთობაშიც, მარტოობისას, ადრეც, ახლაც შინაგანი ხმა გარწმუნებს, რომ შენ იგივე ხარ. სხვაობას სხვა რამ გიჩვენებს. დღევანდელობას რომ ვუყურებ, ვფიქრობ: ბევრი რამ იყო კარგი... ჩემი წარსული ხან გაოცებას იწვევს, ხან — სინანულს, ხანაც — ნოსტალგიას. თუნდაც ის რამდენს ცვლის, რომ ადრე დედაჩემი ცოცხალი იყო. მეგობრების წრეც ძალიან შევიწროვდა. ეს ყველაფერი ხომ ილექება სულში. იცი, მეგობრები რომ ვიკრიბებით, ერთმანეთს ხუმრობით რას ვეკითხებით? თეთრი გახამებული პერანგი თუ გიკიდია კარადაში, რამე რომ მოგივიდეს, რომ ჩაგაცვანო?

**— მძიმე ხუმრობაა...**

**— შიშის გრძნობა არ გქონდათ?**

— როგორ არა. ღამეებს ვათენებდით, ამერიკის ხმას ვუსმენდით. მაშინ ამ გადაცემის ხმას ახშობდნენ. იმ ხმაურიან, დახშულ სიტყვებში მაინც ბევრ საინტერესოს ვპოულობდით. ხშირად მიფიქრია, ნეტავ გამაკეთებინა მონოლოგი „ხმა, რომელსაც ახშობენ“. გააზრებულიც მაქვს, როგორი იქნება. ერთ შემთხვევაში ხმას სპეცსამსახურები ახშობენ, მეორეში — მუსიკა ახშობს, მესამეში — ქალის ლაპარაკი, მეოთხეში — გაუთავებელი ქართული ქეიფი და ჭამა-სმა. მაშინ ის განცდა რომ არ გამჩენოდა ამერიკის ხმის მოსმენისას, დღეს არც ამაზე ვიოცნებებდი... ისე, რომ ვფიქრობ, არაფერი აკრძალული არ მქონია...

**— ადამიანის თავისუფლება მხოლოდ სახელმწიფოს სტრუქტურაზე არ ყოფილა დამოკიდებული, არა?**

— ეგ სულ სხვა რამეა. თუმცა კაცს თავისი შინაგანი ცენზურა მაინც აქვს. დღეს ეკრანზე ისეთი პორნოგრაფია შეიძლება ნახო, გაოგნდე, მაგრამ მაინც არ გიკვირს, იმიტომ, რომ ყველაფერი დასაშვებია. მე ამაზე არ მაქვს გამძაფრებული პროტესტი, თუმცა მეორე მხრივ არსებობს ეთიკა. მე რომ ეროტიკული სცენის თამაში მომიხდეს, როგორც მსახიობს, უკვე ვიცი, დაახლოებით რა პლანში უნდა გავაკეთო ეს. ზოგჯერ დამიხატავს ქალი და კაცი, მომნდომებია ჩამეხატა სექსუალური აქტი, მაგრამ საკუთარი ცენზურა ხელს მიშლის... ხელოვნება სხვა რამ არის. თუ ყველაფერი ხელოვნების ენით არ გადმოეცი, არ იმოქმედებს მნახველზე. ამოცანაა — ჩვეულებრივში დაინახო არაჩვეულებრივი. ამითი მინდა აღვზარდო შვილი, შვილიშვილი, ეს მინდა მივაწოდო სხვებსაც.

**— თქვენც ამ პრინციპით აღგზარდეს მშობლებმა?**

— დიახ, ასე იყო. ჩემი მშობლები არაჩვეულებრივი ხალხი იყო (სხვისი მშობლებიც არაჩვეულებრივი იყვნენ, სხვათა შორის). ერთ ამბავს გიამბობთ: კიევის ქუჩაზე ახალი აბანო გაიხსნა. მამამ წაგვიყვანა ჩვენი ეზოს ბიჭები და მექისეს ჩააბარა ჩვენი თავი. იმან გვაბანავა. ცოტა ხანში ბიჭებს ვკითხე, — მამაჩემი სად არის-მეთქი. მე ვერ მოვძებნიდი თვალით, შიშველ მამას ვერ შევხედავდი. მამა საცვლებითაც კი არ მინახავს. ბიჭებსაც მოერიდათ მოძებნა. არ გვინახავსო. ამაზე საუბარი ღირს...

— არაფერიც. სიკვდილს სულაც არ განვიხილავ ჰიჩკოკურად. ადამიანი ოდითგან ფიქრობდა და ემზადებოდა სიკვდილისთვის. ბევრს ვაანალიზებ ამ საკითხსაც და სხვასაც... ადრე სტიქიურად ვცხოვრობდი, არაფერს ვაანალიზებდი. ექსპრესიული, სწრაფი, მოუხელთებელი ვიყავი. მქონდა ჩემი სიგიჟეები, თავშეუკავებლობა.

**— ეგ თვისებებიც გქონდათ?**

— მქონდა და დღესაც მაქვს შემორჩენილი, მთლად კი არ ჩავმქრალვარ!

**— გაქვთ საყვარელი ადგილი, ან საყვარელი ნივთი, რომელსაც ვერ შეელევით?**

— არის ადგილები, სადაც მიყვარს ყოფნა, მსიამოვნებს თავის იქ წარმოდგენა. მიყვარს ბოდბე... ერთხანს მოსკოვში ვცხოვრობდი, ეს ქალაქიც ძალიან მიყვარს. ქალაქთანაც შეიძლება ისევე იმეგობრო, როგორც კაცთან. ეს სულაც არ არის ნაკლებად საინტერესო... მეტიც, შეიძლება უაღრესად დახვეწილი ურთიერთობა გქონდეს ჭიქასთან ან სუფრასთან. ვიღაცას ჰგონია, ჭიქას მეწვრილმანე ხასიათის გამო ვერ ელევაო. ვიღაც იტყვის: ნახე, არაფერს ყრის, ყველაფერს ინახავსო. ჭიქა, რომელიც ამდენს გაუძლებს, შენთან ერთად „იცხოვრებს“, უკვე შენი ენერგიით არის დამუხტული. მასთან განშორება ძნელია. მაქვს რამდენიმე ასეთი ნივთი.. ამას გეუბნებით და ვფიქრობ: ამიტომ არ მიყვარს ინტერვიუები. რომ წავიკითხავ, აღარ მომწონს. გულახდილად ვამბობ რამეს და თან ვდარდობ: რა საჭირო იყო ამის საჯაროზე გამოტანა-მეთქი.

**— ყველაზე მეტად დღეს რა გაინტერესებთ?**

— მაინტერესებს მხოლოდ დიდი მოვლენები: დიდი ხელოვნება, შეუცნობელი სამყაროს საოცრებები, შვილი, შვილიშვილი, ოჯახი...

**— ფერებთან თუ გაქვთ გამორჩეული დამოკიდებულება როგორც მხატვარს ან როგორც უბრალოდ ადამიანს?**

— არ ვიცი, თუ შეგიმჩნევიათ, სულ შავები მაცვია. არც მიმაჩნია, რომ სხვა ფერი უნდა ჩავიცვა. თითქოს სამოსის ფერადოვნება ხელს მიშლის. ცოტა ხნის წინ ერთი ამბავი ატყდა, ქალაქი რატომ გადაღებესო. ამაში ვერც მე ვხედავ აზრს. პარიზი და რომი ნაცრისფერია, მაგრამ არაჩვეულებრივად ფერადოვანი. გარეგან ფერზე თითქმის არაფერია დამოკიდებული.

**— რუსთაველელებს დიდი პაუზა გამოგივიდათ. რა თქმა უნდა, თეატრის რემონტი თქვენს განწყობაზეც იქონიებდა გავლენას, როგორ ცხოვრობთ თეატრის გარეშე?**

— რა თქმა უნდა, ძნელია. დიდი ხანია სცენაზე არ მითამაშია. ესეც იმ გაუთავებელი რემონტის ბრალია... სამაგიეროდ, სერიალები გამოჩნდა. იქ მაინც მქონდა ილუზიური სამყაროს შექმნის საშუალება. სერიალში შესაძლებელია ტრანსფორმაცია, აზროვნება, ფიქრი. ვიდრე ცოცხალი ვარ, რაღაც აუცილებლად უნდა ვაკეთო და ვაკეთებ კიდეც. არ იფიქროთ, თითქოს ეს ნახატები მუზების „მოფრენის“ შედეგად გაჩნდა. შემიძლია, არც დავხატო (ასეა ზოგადად ხელოვნებაშიც), მაშინ საათობით მოვუსმენ მუსიკას. შემიძლია 2-3 დღე სრულიად მარტო ვიყო. ეზოში აკვარიუმი გვქონდა. ყოფილა შემთხვევა, დავმჯდარვარ, მიყურებია. რვა საათი ისე გასულა, არ გამიგია. მე ხომ იმ აკვარიუმისა და თევზების იმპრესიოში ვიყავი გადასული. ზოგჯერ ვზივარ ჩემთვის და წარსულზე ვფიქრობ. ესეც სერიოზული რამაა. ჩემი წუხილები და ოცნებები კარგად ვიცი. განვლილ ცხოვრებასთან ხან ცინიკური, ხანაც სევდიანი დამოკიდებულება მაქვს. სამწუხაროა, რომ შეცდომების გამოსწორება შეუძლებელია. თავიდანაც რომ დავიწყო, მაინც ასე იქნება ყველაფერი. ახალგაზრდული ფსიქოლოგია მიკარნახებს იმ შეცდომებს. დღესაც კი, მოწიფულობაში, თუკი რამე შეცდომა ჩასადენი მაქვს, აუცილებლად ჩავიდენ... მაგრამ არის ადამიანებთან ურთიერთობაში დაშვებული შეცდომები... რომ მახსენდება, დღესაც ყელში მიჭერს...

**— ეტყობა, ძალიან ექსპრესიული ბუნება გქონდათ.**

— ცელქი ვიყავი. ჩამიშლია სკოლაში გაკვეთილები. ორშაბათს ხომ სკოლაში ვერ გამაჩერებდით. რაკი კარი იკეტებოდა, ამიტომ დიდი ხის მეშვეობით სკოლის შენობიდან მეორე ეზოში გადავდიოდი. იქ შევდიოდი ნათელა ფარცხავას ბინაში, მისი ფანჯრიდან ევგენი პრიმაკოვის ტახტზე ვისკუპებდი. ბინის კარი, რა თქმა უნდა, ღია იყო, გავიდოდი ქუჩაში და კინოთეატრ „აპოლოს“ („ოქტომბერს“) მივაკითხავდი (გამახსენდა, საერთოდ, არც ერთი ბინის კარი არ იკეტებოდა მაშინ ან მოსაპარავი ვის რა ჰქონდა!). ორშაბათობით კინოთეატრში ახალ ფილმს უჩვენებდნენ. არ ვიცი, რამდენჯერ ვუყურებდი კინოკლასიკის შედევრებს. ზოგი ფილმი ათჯერ მაინც მაქვს ნანახი. კინოხელოვნებაში „ენციკლოპედიური“ განათლება მქონდა მიღებული და კიდევ... თუ გაკვეთილს არ ვუსმენდი, მერხში აუცილებლად მქონდა გადამალული აკრძალული წიგნი და ვკითხულობდი.

**— აკრძალულ წიგნებს როგორ შოულობდით?**

— ოჯახებში ვეძებდით. ჩვენთან შინ, მაგალითად, „$H_2SO_4$“-ის (ქართველ ფუტურისტთა ალმანახი; 1924წ.) 8 ნომერი ვიპოვე. გავიგე, რომ სულ 13 ნომერი არსებობდა. დანარჩენს მეგობრების ოჯახებში ვეძებდი. მაშინ აზრადაც არ მომივიდოდა, რომ შეიძლებოდა ვინმეს დავებეზღებინე. არც დავუსმენივარ ვინმეს.

**— საქართველო თუ გაქვთ შემოვლილი, ბატონო ჟანრი?**

— შემოვლილი მაქვს. სად არ ვყოფილვარ, სად არ მიცხოვრია. სამეგრელოში, სვანეთში, ხევსურეთში, თუშეთში. საქართველოს ყველა კუთხე შემოვიარე. შიომღვიმეშიც მიცხოვრია, დავითგარეჯშიც, ბერთუბანშიც. მიშიკო ჭავჭავაძე რომ იყო ცოცხალი, ერთად დავდიოდით.

**— ბერებთან გიცხოვრიათ?**

— დიახ, ბერებთან! წიგნებს ვკითხულობდი. მიკვირს, ახლა რომ ვერ ხვდებიან, რა არის წიგნი. ეს ხომ გაცოცხლებული სიზმრებია. მაინც რატომ არ უყვართ დღეს კითხვა? აღარც მოსმენა იციან... ტკბილად მახსენდება ახალი წლის წინა ღამეს ბებია და სამი ქვიჯა (როდინი) რომ დაიწყებდა ლაპარაკს „ქუხნაში“ (და არა „კუხნაში“!), სულგანაბული ვუსმენდი. ამ დროს თბილად ვიწექი ლოგინში, ფანჯრიდან ჩანდა, როგორ თოვდა გარეთ. როგორ ჩამოეკიდებოდა ლოლოს წვეთი. ეს საოცრად მოქმედებდა. იქიდან მოყოლებული, ძალიან მიყვარს მოსმენა. ადრე, რეპეტიციის შემდეგ, საღამოს სპექტაკლამდე მოვიდოდი შინ, გავიკეთებდი, ყურსაცვამებს და ვუსმენდი ზღაპრებს (ასეთი გადაცემები არსებობდა. ევგენი ლეონოვი, ნიკალაი გრიცენკო კითხულობდნენ ზღაპრებს). ასე ვიძინებდი.

**— ესე იგი, ზღაპრების ხანა თქვენთვის ბავშვობაში არ დასრულებულა.**

— არა, უბრალოდ, მაშინ დაიწყო... მახსოვს, გოგონებთან სახლობანას ვთამაშობდი. ვითომ ის ცოლი იყო, მე — ქმარი. მერე ბაზარში მივდიოდი ვითომ. მომქონდა აკაციის ყავისფერი მარცვლები — „ლობიო“. ამას ზოგჯერ ვჭამდით კიდეც. გემრიელი იყო. გვიან შემოდგომით ერთი რომ მოგეწყვიტა და გოგოსთვის მიგერთმია, საამაყო იყო. ახალი შეერთებული ვიყავით სკოლაში გოგონებთან. სულ საჩუქრად მიმქონდა შემოდგომის ხილი. მერე იმ კომშს თუ ვაშლს მერხში ვუწყობდი... იდგა საკლასო ოთახში კომშის გამაბრუებელი სურნელი. სამელნეებიც სულ ჩვენ დაგვქონდა გოგონებისთვის. აი, ასეთი „ზღაპრები“ გვქონდა, იქიდან მოვდივართ...

**— დაბოლოს, ელოდებით ახალ როლს?**

— ეგ სულაც არ არის მთავარი. 20 წელი ისე გასულა, ახალი როლი არ მქონია. ბევრ როლზე თვითონ მითქვამს უარი, მაგრამ დრო სულაც არ დამიკარგავს. მაქვს ჩემი „აჯაფსანდალები“ და „ჯემები“, ვცხოვრობ, რა! იცი, როგორი კაცის მეშინია? სულ წამლებს რომ სვამს და სიცოცხლის გახანგრძლივება რომ უნდა. მე ასე არ შემიძლია. სიცოცხლე ყველას უყვარს, მაგრამ გააჩნია, ვის როგორ ესმის ეს...

*ლელა ჯიყაშვილი*

მხატვრობას, ჩემი აზრით, სულაც არ სჭირდება ბუნების წიაღში წრიალი, წარმოსახვით ვმუშაობ. ის მაინტერესებს, რაც მიახლოებულია რეალურთან, ასოციაციურია. ჩემს ნახატში შეიძლება იყოს ხე, რომელიც ჰგავს ბუდეს და ამასთან ერთად კიდევ რაღაცას... ჩემს ასაკში ბუნებაში მშვენიერებით ტკბობის განცდა მიჩნდება და სამყაროც ბევრად უფრო სხვანაირი მეჩვენება, ვიდრე ადრე.



# მკურნალობა ნიანგებით



ნიანგის ცრემლისა რა გითხრათ, მაგრამ სისხლი კი შეიძლება ძლიერი ანტიბიოტიკის ძირითად ნივთიერებად გამოდგეს. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ ავსტრალიელი სწავლულები. ნიანგებს იმდენად ძლიერი იმუნური სისტემა აქვთ, რომ მას შეუძლია მოერიოს ადამიანის ვირუსს. გარდა ამისა, მკვლევარებმა კარგა ხანია შეამჩნიეს, რომ ამ რეპტილიას ჭრილობა მალე უხორცდება და არ უვითარდება ინფექცია.

ნიანგის იმუნიტეტი ადამიანისაზე ბევრად ძლიერია. იგი უცხო წარმოშობის მიკროორგანიზმს სისხლში მოხვედრისთანავე უტევს, ინფექციის კატალიზატორის გასანადგურებლად მცირე დრო სჭირდება. ამიტომ ნიანგის სისხლისგან შეიძლება მივიღოთ ჭრილობების, დამწვრობის და ტროფიკული წყლულის უებარი სამკურნალო საშუალება. თუმცა, ლაპარაკი იმაზე, რამდენად მიესადაგება ადამიანს ნიანგის იმუნიტეტი, ჯერ ადრეა. გამორიცხული არ არის, რომ პრეპარატს ადაპტაცია დასჭირდეს.

*იტოგი №34*

# ჩხირის გემი

ამერიკელმა კასკადიორმა რობ მაკდონალდმა ნაყინის ხის ჩხირების გადამუშავების ორიგინალურ ხერხს მიაგნო: ააგო ვიკინგების გემის, „დრაკონის" ზუსტი ასლი. 15-მეტრიანი ხომალდის ასაგებად 15 მლნ ესკიმოს ჩხირი დასჭირდა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ჰოლივუდის ყოფილი კასკადიორი, რომელიც ახლა ჰოლანდიაში ცხოვრობს, შეეცადა, შვილისთვის აეხსნა ნედლეულის ხელმეორედ გამოყენების თეორია. ჩხირებისგან თავდაპირველად მინიატიურული გემის მოდელი შექმნა, შემდეგ გადაწყვიტა, აეშენებინა გემი, რომელიც თავისუფლად იცურებდა... და 370 ათასი ჩხირისგან აგებულმა კოხტა ხომალდმა კასკადიორს გინესის რეკორდების წიგნში ადგილი გაუნაღდა. ვიკინგების გემის აგებაში მაკდონალდს პროფესიონალი ჰოლანდიელი ინჟინრები ეხმარებოდნენ. მალე „დრაკონი" სამოგზაუროდ გასწევს. ცოტა ხნის წინ ჩხირის ხომალდი დიდი ზარ-ზეიმით ჩაუშვეს წყალში ამსტერდამში, მაგრამ მალევე ამოიყვანეს ხმელეთზე, რათა ძველი გემების გამოფენაზე დამთვალიერებლის მზერა დაეტკბოთ.

*ნიუ ზუიქი*

# 10 წელი სიზარმაცისთვის!



სხვისი საკუთრების უკანონოდ შენახვის გამო იტალიაში დააპატიმრეს ფოსტალიონი ანტონიო პირასი. ზარმაც სარდინიელ მოხელეს მარტიდან ადრესატებისთვის არც ერთი წერილი და ამანათი არ მიუტანია — დასარიგებელ კორესპონდენციებს შინ ინახავდა. პოლიციელებმა ფოსტალიონის ბინაში წერილებით სავსე ტომრები იპოვეს.

პოლიციამ პირასის საქმის ძიება მას შემდეგ დაიწყო, რაც მოქალაქეებმა მთავრობას მიმართეს, — წერილებს არ ვიღებთო. ზარმაცი ფოსტალიონის ზოგიერთ მსხვერპლს ელექტროენერგიაც კი გამოურთეს, რადგანაც დანახარჯი დროულად ვერ გადაიხადეს. ახლა ყოფილი ფოსტალიონის კოლეგებს კორესპონდენციების სასწრაფოდ დარიგება დაევალათ, ხოლო თავად პირასს ათწლიანი პატიმრობა მიესაჯა.

*დენგი №33*

# „ადამიანური ზოოპარკი"

ლონდონის ზოოპარკში დამთვალიერებლებმა უჩვეულო ბინადარნი იხილეს — დათვის სადგომ ღია ვოლიერებში მყოფი რვა ადამიანი, რომლებიც თავს ცხოველებად წარმოიდგენდნენ.

მოხალისეებს, ღირსება რომ არ შელახვოდათ, აფარებული ჰქონდათ მხოლოდ ლეღვის ფოთლები, მათ უვლიდნენ ზოოპარკის თანამშრომლები. აქციის მონაწილეებს ღამის გასათევად შინ უშვებდნენ.

აქციის, რომელსაც ეწოდა „ადამიანური ზოოპარკი", მიზანი იყო ადამიანის პირველყოფილი ბუნების წარმოჩენა და გარკვევა იმისა, თუ რა გავლენას ახდენს ჰომო საპიენსი ფაუნაზე.

ახალგაზრდები აქციაში მონაწილეობის მთავარ მოტივად ასახელებენ ბუნებაში დაბრუნებისა და ცხოველთა სამყაროს უკეთ შესწავლის სურვილს.

*ნიუსი*

# შუქნიშანი „საცობებს" დაშლის

იაპონიის მთავარი პოლიციის სამმართველო იუწყება ახალი ტიპის შუქნიშნის შექმნას, რომელიც დამოუკიდებლად დაშლის საავტომობილო „საცობებს". სპეციალური აღჭურვილობა აფიქსირებს გზაჯვარედინებზე მანქანების მოძრაობის ინტენსივობას და „საცობის" საშიშროების შემთხვევაში, შუქნიშანი ავტომატურად ჩართავს მწვანე ფერს. ახალ სისტემას გაისად გამოცდიან და ეფექტიანობის დადასტურების შემთხვევაში, მთელ იაპონიაში დაინერგება.

*იტარ ტასი*

# ფეხის ქირად „პორშე"

ეს უჩვეულო ამბავი, რომელზეც დღეს მთელი შვედეთი ლაპარაკობს, პატარა ქალაქ სუნდსვალში მოხდა. 19 წლის ჟოზეფინა ჯასტინი სამსახურში — კაფეში ფეხით მივიდა, შინ კი „პორშეთი" დაბრუნდა. მანქანა ოფიციანტმა ფეხის ქირად მიიღო.

ჯასტინი სტუდენტია, ოფიციანტად კი არდადეგებზე მუშაობს. იმ დღეს კაფეში რამდენიმე მოხუცი შევიდა. ბაბუები კარგა ხანს ისხდნენ, სვეს და ჭამეს, მერე კი, ანგარიშის გასწორების დრო რომ დადგა, ერთ-ერთმა მათგანმა გოგონას ფულთან ერთად 1979 წლის „პორშეს" გასაღებიც მისცა. მანქანა კარგად არის შენახული და დაახლოებით 4 ათასი დოლარი ღირს.

— ამ გოგონას ანგელოზის თვალები აქვს, — ასე ახსნა თავისი გულუხვობა მოხუცმა.

ჟოზეფინამ იფიქრა, მოხუცი, ალბათ, გამეხუმრაო; ამიტომ მითითებულ მისამართზე მამასთან ერთად წავიდა. იქ კი „კონკიას" მანქანა ელოდებოდა!

*კომსომოლსკაია პრავდა №130*

# ნარკოტიკის სათბურები ბინებში



ერთი ბერლინელის ბინაში კანაფის პლანტაცია აღმოაჩინეს. პოლიციას სახლის მობინადრეებმა გამოუძახეს — მათ ჭერიდან წყალი ჩამოსდიოდათ. სამართალდამცველებმა კარი შეტეხეს. გაირკვა, რომ დაზიანდა სარწყავი სისტემა, რომლითაც 100 კანაფის ბუჩქი ირწყვებოდა. სისტემა შეაკეთეს, კანაფის კონფისკაცია მოახდინეს, ხოლო მისი მოყვარული 24 წლის მოქალაქე დააკავეს. ამგვარი შემთხვევა ერთეული როდია — ახლახან სანქტ-პეტერბურგშიც დააკავეს ინგლისური ენის მასწავლებელი, რომელსაც შინ მოწყობილ სათბურში კანაფი გამოჰყავდა. სათბური აღჭურვილი გახლდათ ვენტილაციით, განათებითა და სარწყავი სისტემით.

*ნიუს რუ*

# NASA მთვარეზე საცხოვრებელს ეძებს

NASA კოსმოსურ ტელესკოპ Hubble-ით მთვარეზე საცხოვრებელი ბაზების შესაქმნელად გამოსადეგ ადგილებს ეძებს. კოსმოსური სააგენტო მთვარის ზედაპირს იკვლევს და ცდილობს, იმგვარი ქანების ბუდობი იპოვოს, რომლიდანაც ასტრონავტებს შეეძლებათ ჰაერისა და ენერგიის მიღება. ეს სამუშაო ჯორჯ ბუშის „კოსმოსის გამოკვლევის ახალი კურსის" ნაწილს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც იგი მოუწოდებს აშშ-ს, 2018 წელს მთვარის ხელახალი დალაშქვრისკენ, რასაც მოჰყვება მარსზე გაფრენაც. NASA-ს ნევრი ბრიუს ჰაპკე იტყობინება, რომ გიგანტური ტელესკოპის მეშვეობით ისინი მინერალ ილმენიტს ეძებენ. ეს რკინისა და ტიტანის ოქსიდი იმ ნიადაგის სინჯებშია ნაპოვნი, რომლებიც NASA-ს მისიებმა ჩამოიტანეს. ილმენიტი შეიცავს ჟანგბადს, წყალბადსა და ჰელიუმს. გახურებისას გამოყოფს გაზებს, რომელთა წვის დროს გამომუშავდება ელექტროენერგია. მეცნიერებმა მთვარის ზედაპირზე სამი ადგილი შეისწავლეს, მათგან ორი 1970-იან წლებში Apollo-15-ისა და Apollo-17-ის ეკიპაჟების გადმოსხმის ადგილია, მესამე კი მთვარის ეკვატორის ახლოს მდებარე ვულკან არისტარქის კრატერი.

*ექსპრეს-გაზეტა*

# „ბითლზების" ხსოვნას ეძღვნება



ჰამბურგში „ბითლზების" ხსოვნის უკვდავყოფა გადაწყვიტეს, საიდანაც 45 წლის წინ დაიწყო ტრიუმფალური მუსიკალური კარიერა ლეგენდარულმა „ლივერპულელმა ოთხეულმა". გაკეთდება გიგანტური გრამფირფიტის ფორმის ბითლზპლაცი — ბითლზების მოედანი. შუა მოედანზე დაიდგმება ჯონ ლენონის, პოლ მაკარტნის, ჯორჯ ჰარისონისა და რინგო სტარის მინიფიგურები.

პროექტი, რომელიც ფინანსდება კერძო შემონირულობების ხარჯზე, ეღირება 100 ათასი ევრო და გაიხსნება 2006 წელს — გერმანიაში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების დროს.

„ბითლზებმა" პირველი კონცერტი გამართეს 1960 წლის 17 აგვისტოს ჰამბურგში, კლუბ „ინდრაში". მაშინ ჯგუფს „ბიტ ბრაზერსი" ერქვა.

*მეგაპოლის-ექსპრესი*

# ვერცხლის ფეხსაცმელი

ისრაელში გამოიგონეს ვერცხლის ფეხსაცმელი. თუკი ამ ფეხსაცმელს მოირგებთ, არც დაღლილობა შეგაწუხებთ და არც ოფლიანობა. გამომგონებლებმა ფეხსაცმლის საფენი და თვით ფეხსაცმელიც გაჟღინთეს სპეციალური ხსნარით. ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად ეს სპეციალური ნივთიერება გამოყოფს ვერცხლის იონებს, რომელიც „კლავს" სინოტივეს და მავნე მიკრობებს. არცთუ ძვირად ღირებული ფეხსაცმელი მომხმარებელს ორი წელი გაუძლებს.

*ოკნა №31*

## ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში **ზაზა კოლელიშვილის** სიტყვებს ამოიკითხავთ.




**პ.** ფრთოსანი ცხენი ბერძნულ მითოლოგიაში; **რ.** ქალალდის გრაგნილი; **ე.** სევდიანი შინაარსის ლირიკული ლექსი; **ს.** ვისიმე თანამოსახელე; **ა.** სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ს.** ქართული ჭიდაობის ილეთი; **ლ.** ძველი ფრანგული ფულის ერთეული; **ი.** მდინარე, რომელშიც მონათლა იესო ქრისტე; **დ.** ცხვრის საკრეჭი მაკრატელი; **ე.** მეგრული კერძი; **რ.** ტბა აფხაზეთში; **ო.** რა ერქვა ხევისბერი გოჩას შვილს; **ბ.** ქრისტეს დაბადების ადგილი; **ს.** ჩეხი კომპოზიტორი; **კ.** ცხენების რემა, ღორების — ?; **ვ.** გერმანიის რესპუბლიკის სახელწოდება 1918-1933 წლებში; **ი.** პოლიციელის რანგი მეფის რუსეთში; **რ.** დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც იბრძვიან მოკრივეები; **ი.** „თორმეტი სკამის" ერთ-ერთი ავტორი; **ს.** ქვეყანა, რომლის დედაქალაქია დამასკო; **პ.** ჭადრაკის ფიგურა; **ა.** ყაჩაღი, რომელსაც ქალაქ მცხეთაში დაუდგეს ძეგლი; **ლ.** რა ერქვა გულივერს; **ი.** ის, რაც ყველაზე ბოლოს კვდება; **ტ.** თევზის მიერ ქვირითის ყრა; **რ.** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **ა.** სამხედრო ნადავლი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

პ. პრალა; რ. რურუა; ე. ელცინი; ს. სმეტანა; ა. აორტა; ს. სათითე; ლ. ლუიდორი; ი. ინდოეთი; დ. დრეიფი; ე. ეზოპე; რ. რელიეფი; ო. ოლოლო; ბ. ბაგირი; ს. სტიმული; კ. კრატერი; ვ. ვიშნუ; ი. ისინდი; რ. რახი; ი. იქსი; ს. სენკა; პ. პიასტრი; ა. ამალთეა; ლ. ლორეალი; ი. ირაო; ტ. ტერტერა; რ. რაინი; ა. აქსიომა.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: არც ერთ იდეოლოგიაში ხსნა არ არის.**

# შეყვარებული მესაფლავე...

მეგობარმა აღმომაჩენინა ჩემი დღევანდელი გმირი — ქალაქის გარეუბნის ძველი სასაფლაოს მესაფლავე ჟორიკა, რომელიც დიდი ხანია თურმე იქვე ცხოვრობს, დამხმარე სათავსში და თვეში ერთხელაც არ უჩნდება თავის ერთოთახიან ბინაში მისვლის სურვილი. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოხუცი დედა დაასაფლავა და სულ მარტო დარჩა...

დედის საფლავს მოკრძალებული მესერი შემოავლო თურმე, უბრალო ჯვარი დაუდგა თავთან და ტირიფით მოუჩრდილა. ამბობენ, ღამღამობით ტირილით „ელაპარაკება" დედას, — რატომ თან არ წამიყვანე, ხომ იცოდი რა უბედურიც გავჩნდი, შენ გარდა არც არავის ვუყვარდი და არც არავის ვეცოდებოდი ამ ქვეყანაზეო...



ამ ერთი წლის წინ კი მის ცხოვრებას „აზრი მისცემია", რადგან იმ სასაფლაოზე ქალი დაუკრძალავთ, რომელიც ბავშვობიდან ჰყვარებია ჟორიკას. თანაკლასელები ყოფილან და ბეჯითი ანიკოს გვერდით განგებ დაუსვამს მასწავლებელს სუსტი ბიჭი, — მიეხმარება, ყურადღებას მიაქცევსო!..

ანა მართლაც არ აკლებდა ყურადღებას მამით ობოლ ბიჭს, რომელსაც მუდამ ძველი ტანსაცმელი ეცვა, ფეხსაცმელში კი წყალი შესდიოდა და ამიტომ სულ სურდო სჭირდა. ერთხელ თავისი უფროსი ძმის დაპატარავებული შარვალ-ხალათი და ფეხსაცმელიც მოუტანა, ჩუმად გადასცა, თან მოუბოდიშა, — არ გეწყინოსო. ანასგან როგორ ეწყინებოდა რამე, სიცოცხლეზე მეტად უყვარდა ლამაზი გოგო. მერე ანა სხვა სკოლაში გადაიყვანეს მშობლებმა, ჟორიკას კი სულ აღარ უვლია მეშვიდე კლასის შემდეგ. 14 წლისა იყო, სასაფლაოზე რომ წაიყვანა მეზობელმა და მუშაობა დააწყებინა. თავიდან ეშინოდა პატარა მესაფლავეს, მაგრამ ოღონდ დედისთვის წამალი და თბილი ლუკმა არ მოეკლო, შიშიც დასძლია... მერე კი ისე შეეჩვია თავის სამუშაოს, სხვაგან აღარც იხედებოდა. წვერი მოუშვა და სახე შიგ ჩამალა, არც ისე დიდი სანაცნობო ჰყავდა, მაგრამ მათაც ერიდებოდა... თუმცა კი, ანას ამბის გაგებას მაინც ახერხებდა.

...ანას შვილების დაბადება რომ გაიგო, სამშობიაროში ორივეჯერ თეთრი ვარდების თაიგული შეუგზავნა. იცოდა, ძალიან უყვარდა ანას ბავშვობაში თეთრი ვარდები.

— ნეტავი თუ გაახსენეს ვარდებმა ჩემი თავი?! — გაიფიქრა, რადგან ბარათის გაყოლება საჩუქრისთვის არც უფიქრია...

მერე ვარდები გახდა მათი „დამაკავშირებელი" — ყოველ დაბადების დღეზე მიჰქონდა და უტოვებდა ჭიშკართან, თვითონ ქუჩის კუთხიდან უთვალთვალებდა გაოცებულ ქალს, ამაოდ რომ ეძებდა ვარდების მომტანს...

...ბედისწერამ ერთხელ მაინც ინება მათი პირისპირ შეყრა. ბრმა ნაწლავი ასტკივდა ჟორიკას და მაინცდამაინც ანა ექიმის მორიგეობის დროს მიიყვანეს საავადმყოფოში. სანამ ავადმყოფობის ისტორიას არ დახედა, ვერ იცნო ექიმმა ბავშვობის მეგობარი. მერე კი, როცა ანამ ჰკითხა, შენ ის ჟორიკა ხარო?! — თვალი მოარიდა და ისე დაუქნია თავი თანხმობის ნიშნად.

— ნეტავი იცოდე, როგორ მაინტერესებდა შენი ამბავი, სულ გკითხულობდი, მაგრამ შენს ასავალ-დასავალს ვერაფრით მივაკვლიე! — გადაეხვია ცრემლმომდგარი ექიმი და სიკვდილი ინატრა ჟორიკამ, მიხვდა, თეთრ ვარდებს ვერ „ეთქვათ" მისი სათქმელი...

ისე გამოიპარა საავადმყოფოდან, არც დაემშვიდობა ანას...

...ერთ დღეს კი გამოიძახეს და საფლავის გათხრა დაავალეს — ჩვენი საყვარელი ანა ექიმი აღარ არისო!..

— მე მაგ ქალს საფლავს ვერ გავუთხრიო! — პატიება ითხოვა თურმე და თუმცა გაუკვირდათ უარი, არ მისძალებიან...

მერე კი, როცა ჭირისუფალი გაიკრიფა და მარტო დარჩენის საშუალება მიეცა „თავის" ანასთან, საფლავზე დამხობილმა დილამდე მოთქმაში გაატარა თურმე და ნუგეშიც ვერ გაუბედეს სასაფლაოს დარაჯებმა, ისინიც იცრემლებოდნენ...

მერე კი, ანას ქმარ-შვილს ნებართვა სთხოვა: — ნება მომეცით მის ხსოვნას პატივი ვცეო! — და თეთრი ვარდების ბაღად აქცია საფლავი. ლეგენდასავით გავრცელდა შეყვარებული მესაფლავის ამბავი... ერთ მშვენიერ დღეს მეც მივედი მის სანახავად. ანას საფლავთან ტრიალებდა და ვარდებს შეყვითლებულ ფოთლებს აცლიდა...

დაკვირვებით შემომხედა, ცრემლებით ჰქონდა თვალები სავსე.

— სიკვდილს ვერ შეეგუეთ?!

— ცოცხალ კაცს სიკვდილთან რა შეაგუებსო! — აიჩეჩა მხრები...

აღარ შემიჩერებია, სიტყვით იმაზე მეტი რა უნდა ეთქვა თავის სიყვარულზე, რასაც ანას საფლავზე დარგული ვარდები ამბობდნენ...

# მდიდარი გლახაკი...

ჯერ კიდევ ძალიან პატარას მიყვებოდა ბებია უფლის სასწაულებს. ჩემთვის უფრო გასაგები რომ ყოფილიყო, ზღაპრის საბურველში ხვევდა და ამ ზღაპრებში ყველანი — პეპლებიდან დაწყებული კეთილი ადამიანებით დამთავრებული, ივლიდნენ, იფარფატებდნენ, კიდით-კიდემდე მიაწყდებოდნენ, ეტკინებოდათ, გაუხარდებოდათ და ბოლოს მაინც უფლის სახლში ბრუნდებოდნენ, რადგან ასე დაცულად სხვაგან ვერსად გრძნობდნენ თავს...

ახლაც, ამდენი ხნის შემდეგ, როცა ბებო გვერდით აღარა მყავს, დროდადრო ვიხსენებ მის მიერ მოყოლილ ამბებს...

მაშ ასე:

იყო ერთი კაცი, თავად კი იყო ჩვეულებრივი, მაგრამ სახელი ერქვა უცნაური — წყალობა, რადგან უშვილო მშობლებს თორმეტი წლის მოლოდინის შემდეგ გასჩენია და გახარებულ პაპას ხელი ზეცისკენ აღუპყრია: — ღვთის წყალობაა მა, რაო?!

შერჩა ეს სახელი მდიდარი თავადების ნანატრ მემკვიდრეს და ერთადერთ იმედს... მის ტოლებს რომ მჭადის ნატეხიც ენატრებოდათ, წყალობას უგემრიელეს ხაჭაპურს აძალებდნენ, თან სულ ცხელ-ცხელს... ცივს ვინ აკადრებდა, ამისთვის ხბოსხელა ნაგაზები ჰყავდათ — ბობო და ბოხო...

იმ დღესაც, ის იყო ძაღლებს მიუგდო წყალობამ ხაჭაპური, რომ ქვის ყორეზე შემომჯდარი თავისი ტოლი ბიჭი დაინახა, ხაჭაპურის სურვილს ლამის ყორედან რომ გადმოჰყოლოდა, მაგრამ ბოხოს ღრენამ შეაჩერა...

— ვინა ხარ? — დაუძახა წყალობამ ბიჭს.

— მეზობელი ვარ, აქვე ვცხოვრობ, მახარე მქვიაო!..

— რა შორიდან იძახი, ეზოში შემოდიო! — ჭიშკარი გაუღო მახარეს.

— სტუმარი არ შემიშინოთ! — თვალები დაუბრიალა ძაღლებს წყალობამ და ისინიც მორჩილად მიწვნენ ხის ჩრდილში.

სტუმარი შინ შეიყვანა წყალობამ და ბებიას დიდი კაცივით უთხრა:

— სუფრა გაგვიშალე, მშივრები ვართ, ოჯახი დაგვალოცვინე!..

ბებიამ ღიმილი თავსაფრის კუთხეში ჩამალა და თითქოს „უფროსის" თხოვნას ემორჩილებაო, დატრიალდა...

გაოცებული უცქერდა წყალობა მახარეს, რომელიც სულმოუთქმელად ილუკმებოდა... ბოლოს ვერ მოითმინა და მუცელზე ხელი დაუტყაპუნა.

— გარღვეული ხომ არა გაქვს?!

— ყველაფერი ძალიან გემრიელია! — დაირცხვინა მახარემ.

მერე კი, სანამ მახარე იმაზე ჰყვებოდა, თუ რა კარგი ძმები და დები ჰყავს, რა გამრჯე მამა და პაპა, ქრისტინე ბებომ მოწნული კალათა ათასგვარი ნუგბარით აავსო: — მეზობლის ვალია მეზობლის მოკითხვაო!..

თვალები გაუბრწყინდა მახარეს. ჭიშკრამდე მიაცილა წყალობამ და ახლაღა შეამჩნია, რომ ფეხშიშველი იყო ბიჭი და გახეთქილი ქუსლიდან სისხლი სდიოდა. უხმოდ წაიძრო მამის მიერ ქალაქიდან ჩამოტანილი ლურჯი სანდლები და ხელში შეაჩეჩა: — მე კიდევ მაქვსო!..

შინ რომ ფეხშიშველი მიბრუნდა, დედამ შეიცხადა, თუმცა ბებიამ დაამშვიდა რძალი:

— ნუ ვიშვიშებ, წყალობას სულში ღმერთი ჩასახლდა, გიხაროდესო!..

...მერე სკოლაშიც წავიდა და იქიდან დაბრუნებულს ხან ქუდი აღარ მოჰქონდა, ხან წიგნი და ხანაც ჯემპრი... — რა მექნა, ობოლ ნიკას არ ჰქონდაო... ნინოს წიგნი ვერ უყიდეს და ორიანი მიიღოო...

ტუქსავდნენ, მაგრამ გულს გარეთ... ვერ უშლიდნენ.

18 წლისას უბედურება შეემთხვა. ხიდან ჩამოვარდა და ფეხი მოჰკვეთეს. შეყვარებულმა აღარ ინდომა ხეიბარი, სხვაზე თავად არ მიუვიდა გული და... მარტო შემორჩა წუთისოფელს. ჯერ ბებო და პაპა გაუდგნენ ღმერთისკენ სავალ გზას, მერე დედა და მამა... დაცარიელდა ამოდენა სახლი და ტვირთად ექცა წყალობას, გაყიდა და პატარა ქოხი შეიძინა თავისთვის, ფულის შენახვა არც უფიქრია, რადგან მძიმე დრო დადგა და უამრავი გაჭირვებული აღმოჩნდა მის გვერდით, იმაზე მეტი, ვიდრე ბავშვობისას — ვინც სათხოვნელად მიადგა, დაუთვლელად და დაუმახსოვრებლად გაატანა ყველას... ფული რომ გამოელია, ამ დროს მიადგაატირებული მეზობელი: — შვილს ოპერაციას ვერ ვუკეთებო! — დაუფიქრებლად გამოუტანა დედის დანატოვარი ძვირფასი ოქროს ბეჭდი...

...ასე თანდათან გამოელია, რაც გააჩნდა!..

არა, განა უყურადღებოდ დატოვეს მეგობრებმა და მეზობლებმა, მაგრამ ყველას თავისი თავი უჭირდა... ბევრს ეცადა წყალობა, მაგრამ სამუშაო ვერ იშოვა, ხეიბარს კი არა, ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცებს ვერა გაეწყოთ რა... მაშინ იყო, ეკლესიისკენ რომ გაუწია გულმა... არა, მოწყალების თხოვნას არ აპირებდა, მაგრამ როცა ტაძრის შესასვლელში მეზობლის პატარა ანა დაინახა ხელგაწვდილი, მიხვდა, ეს ნიშანი იყო...

— სახლში წადი! — დაუყვავა პატარას.

— ვერ წავალ, დედა ავად არის, პური და წამალი უნდა მივუტანო!..

— მე მოგიტანთ, წადი, დედას მიხედე!..

...მას შემდეგ ყველა იცნობს იმ ეკლესიაში წყალობას და მდიდარ გლახაკს ეძახიან, რადგან პურის ფულის გარდა ერთ თეთრსაც არ იტოვებს ჯიბეში, — ხან ანას აძლევს დედის წამლისთვის, ხან დათუნას — პურისთვის, ხანაც ნინიკოს — სანუკვარი თოჯინისთვის... იმ დღეს, ჩემმა მოძღვარმა რომ გამაცნო ძია წყალობა, მთელი კვირის ნაგროვები ფული აჩუქა ნიკუშას: — დაბადების დღე აქვს, მინდა ჩემს სახელზე ბოტასები იყიდოს, შარშანს მერე ამაზე ოცნებობსო!..

მოძღვარმა მოკრძალებულ ტრაპეზზე მიგვიწვია მე და წყალობა ძია. სანამ ლუკმას გატეხდა, პირჯვარი გადაისახა „ყველაზე მდიდარმა", უფალი ადიდა, მე კი მისი რწმენა და სულიერი სიმტკიცე ვინატრე. მოძღვარმა დამლოცა, თან მთხოვა:

— თუ წყალობაზე დაწერ, არც იმის თქმა დაგავიწყდეს, რომ მისი მსგავსები ნუ შეებრალებათ... აღარავის არ უნდა დასჭირდეს იმის შეხსენება, რომ ყველაზე დიდი სიმდიდრე დაგროვებული კი არა, გაცემული ოქრო-ვერცხლიაო!..

*მოამზადა*
*ინგა ჯაყელმა*

კავკასიის აკადემიური ცენტრი
CAC სი ეი სი
გთავაზობთ
ბიზნესის ადმინისტრირების
სასწავლო პროგრამას
Short course in Business Administration



პროგრამა გათვალისწინებულია აგრეთვე როგორც **ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის /MBA/** მოსამზადებელი კურსი.

აღნიშნული კურსი გულისხმობს ეკონომიკური განათლების არმქონე სპეციალისტთა ინტენსიურ მომზადებას ბიზნესის ადმინისტრირების, ძირითად დისციპლინებში, როგორიცაა:

- თანამედროვე ბიზნესი
- მიკრო-მაკროეკონომიკა
- მათემატიკური მეთოდები მენეჯმენტისათვის
- ზოგადი მენეჯმენტი
- მარკეტინგის პრინციპები
- ფინანსური აღრიცხვის ელემენტები
- სტრატეგიული მენეჯმენტი

სწავლის ხანგრძლივობაა 24 კვირა;

თითოეული დისციპლინის სწავლებას ეთმობა 6 კვირა;

მსმენელები უზრუნველყოფილნი არიან სასწავლო ლიტერატურით;

სრული კურსის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში გაიცემა **CAC** (სი ეი სი)-ის სერტიფიკატი და მსმენელი უგამოცდოდ ჩაირიცხება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამაზე;

მსმენელთა მიღება ხორციელდება 17 სექტემბრამდე.

*დაგვიკავშირდით, ნებისმიერ დაინტერესებას დაწვრილებით განვმარტავთ*

მის.: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 41;
ტელ.: 29-40-80 / 25-17-30; ელ.ფოსტა: cac@gol.ge

„პროსტატ ჰელსი"
ჯეოვიტი
მაქსიმუმი ჯანმრთელობა და მინიმუმი პრობლემები




- ✓ გაგიუმჯობესებთ სისხლის მიმოქცევას და აგაცილებთ შეგუბებით მოვლენებს პროსტატაში.
- ✓ აფერხებს პროსტატის ქსოვილის პათოლოგიურ ზრდას, რაც თავის მხრივ, ამცირებს შარდ-სასქესო ტრაქტზე კომპრესიას და არეგულირებს მოშარდვის მოთხოვნის სიხშირეს.
- ✓ თრგუნავს წინამდებარე ჯირკვალში ანთებით მოვლენებს.
- ✓ ასტიმულირებს ტესტოსტერონის გამომუშავებას, რითაც განაპირობებს სექსუალური პოტენციისა და სპერმატოგენეზის აღდგენას.
- ✓ ამცირებს ადენომის გაავთვისებიანობის რისკს.



Schiff
ამერიკული კომპანია „შიფის" ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი"

„შიფის" პროდუქციის შეძენა შეგიძლიათ მხოლოდ ქვემოთ მითითებულ მისამართებზე, სხვა შემთხვევაში თავი აარიდეთ ფალსიფიკაციას, რისი აღმოჩენისთანავე, გთხოვთ შეგვატყობინოთ.

„ჯეოვიტი" მის: ილია ჭავჭავაძის გამზ.41
ასევე დავით ტატიშვილის სამედიცინო-გამაჯანსაღებელი ცენტრი „ნაუტილუსი", მის: ილია ჭავჭავაძის გამზ.78
აფთიაქები თამარაშვილის ქ.№1, თამარ მეფის გამზ.№19
სპეციალისტების ყოველდღიური კონსულტაცია: 29-20-91
899 10-99-20; 899 14-35-56.
ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას გამზ. 29, აფთიაქი „ციბა". ტ: 5-13-45
საინფორმაციო-სამედიცინო სამსახური: 25-22-45

## თქვენთვის, ქალბატონებო!

# „მისთვის შვილი რომ არ წაგვერთმია, ხომ ბედნიერი იქნებოდა“

## ყველა სამშობიაროში ხდებოდა ბავშვების გასხვისება

ამ ცოდვამ კარგა ხანია მოსვენება დაუკარგა ჩემს რესპონდენტს, ქალბატონ თამარს. წარსულში ჩადენილ ცოდვებს ნანობს, განსაკუთრებით კი ერთ შემთხვევას, თუმცა მაშინ მიაჩნდა, რომ ამას 18 წლის გოგონას სასარგებლოდ აკეთებდა.

— *ქალბატონო თამარ, ექიმი ბრძანდებით?*

— არა, ექთანი გახლავართ. თბილისის ახლომდებარე რაიონის სამშობიარო სახლში დიდხანს ვიმუშავე ექთნად. პრაქტიკამ ბევრი რამ შემძინა, ცოდნით ექიმებს არ ჩამოვუვარდებოდი, ამიტომაც თვალდახუჭული მენდობოდნენ — სუმრობდნენ, უდიპლომო ექიმიაო.

— *რამდენი ხანია, რაც სამშობიაროდან წამოხვედით?*

— 15 წლის წინ ვაჟი მძიმედ ავად გამიხდა. ყველაფერი ვიღონე მის გადასარჩენად, მაგრამ... მისი სიკვდილის შემდეგ სამსახურს თავი დავანებე, ბევრ რამეს სხვანაირად შევხედე. რასაც ვაკეთებდი, ის რომ ცოდვა იყო, ლადოს სიკვდილის მერე მივხვდი.

— *ლადოს გარდა კიდევ გყავთ შვილები?*

— ლადო ნაბოლარა იყო, უფროსი ქალ-ვაჟი მყავს. მათ არ ეწყინებათ, მაგრამ უნდა ვაღიარო, ლადო გამორჩეულად მიყვარდა — საოცრად გულისხმიერი იყო, ჩემს სიხარულს და სანუხარს, დაღლას თუ ნებისმიერ განცდას უმალ ხვდებოდა და ყოველთვის გვერდში მედგა.

— *ამბობთ, რომ ლადოს გარდაცვალების მერე, სხვანაირად შეაფასეთ განვლილი ცხოვრება. მაინც რა ცოდვა გტანჯავთ?*

— ცოდვების მონანიება არაერთხელ ვცადე, მაგრამ შვება ვერ ვიგრძენი...

ძალიან ამაფორიაქა თქვენს გაზეთში დაბეჭდილმა, სადაც რესპონდენტი ქალბატონი ნუხს პირველი შვილის სიკვდილის გამო (ახლა მას უკვე აღარ ეჭვება, რომ ბავშვი გაუსხვისეს). ეს ქალი იხსენებს: ერთი ენადათაფლული ექთანი მიმტკიცებდა — ბავშვს პატარა ასფიქსია აქვს და მალე მოგიყვანთო... ეს რომ წავიკითხე, უცებ იმ ექთანში ჩემი თავი შევიცანი, თუმცა არც ჟენია მქვია და არც თბილისის I სამშობიაროში მიმუშავია არასდროს. შეიძლება ბევრი მედიკოსი გამინაწყენდეს, მაგრამ საბჭოთა წყობის დროს ყველა სამშობიაროში ხდებოდა ბავშვების გასხვისება. ჩვენთან უშვილო ცოლ-ქმარი ჩვილის აყვანის სურვილს ხან ბებიაქალს, ხან მე, იშვიათად კი განყოფილების გამგეს — გვიმხელდნენ. რა თქმა უნდა, მთავარმა ექიმმაც ყოველთვის ყველაფერი იცოდა, მაგრამ „ოპერაციაში“ არ მონაწილეობდა, სამაგიეროდ, თანხის მოზრდილი ნაწილი მას ხვდებოდა. ეს საქმე საათივით იყო აწყობილი... პირადად მე მშობელი არასოდეს მომიტყუებია, შენი შვილი მოკვდა-მეთქი. ათამდე ბავშვის გასხვისებაში მიმიღია მონაწილეობა, აქედან 9 შემთხვევა ასეთი იყო: შეცდენილ გოგონას და მის მშობლებს არ უნდოდათ სახელის, ოჯახის შერცხვენა, ამიტომაც მათი სურვილით ბავშვი სამშობიაროში რჩებოდა. ჩვილის დედას ვაწერინებდი ხელწერილს, რომ უარს ამბობდა ბავშვზე და შემდგომში არასოდეს მოიკითხავდა, მერე კი უშვილო ცოლ-ქმარს უკვე მათ გვარზე დაწერილ ბავშვს ვატანდი სამშობიაროდან. მაგრამ ჩემი ცხოვრების მთავარი საბედისწერო ამბავი ასე მოხდა:

26 წლისა გავთხოვდი. უკვე ვმუშაობდი. ხელფასზე სამჯერ მეტს ერთ კვირაში ვილებდი მადლიერი პაციენტებისაგან. ჩემი ქმარიც კარგ ადგილზე მუშაობდა, ასე რომ, ცხოვრება კარგად ავაწყვეთ. ჯერ გოგო გამიჩნდა, ორი წლის



მერე ვაჟი. რაიონულ ცენტრში, დიდი, 2-სართულიანი სახლი გვქონდა, მაგრამ მე მაინც თბილისში ცხოვრება მინდოდა. მესამე ბიჭი 8 წლის მერე გავაჩინე. ათ წელიწადში იმდენი დავაგროვეთ მე და ჩემმა ქმარმა, რომ თბილისში ვიყიდეთ ბინა, თანაც კარგ ადგილას. დედაჩემი ჩემთან გადმოვიყვანე (მამა გარდაცვლილი მყავდა), მე კი კვლავ იმ რაიონში გავაგრძელე მუშაობა. კოლექტივს ისე ვიყავი მიჩვეული, თანაც ჩემი „წონა“ მქონდა, პაციენტები ხშირად მე მიკავშირდებოდნენ და არა ექიმს. თბილისში კი საკმაოდ დიდი ფული მომთხოვეს, რომ პრესტიჟულ სამშობიაროში ადგილი მეყიდა. ისიც საკმაოდ მაკმაყოფილებდა, რომ თბილისში ვცხოვრობდით, ჩემი შვილები თბილისის სკოლაში დადიოდნენ.

ერთხელ, ბებიაქალმა გამანდო — ჩემი ძმისშვილი ერთმა ცოლშვილიანმა კაცმა შეაცდინა — სიყვარულს ეფიცებოდა 18 წლის გოგოს, მაგრამ როგორც კი გაიგო, მისგან ორსულად იყო, მაშინვე განზე გადგა: ცოლიც მყავს და ორი შვილიც, ოჯახს ვერ დავანგრევო. აბორტის გაკეთებაც დაგვიანებული იყო... ახლა საცაა, უნდა იმშობიაროს. ორი თვეა, რაც ჩემმა ძმამ უცხო თვალს გამოარიდა. აქ უნდა ვამშობიაროთ, ბავშვის გასხვისებაში კი შენ უნდა დამეხმაროო. რა უნდა მექნა? სწორედ იმ ხანებში ერთი უშვილო ცოლ-ქმარი გოგონას აყვანაში დახმარებას გვთხოვდა (რა თქმა უნდა, არაოფიციალურად). სასწრაფოდ ვაცნობე განყოფილების გამგესა და პედიატრს (მთავარ ექიმს განყოფილების გამგე შეატყობინებდა). სამი დღის შემდეგ ირმა (სახელი შეცვლილია) სამშობიაროში მოიყვანეს. მძიმე მშობიარობა ჰქონდა. ოთხი დღე იწვალა. ერთხანს ექიმი საკეისრო კვეთით აპირებდა ბავშვის ამოყვანას, მაგრამ მშობიარე ძალიან დასუსტებული იყო ტკივილებისგან, წნევა დავარდნილი ჰქონდა და შეშინდა, ვაითუ, გულმა ვერ გაუძლოსო.

ისევ მე და ბებიაქალმა (მამიდამისმა) ვიყოჩაღეთ. დაიბადა დედამისივით ლამაზი, თვალხატულა გოგო. დაღლილ-დაქანცულ დედას მალე ჩაეძინა და თითქმის თექვსმეტი საათი ეძინა. მამიდამისისგან ვიცოდი, რომ შეყვარებულის სიცრუე ძალიან მძიმედ გადაიტანა გოგონამ, ამიტომაც მისი შვილიც აღარ უნდოდა. საღამოს რომ მივაკითხე, მოფერიანებულმა ირმამ ბავშვი მოიკითხა. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, თუ ბავშვის მოცილება უნდა, რაღას კითხულობს-მეთქი. ვუთხარი, რომ ბავშვი ვერ იყო კარგად, ასფიქსიაშია და როგორც კი გამოჯობინდება, მაშინვე ამოგიყვანთ-მეთქი. მიუხედავად იმისა, რომ სუსტად იყო, ადგომაც არ შეიძლებოდა, გიჟივით წამოვარდა, — ჩემი შვილი უნდა ვნახოო. ძალიან გავნერვიულდი, ბევრი ვეხვეწე, დაწოლილიყო, მაგრამ არაფერი რომ არ გამომივიდა, ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე და პედიატრიულ განყოფილებაში გავყევი. მამიდამისს იქ უკვე გაეფრთხილებინა მორიგე ექიმი და იმანაც უთხრა, ბავშვს ვმკურნალობთო. არადა, ბავშვთან რომ მივედით, ისე საყვარლად და მშვიდად ეძინა, მის ყურებას არაფერი სჯობდა. ირმა უცებ მუხლებზე დაეცა და ჩურჩული დაიწყო, ღმერთს პატიებას სთხოვდა იმის გამო, რომ სულ ცოტა ხნის წინ შვილის მოცილება სურდა. მაპატიე, — ანი ქვეყნიერება რომ გადამიდგეს, მასზე უარს ველარავინ მათქმევინებსო. პაწაწას სახე დაუკოცნა და იმ იმედით, რომ ბავშვი სულ მალე გამოჯანმრთელდებოდა, დატოვა პედიატრიული განყოფილება. შავ დღეში ჩავვარდი. ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე ჯერ მამიდამისს, მერე მის მშობლებს. სამივემ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, გვირჩევნია მოკვდეს, ვიდრე ბავშვიანად გამოვიდეს აქედან და ოჯახი შეარცხვინოსო. მეოთხე დღეს ახალი მშობლები მოვიდნენ, ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც საჭირო იყო. ირმასთვის იმ საშინელი ტყუილის სათქმელად კი მე გამიშვეს. ძლივს მოვატრიალე ენა პირში, ძლივს ამოვთქვი: ყველა ღონე ვიხმარეთ, მაგრამ უძლური აღმოვჩნდით, ბავშვი გარდაიცვალა. რას იზამ, ახალგაზრდა ხარ, მომავალი წინ გაქვს და კიდევ ბევრ შვილს გააჩენ-მეთქი. თვალები გაუფართოვდა, მერე საშინელი ხმით დაიყვირა: აი, ღმერთმა როგორ დამსაჯა, რადგან არ მინდოდა მისი დაბადებაო... წამოხტა, ფანჯრიდან გადახტომა უნდოდა, ძლივს მოვასწარი, ხელი მეტაცა. ძალიან დავღონდი, მაგრამ საქმის გამოსწორება აღარ შეიძლებოდა. თორმეტი დღის მერე გავწერეთ. დაიჯერებთ, ამ ხნის მანძილზე გაუნძრევლად იწვა გულზე ხელებდაკრეფილი და ერთ წერტილს მიშტერებოდა. საჭმელს პირს არ აკარებდა, წყალსაც ძალით ასმევდნენ. ერთხელ, გამიწყდა მოთმინების ძაფი და მისი პალატიდან გამოსულმა მამიდამისს პირში მივახალე: შენ მოგეცეს ამ გოგოს და ჩემი ცოდვა-მეთქი. აქეთ დამამშვიდა, ნუ ნერვიულობ, ერთ მდიდარ კაცს მოსწონს ჩვენი ირმა, ერთ წელიწადში იმას მივათხოვებთო.

— *მართლაც გაათხოვეს ირმა?*

— კი არ გაათხოვეს, გააუბედურეს, შვილო. ახლაც სიმწრით ძვლები მეწვის ცრემლებით დასველებული მისი ლამაზი სახე რომ მაგონდება. ირმა შინ წაიყვანეს, მაგრამ ვერა და ვერ დამშვიდდა. სულ ვკითხულობდი მის ამბავს: სასიკეთო არაფერი მესმოდა. ერთხელ წავედი მის სანახავად. საშინლად გამხდარი, დასუსტებული იყო. მეგონა, დავარიგებდი, წყნარად ავუხსნიდი მისი ბავშვის „სუსტი ორგანიზმის“ და ასფიქსიის შესახებ, მაგრამ თვალი მომკრა თუ არა, აკივლდა: ეს ქალი მომაშორეთ, ამან წამართვა შვილიო.

— *ეჭვობდა, რომ ბავშვი გაუსხვისეთ?*

— ირმას მკვდარი ახალშობილი არ უნახავს, ამიტომაც აიჩემა, ბავშვი მომპარესო. ამ ამბავმა გამანადგურა. დღე იყო თუ ღამე, ირმას სასოწარკვეთილი ხმა მესმოდა. მის გაუბედურებაში მეც მიმიძღოდა წვლილი... რამდენიმე თვის შემდეგ მამიდამისს ვკითხე ირმას ამბავი. სახეზე არც შემოუხედავს, დაბნეულმა და ნაღვლიანმა მომიგო, ფსიქიატრიულში დავაწვინეთო. სამი წლის შემდეგ დედაჩემი ავად გახდა, ამიტომ კარგა ხანს არ მივლია სამსახურში. როცა მივედი და ძაძებიანი ირმას მამიდა დავინახე, გულს შემომეყარა. ირმა მივაბარეთ ორი კვირის წინ მიწასო, მითხრა. იქვე ჩავჯექი და კარგა ხანს ვერ მოვედი გონს...

ირმას სიკვდილი მოუშუშებელ ჭრილობად დამრჩა. მისთვის რომ შვილი მიგვეყვანა, ხომ იქნებოდა დღეს სალ-სალამათი და ბედნიერი? ისეთი გარეგნობის და ბუნების გოგო იყო, ღირსეული მთხოვნელი მაინც გამოუჩნდებოდა. ოჯახის სახელის შესანარჩუნებლად გაწირეს გოგო...

რამდენიმე წლის შემდეგ ჩემი ლადო დაავადდა. მისი სიკვდილით ირმას მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამო დავისაჯე...

## „უკუღმა“ დაბადებული...

— კაცი რომ „უკუღმა“ დაიბადება, მერე მთელი მისი ცხოვრება მარცხიანი იქნება, — მითხრა სიცილით გელამ და თავისი კურიოზები მიამბო.

— ყველასთვის ცნობილია, რომ ბავშვი თავით იბადება. მე კი „გავჯიუტებულვარ“, ჯერ გარდიგარდმო გავიჭედე დედის მუცელში (როგორც კახელები იტყოდნენ, გავიბოტე), მერე კი, პროტესტის ნიშნად ფეხებით წამოვედი. ეს ჩემს გურულ ბებიას რომ გაუგია, შეუცხადებია: აი ბალანა, ნამეტანი ფარსაგი და მაკვარანცხი იქნებაო. ბებიის სიტყვები ბეჭდივით დამებეჭდა შუბლზე...

ბაღში რომ მიმიყვანეს, ერთ ადგილზე ყოფნას ვერ ვახერხებდი. სულ აქეთ-იქით დავწანწალებდი. ერთხელ, სასადილოში შევიპარე. მზარეულებს სადილი უკვე მოემზადებინათ, დამსხდარიყვნენ და გემრიელად შეექცეოდნენ თავიანთ ნახელავს. კისელით სავსე უზარმაზარი ქვაბი გასაცივებლად ძირს გადმოედგათ. ჩემდა ბედად, კისელი უკვე გაგრილებულიყო, თორემ ჩავიფუფქებოდი. თავსახური რომ ავხადე, ფინჯანი ვერსად დავლანდე, ამიტომ გადავიხარე დასაგემოვნებლად და — ქვაბში ჩავყურყუმალავდი. ხმაურზე ქალები მოცვივდნენ და ამომათრიეს. იცოცხლე, მაშინ მე მომხვდა...

პირველ კლასში დანახვისთანავე მომეწონა ჩემი თანაკლასელი გოგო, დიანა. ისეთი ლამაზი და ვარდისფერი ლოყები ჰქონდა, მასწავლებლის ლაპარაკი სულ არ მესმოდა, დიანას ლოყებს მივჩერებოდი. უკვე მეორე კლასში დიანას გვერდით ადგილი მოვიპოვე... ერთხელაც, სუფთა წერის გაკვეთილი გვაქვს, ყველა ცდილობს ლამაზი ასოები გამოიყვანოს რვეულში, მე კი დიანას ლოყას მივჩერებივარ. უცებ მომინდა, მეგრძნო მისი გემო, დავეტაკე და კი არ ვაკოცე, ვუკბინე. თანაც, გაშვება აღარ მიფიქრია. პიტბულის ძაღლივით ვიყავი, „მსხვერპლს“ კბილს რომ ჩაავლებს და არა და არ უშვებს. დიანამ ჩემი თავიდან მოშორება სცადა, მაგრამ რომ გაიწია, ეტკინა და ატირდა. ძლივს გამაგდებინეს მსხვერპლი. დიანა ზლუქუნებდა, ცხვირსახოცით იწმენდდა ლოყას. რომ შევხედე, მერელა შემეცოდა, თითქმის ყველა კბილი ზედ ეტყობოდა. სასწრაფოდ აფრინეს კაცი მისი და ჩემი მშობლების მოსაყვანად. დიანას დედამ ყველას გასაგონად განაცხადა: თუ იცით, ანტირაბიულში ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთება ხომ არ დაგვჭირდებაო?

ამის გაგონებაზე ყველას ხარხარი აუტყდა, მე კი მთელი ათი წელი „ცოფიანს“ მეძახდნენ.

სტუდენტობაში გოგო შემიყვარდა, რომელიც მერე ჩემი ცოლი გახდა. თუმცა, სანამ შევირთავდი, კურიოზები არც მასთან მომკლებია. მეგობრის დაბადების დღეზე, ერთი-ორი ჭიქა რომ გადავკარი, მაკა საცეკვაოდ გამოვიწვიე. პირველი კლასის მოცეკვავე ვარ-მეთქი, არასოდეს მიტრაბახია, მაგრამ... რა მომივიდა იმ საღამოს, დღესაც არ ვიცი. დამუნჯებულს თითქოს ფეხებზეც გირები გამომება და დათვივით დავაბოტებდი. მერე, ისე მაგრად დავადგი ფეხი, რომ სულ წივილ-კივილით გავარდა ოთახიდან. ერთი სიტყვით, დათვიც გავხდი...

შეყვარებულები ვიყავით, როცა ბებია გარდაეცვალა. რა თქმა უნდა, თავი გამოვიდე, ყოველდღე დავდიოდი სამძიმარზე. დაკრძალვის დღეს კი ყვავილების უზარმაზარი კალათით დინჯად შევედი ოთახში, სადაც მიცვალებული იყო დასვენებული. ჩემდა ჭირად, ძირს დადგმულ ყვავილების ლარნაკს გამოვედე, წავიფორხილე, ველარ გავსწორდი, რადგან მძიმე კალათამ გადამძალა და გაქვავებულ ბებიას გადავემხე. ძლივს ამაყენეს ჭირისუფლებმა. სასიდედრომ მზრუნველად დამფერთხა, მერე კი ხმადაბლა ჩამილაპარაკა: ვიცი, რომ ძალიან გიყვარდა მაკას ბებია, მაგრამ ნამეტანი არაფერი ვარგა, ნუ ჩაჰყვები საფლავშიო. ჭირისუფლებმა ჩაიფხუკუნეს, მოგვიანებით კი „ოქროსიძე“ მიწოდეს.

ახლა მე და მაკას სამი წლის ლუკა გვყავს და როცა მარტოს ბავშვი სასეირნოდ მიმყავს, ჩემი ცოლი ათჯერ მაინც მაფრთხილებს: ყურადღებით იყავი, ბავშვი არსად დაგრჩესო...

*რუბრიკა მოამზადა მარინა ბაბუნაშვილმა*

*ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ — 899 27-26-61*

## გამოხმაურება

# პატიებასაც აქვს საზღვარი

წინა ნომერში დაბეჭდილ წერილს, „კაცს შეიძლება ბევრი რამ აპატიო, მაგრამ ლაჩრობა — არა“, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. რა თქმა უნდა, ყველას ვერ დავბეჭდავთ, თუმცა ავარჩიეთ ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო წერილი. ერთში მკითხველი ურჩევს ლელას, აპატიოს მეუღლეს შეცდომები, მეორე კი უფრო მკაცრია.

„ვფიქრობ, ლელამ ქმარს უნდა შეუნდოს, რადგან იმ ბიჭებმა (აფხაზეთის ომს ვგულისხმობ) ბევრი უბედურება გამოიარეს, ბევრი სიცრუე და ორპირობა ნახეს, ამიტომაც გაებზარათ სული და ამიტომაც მოსდით უნებლიე შეცდომები. ლელა! მოითმინე და აპატიე, ღმერთი დაინახავს ყველაფერს და მტყუან-მართალს თავისას მიაგებს. ღრმა პატივისცემით — მარი. ქიათურა“.

„...დღევანდელი კაცებისგან აღარაფერია გასაკვირი, მაგრამ მაინც საზღვარს გადავიდა ჩემი და ჩემი მეზობელი ქალების აღშფოთება, როცა ლელას ამბავი წავიკითხეთ. პატიება, რა თქმა უნდა, დიდი ნიჭია და ღირსება, მაგრამ ყოველთვის არა. ერთ ამბავს გიამბობთ: ჩემმა ბიძაშვილმა გიამ ამ 7 წლის წინ ცოლს უღალატა. არ ვიცი, რამდენად შეესაბამება სიტყვა „ღალატი“ მის საქციელს. არადა გიას მართლა უყვარდა ის ქალი, რომელმაც ბავშვი გაუჩინა. მერე თავად იმ ქალმა უთხრა უარი ცოლობაზე. გიას ცოლმა, ლიამ კი აპატია ქმარს ღალატი, ოჯახი აღარ დაანგრია და... შერიგდნენ. ამ შემთხვევაშიც კი შეიძლება გამართლება მოვუძებნოთ პატიებას, თუმცა ყველა ქალი დამეთანხმება, რომ ცოლისთვის ძალიან ძნელია ქმრის საყვარლის ატანა, მით უმეტეს, თუ ის ბავშვს აჩენს. ახლა რაც შეეხება ლელას ქმარს. ჩემი აზრით, მასაც აპატიებდა ცოლი სხვა ქალთან დროებით ყოფნას, მაგრამ ლელა დაიღალა მისი სისუსტეების ყურებით. მიკვირს, ვაჟკაცმა ცოლთან ერთ ჭერქვეშ ერთი კვირა როგორ ამყოფა შეიარაღებული კაცები, თვითონ კი სარდაფში იმალებოდა. იქნებ როგორ უჭირდა მარტოხელა ქალს? ლელამ ხომ თქვა კიდეც, სარდაფიდან თავი რომ ამოყო, ვიგრძენი, მეზიზღებოდაო. მეც ვეთანხმები მას, მართლაც ძნელია ლაჩრობის პატიება. ლელასნაირ ქალს მეტი სიყვარული და სითბო ეკუთვნის, ვიდრე მისმა ქმარმა არგუნა, ამიტომაც მიმაჩნია, რომ სწორად მოიქცა, ასეთ კაცთან ცხოვრება ხომ გაუმართლებელი და სამარცხვინოა.

რუსუდანი, თბილისი“.





ქალაქი, სადაც კენედი მოკლეს

1. იაპონელი კინორეჟისორი
2. უნგრეთის დედაქალაქი
3. გენოციდი
4. აშშ-ის შტატი
5. სახელმწიფო აზიაში
6. გეომეტრიული ფიგურა
7. ერთგვარი ნარკოტიკი
8. იაპონელთა ნაციონალური სამოსი
9. მთის წაწვეტებული მწვერვალი
10. ლექსის ცხრასტრიქონიანი სტროფი
11. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
12. გამარჯვების ქალღმერთი ბერძნ. მით.
13. ავსტრიის დედაქალაქი
14. ოპტიკური მინა
15. ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია
16. კვების გარკვეული რეჟიმი
17. იგივეა, რაც გზატკეცილი
18. ნობელის გამოგონება
19. მახრჩობელა გველი
20. გაშეშება
21. ქრისტიანული დღესასწაული
22. ზღვის პატარა ყურე
23. მედლის წინა მხარე
24. საკრებულო მეჩეთი
25. დაბალი დიპლომატიური რანგი
26. აცეტილსალიცილის მჟავა
27. ეკლესიიდან განდევნა
28. ზნე, ხასიათი
29. ერაყის ფულის ერთეული
30. მწარე საწებელი
31. ქრისტიანობისთვის წამებული არაბი
32. იაპონური ორთაბრძოლა
33. აღორძინების ხანა
34. კამათი პოლიტიკური საკითხების განხილვისას
35. აღფრთოვანება, აღმაფრენა
36. ეშმაკი
37. ჰუნების ბელადი
38. გამომწვარი ფერადი თიხა
39. მოსარჩლე, დამცველი
40. ადამიანის პათოლოგიური ზრდა
41. ტბა რუსეთში
42. ნიკო ლომოურის მოთხრობა
43. მოჭიდავე
44. საზოგადოებრივი საპირფარეშო ქალაქებში
45. ცხენბურთი
46. ძვირფასი ქვა
47. მარცვლეული კულტურა
48. მოგზაურობა აფრიკაში
49. ტუჩის კოსმეტიკური საცხი
50. თეფში
51. ზღაპრული გრძნეული ქალი
52. მინირესტორანი
53. თაფლიანი ფიჭა
54. სალბუნი
55. ხვიარა მცენარე
56. ტბა უნგრეთში
57. მათემატიკოსი ... ვეკუა
58. რადიოაქტიური ქიმ. ელემენტი
59. შინაური ცხოველი
60. ერთგვარი კანფეტი
61. ... ზელვეგერი
62. ხურდა ფულის შესაგროვებელი ჭურჭელი
63. ჯანმრთელი, დაუავადებელი
64. არგენტინული ცეკვა
65. ძლიერი ქარი
66. შთაგონების წყარო
67. ისრის წვერი
68. დენის ძალის საზომი ერთეული
69. პირისახე წინიდან
70. თაქთაქიშვილის ოპერა
71. ფასიანი ქაღალდი



მცენარეულ ზეთებში არის ის მჟავები, რომლებიც აუცილებელია ჰორმონების სინთეზისათვის. გარდა ამისა, ისინი შეიცავს დიდი რაოდენობით A, E, K, D ვიტამინებს. A და E ვიტამინები იცავენ ორგანიზმს თავისუფალი რადიკალებისგან, D ვიტამინი ეხმარება კალციუმისა და ფოსფორის ათვისებაში, ააქტიურებს თავისუფალი ნივთიერებების — ენდორფინების გამომუშავებას, მათზეა დამოკიდებული ჩვენი კარგი განწყობა. K ვიტამინი ამაგრებს და ელასტიკურს ხდის სისხლძარღვებს. რა თქმა უნდა, ლიდერი ზეითუნის ზეთია. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ეს ზეთი აფერხებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას, ანელებს ორგანიზმის დაბერების პროცესს, არანაკლებ სასარგებლოა მზესუმზირის ზეთი, ის ამაგრებს იმუნიტეტს, იცავს გულს.

**ზდოროვიე**

# თმა რომ ჯანმრთელი იყოს...

მოვლილი თმა — უკვე ვარცხნილობააო, —ამბობენ ფრანგი ქალები. თმა დაივარცხნეთ დღეში ორჯერ — დილხანს და გულმოდგინედ: 50-100-ჯერ დაისვით ჯაგრისი თუ, რა თქმა უნდა, გეყოთ მოთმინება. გრძელი თმისათვის საუკეთესოა ვიწრო, ოთხკუთხა ფორმის სავარცხელი, საშუალო და მოკლე თმისათვის — დრეკადი ჯაგრისი. თვეში 2-3-ჯერ გაიკეთეთ თმის სპეციალური ნიღაბი. გთავაზობთ უნივერსალურ რეცეპტს, რომელიც უხდება ყველა ტიპის თმას: 6 ჩ/კ ნატურალური იოგურტი აურიეთ უმ კვერცხს, ნარევი შეიზილეთ თმაში, შემოიხვიეთ თბილი პირსახოცი. 10-15 წუთის შემდეგ — ჩამოიბანეთ.

**სანი**

ოპერაციის გარეშე!!!
საგვარეულო მცენ. ნაკრები
„პლანტა“
* ჩიყვი, ჩირქ. გლანდები;
* მასტოპათია (კვანძები);
* კენჭები, ქოლეცისტიტი;
* უნაყოფობა, პროსტატიტი;
* გინეკოლოგიური დაავადებები.
მის: ქავთარაძის 16, II სართ.
(„ოფთალმიჯის“ მხარეს)
(12-16სთ); ☎ 30-09-10 (კლინიკა);
59-59-82 (სახლი); 877-49-61-48
ენვერ რამიშვილი

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
პროფ. გუსკოვის მეთოდით, ელ. სტიმულატორ „ინტრატონით“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ გააჩნია, პოტენციის დაქვეითებას, ქლამიდიოზს, ტრიქომონდულ და სხვა უროგენიტალიურ ინფექციებს. დიაგნოსტიკა, ექოსკოპია თანამედროვე იაპონური აპარატურით.
მის: გამსახურდიას (პეკინი) №14
მე-8 პოლიკლინიკა, კაბ. №26, 9-13სთ.
☎ 8(93) 31 42 35

პრეპარატი ფენსო გაძლევთ უნიკალურ შანსს
ფსორიაზი
ეგზემა
ნეიროდერმიტი
სებორეა
იმკურნალეთ
ენდეთ საუკუნოვან გამოცდილებას!
იკითხეთ აფთიაქებში


საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ყველაზე ეფექტური, არაჰორმონალური მალამოს საშუალებით
სერთიფიცირებულია
ცხელი ხაზი: 39 66 03

„ლიგა“ სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
•ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
•ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
•სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
•სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
•უროლოგიური,გულსისხლძარღვთა,ნევროლოგიური,
ნივთიერებათა ცვლის მოშლით და ნარკომანიით გამოწვეული
სექსუალური დარღვევების მკურნალობა
ფსიქოთერაპია
ვაქცინაცია დასავლეთის წარმოების ვაქცინებით.
თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ტელ: 32 21 21; 31 73 24

# უფრთხილდით ფრინველის გრიპს

საშინელმა დაავადებამ — ფრინველის გრიპმა, რომელმაც ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ისევ შეახსენა თავი მსოფლიოს. ამჯერად ის რუსეთის რეგიონში — ნოვოსიბირსკისა და ომსკის ოლქებსა და ალტაის მხარეში გავრცელდა.

შემდეგ ყაზახეთში, პავლოდარის ოლქში 10 დღის განმავლობაში 600 ბატი გაწყდა ამ დაავადებით. სოფელ გოლუბოვკაში კი 20 წლის მამაკაცი ორმხრივი მძიმე ფილტვების ანთებით არის ჰოსპიტალიზებული. იგი მეფრინველეობის ფერმის მუშაკია.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ვარაუდობს, მაღალპათოგენური ფრინველის გრიპის ვირუსი გადამფრენმა ფრინველებმა რუსეთში ჩინეთიდან შეიტანეს.

გვესაუბრება დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი **პაატა იმნაძე:**

**— ბატონო პაატა, საქართველოში ფრინველის გრიპის გავრცელების საფრთხე თუ არსებობს?**

— ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც არსებობს საფრთხე. ჯერჯერობით ფრინველის გრიპი გავრცელებულია კორეაში, ვიეტნამში, ჩინეთში, იაპონიაში, ტაილანდში, კამბოჯასა და რუსეთის სამ რეგიონში. თუკი გადამფრენი ფრინველი (იხვი, ბატი) დაისვენებს საქართველოში, ვთქვათ, რომელიმე ტბის ნაპირას და შემდეგ იქ შინაური ფრინველი მოხვდება, სავსებით შესაძლებელია, ჩვენთანაც გავრცელდეს ინფექცია.

**— როგორც ვიცი, ფრინველის გრიპის გავრცელების რეგიონებში შარშან ეპიდემიას არცთუ ცოტა ადამიანი ემსხვერპლა...**

— 2004-05 წლებში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, ძირითადად, ვიეტნამსა და ტაილანდში ეპიდემიური აფეთქების დროს სულ 112 კაცი გარდაიცვალა ამ დაავადებით (ეს საკმაოდ ცოტაა ასეთი მასშტაბის ეპიდემიისათვის). თუკი ჩვენი მოსახლეობა დაიცავს ჰიგიენურ ნორმებს, მას საფრთხე არ დაემუქრება.

ახლა გარეულ ფრინველზე ნადირობის სეზონი გაიხსნა საქართველოში. რაკი საშიშროება გარეული ფრინველისგან მოდის, სასურველია, მონადირეებმა ხელი კარგად დაიბანონ მას შემდეგ, რაც ნანადირევს შეეხებიან. ნანადირევი თერმულად უნდა დამუშავდეს და მხოლოდ შემდეგ შეიძლება მისი საკვებად გამოყენება (გრიპის ვირუსი იოლად იღუპება მაღალ ტემპერატურაზე). გარდა გარეული ფრინველებისა, ვირუსის მოსახლეობაში გავრცელების კიდევ ერთი მიზეზი დაავადებულ შინაურ ფრინველთან კონტაქტი და თერმულად დაუმუშავებელი მისი ხორცის საკვებად გამოყენებაცაა.

**ლელა ჯიყაშვილი**

# პრობლემები ბავშვთა ასაკში

## რა ახასიათებს ყბაყურას?

**ლ. ლომიძე**

პაროტიტული ინფექცია ანუ ყბაყურა, მწვავე ვირუსული, გადამდები დაავადებაა. მისთვის დამახასიათებელია ჯირკვლების, განსაკუთრებით კი — ყბაყურა ჯირკვლის დაზიანება. გარდა ამისა, ზიანდება პანკრეასი, სათესლე, საკვერცხე-სარძევე ჯირკვლები და ცენტრალური ნერვული სისტემა.

პაროტიტული ინფექციით უმთავრესად ავადდებიან 1-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვები. წყაროდ მიიჩნევა ყბაყურის ნებისმიერი ფორმით დასნებოვნებული ადამიანი. ვირუსის გადაცემა ჰაერწვეთოვანი გზით ხდება. ინფიცირება განსაკუთრებით ინტენსიურია სანერწყვე ჯირკვლების (ყბაყურა ჯირკვლის) გადიდებამდე 6 დღით ადრე და გრძელდება 9 დღე. ყბაყურით დაავადებული ბავშვისგან დაავადების გავრცელების საშიშროება სავარაუდოა ინკუბაციის ბოლოს და დაავადების გამოვლენის პირველ 3-5 დღეს. აღწერილია დაავადების გადაცემის შემთხვევები ნერწყვით დაბინძურებული სათამაშოებითა და სხვა საგნებით, თუმცა ეს იშვიათია. ერთ წლამდე ასაკის ბავშვები იშვიათად ინფიცირდებიან, რაც დედისგან (ორსულობის დროს) მიღებული იმუნიტეტით აიხსნება. დაავადების დაწყებიდან მე-7-9 დღეს ორგანიზმს უკვე გააჩნია სრული იმუნიტეტი, ანუ პატარა სამუდამოდ დაცულია პაროტიტული ინფექციის განმეორებითი შემოტევისაგან. ძალზე იშვიათია ყბაყურის განმეორებით შემოტევა.

თუ დედა ორსულობის პირველი 3 თვის მანძილზე დაინფიცირდა, შესაძლოა, ვირუსმა სპონტანური აბორტი — მუცლის მოშლა გამოიწვიოს. მოგვიანებით დაინფიცირების შემთხვევაში ყბაყურა ბავშვის თანდაყოლილ სიმახინჯეებს აღარ იწვევს.

### როგორ ვლინდება დაავადება

ეპიდემიური პაროტიტის ინკუბაციური პერიოდი (დრო ინფიცირებიდან დაავადების გამოვლენამდე) მერყეობს 11-დან 24 დღემდე. დაავადება უმეტესად იწყება უეცრად, ტემპერატურის მომატებით 39°C-მდე, ყბაყურა ჯირკვლის ცალმხრივი ან ორმხრივი შეშუპებებითა და მტკივნეულობით. ჯერ ერთი ჯირკვალი გადიდდება, 1-3 დღის შემდეგ — მეორე. ჯირკვალი, ხელით მოსინჯვისას (ყბის ქვეშ), გადიდებულია. ტკივილი ძლიერდება ღეჭვისა და ყლაპვის დროს. შეშუპება თანდათან ცხრება და 3-7 დღის შემდეგ ქრება.

უფროსი ასაკის ბავშვებსა და მოზრდილებში დაავადება ხშირად სათესლე ჯირკვლებს (არაიშვიათად მის დანამატებსაც) აზიანებს. ვითარდება ორქიტი — სათესლე ჯირკვლების ანთება. ყბაყურა ჯირკვლის გადიდებიდან 7-8 დღის შემდეგ ანთებით პროცესში ერთვება ან ერთი, ან ორივე სათესლე ჯირკვალი. ბავშვს აღენიშნება მდგომარეობის უეცარი გაუარესება, ტემპერატურის მომატება, შემცივნება, თავის ტკივილი. თავად ჯირკვალი შეშუპებული, შეწითლებული, მკვრივი და მტკივნეულია. ბავშვს ანთებითი მოვლენები 3-5 დღეში გაუვლის.

*დიაგნოზი:* დიაგნოზის დასმა რთული არ არის. დაავადებისთვის დამახასიათებელი ნიშნები ნათლად მიუთითებს პაროტიტული ინფექციის არსებობაზე. ექიმის დანიშნულებით ტარდება ლაბორატორიული კვლევა: სისხლის ანალიზი, ცეროლოგიური კვლევა, შარდის ანალიზი.

*მკურნალობა:* პაროტიტით ინფიცირებული ბავშვისთვის აუცილებელია წოლითი რეჟიმი, სითხის უხვად მიღება, პირის ღრუს ჰიგიენა — ყოველი ჭამის შემდეგ 2%-იანი ნატრიუმის ჰიდროკარბონატის (საჭმლის სოდა) ან ბორის მჟავის ხსნარის გამოვლება. მაღალი სიცხის დროს პატარას ეძლევა პარაცეტამოლის შემცველი სიცხის დამწევი პრეპარატი. დაავადების მძიმე მიმდინარეობისას საჭიროა მკურნალობა სტაციონარში, ექიმის მეთვალყურეობით.

## როგორ მოვიქცეთ ბავშვთა ასაკში სიბეცის დროს?

**ლ. კალმახელიძე**

ახლომხედველობის ჩამოყალიბების რისკი გაცილებით მეტია იმ ბავშვებში, რომელთა მშობლებსაც ანალოგიური პრობლემა აწუხებთ. თუკი ორივე მშობელი ახლომხედველია, ბავშვში მისი განვითარების ალბათობა ძალზე დიდია. ნორმალური მხედველობის მქონე ბავშვის თვალის კაკალი ახლოს განლაგებული საგნების დათვალიერებისას გრძელდება, ხოლო მზერის შორს გადატანისას — კვლავ მრგვალდება. თუკი სკლერა (თვალის გარსის მფარავი ქსოვილი) სუსტია და ვერ ეხმარება თვალს, საჭიროებისამებრ შეიცვალოს ფორმა, ბავშვი საგნებს ბუნდოვნად ხედავს.

ახალშობილთა უმრავლესობა შორსმხედველია და ეს ნორმალურია. სიბეცე შეიძლება დაემუქროს დღენაკლულ ბავშვებს, აგრეთვე — მათ, ვინც ხშირად ხდება ალერგიის, გრიპის, პნევმონიის და სხვა მსგავსი დაავადებების მსხვერპლი. იმ ბავშვთა ორგანიზმში, რომლებიც ხშირად ხდებიან ავად, ირღვევა ნივთიერებათა ცვლა, ფერხდება თვალისათვის სისხლის მიწოდება და, შესაბამისად, იცვლება სკლერის სტრუქტურაც — ის ჰკარგავს ელასტიკურობას, ველარ ახერხებს თვალის კაკლის დაგრძელება-დამრგვალებას.

*როგორ ავიცილოთ სიბეცე:* მხედველობის პრობლემა ჯანმრთელ ბავშვებსაც აქვთ. მსგავსი უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად საჭიროა რამდენიმე მარტივი წესის დაცვა:

— მიეცით ბავშვის თვალებს დასვენების საშუალება. თუკი პატარას კარგი მხედველობა აქვს, მეცადინეობისას ყოველ 40 წთ-ში დაასვენეთ, ხოლო სიბეცისას — ყოველ ნახევარ საათში — 10-15 წუთით. ახლომხედველობა განსაკუთრებით 7-დან 9 წლამდე, 12-დან 14 წლამდე ყალიბდება.

— საფრთხილოა კომპიუტერის ეკრანთან მოსწავლის ხანგრძლივი ჯდომა — ეს დრო 15-20 წუთით შემოიფარგლება. ხოლო თუკი ბავშვი გაჯიუტდა და მოითხოვს კომპიუტერთან ხანგრძლივად ყოფნას, ურჩიეთ, რომ ყოველ 15 წთ-ში დაასვენოს თვალები.

— ბავშვმა წიგნი თვალებიდან 40 სმ-ის დაშორებით უნდა დაიჭიროს.

— მნიშვნელოვანია გაკაუებაც, რის შემდეგაც ბავშვს უსიამოვნო ავადმყოფობანი ვერას დააკლებს.

— პატარას შეურჩიეთ საკვები, რომელიც სასარგებლო იქნება თვალისთვის. მხედველობისთვის ძალიან სასარგებლოა მიკროელემენტებით, კალციუმით, D ვიტამინითა და ფოსფორით მდიდარი პროდუქტები. ამიტომ გაამდიდრეთ ბავშვის მენიუ რძით, ხაჭოთი, მაწვნით, მოხარშული თევზით, ძროხის ხორცით, ენით, ინდაურის ხორცით, სტაფილოთი, მწვანილით, კომბოსტოთი და კენკრით.

— აუკრძალეთ პატარას 3 წლამდე ტელევიზორის ყურება და 8 წლამდე კომპიუტერთან თამაში.

*ვარჯიში „ზარმაცი“ თვალისთვის:* სიბეცე საბოლოოდ არ იკურნება, მაგრამ შეიძლება მისი შეჩერება. ექიმები განასხვავებენ „ცრუ“ ახლომხედველობას, რომელიც თვალის მამოძრავებელი კუნთის დროებითი სიზარმაცითაა განპირობებული. დროული და ადეკვატური მკურნალობა ზარმაც კუნთს გაავარჯიშებს. უკვე ჩამოყალიბებული „ნამდვილი“ სიბეცის კორეგირება და პროცესის შეჩერება თანამედროვე სამკურნალო მეთოდებით შესაძლებელია. მთავარია მშობელმა არ დააგვიანოს.

თვალის მასაჟი მარტივად კეთდება. ის აუმჯობესებს სისხლმომარაგებას და არეგულირებს თვალის წნევას:

— საჩვენებელი თითები დაიდეთ ცხვირის ორივე მხარეს და 18-ჯერ გადაისვით წარბზე.

— მსუბუქად დააწექით ქუთუთოებს გარეთა კუთხიდან — ცხვირისკენ.

— თვალის ქუთუთოებს დააწექით მსუბუქად გარეთა კუთხიდან ცხვირისკენ.

— თვალის გავარჯიშებისთვის ფანჯრის მინაზე თვალების დონეზე ფლომასტერით დახატეთ ორი 3 მმ დიამეტრის წერტილი. დადექით ფანჯრიდან 30 სმ-ის დაშორებით და 5 წამი უყურეთ წერტილს, 5 წამი კი ფანჯრიდან შორს იყურეთ. ვარჯიშის ხანგრძლივობა 3-5 წუთია. თუკი ბავშვი სათვალეს ატარებს, ეს ვარჯიში სათვალით უნდა შეასრულოს.

— დაუხატეთ პატარას წრე, ქაღალდი კედელზე ჩამოკიდეთ და ბავშვს ურჩიეთ, მზერით წრეში რვიანი მოხაზოს. ეს ვარჯიში სხვადასხვა მხარეს უნდა შეასრულოს. თავიდან ვარჯიში დღეში 2-ჯერ შეასრულეთ, შემდეგ კი თანდათანობით 6-8-მდე გაზარდეთ. ერთი თვის შემდეგ 2 კვირით დაასვენეთ თვალები და შემდეგ განაახლეთ ვარჯიში.

**მაია მუხიგული**

გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად
85 კომპლექტი ლარად!!!
ფასდაკლება პენსიონერებს და ინვალიდებს!

შპს „კონტრასტი“
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03;
899-19-60-55

## ირანის პრეზიდენტი „სიყვარულის ფონდს“ ქმნის



ირანის ახალი პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმადი ნეჟადის თაოსნობით იქმნება „სიყვარულის ფონდი“, რომელიც ღარიბ შეყვარებულებს ოჯახის შექმნაში დაეხმარება. ფონდს სახელმწიფო ნავთობიდან შემოსული თანხის ნაწილი გადაეცემა. ირანის ყველა პროვინციაში შეიქმნება ჯგუფები, რომლებიც დაადგენენ წყვილების რაოდენობას, ქორწილისთვის საჭირო თანხებს და ა.შ.

პროექტი პარლამენტში განსახილველად ჯერ არ შესულა. ახალი მთავრობის ლოზუნგი, ნავთობიდან მიღებული ფული მოქალაქეების შემოსავლად ვაქციოთო, მოსაწონია, მაგრამ სტაბილიზაციის ფონდის სოციალური საჭიროებისათვის გამოყენებამ შესაძლოა ქვეყანაში ინფლაცია გამოიწვიოს, მით უმეტეს, რომ „სიყვარულის ფონდის“ თანხა საკმაოდ მნიშვნელოვანია — 1,3 მლრდ დოლარი.

***ინტერფაქსი***

## ჩეჩნეთიდან რუსეთში 250 მლნ დოლარი მოგება შედის

ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრი სერგეი აბრამოვი მეტად კმაყოფილი დარჩა იმით, რომ რესპუბლიკის აღდგენის საქმეთა კომისია ჩეჩნეთის რესპუბლიკის მთავრობის კონტროლს დაუქვემდებარეს. ოპტიმისტურად განწყობილი პრემიერი შეეცადა, დაერწმუნებინა ჟურნალისტები, რომ მითი, თითქოს ჩეჩნეთი ფედერალურ ცენტრს ტვირთად აწევს კისერზე — უსაფუძვლოა. მისი თქმით, მარტო ნავთობის გაყიდვა წელიწადში 800 მლნ-ზე მეტ დოლარს აძლევს ჩეჩნეთს. ეს თანხა ფედერალურ ბიუჯეტში შედის, რესპუბლიკაში კი დოტაციის სახით ყოველწლიურად 550 მლნ დოლარი ბრუნდება. გამოდის, რომ რუსეთს 250 მლნ დოლარი სუფთა მოგება რჩება. აბრამოვმა ისიც თქვა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყველაფერს ილონებს, რომ ნავთობით მოგებული თანხები პირდაპირ ჩვენს ბიუჯეტში შევიდეს და არა რუსეთისაში, როგორც ახლა ხდება. დოტაცია არ გვჭირდება, გვირჩევნია, საკუთარი შემოსავალი თვითონ განვკარგოთო.

აბრამოვმა უარყო ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ნავთობის ქურდობის ფაქტებიც — ასე რომ იყოს, ბიზნესგეგმას ვერ შევასრულებდითო. აბრამოვის ნათქვამი გაკვირვებას იწვევს — ნავთობპროდუქტების დატაცების ურიცხვი ფაქტი თავად ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშებშიც კი ფიგურირებს. ეგებ, პრემიერის მიერ ნახსენები „ბიზნესგეგმა“ ამ დატაცებების გათვალისწინებით არის შედგენილი?

***ნოვიე იზვესტია***

## ისრაელი 1967 წლის საზღვრებს უნდა დაუბრუნდეს



პალესტინის ნაციონალური ადმინისტრაციის მეთაურმა მაჰმუდ აბასმა ქვეყნის საინფორმაციო საშუალებებისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „ისრაელმა ღაზის სექტორიდან და მდინარე იორდანეს დასავლეთი სანაპიროდან მთლიანად უნდა გაიყვანოს თავისი ჯარი და 1967 წლის საზღვრებს დაუბრუნდეს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ პალესტინის ოკუპირებული ტერიტორიების ისრაელელთაგან დაცლის შესახებ. ჯერჯერობით კი ჩვენს ტერიტორიაზე განთავსებულ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებს — „კარნისა“ და „ერეცს“ ისევ ისრაელი აკონტროლებს“.

მაჰმუდ აბასმა ისიც აღნიშნა, რომ ამ უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით ისრაელის პრემიერ-მინისტრ არიელ შარონს იერუსალიმში სექტემბრის დამლევს შეხვდება.

***ნიუს რუ***

## აზერბაიჯანში „ნარინჯისფერი“ რევოლუცია ალბათ ვერ მოხდება

ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები აზერბაიჯანში მღელვარებით ჩატარდება, მაგრამ რევოლუცია არ მოხდება. საქართველოსა და უკრაინაში ფერადი რევოლუციები იმ ხალხმა მოახდინა, ვისაც ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა, აზერბაიჯანში კი ასეთები არ ჩანან, — ამბობს პოლიტოლოგი ს. მარკედონოვი, — ოპოზიციის ლიდერები — ეტიბარ მამედოვი და ისა ღამბაროვი ცნობილი პოლიტიკოსები კი არიან, მაგრამ მათ ვერ შეადარებ იუშჩენკოს, სააკაშვილს ან ტიმოშენკოს.




მარკედონოვის აზრით, უკრაინაშიც და საქართველოშიც ოპოზიცია მტკიცედ იყო შეკრული, აზერბაიჯანში კი წინააღმდეგობა არა მარტო ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, არამედ ოპოზიციის შიგნით არსებობს. გარდა ამისა, ხელისუფლება უკრაინაშიც და საქართველოშიც ძალიან დასუსტებული იყო, აზერბაიჯანში კი ილჰამ ალიევს საკმაოდ ძლიერი პოზიცია აქვს. თუ ევროპის ქვეყნები საქართველოში ან უკრაინაში მხარს უჭერდნენ რევოლუციონერებს, აზერბაიჯანში სხვა სურათს ვხედავთ. ევროკავშირის ქვეყნები ილჰამ ალიევს აკრიტიკებენ დემოკრატიული სტანდარტებისთვის გვერდის ავლის გამო, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჯერჯერობით არ უსაყვედურია. მარკედონოვს ამის მიზეზად მიაჩნია ერაყში შექმნილი რთული ვითარება, თურქეთთან აშშ-ის ურთიერთობის დაძაბვა. გარდა ამისა, ჯორჯ ბუშმა არაერთგზის განაცხადა, — ირანი უსათუოდ უნდა დაისაჯოსო. აზერბაიჯანის ტერიტორია კი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება შესაძლო ოპერაციის ჩატარებისას.

მარკედონოვის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არსებობს კონსენსუსი ყარაბაღისა და ქვეყნის ერთიანობის პრობლემებთან დაკავშირებით — ყველა პოლიტიკურ ძალას მიაჩნია, რომ ყარაბაღი აზერბაიჯანის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს.

აზერბაიჯანში ფერადი რევოლუცია ვერ მოხდება თუ, რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ ნოემბრისთვის არ დაუშვა საბედისწერო შეცდომა, მაგალითად, რომელიმე პარტიას აუკრძალა არჩევნებში მონაწილეობა, — ასკვნის პოლიტოლოგი მარკედონოვი.

***ბი-ბი-სი***

## დამნაშავეებს ვერ დაასახელებენ



ბაღდადში დატრიალებულმა ტრაგედიამ ერაყი შინაომის საშიშროების წინაშე დააყენა. ბაღდადსა და ერაყის სხვა ქალაქებში დაკრძალეს ჭყლეტაში მოყოლილი 1030-ზე მეტი კაცი, მათ შორის ბევრია მოხუცი, ქალი, ბავშვი. დაღუპულთაგან თითქმის ყველა შიიტი იყო. ერაყის მოსახლეობის 60% შიიტია, 30%-მდე — სუნიტი.

ტრაგედია მოხდა ხიდზე, რომლის ახლოს დგას შიიტთა წმინდანის იმამ მუსა ალ-ყაზიმის მავზოლეუმი. ათასობით მორწმუნე შეიკრიბა იმამის ხსოვნის დღეს სამგლოვიარო ცერემონიაზე. მავზოლეუმთან სროლა ატყდა — 7 კაცი დაიღუპა, 40-ზე მეტი — დაშავდა. დაიწყო პანიკა.

ამას ისიც დაერთო, რომ გავრცელდა ხმა, მომლოცველთა შორის ტერორისტი-კამიკაძე იმყოფებაო. შეშინებულმა ხალხმა იქაურობისთვის თავის გარიდება მოინდომა და ხიდს მიაწყდა. ხიდმა ვერ გაუძლო სიმძიმეს. ბევრი მდინარეში გადაცვივდა, ბევრიც ჭყლეტაში დაიღუპა.

ერაყში სამდღიანი გლოვა გამოცხადდა.

შიიტთა ლიდერები ცდილობენ გაარკვიონ, იყო თუ არა ბაღდადის ტრაგედია სუნიტ ექსტრემისტთა მიერ დაგეგმილი აქცია. სუნიტები ხომ ადრეც (სადამ ჰუსეინის დროს მთელი ძალაუფლება მათ ხელში იყო) არ ინდობდნენ მშვიდობიან თანამემამულე შიიტებს.

ერაყის ყველა პოლიტიკურ ძალას კარგად ესმის, რომ მათ, ვისი ხელიც ურევია ამ უბედურებაში, სამოქალაქო ომის გაჩაღება სურთ.

ერაყის ხელისუფლება დამნაშავეს ეძებს. პრესაში გაჩნდა ინფორმაცია — ტერაქტის უკან „სადამ ჰუსეინის აგენტები“ დგანანო. ამით აშკარად მიუთითებენ ძალაუფლებადაკარგულ სუნიტებზე, რომლებიც ვერ ურიგდებიან შიიტთა ხელისუფლებაში მოსვლას. თავად პრემიერმა ალ ჯაააფარიმ ძიებას მიანიშნა — ჭყლეტა, რომელიც მომლოცველთა დაცხრილვას მოჰყვა, ტერორისტული აქტიაო.

პასუხისმგებლობა სროლაზე (მაგრამ არა ჭყლეტაზე) თავის თავზე სუნიტთა აქამდე უცნობმა ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ აიღო.

ერაყის ხელისუფლებას მომხდარის ნებისმიერი ვერსია შეუძლია გაახმიანოს, მაგრამ გადაჭრით ვერ იტყვის, რომ ტრაგედია სუნიტი ექსტრემისტების მოწყობილია. ამას საშინელი სისხლიანი შეტაკებები მოჰყვება შიიტებსა და სუნიტებს შორის.

ხელისუფლებას კი, ცხადია, სურს ქვეყანაში მშვიდობა იყოს, რომ 15 ოქტომბერს როგორმე შეძლოს ახალი კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარება.

***ლენტა რუ***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 3 სექტემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,7924 |
| ევრო | 2,2500 |
| გირვანქა სტერლინგი | 3,2944 |
| რუსული რუბლი | 0,0633 |
| თურქული ლირა (1*) | 1,3406 |

* 2005 წლის 1-ელი იანვრიდან თურქეთის ცენტრალურმა ბანკმა მოახდინა თურქული ლირის დენომინაცია და 1.000.000 თურქული ლირა (TRL) გაუტოლდა 1 ახალ თურქულ ლირას (TRY)

## მოკლედ

**აშშ-ის** სამხრეთს სტიქიური უბედურება დაატყდა თავს. საშინელმა ქარიშხალმა „კატრინამ“ გადაუარა ლუიზიანის, მისისიპისა და ალაბამის შტატებს. მთლიანად დაიტბორა ახალი ორლეანი, სადაც წყლის დონე 3 მეტრს ასცდა.

ლუიზიანის შტატის მცხოვრებთა ნაწილმა მოასწრო საცხოვრებლების დატოვება. ქარიშხალმა დაანგრია შენობები, ამოძირკვა ხეები, გადარეცხა გზები.

პრეზიდენტ ბუშს, რომელმაც შვებულება შეწყვიტა და ვაშინგტონში დაბრუნდა, არ დაუმალავს, რომ აღდგენით სამუშაოებს თვეები კი არა, წლები დასჭირდება. პრეზიდენტის ბრძანებით, დაზარალებულ შტატებს სახსრები საგანგებო ფონდიდან გამოეყოფა.

დაღუპულთა რაოდენობას ვერ ასახელებენ. ვარაუდობენ, რომ შესაძლოა დაღუპულთა რიცხვმა 10 000-საც მიაღწიოს.

ექსპერტების აზრით, ქარიშხლით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციას გაცილებით მეტი თანხები დასჭირდება, ვიდრე დაიხარჯა 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ. სავარაუდოდ, მატერიალური ზარალი 100 მლრდ დოლარს აღემატება.

როცა ქარიშხალი მიწყნარდა, სტიქიის შედეგი გაცილებით კატასტროფული აღმოჩნდა, ვიდრე ფიქრობდნენ.

**ჰოლანდიის** ქალაქ ჰოოხფეენში გარდაიცვალა მსოფლიოს უხუცესი ადამიანი — 115 წლის ქალბატონი ჰენდრიკე ვან ანდელ სპიპერი.

უკანასკნელი რამდენიმე წელი მან მოხუცთა სახლში გაატარა, სიკვდილის წინ უთქვამს, — ძალიან მსიამოვნებდა, რომ პლანეტის უხუცესი ადამიანი ვიყავი, სიამოვნებით ვიხსენებ განვლილ წლებსო.

**გამოძიების** ფედერალურმა ბიურომ დააპატიმრა გაეროს კიდევ ერთი რუსი თანამშრომელი ვადიმ კუზნეცოვი. ექჟმიტანილი მუშაობს გენერალური ასამბლეის საბიუჯეტო კომიტეტში. კუზნეცოვს ბრალად ედება „ბინძური ფულის“ გათეთრება.

**ბელორუსიაში** ევროკომისია თავისი წარმომადგენლობის გახსნას აპირებს, — განაცხადა ამ ორგანიზაციის პრესმდივანმა ემა იუდვინმა.

ბრიუსელსა და მინსკს შორის ურთიერთობა დაძაბულია. ამის მიზეზი გახდა ბელორუსიაში ევროკომისიის ტენდერში გამარჯვებული რადიოსადგურის, „გერმანული ტალღის“, ამუშავება.

რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ევროკავშირს ურჩია, აჯობებდა ეს ფული საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლად დაეხარჯათ, ამაოდ ცდილობთ ამ გზით იმოქმედოთ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ აზრზეო.

ახლა ევროკომისია ცდილობს, როგორმე შემოირიგოს ბელორუსია, თუმცა ძნელი სათქმელია, მიაღწევს თუ არა მიზანს.

**იაპონიის** კუნძულ ოკინავასკენ მიიწევს ტაიფუნი „ნაბი“, რომელიც კორეულად პეპელას ნიშნავს. იგი ისეთივე დამანგრეველია, როგორიც ქარიშხალი „კატრინა“. მისი ტრაექტორიის კომპიუტერული ანალიზი აჩვენებს, რომ ორ-სამ დღეში იგი მიაღწევს იაპონიის კუნძულებს — კიუსიუსა და სიკოკუს.

„ნაბის“ კოკისპირული წვიმები მოჰყვება.

## ბილ გეიტსი ჰოლივუდის დასაპყრობად ემზადება

მსოფლიოს უმდიდრესმა კაცმა (მისი ქონება მილიარდობით დოლარს შეადგენს), კორპორაცია MICROSOFT-ის თავკაცმა ბილ გეიტსმა ფულის შოვნის ახალ გზას მიაგნო — კინოპროდიუსერობას აპირებს, სურს ჰოლივუდი კომპიუტერული თამაშის, HALO-ს, მოტივებზე გადაღებული ფილმით დაიპყროს. ისევე, როგორც თამაშში, ფილმშიც მთავარი გმირი სუპერჯარისკაცი იქნება და კაცობრიობას ბოროტი უცხოპლანეტელებისაგან დაიხსნის.

გეიტსმა ფილმის გადაღება ორ კინოსტუდიას, UNIVERSAL-სა და FOX-ს, შესთავაზა და ცდილობს, დაიყოლოს ისინი, რომ ამ საქმისთვის 40 მლნ დოლარი გაიღონ. გეიტსის ჩანაფიქრით, კორპორაცია MICROSOFT-ი სტუდიებს გადაღებაში დაეხმარება.

ახალგამოჩეკილმა პროდიუსერმა ისიც გაითვალისწინა, რომ კომპიუტერული თამაშების მიხედვით გადაღებული ფილმების უმეტესობა სცენარის უვარგისობის გამო ჩავარდა. ამიტომაც HALO-ს სცენარის დაწერა ბრიტანელ მწერალს ალექს ჰარლანდს დაავალა. იგი მუშაობდა გახმაურებულ ფილმებზე — „პლაჟი“ და „28 დღის შემდეგ“.

ფილმი ეკრანებზე გამოვა 2007 წელს HALO-ს ახალ ვერსიასთან ერთად.

***კომერსანტი***

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*




მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა და ვიტრაჟი
საუკეთესო ხარისხის სამ და ოთხკამერიანი
მწერებისგან დამცავი ბადეები
ყველაზე რეალური ფასები
38-37-47 899-17-70-80
იოსებიძის ქ. №49



შპს „გეოკორი“ აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

„ტრონსერვისის“ ფირმის მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 ბ. „დიდუბის“ გვერდით
☎26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

# „დღეს თავისუფლებით ვტკბები“

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

მე პოლიტიკური სვლა კი არა, მორალური არჩევანი გავაკეთე. მაინც კრიმინალურ მენტალიტეტს მაბრალებენ და ჟარგონს გამოვიყენებ — „მაგრად ტეხავს“ ასეთ სიტუაციაში ყოფნა. რისთვის უნდა იყოს კაცი უმრავლესობაში: საიმისოდ, რომ თუ აგარაკისთვის შიფერი დასჭირდება, მიუგდონ? ან კიდევ დაბეჩავებული იყოს და ამტკიცებდეს, ქვეყანაში ყველაფერი კარგად და იდეალურად არისო? ამის გაკეთება არ შემეძლო და ამიტომაც დავტოვე ფრაქცია.

**— თუ უმრავლესობის 80% ასეთ გაუსაძლის პირობებშია, ხმას რატომ არავინ იღებს?**

— ეშინიათ, რომ დაატერორებენ (ან დააპატიმრებენ). ხალხი, რომელსაც უმრავლესობის ბერკეტები უჭირავს ხელთ, ამის გამკეთებელი არის. ეშინიათ ნათესავების გამოც, რომ მათაც გაუსწორებენ ანგარიშს. არ არის გამორიცხული, ქუჩაში მანქანა დაგავჯახონ განსხვავებული აზრის გამო. ეს ფუჭი სიტყვები არ გეგონოთ. ვიმეორებ — ეს ხალხი ყველაფერზე წამსვლელი და ყველაფრის მკადრებელია.

**— თქვენ არ გეშინიათ მანქანის დავჯახების?**

— რომ შემშინებოდა, არ წამოვიდოდი... მთავარია, შიშს სძლიო. ერთხელ და ორჯერ თუ შეგაშინეს, მერე ხელში აგიყვანენ... ხშირად კომიტეტში ან ფრაქციებში ყოფილა მსჯელობა, ხალხს აზრი გამოუთქვამს და როგორც კი გიგა ბოკერია შემოსულა, ყველა დადუმებულა. კი არ ეთანხმებიან, შეპასუხებას ვერ უბედავენ. პრეზიდენტის იმედი არ აქვთ, თორემ ბოკერიასა და კირკიტაძის პრობლემა არ იქნებოდა. სამწუხაროდ, პრეზიდენტს არცთუ კარგი წარმოდგენა აქვს პარლამენტზე და მას ზემოდან უყურებს. მისთვის აღმასრულებელი ხელისუფლება ბევრად მნიშვნელოვანია. როდესაც პრეზიდენტს ფრაქციის სხდომებზე დეპუტატების შექება უნდა, ეუბნება — თქვენ აღმასრულებელ ხელისუფლებაში წარმომიდგენიხართო. პარლამენტის მიმართ რომ უპატივცემულო დამოკიდებულებაა, ამას ბექაურის მაგალითიც ადასტურებს — წარმოგიდგენიათ კამერაჩამოკიდებული დეპუტატი? ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ მიჭირს კობა ბექაურის წარმოდგენა მასმედიაში კორუფციის აღმოფხვრისთვის მებრძოლ რაინდად. ან რატომ „განამდა“ ბექაური შალვა რამიშვილის მუქარებით? თუ უდანაშაულო ვარ, წავიდნენ და გადაიღონ ფილმი, რატომ შემეშინდება. თუ მიქარული არ გაქვს, რატომ ეგები შანტაჟს? პარლამენტის პრესტიჟი ისედაც ნულის ტოლი იყო და ბექაურის ნამოქმედარის შემდეგ უკვე მინუსებში გადავიდა. ბევრს აინტერესებს, ბექაურს გააფუჭებენ თუ არაო. მეტი რაღა უნდა გააფუჭონ, მაგაზე მეტი რა უნდა იკადროს კაცმა? თუ გულისხმობენ მის პასუხისგებაში მიცემას, ვფიქრობ, ეს გამორიცხულია. როგორც წესი, პოლიცია თავის ოპერაგენტებს იცავს ხოლმე. ამ შემთხვევაში ხელისუფლების ყველაზე სწორი ნაბიჯი ბექაურის პარლამენტიდან გაყვანა იქნებოდა. იტყოდნენ, ბექაური დეპუტატისთვის შეუფერებელ საქმიანობას ეწეოდა, კანონს არღვევდა, ფულს აკეთებდა, მაგრამ აღიარა კაცმა ეს და წავიდა პარლამენტიდანო. ბექაური ბიზნესში დაიწყებდა საქმიანობას, რომელიც ჩანს, ძალიან ეხერხება (განსაკუთრებით კი უპროცენტო სესხის აღება). ეს ყველაზე მისაღები ნაბიჯი იქნებოდა ხელისუფლებისგან. მაგრამ, როდესაც ბექაურს ჩვენი დროის №2 გმირად გვიხატავენ, შეურაცხმყოფელია. მისი ქმედება ნამდვილად არ არის ჩემთვის მისაბაძი — მტერმა მიჰბაძოს. მე რამიშვილის გამართლებას არ ვაპირებ, მაგრამ ვინც ამბობს, ბექაური ზნეობრივი გმირიაო, მაინტერესებს, უნდა მისნაირი შვილი ჰყავდეს? გინდა კრიმინალური მენტალიტეტი დამწამონ, გინდაც ქურდული, არ ვისურვებდი ასეთი შვილის ყოლას. არ არსებობს ქვეყანა, სადაც დამსმენი და დამბეზღებელი უყვართ. მოქალაქეობრივი ცნობიერება და პოლიციასთან თანამშრომლობა პავლიკ მოროზოვობას არ გულისხმობს.

**— როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება პრეზიდენტის კომენტარი ბექაურის შესახებ?**

— პრეზიდენტი ბექაურს შეაქებს... რასაც ბოკერია ამბობს, დაახლოებით იმავეს იტყვის სააკაშვილი. მან იცოდა პრეზიდენტის დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი და ეს გამოხატა კიდეც. ალბათ, ლიკანში ჩემზეც იტყვიან — მოგვცილდა, მაგრამ ვისაც არ უნდა ჩვენთან, კარგად იყოსო. მერე სხვებსაც ეტყვიან — ვინც კიდევ რაღაცას ფიქრობთ, გირჩევნიათ, ახლავე წაბრძანდეთო. რამდენიმე თვის წინ, თქვენი გაზეთისთვის მიცემული ინტერვიუს შემდეგ (როდესაც ვთქვი — ქვეყანაში არც ისე კარგად არის საქმე და პრეზიდენტი რეალობას მოწყდა-მეთქი), პრეზიდენტმა მითხრა: თუ არ მოგწონვარ და არც ეს უმრავლესობა მოგწონს, ჩემთან ნულარ იქნებიო. იმავეს იტყვის პრეზიდენტი ლიკანში — ვისაც არ მოვწონვართ, იმან დაგვტოვოსო. მაგრამ მეეჭვება, ეს წინადადება ვინმემ მიიღოს — ზოგი ბიზნესინტერესების გამო არ წავა ამაზე, ზოგი ძმას ან მამას გაუფრთხილდება, ზოგიც ბუნებით არის მფრთხალი და ზოგსაც — წარსულს გაუხსენებენ.

ჩემი აზრით, მასმედიაზე ზეწოლა კიდევ გაძლიერდება. დღეს პრესაზე ნწეხი ნაკლებია, რადგან ჰგონიათ, გაზეთებს არავინ კითხულობსო (თუმცა ეს არ ეხება „კვირის პალიტრას“. ვიცი ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების დამოკიდებულება თქვენი გაზეთის მიმართ, ყოველთვის ხაზს უსვამენ — პოპულარული და დიდი აუდიტორიის მქონე გამოცემაა და მას ყურადღება უნდა მივაქციოთო). წნეხში უმთავრესად ის ტელევიზიები მოექცევიან, რომელთაც მთელ საქართველოში აქვთ მაუწყებლობა. თუ ეს მოხდა, შემდეგ გაზეთებზე გადაინაცვლებენ. თუ აკვირდებით, საინფორმაციო გადაცემები როგორ შემცირდა. ძალიან მაშინებს ის პერსპექტივა, რაც ამის შემდეგ ელის ჩვენს ქვეყანას. მოსახლეობის 80%, რომელმაც ვარდების რევოლუციას დაუჭირა მხარი, თავს მოტყუებულად და შეურაცხყოფილად გრძნობს. ისინი გამოიყენეს და „გადააგდეს“. შევარდნაძის დროს წნეხი მაინც არ იყო — დამიჯერეთ... ახლა დააკვირდით ხელისუფლების სტილს — თითქმის ყველა ჩვენი მინისტრი სამხედრო ტიპის „ჯიპით“ დადის (თითქოს მთელი სიცოცხლე „ჯიპიდან“ არ ჩამოსულან) და 6-7 მანქანა მიჰყვებათ წივილ-კივილით. ვითომ მაჩოები არიან. არადა, უმეტესად ვალოდია ნიჟარაძის მსგავსი ხალხია, მთელი სიცოცხლე რადიატორთან ჩუმად რომ ისხდნენ და ახლა მოინდომეს მაგარი ბიჭობა. მათ რომ ვუყურებ, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ბავშვობის დროინდელ კომპლექსებს იკმაყოფილებენ. ჩვენი უბედურებაც ეს არის — არ შეიძლება ქვეყანა ბავშვობის დროინდელი კომპლექსების დაკმაყოფილების საშუალება იყოს.

ადამიანურად ვერ ვიმეტებ სააკაშვილს, არ მინდა ცუდად დაამთავროს. ამიტომ ვეუბნებოდი ხოლმე ჩემს სათქმელს. ბოლოს, როცა ვთქვი, ბექაურთან შეკითხვა მაქვს-მეთქი, ერთმა მალალჩინოსანმა მითხრა — ისეთი შეგრძნება მაქვს, ჩვენი თანაგუნდელი კი არა, შორიდან მაყურებელი ადამიანი ხარო. ვუთხარი, — ჩემიანებად რომ გთვლით, იმიტომ ვამბობ დელიკატურად, კითხვები მაქვს, თორემ ისედაც ნათელია ჩემთვის ყველაფერი, გარეთ რომ ვიყო, მერე ნახავდით, რასაც ვილაპარაკებდი-მეთქი. დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტი ჩემს სიტყვებს ყურად არ იღებს, მაგრამ ჩემს სათქმელს მაინც ვეტყვი — მოიცილოს ის ურეიტინგო ხალხი, რომელსაც დღეს „პარადი“ მიჰყავს ქვეყანაში. მუდმივი ამქვეყნად არაფერია. ნუ გაიხდის ხელისუფლება საქმეს ისე, რომ ქუჩაში ველარ შეძლოს გავლა და რომ დაინახავენ, ხალხმა ნიხლქვეშ არ გაიგდოს.

*იზო რეკაძე*


პროკრედიტ ბანკი ProCredit Bank Georgia

# პროკრედიტ ბანკი აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა ფილიალებისათვის:

## აგრო სესხების ექსპერტის ვაკანსია:

1. ფილიალის მდებარეობა: გორი
   [1] ALO_Gori_10/05
2. ფილიალის მდებარეობა: ხაშური
   [1] ALO_KH_10/05
3. ფილიალის მდებარეობა: რუსთავი
   [1] ALO_Rust_10/05

*საკვალიფიკაციო მოთხოვნები:*

- სოფლის მეურნეობის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა(სასურველია სპეციალური განათლება აგრობიზნესის, ეკონომიკის, საბანკო ან ბიზნესადმინისტრირების სფეროებში)
- კომპიუტერის ცოდნა;
- კომუნიკაბელობა;
- რუსული ენის ცოდნა (სასურველია ინგლისური ენის ცოდნა)

## საკრედიტო საინფორმაციო ოფიცრის ვაკანსია:

1. ფილიალის მდებარეობა: ხაშური
   Ref_CIO_KH_10/05
2. ფილიალის მდებარეობა: რუსთავი
   Ref_CIO_Rust_10/05

*კვალიფიკაცია და მოთხოვნები*

- უმაღლესი განათლება, სასურველია ეკონომიკის, საბანკო ან ბიზნესადმინისტრირების სფეროებში;
- ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- კომპიუტერის ცოდნა;
- კომუნიკაბელობა;
- რუსული (სასურველია ინგლისური) ენის ცოდნა

## საკრედიტო ადმინისტრატორის ვაკანსია:

1. ფილიალის მდებარეობა: ხაშური
   Ref_CA_KH_10/05
2. ფილიალის მდებარეობა: რუსთავი
   Ref_CA_Rust_10/05

*აუცილებელი მოთხოვნები:*

- უმაღლესი განათლება
- კომპიუტერის ცოდნა
- კომუნიკაბელობა
- ყურადღებიანი დეტალებისადმი და აკურატული

## მოლარის ვაკანსია:

1. ფილიალის მდებარეობა: ხაშური
   Ref_C_KH_10/05
2. ფილიალის მდებარეობა: რუსთავი
   Ref_C_Rust_10/05

*მოთხოვნები:*

- არანაკლებ ერთი წლის მუშაობის გამოცდილება იმავე თანამდებობაზე (სასურველია ბანკში)
- ქართული, რუსული ენის თავისუფალი ცოდნა (ზეპირი, წერითი)
- მოტივირებულობა, რთულ პირობებში მუშაობისათვის მზადყოფნა და განვითარებაზე ორიენტირებულობა
- ეროვნული ბანკის ნაღდ ფულთან მუშაობის საკვალიფიკაციო სერტიფიკატი (სასურველია)

## სალაროს გამგის ვაკანსია:

1. ფილიალის მდებარეობა: ხაშური
   Ref_CC_KH_10/05
2. ფილიალის მდებარეობა: რუსთავი
   Ref_CC_Rust_10/05

*მოთხოვნები:*

- არანაკლებ ორი წლის მუშაობის გამოცდილება იმავე თანამდებობაზე ბანკში.
- ქართული, რუსული ენის თავისუფალი ცოდნა (ზეპირი, წერითი)
- მოტივირებულობა, რთულ პირობებში მუშაობისათვის მზადყოფნა და განვითარებაზე ორიენტირებულობა
- ეროვნული ბანკის ნაღდ ფულთან მუშაობის საკვალიფიკაციო სერტიფიკატი

## საკრედიტო საინფორმაციო ოფიცრის ვაკანსია:

1. ფილიალის მდებარეობა: ხაშური
   Ref_CIO_KH_10/05
2. ფილიალის მდებარეობა: რუსთავი
   Ref_CIO_Rust_10/05

*კვალიფიკაცია და მოთხოვნები*

- უმაღლესი განათლება, სასურველია ეკონომიკის, საბანკო ან ბიზნესადმინისტრირების სფეროებში;
- ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- კომპიუტერის ცოდნა;
- კომუნიკაბელობა;
- რუსული (სასურველია ინგლისური) ენის ცოდნა

## საკრედიტო ოპერატორის ვაკანსია:

1. ფილიალის მდებარეობა: ხაშური
   Ref_CO_KH_10/05
2. ფილიალის მდებარეობა: რუსთავი
   Ref_CO_Rust_10/05

*მოთხოვნები*

- უმაღლესი ტექნიკური განათლება (სასურველია საბანკო სფეროსა ან ბიზნესადმინისტრირებაში)
- კარგი ანალიტიკური თვისებები
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება (საოფისე პროგრამები) საბანკო ბუღალტერიის ცოდნა
- გუნდური მუშაობის უნარი
- რუსული და ინგლისური ენების ცოდნა

## ოპერაციონისტის ვაკანსია:

1. ფილიალის მდებარეობა: ხაშური
   Ref_AM_KH_10/05
2. ფილიალის მდებარეობა: რუსთავი
   Ref_AM_Rust_10/05

*მოთხოვნები:*

- უმაღლესი განათლება (სასურველია საბანკო, საფინანსო ან ბიზნესადმინისტრირებაში);
- სამუშაოსადმი შეუპოვრობელი დამოკიდებულება, კლიენტებისადმი კეთილგანწყობა, თვითმოტივირებულობა, მზადყოფნა რთული სამუშაოს შესრულებისა და მუდმივი წინსვლისათვის;
- უნარი სათანადო ყურადღება დაუთმოს დეტალებს, საუკეთესო საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები;
- სწრაფად და ზეწოლის ქვეშ მუშაობის უნარი;
- გუნდში მუშაობის უნარი;
- პრობლემების დროულად და მშვიდად მოგვარების უნარი;
- ქართული და რუსული ენების ცოდნა (ინგლისური ენის ცოდნა სასურველია);

## კლიენტთა მომსახურების განყოფილების (ბანკის ფილიალის ან სერვისცენტრის საოპერაციოს) უფროსის ვაკანსია:

1. ფილიალის მდებარეობა: ხაშური
   Ref_HCSD_KH_10/05
2. ფილიალის მდებარეობა: რუსთავი
   Ref_HCSD_Rust_10/05

*მოთხოვნები:*

- უმაღლესი განათლების დიპლომი, სასურველია ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის ან ფინანსების დარგში
- ბანკში კლიენტთა მომსახურების დეპარტამენტში მუშაობის მინიმუმ 2-წლიანი გამოცდილება
- საბანკო ოპერაციების კარგი ცოდნა
- კლიენტთა მომსახურების პრინციპების სიღრმისეული ცოდნა
- მართვის, ორგანიზაციული და პრობლემათა გადაჭრის ეფექტიანი უნარ-ჩვევები
- კომუნიკაბელობა
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების ცოდნა

## მიკროსესხების ექსპერტის ვაკანსია:

1. ფილიალის მდებარეობა: გორი
   Ref_MLO_Gori_10/05
2. ფილიალის მდებარეობა: ხაშური
   Ref_MLO_KH_10/05
3. ფილიალის მდებარეობა: რუსთავი
   Ref_MLO_Rust_10/05

*მოთხოვნები*

- უმაღლესი განათლება (სასურველია ეკონომიკურ, საბანკო ან ბიზნესადმინისტრირების სფეროში)
- ანალიტიკური აზროვნების უნარი
- კომპიუტერული პროგრამების ცოდნა
- კომუნიკაციური უნარ-ჩვევები
- ქართული და რუსული ენების თავისუფალი ფლობა, სასურველია ინგლისური ენის ცოდნა

## მცირე და საშუალო სესხების ექსპერტის ვაკანსია:

1. ფილიალის მდებარეობა: ხაშური
   Ref_SMLO_KH_10/05
2. ფილიალის მდებარეობა: რუსთავი
   Ref_SMLO_Rust_10/05

*მინიმალური მოთხოვნები:*

- ბაკალავრის ხარისხი ფინანსების ან ეკონომიკის სფეროში
- ბანკში, ფინანსურ ინსტიტუტებში ან მსხვილ კომპანიებში მუშაობის მინიმუმ 1-წლიანი გამოცდილება
- ქართული და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა (სასურველია ინგლისური)
- საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება, პროფესიონალური ზრდის და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი
- კომუნიკაბელობა

## დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

- CV და 1 ფოტოსურათი
- დიპლომის ან სერტიფიკატების ასლები
- სარეკომენდაციო წერილები

## შემდეგ მისამართზე:

პროკრედიტ ბანკი
სათაო ოფისი
აღმაშენებლის გამზ.154, თბილისი - 0112
ან გამოაგზავნეთ ელ-ფოსტით: career@procreditbank.ge

## საბუთების შემოტანის ბოლო ვადა: 10 სექტემბერი 2005

შენიშვნა: განაცხადში ან ელ-წერილში აუცილებლად მიუთითეთ თქვენ მიერ შერჩეული ვაკანსიის დასახელება და ნომერი; წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი კანდიდატურა არ განიხილება.

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. კუბა ვისია?..



სამოციანი წლებია. ჩემი ბიძაშვილები, მეხუთეკლასელი ტყუპი — როინი და ნუნუ სკოლიდან ცხარე კამათით დაბრუნდნენ. კამათობდნენ იმაზე, თუ ვისი იყო კუბა — ჩვენი თუ ამერიკისა (მაშინ ბავშვებისთვის სამყარო ორად იყო გაყოფილი. ქვეყანა ან „ჩვენი" იყო, ან „ამერიკის"). მათ დედას, ნათელას ათიოდე მეტრში მდგარ თონეში ფიჩხი ჩაეყარა და ცეცხლი დაენთო. ალი, რომ იტყვიან, ცას სწვდებოდა. ფიჩხი ხმაურით, ტკაცატკუცით იწვოდა.

— დედა! კუბა ვისია? — გასძახა სახლის შესასვლელში მდგარმა როინმა.

ცეცხლის ტკაცატკუცში ნათელამ ვერაფერი გაიგონა და კითხვისმომცველი მზერით გამოხედა. როინმა უფრო ხმამაღლა გაუმეორა შეკითხვა:

— შენი და ნუნუსია, შვილო, გაიყავით! — გამოსძახა დედამ.

გაკვირვებულმა და-ძმამ ხელახლა გაუმეორა კითხვა.

— ჯანდაბას თქვენი თავი!.. რომელსაც გინდათ, იმისი იყოს! — გამოსძახა გაჯავრებულმა დედამ.

ხმაურში ნათელას მარტო „ვისია" ესმოდა, ეგონა, ბავშვები კარადაში მათთვის შენახულ ნამცხვარზე ეკითხებოდნენ.

*გერონტი მესხი, თბილისი*

## 2. განკარგულება



ერთ წელიწადს დიდთოვლობის გამო საგარეჯოს მეცხვარეობის ფერმებთან მისასვლელი გზები ჩაიკეტა. რაიკომის ბიუროზე ახალდანიშნულ ალმასკომის თავმჯდომარეს დ. ბ-ს დაევალა გზების გაწმენდა. არადა, ცხვარში გახურებული დოლია. ახალშობილი ბატკანი ლამის გაწყდეს. მეორე დღეს რაიკომის მდივანი ეკითხება — რა ქენი, კაცო, ფერმებში გაარკვიე რამე?

— მა როგორ, განკარგულება გავეცი, დოლი შააჩერონ!..

*ო. კავთუაშვილი, საგარეჯო*

## 3. ხაზრიანი ჯარისკაცი



ჯარში ჩემთან ერთად მსახურობდა აზერბაიჯანელი ჯარისკაცი, მაღალი, მიამიტი სუმბათა. ერთხელ, მორიგეობა მოუწია დროშასთან, რომელიც დამაგრებული იყო დიდი დარბაზის შესასვლელთან, სპეციალურად განკუთვნილ ადგილზე. იქვე იყო პატარა კარადა („ტუმბოჩკა"). მისი მორიგეობის დროს სამხედრო ნაწილს ეწვია გარნიზონის გენერალი, რომელიც თანმხლებ ოფიცრებთან ერთად მივიდა დროშასთან, სუმბათამ შეძლებისდაგვარად მოახსენა გენერალს, რომ ყველაფერი კარგად არის. გენერალი შეეკითხა: — კაკ კორმიატ? პასუხი: — ატლიჩნო! მორიგი შეკითხვა: — ა კაკ ჩისტატა? პასუხი: — ბლესტიტ, ტავარიშ გენერალ!.. მაშინ გენერალმა უბრძანა: — ანუ ატადვინ ტუმბოჩკუ!.. სუმბათამაც გამოსწია და დიდი ხნის ხელუხლებელი „ტუმბოჩკის" ადგილზე მტვრის დიდი ფენა გამოჩნდა. ამაზე გენერალმა დამცინავად წამოიძახა: — აკაზივაეტსია ნე სავსემ ბლესტიტ! და თან დასძინა, — ნუ ჩტო სკაჟეშო!.. ჯარისკაცი „არ დაიბნა" და მოხსენების სტილში უპასუხა: — ტაკ ტოჩნა, ტავარიშჩ გენერალ, ნე ზრია გავარიატ, „სვინია ვეზდე ნაიდიოტ გრიაზ"...

*ბექარ მამამთავრიშვილი, ლაგოდეხი*

## 4. – ბავშვია თუ...



ქალბატონი ნანული ჩიხლაძე იმთავითვე იუმორით გამოირჩეოდა. 1966 წელს (მაშინ მხოლოდ 23 წლის იყო) სოფელ ნინოწმინდის საშუალო სკოლაში გაკვეთილზე განათლების სამინისტროს წარმომადგენელი კომლაძე დაესწრო, რომელიც აღფრთოვანდა ნიჭიერი მასწავლებლით. ანალიზის შემდგომ განათლების განყოფილების გამგეს ვანო ბედიაშვილს რეკომენდაცია მისცა ნანული მალე დირექტორად დაეწინაურებინათ. ბატონმა ვანომ შეიცხადა, — ეს ხომ ჯერ ბავშვიაო. ნანულიმ ვერ მოითმინა და წყენით წამოიყვირა: — რა არის, ბატონო ვანო, მაჭანკლები როცა მოდიან, მიწუნებენ ბებერია, ბებერიაო და ახლა გავხდი ბავშვი?

*რომან ზუკაკიშვილი, საგარეჯოს რაიონი, სოფელი პატარძეული*






5. ზოოპარკში, ვეფხვის გალიაზე წარწერაა: „ფრთხილად, შეღებილია!"

— ამათი პატრონი დედა! — წამოიყვირა მიხომ, — მე მეგონა ზოლები ნამდვილი იყო!

*ნიკოლოზ იოსებიძე, თბილისი*



6. — ბაბუ, რომელი უფრო ადრე იყო, ქათამი თუ კვერცხი? — ეკითხება პატარა გურული ბაბუას.

— ეჰ, შვილო, ადრე ყველაფერი იყო!..

*თამაზ ხელაძე, ვანის რაიონი, სოფელი ზეინდარი*

## გამოვლინდა კურიოზების კონკურსის აგვისტოს თვის სამი გამარჯვებული

პირველი ადგილი და პრემია — 50 ლარი დაიმსახურა **რომან ზუკაკიშვილმა** (საგარეჯო, სოფელი პატარძეული) კურიოზით *„მაგას ნაკლები აქვს?!"*

მეორე ადგილი და პრემია — 30 ლარი გადაეცემა ქუთაისელ **ვაჟა ჟღენტს** კურიოზისთვის *„ვინც დასაწვავი იყო..."*

მესამე პრემია — 20 ლარი წილად ხვდა საგარეჯოელ **ივანე ხიზრელაშვილს** კურიოზით *„კოტეს ოინი"*.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრემიების მისაღებად ველით რედაქციაში ხუთშაბათს, 8 სექტემბერს, 17 საათზე.

კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ________

________

თქვენი სახელი, გვარი

კვირის პალიტრა №36

ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ" მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას. ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 7 სექტემბრის 11 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 8 სექტემბრის 13 საათამდე.*






## © ფოტოანტიკვარი

„ფოტოანტიკვარის" წინა ნომერში გამოქვეყნებულმა პატარა ბიჭის ფოტომ და მინაწერმა (— ჩვენი ესტრადის შემხედვარეს, სიმღერას ტირილი მირჩევნია!) მკითხველთა ერთ ნაწილს ქართული ესტრადის ბედზე დაფიქრებული მომღერლები გაახსენა. როგორც ჩანს, ამიტომ დაასახელეს სოსო პავლიაშვილი და გია გაჩეჩილაძე (უცნობი). ერთმა მკითხველმა იმავე „მოტივით" ქალბატონი რუსუდან სებისკვერაძე დაასახელა, ერთმაც — ნუკრი კაპანაძე...

რესპონდენტთა უმეტესმა ნაწილმა (90%-მა) კი ზუსტად გამოიცნო „ფოტოანტიკვარის" მთავარი გმირი, მომღერალი ბიგა კვენეტაძე. ერთ-ერთმა მკითხველმა, ნაირა აბულაძემ ირონიული მინაწერიც გააკეთა ფოტოზე, — გირჩევნია და ამიტომაც ტირილით მღერიო.



ბიგა კვენეტაძე 2,5 წლის



*ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი*

## მილოცვა



**ციტნე მატუს!**

ჩვენო პატარავ! გილოცავთ დაბადების დღეს, 8 სექტემბერს. სამი წლის შესრულებას.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ ცხოვრებას. გაიზარდე შენი მშობლებისა და სამშობლოსთვის სამაყო კაცად.

*ნენე მემია, ვიტალი ბაბუა მატუშენი*

**გული ფირცხალავას!**



ჩვენო კარგო, ხელითა და გულით გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და ყოველგვარ სიკეთეს, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე კარიერაში. ისე წარმატებული შენი ცხოვრება, როგორც შენი კეთილი გული. ძალიან მიყვარხარ და გთხოვ ის დიდი ადამიანობის გამო, რომელიც შენ გაგაჩნია.

ბედნიერება ყოფილიყოს შენი ცხოვრების თანამგზავრი.

*უსაზღვრო პატივისცემით — შენი ქეთევანი*



**საბა ბერძენიშვილს!**

*ნანა ბიძია და ირაკლი ბიძია გილოცავენ დაბადების დღეს. ...*

**ირაკლი და თითია კოლაჩინებს!**

სულით და გულით გილოცავთ საშუალო სკოლის დამთავრებას და უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას. გისურვებთ ყოველივე წარმატებებს.

*დიდი სიყვარულით და პატივისცემით, ელისო გაბუნია*

*გალის რაიონის გამგეობის განათლების სამსახურის თანამშრომლები დაბადების დღეს ულოცავენ ...* — **ლამარა შალვას ასულ ჩხეიძეს.**



შეგეხვდეთ ჯანმრთელობა და დიდი ბედნიერება! ქალბატონო ლამარა, ძალიან გვიყვარხარ!

ჩვენს ქალბატონს — **მანანა მუხათგვერდელს** ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წარმატებებს ოჯახში და სამსახურეობრივ საქმიანობაში.

*ღრმა პატივისცემით, ძველი მეგობრები*

დედის მეგობრები ულოცავენ **მიშიკო ჯაფოშვილს** პატარა გვანცას შეძენას.

ღმერთმა ... შენი ქალიშვილი, მიშიკო.

## მადლობა

ქ. თბილისის, გოძიაშვილის ქ. №71-ის მცხოვრებლები დიდ მადლობას ვუცხადებთ თბილგაზის ახალ ხელმძღვანელს – ბ-6 **ვ. კვინიკაძეს,** ჩვენი კანონიერი მოთხოვნის დროულად განხილვისათვის.

*არაჩაშვილი; მაისურაძე; გეგუჩავა; დავითური; გოლოვანი; რაპიანი*

## ბინები

იყიდება 4-სართულიანი, ახალაშენებული კარკასი ს/ფ – 700 კვმ, ძველ თბილისში, პურის მოედანთან ახლოს, სიონის ეკლესიის თავზე და ქართვლის დედის ძირში, ძველი ქართული აგურით ნაშენი, საუკეთესო ხედებითა და აივნებით, ეზოთი – 400 კვმ, გაფართოების პერსპექტივით. ს/ფ – $400.000. შეიძლება ნაწილობრივ გაყიდვაც . ფასი: 1 კვმ – $600. ტელ: 96-53-08; 899 92-30-20

## ვეძებ სამუშაოს

მოვუვლი ბავშვს. ტელ: 53-01-53

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას ავსტრიაში, გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, au-pair პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისში)

გვჭირდება განათლებული ადამიანები ოფისში სათანამშრომლოდ. სამუშაო კონტრაქტითაა. მსოფლიოში საუკეთესო მუშაკებს, შანსი ეძლევათ ყოველ 3 თვეში უფასოდ წასვლისა საზღვარგარეთ, სამუშაოდ ან სტაჟირებით (კომპანიის პროფილით). გამომუშავება – ყოველდღიური, თვეში – საშუალოდ 300-600 ლარი. მიმდინარეობს შერჩევა. ფირმის საერთაშორისო მენეჯერი ბ-ნი დიმიტრი. მის: „სამთო ქიმია", I სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 899 76-68-50

ტრანსნაციონალური კომპანია, ქართული სექტორის გახსნასთან დაკავშირებით იწვევს უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე პირებს ოფისში სამუშაოდ. შერჩევა მიმდინარეობს კონკურსის წესით, ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 99-64-71; 33-59-27; 899 98-19-52

სამსახური ექიმებისთვის! მუდმივ სამუშაო ადგილზე გვესაჭიროება: 2 პედიატრი, 2 თერაპევტი, 1 ენდოკრინოლოგი და 1 ინფექციონისტი, მაღალი ანაზღაურებით, მინიმუმ 3 წლის მუშაობის გამოცდილებით. შესაძლოა შეთავსებაც. ტელ: 95-33-47 (საღამოს); 899 14-64-95

ოფისის გახსნასთან დაკავშირებით გვესაჭიროება უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები, მათ შორის ექიმები. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ასაკი 30-55 წელი. მიღება-შერჩევა – გასაუბრებით. ტელ: 38-23-74 (თბილისი); 8 (231) 4-10-26 (ქუთაისი); 893 108-117 – დისპეტჩერი, 12-15 სთ

ფინანსურად გარანტირებულ ჩინურ კორპორაციას, რომელიც მრავალ ქვეყანაში ფუნქციონირებს, ესაჭიროება უმაღლესი განათლების მქონე პირები, მენეჯერის თანამდებობაზე. მიღება გასაუბრებით – თავისუფალი გრაფიკით. მიღების შემთხვევაში ჩავატარებთ სემინარს. სამსახურის პირობების გაცნობის მიზნით, გამოგვეხმაურეთ: 34-63-64. ომარი (17 სთ-ის შემდეგ)

## მომსახურება

ვკერავთ და ვაახლებთ მატყლის და ბამბის ლეიბებს და საბნებს, ბუმბულის ბალიშებს, როგორც ჩვენი, ასევე თქვენი მასალით, ხარისხის გარანტიით, ჩვენი ტრანსპორტირებით. ტელ: 29-34-49. გულიკო

გამოცდილი კოსმეტოლოგი გთავაზობთ ეპილაციას უნემსოდ, ფრანგული აპარატით, უმტკივნეულოდ, უკვალოდ, ყველაზე შედეგიანად. ერთი ამოღებით გათავისუფლდებით ჭარბთმიანობისგან; მუწუკიანი, ნამუწუკარი ლაქების განკურნება; ნატურალურ კომპონენტებზე დამზადებული ყველანაირი კოსმეტიკური საშუალება. კოსმეტოლოგი ნათელა კაპანაძე. ტელ: 33-33-18; 893 57-53-80

ნაოჭების სრული დაშლა-გასწორება, გამონაყარის მოშრება, მოდუნებული სახის კანის, ყელის, ღაბაბის აღდგენა სამკურნალო მასაჟით (35 წუთი)+ეგვიპტური ნიღბებით. შედეგი გარანტირებულია 7-10 დღეში, შემდგომში ნაოჭის არგაჩენის გარანტიით, სპეციალური მალამო-ზეთით. ფასი: 1 სეანსი – 5 ლარი. მიღება – მხოლოდ ჩაწერით. მის: №1 სამშობიაროსთან, ჯავის ქ. №26. ტელ: 899 17-63-90; 822 69-98-92. ეთო

## მკურნალობა

წინაპართა მეთოდებით, სამკურნალო მცენარეებსა და თეთრ მუმიოზე ვამზადებ მალამოებს, ხსნარებს. ვმკურნალობ: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრების ანთებას, რადიკულიტს, საშწვერა ნერვის ანთებას, ჰაიმორიტს (ასევე უმძიმეს დაავადებებს), დისკოზს, ართროზს. მის: თევდორე მღვდლის №48. მე-4 სად. მე-8 სართ. 56-37-37; 899 54-64-81

მთლიანი ორგანიზმის ზუსტი კომპიუტერული გამოკვლევა ფუნქციონალურად; დაავადებათა გამოვლინება საწყის ეტაპებზე (ფასი 30 ლარი); კუჭ-ნაწლავის, გულ-სისხლძარღვთა (წნევების), ჩიყვის და დიაბეტის, ქალური, მამაკაცური, ნერვული სისტემის, სიმსუქნის, მოზარდებში სიმაღლეში ზრდის ჩამორჩენის და ყველა შესაძლო პრობლემის დროული გამოვლინება და მკურნალობა. ტელ: 877 45-78-39; 96-66-49. ქ-ნი ბელა; 893 16-70-76; 92-39-44. ბ-ნი ზვიადი

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, ონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება; ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით, მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი". ტელ: 877 41-50-30; 36-14-18

100%-იანი გარანტიით! ვმკურნალობ ბუასილის სხვადასხვა ფორმას (მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, ნაპრალები, ქავილი, კოლიტი), აგრეთვე ვარჩენ კანისა და ფრჩხილების სოკოვან დაავადებებს, დამწვრობას, დახეთქილ ქუსლებს, ჩირქოვან და შეუხორცებელ ჭრილობებს. ეფექტი პირველსავე დღეებიდან. მიღება წინასწარი ჩაწერით: ტელ: 39-39-97; 8(22) 69-91-92 (11-15 სთ.) 61-02-97, 8(99) 57-16-99. ექ. ალექსიშვილი. მის: ც. დადიანის 87. მ. „ნაძალადევთან", რკინიგზის პოლიკლინიკა, კაბ №11

ხალხური მედიცინა. მაქსიმალურად გარანტირებული უსწრაფესი შედეგით: ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან. ტელ: 39-39-97; 8(22) 69-91-92; 61-02-97; 8(99) 57-16-99 ექიმი ალექსიშვილი. მის: ცოტნე დადიანის 87. მ. „ნაძალადევთან" რკინიგზის პოლიკლინიკა, კაბ №11

ანტიალკოჰოლი (პაციენტისგან ფარულადაც), „პახმელიის" სინდრომის მოხსნა – აგრესიები, დეპრესია, უძილობა, ნევროზი, თავის ტკივილი, ბუასილი (ქავილი, სისხლდენა, ნაპრალი, კვანძები), კოლიტი, ასთმა, ფსორიაზი, სოკო, წითელი ქარი, პოდაგრა, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლული – მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნია. დამზადებულია მოსკოვში, კრემლის ყოფილ (აკად. ლიხარიოვი) ლაბორატორიაში. ტელ: 68-92-77; 899 21-13-66. ლალი

მამაკაცების საყურადღებოდ! გაჯანსაღება ბუნებრივი საშუალებებით, პროსტატიტი, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება და შეუკავებლობა, შიში, კოლიტი, ალკოჰოლი, ჭარბი წონის მოშორება თვეში 15 კგ-მდე, უძილობა, პოტენციის და ენერგიის განახლება. შედეგი – სრულ განკურნებამდე. ტელ: 93-38-46; 29-21-14; 899 69-01-72 (საღამოს). ქ-ნი მანანა

ალკოჰოლის დამარცხება კრემლის ლაბორატორიის მაღალხარისხიანი, მცენარეული, ლიცენზირებული პრეპარატებით, შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც – ანტიალკოჰოლური წვეთებით „პახმელიის" მოხსნა; ასევე ნევროზი, აგრესია, დეპრესია, ფსორიაზი, ენურეზი (შარდის შეუკავებლობა), ბავშვების სიმაღლეში მომატება. (აკად. ლიხარევის მეთოდით). სიახლე – გახდომა დიეტის გარეშე. ტელ: 893 35-45-35 (ნების. დროს); 98-42-49 (11-17 სთ, კვირის გარდა). მაკა ექიმი

ალკოჰოლიზმის თერაპიული მკურნალობა, კრემლის ლაბორატორიის მაღალხარისხოვანი მცენარეული, ლიცენზირებული პრეპარატებით; ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ალკოჰოლური ფსიქოზები – თეთრი ცხელება („ბელაია გარიაჩკა"), „პახმელიის" სინდრომის მოხსნა, ღვიძლის ალკოჰოლური დაავადებები და სხვა გართულებები. აგრეთვე ჰეპატიტების, ნევროზების, შიშების, უძილობისა და სხვა დაავადებების მკურნალობა. მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც. ტელ: 99-75-90; 899 36-65-34. ნანა ექიმი

სიმსივნით დაავადებულთა ეფექტური მკურნალობა მცენარეებითა და ფუტკრის პროდუქტებით – მეტასტაზების პროცესის შეჩერებისა და სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით. აქვე ტარდება მთლიანი ორგანიზის უზუსტესი კომპიუტერული დიაგნოსტიკა (ფასი 60 ლ). ფიტოთერაპიული კლინიკა. ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 70-78-03 (ბინა); 899 74-23-69

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია – „დაჯი-კომპიუტერი" გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

თბილისის დამოუკიდებელი ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი და კოლეჯი გიწვევთ სასწავლებლად დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების რუსული და ქართული სექტორების შემდეგ ფაკულტეტებზე: სამართალმცოდნეობა; ეკონომიკური; უცხო ენები; ასევე უმაღლესდამთავრებულებს – პროფესიის შესაცვლელად. მის: ს. ეულის №1 (ვაჟა-ფშაველას ბოლოში). ტელ: 32-06-97; 893 93-38-15; 30-51-30

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო მობილით. მის: ლ. ასათიანის ქ. №28; მუხიანის დასახლება, I მ/რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-10; 899 14-14-84

შპს „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. კოსმეტოლოგ-ვიზაჟისტი; 2. მასაჟისტი, 3 საპარიკმახერო (ქალთა და მამაკაცთა). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: ალმაშენებლის გამზ. 115 (ეზოში). შპს „ქართი". კაბ. 20. ტელ: 94-01-82; 96-22-89

ვამზადებ მოსწავლეებს ფიზიკასა და მათემატიკაში, ქართულად და ინგლისურად. შესაძლებელია შინ მისვლითაც. ტელ: 29-10-13; 899 29-10-13. ირინე

## იყიდება

სასწრაფოდ! წოდორეთში მიწის ნაკვეთი წყლის სათავესთან, საზღვრით 2500 კვმ. ფასი $10.000. ტელ: 37-48-14 (დილას ან საღამოს)

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით; აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 899 27-38-99; 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

კომპანიის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, 60-70%-იანი ფასდაკლებით იყიდება ამერიკული კომპანიის „WORLDCRAFT LIGHTING"-ის შეკვეთით დამზადებული ჭაღები და ბრები (35 მოდელი). საბითუმო ფასი 10-დან 70 ლარამდე. ტელ: 899 93-20-22; 899 71-09-63

ნახევარი ლიტრი ვარდის ზეთი; ორასი გრამი გერანის ზეთი. ტელ: 3-12-02 (სიღნაღის რ-ნი)

გთავაზობთ მდინარეების და ხევების ნაპირის სამაგრ „გაბიონის" ბადეებს, ორმაგი და სამმაგი გადახვევით. ექსტრემალურ სიტუაციაში თქვენთვის სასურველ ნაწარმს მოგაწვდით სამი დღის განმავლობაში, შეკვეთის მიცემის დღიდან. ტელ: 899 14-28-16

## სხვადასხვა

სიახლე საქართველოში! „გაცნობის და დაოჯახების ცენტრი" გთავაზობთ: 600-ზე მეტ გაცნობის ან დაოჯახების მსურველთა ფოტოს და სრულ პირად მონაცემებს 18-დან 70 წლამდე, როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან. დაგეხმარებით შეგირჩიოთ და გაგაცნოთ თქვენთვის სასურველი პიროვნება, რათა თავი დააღწიოთ მარტოობას, შექმნათ ბედნიერი ოჯახი და ცხოვრება გაიხალისოთ. მის: თბილისი, მ. კოსტავას №14, II სართ. ოთახი №210 (შესასვლელი ჭოველიძის ქ. 2-დან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59

საზღვარგარეთ მყოფ **გიორგი კილასონიას** საწარმოო ტრავმის გამო დაუზიანდა ხერხემალი. იმყოფება უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში. უტარდება მკურნალობა, მაგრამ მარტოა, საჭიროებს ახლობლების დახმარებას. დაშავებულის დედა გულისხმიერ ადამიანებს ვთხოვ თანადგომას, რათა გავემგზავრო შვილთან.

*„თიბისი ბანკი"*
*კოდი 220101850*
*ანგარიში №306701714.*
*ტელ: 58-65-93*
*მის: თბილისი, გლდანის II მ/რ 9-5-87*
*ნუცუბიძე ელეონორა*

**გელა კორკოტაშვილის ნათესავებს!**

გთხოვთ აუცილებელი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდეთ 1992 წელს რუსეთში წასული გელა კორკოტაშვილის ნათესავები. ტელ: 893 28-60-27; 899 76-36-84



# ამ წიგნის კითხვის დაწყება ნებისმიერი გვერდიდან შეიძლება

„თბილისი რომ არა, შესაძლოა, ვენაში ტაძრის ნაცვლად მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ჯალალ ად-დინები, ჩინგის ხანები და სხვა აღმოსავლელი სულთნები და შაჰები. თბილისი იდგა, როგორც ევროპის ციხესიმაგრე, საიდანაც მთელი საქრისტიანოს მტრები სისხლისაგან დაცლილნი და დასუსტებულნი თუ აღწევდნენ ევროპამდე", – წერდა თავის შრომაში „თბილისის აპოლოგია" ავსტრიელი მეცნიერი ჰუგო ჰუბერტი.

ლუი დე ფიუნესი ახალგაზრდობაში სამკერვალოში მუშაობდა. თითქმის მთელი დღე იატაკზე დაძვრებოდა, გაღუნულ ლურსმნებს აგროვებდა და ასწორებდა. მალე ისე შეიძულა ეს სამუშაო, რომ მეპატრონეზე შურისძიებაც კი გადაწყვიტა: მის თუთიყუშს გალიაში ჭიკარტები ჩაუყარა. მეპატრონემ შეუსწრო და სამსახურიდან დაითხოვა.

რევოლუციამდელ რუსეთში ზარაფხანაში მუშაობის დასაწყებად საჭირო იყო ამ დაწესებულების ორი თანამშრომლის თავდებობა, რომლებიც პირადად იცნობდნენ მოცემულ პიროვნებას. თუ ახალბედა ნდობას ვერ გაამართლებდა, სამსახურიდან სამივეს ითხოვდნენ.

სიგამხდრის გამო სოფი ლორენს ბავშვობაში ტეკეტოს (ლერწმის ღეროს) ეძახდნენ და მიუხედავად იმისა, რომ მისმა სხეულმა მოგვიანებით ზედმიწევნით ქალური ფორმები შეიძინა, მეტსახელი მაინც შემორჩა. P.S. სოფი ლორენი მამამისის უკანონო შვილია.

როდესაც გერმანელმა ეგვიპტოლოგმა ლუდვიგ ბარხარდმა ნეფერტიტის ბიუსტი აღმოაჩინა, თავის დღიურში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „აღწერას აზრი არა აქვს. ეს საკუთარი თვალით უნდა ნახო!"

ამერიკელი ფსიქოლოგები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ჟურნალისტებს მსოფლიოში ყველაზე ნერვული სამუშაო აქვთ. მათი პროფესია გაცილებით მეტ ნერვულობასთან არის დაკავშირებული, ვიდრე მყვინთავების, მფრინავებისა და საწარმოთა ხელმძღვანელების საქმიანობა.




უდიდესი მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი ყიზლარში (დაღესტანში) არის დაბადებული.

სახელოვანი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი (1827-1906 წლები) რუსეთის მეფის ალექსანდრე II-ის კარის მხატვარი იყო. მან დაასურათა „ვეფხისტყაოსანი" და 34 სურათი უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს. ეს ნამუშევრები დღეს ხელოვნების მუზეუმში ინახება.

„გამარჯვებულებს არ ასამართლებენ", – ეს ფრაზა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორემ მიხეილ სუვოროვის მისამართით წარმოთქვა, რომელმაც ერთ-ერთ ციხესიმაგრეზე თვითნებური შეტევა განახორციელა.

„დიოსკურიის მახლობლად სვანები (საონები) ცხოვრობენ... ისინი ძლგულოვანნი და თავიანთი გამბედაობითა და საბრძოლო ძლიერებით თითქმის ყველა ხალხზე შეუპოვარნი არიან. მათ კავკასიის მაღალი მთები უკავიათ და ყველა მეზობელ გვარტომს განაგებენ. ჰყავთ მეფე და სამასკაციანი საბჭო. ამბობენ, რომ სვანებს შეუძლიათ გამოიყვანონ 200 000 კაცისგან შემდგარი ლაშქარი, რადგან მთელი ხალხი ერთნაირი ძალით მებრძოლია", – წერდა ისტორიკოსი სტრაბონი.

ცნობილი მსახიობი მიკი რურკი ცოლთან ხშირად ჩხუბობდა, რის შემდეგაც ცოლი ალაგებდა ჩემოდანს და ფეხშიშველი გარბოდა ქუჩაში. ქმარი გონს მოდიოდა, უკან მისდევდა და სახლში აბრუნებდა. ერთხელ, როცა გამწარებულ ქალს ველარაფერი შეასმინა, მიკი რურკმა თითი მოიჭრა.

„სილამაზეს და ბედნიერებას ძალიან ბევრი მტერი ჰყავს," – ამბობდა ვიქტორ ჰიუგო.

## ვლადიმერ (ვოვა) ბულიგინის ტკივილიანი მოგონება



ჩემო ძვირფასო ვოვა! 2002 წლის 11 სექტემბერს დაინგრა ჩვენი სიყვარულით შექმნილი ოჯახი. სწორედ ამ დღეს დასრულდა ჩემი ცხოვრებაც, ჩემო დიდო იმედო, ახლა კი ჩემთვის საშინლად მწარე ტკივილო...

ჩემს ასაკში ძალზე მძიმე და უნუგეშო ყოფილა საყვარელი მეუღლის დაკარგვა და მით უფრო საშინელია ჩემთვის, ვოვა, რადგან მე შენთან შვილი არ მყავს და დავრჩი მარტო. რაც დრო გადის, სულ უფრო აუტანელია ჩემთვის უშენოდ არსებობა ამ ქვეყანაზე. მე ხომ შენთან ბედნიერი 16 წელი ვიცხოვრე, ვოვა. ცრემლი, რომელიც შენი გარდაცვალების შემდეგ ჩემს თვალზე არ შრება, შენი დამსახურებაა...

ჩემო ვოვა! საკუთარ თავზე მეტად მიყვარდი და მიყვარხარ დღესაც. ამიტომაა, რომ შენი შვილები ღვიძლი შვილებივით შევიყვარე. ძალიან მიყვარს შენი კარგი შვილიშვილებიც. დღეს შენ რომ აღარ მყავხარ, ვოვა, შენი შვილიშვილებით ვარსებობ. პატარა მარიამი უკვე დიდი გოგოა. ბიჭები კარგი ვაჟკაცები არიან: გიორგი, ნიკა, ვოვა და ლუკიტო. მათ კარგად ახსოვთ ვოვა ბაბუა და მჯერა, არასოდეს დაგივიწყებენ და მოგიგონებენ ყოველთვის, როგორც კეთილ და საყვარელ ბაბუას. მე კი დღეს უშენოდ, ვოვა, უნუგეშოდ და უყურადღებოდ ვარსებობ ამ ქვეყანაზე. რატომ, რატომ არ შემიცოდე, ვოვა? შენ კარგად იცოდი, შენ გარეშე მე როგორი უბედურიც ვიქნებოდი...

ჩემო საყვარელო ვოვა! შენ ვაჟკაცური და კაცური კაცის სახელით გიცნობენ შენი ახლობლები და უღალატო მეგობრები. ამიტომ იყო, რომ ათასობით ადამიანმა ზღვა ცრემლით გაგაცილა სამუდამო სასუფეველში. ძალიან, ძალიან მეცოდები, ვოვა, შენი ამაგი და შრომა რომ არ დაგიფასდა და ამ ქვეყნიდან ძალიან გულნატკენი და განადგურებული წახვედი, რასაც შენ კეთილი და უღალატო გულის ადამიანი არ იმსახურებდი. მაგრამ მჯერა და მწამს, უფლის ნებით, ყველანი მწარედ დაისჯებიან, ვინც კი შენ წინაშე დამნაშავეა...

ალალ-მართალო, საოცრად კეთილო ვოვა! ძალიან, ძალიან მენატრები. მარადიულია შენი მონატრება გულიკოსთვის, რომელიც შენი გარდაცვალების შემდეგ განადგურებულია როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად. ის დიდი სიმწარე, რაც შენმა დაკარგვამ გამოიწვია ჩემში, უკურნებელი სენია და ამას დროც ვერასოდეს განკურნავს.

ჩემო კეთილო ვოვა! შენს ხსოვნას მუდამ სანთლად ანთებულს ვატარებ ჩემს სიცოცხლეში და ვილოცებ მუდამ შენი უკვდავი სულისთვის. შენ კი დამილოცე შენი შვილების ოჯახი, შენი დის, ლალას ოჯახი და შენი დისშვილის ეკას ოჯახი.

ვოვა! დღეს ცოცხალი რომ ვარ, ეს ეკა ექიმის დიდი დამსახურებაა. მადლობა მას ყველაფრისთვის...

ჩემო საყვარელო ვოვა! მსუბუქი იყოს მიწა, რომელიც შენს სხეულს ფარავს.

ღმერთმა ნათელში მიმყოფოს შენი ლამაზი სული და დაგიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი იქ, სადაც „მართალნი განისვენებენ".

*შენი მეუღლე გულიკო ედიბერიძე*

## გიორგი (ბომბორა) კვირიკაძის მონატრება



ჩემო საყვარელო გია, უსასრულო მონატრებავ, უსაზღვროდ მწარეა უშენოდ ჩვენი სიცოცხლე. ამაოდ გავცქერი გზას, მაგრამ არსად ჩანხარ.

5 სექტემბერი შენი დაბადების დღეა. მოვალთ საფლავზე და მოგილოცავთ დაბადების დღეს. ყვავილებით შევამკობთ შენს საფლავს.

ღმერთს შევევედრები, ნათელში მიმყოფოს შენი უმანკო და სპეტაკი სული.

იმედად ისღა დამრჩენია, რომ მალე მოვალ შენთან და მუდამ ერთად ვიქნებით.

*გამწარებული დედა თინა; და ციცო; დისშვილი რატი*

## მერაბ მაჭარაშვილის ხსოვნას!



ჩვენო ერთგულო მეგობარო, ჩვენო მერაბო... დიდზე დიდო ტკივილო და სევდავ...

ადამიანთა რა ნუგეშსაც არ უნდა უსმინო, მაინც გაუნელებელი წუხილი ხარ გულის...

ბედისწერამ სევდიანი, ფათერაკებით აღსავსე ცხოვრებისთვის გაგწირა. შენი ბობოქარი, ვაჟკაცური სული კი ბედს არ შეეპუა. იცხოვრე ისე, როგორც ჭეშმარიტ ვაჟკაცს შეშვენის.

სიცოცხლით სავსე, პირდაპირი და სამართლიანი, მამაცი და შეუპოვარი, უზომოდ თბილი და მოსიყვარულე, საოცრად აზრიანი და გონიერი, უანგარო მეგობარი და დიდი იმედი, გაჭირვების თუ დალხინების ჟამს — აი, ვინ იყო მერაბ მაჭარაშვილი. ამაყი, მაგრამ თავმდაბალი, ძლიერი, მაგრამ ზოგჯერ საოცრად ბავშვური... რა მსუბუქად დაატარებდი ყველა იმ ღირსებას, ქართული გენის წყალობით თავი რომ მოეყარა შენში. კარგი იყავი, უზომოდ კარგი, ჩვენო მეგობარო... ვარსკვლავივით მოწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე და ჩვენ ირგვლივ წყვდიადმა დაისადგურა.

მერაბი აღარ არის... რა საზარელია ამის გააზრება. დაუჯერებელია, რომ სრულიად უცნობი გარეწრის ანაწერა გახდი 32 წლის ვაჟკაცი, ერთადერთი ნუგეში და იმედი უმამოდ დარჩენილი ოჯახისა. რატომ არ იფიქრე დედაზე, დაზე, შენ ხომ საოცრად მოსიყვარულე შვილი და ძმა იყავი?! თუმცა, იფიქრე კიდეც. ალბათ ამიტომაც აღმოგხდა მომაკვდავს: „მიშველეთ რამე, იქნებ გადამარჩინოთ!" შველას მათ გამო ითხოვდი ალბათ. ველარაფრით გიშველეთ. უდროოდ შეწყდა კიდევ ერთი ჭეშმარიტი ქართველი კაცის გულისცემა. რით ვანუგეშოთ გულამოგლეჯილი დედა, შენი და — შენი საფიცარი სოფა, რომელსაც ულმობლად ფრთა მოსტეხე და მიწაზე დაანარცხე. რით ვინუგეშოთ თავი ჩვენ, შენმა მეგობრებმა, როგორ ვიცხოვროთ უშენოდ?! შენ ხომ შენი არსებობით თითოეულ ჩვენგანს ცხოვრებას ულამაზებდი...

უშენობა ცხადში! ეს ხომ შემაძრწუნებელია... დარჩი კედლებზე სურათებად და მწუხარე გულებში ლამაზ მოგონებებად შემორჩენილი შენი ღიმილით. და რაც მთავარია, დარჩი ვაჟკაცად, რომელიც სიკვდილშიც აგრძელებს სიცოცხლეს...

დაე ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათონ გზა უფლისაკენ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და მარად ახალგაზრდა სული.

*შენი სამეგობრო*

## გია გიგოლაშვილის მონატრება



7 სექტემბერს 21 წლის გახდებოდი. მეექვსე დაბადების დღეა, უშენოდ რომ მოდის, ჩემო სხვისთვის თავგანწირულო შვილო.

გვენატრები, ძალიან გვენატრები. ყოველი დილა შენზე ფიქრით იწყება და შენი მონატრებით მთავრდება. რაც დრო გადის, მით უფრო ძნელი ხდება უშენობა. მგონია, დედა, დამიბრუნდები, კარს შემოაღებ, გულში ჩაგიკრავ. გეტყვი — დედა, როგორ დაისვენე? მაგრამ... ვაი ჩემს უბედურ თავს, რომ ეს არასოდეს მოხდება.

რა ქნას შენმა ფრთამოტეხილმა ძმამ, თქვენ ხომ ერთმანეთის გარეშე ვერ ჩერდებოდით. ყოველთვის მას არიგებდი ჭკუას, ჰპატრონობდი, ახლა კი უჭირს მარტოობა.

აუხდენელი ოცნებები წაიღო წყალმა, ჩვენ კი აუტანელი ტკივილი დაგვიტოვა. შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

ვილოცებთ შენთვის, რომ უფალმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს შენს სპეტაკ სულს.

*შენი უბედური დედ-მამა და ფრთამოტეხილი ძმა*

## აბესალომ (ბესო) გაბედავას!

*„თურმე ყველაზე დიდი ფოთლები, ხეებს ყველაზე ადრე სწყდებიან"...*



ჯოჯოხეთური ოთხი წელი მიილია უშენოდ. ოთხი წელი გვაშორებს შენთან. ოთხი წელია, უშენოდ ვცოცხლობთ. ეს ის ოთხი წელია, რომელმაც წუთისოფლის ფასი და იმედი დაგვაკარგვინა, ჩვენო მარადიულო ტკივილო, სათაყვანებელო და დაკარგულო იმედო. დარდსა და გლოვაში გაილია ოთხი წელი. დრომ ვერ უმკურნალა ტკივილს, უფრო გაამძაფრა მონატრება. ამაოა ნუგეში. წლები მიდის და ტკივილი უფრო გვემატება. გვენატრები, უზომოდ გვენატრები. შენმა მონატრებამ სიცოცხლე ჯოჯოხეთად გვიქცია. უსაზღვროა ჩვენი ტკივილი, ჩვენო სიცოცხლევ, უშენობა ძალიან ძნელია, მონატრება — მით უარესი.

ბუნებამ და ღმერთმა ყველაფრით დაგაჯილდოვა, გარდა ხანგრძლივი სიცოცხლისა. უღალატო, ალალი, პატიოსანი, გულისხმიერი, დიდსულოვანი და კეთილშობილი იყავი...

...არ მოჰკლებოდეს შენს ლამაზ სულს ღვთიური ნათელი.

*ოჯახი*

## მარიამ და თეა ბოლაშვილების ხსოვნას!




მეხის გავარდნა იყო თქვენი ტრაგიკული სიკვდილი. როგორ გაგიმეტათ ბუნებამ ასეთი მკაცრი სასჯელისათვის.

40 დღე გავიდა 1-ელ სექტემბერს, რაც თქვენ წახვედით და ჩვენს გულებში დატოვეთ მარად უქრობი ცეცხლი, რომელსაც ვერავითარი ძალა ვერ ჩააქრობს.

უფალს ვევედრებით, თქვენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ გზა გაგინათოთ.

*მერაბი, ია, ავთანდილ და ახრასია ბოლაშვილები*

## რუსკა ფირცხალავას მონატრება



10 სექტემბერი — ყოველთვის გამორჩეულად გვიყვარდა ეს დღე, რადგან ამ დღეს, შენს დაბადების დღეზე, უბედნიერესი ადამიანი იყავი.

წელსაც, 10 სექტემბერს შევიკრიბებით შენი მეგობრები, მაგრამ ამჯერად მხოლოდ შენს საფლავთან, გავიხსენებთ შენთან ერთად გატარებულ ულამაზეს წლებს, აღარ იქნება ის ჟრიამული, სიცილ-კისკისი, შენი ბედნიერებით გაცისკროვნებული სახე, მაგრამ ალბათ მართლა არაფერი ქრება უკვალოდ და ჩვენც გვჯერა, რომ არც ის უსაზღვრო სიყვარულის ენერგია დაიკარგება უკვალოდ, რომლის უდიდესი ნაწილის დახარჯვა შენ უკვე მოასწარი.

ჩვენ ბედნიერები ვართ იმით, რომ ორი რამ დაგვიტოვე — ტკბილი მოგონებები, მოგონება 24 წლის მხიარულ და კეთილ გოგონაზე, რომელსაც ასე უზომოდ უყვარდა სიცოცხლე და შენი პატარა სანდრო, რომლისთვისაც თითოეული ჩვენგანი ლოცულობს შენთან ერთად, რათა სწორედ ისეთ პიროვნებად ჩამოყალიბდეს, როგორზეც შენ ყოველთვის ოცნებობდი. სწორედ ამაზე ფიქრი, ალბათ მცირეოდენ გვიმსუბუქებს შენი დაკარგვით გამოწვეულ უდიდეს ტკივილს.

დღეს, როდესაც თითოეული ჩვენგანი თავის გულში ჩაიხედავს და საკუთარ თავთან მარტო მიეცემა ფიქრს, აღმოაჩენს, თუ რამდენი რამ ასწავლა შენთან ურთიერთობამ.

*შენი მეგობრები*

## თენგო ჯაფარიძის გახსენება

უბედურმა შემთხვევამ გიმსხვერპლა სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი. სამუდამოდ წახვედი საყვარელ დედიკოსთან,



ურომლისოდაც ცხოვრება ვერ წარმოგედგინა.

კარგა ხანია, სვანეთის მთებს არ ეუცხოებათ ზარი და გოდება. ბედის უკუღმა ტრიალმა ბევრი ვაჟკაცის სიცოცხლე შეიწირა, ბევრმა დაგვწყვიტა გული, მაგრამ შენ სულ სხვა იყავი.

29 აგვისტო შენი დაბადების დღეა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*ახლობლები*

## ტიტიკო ბახტაძის ხსოვნას!

მამა, გადის 40 დღე, რაც თქვენი სული მარადიულ სასუფეველში გადაბრძანდა.

თქვენ ხომ ოჯახის ბურჯი იყავით. რაიონში ჩასულებს ლამაზი ღიმილით შემოგვეგებებოდით და, — მოხვედით?! — შვილებს გვეტყოდით.

ვაი, რომ აღარ შეგვეგებებით და სახლის კარიც დაკეტილი დაგვხვდება.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს თქვენი წმინდა სული და ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს მარადიული სასუფევლის გზა.

*ცისმარი, ნოდარ ბახტაძეები*

## ზაურ ვარაზანაშვილის მონატრება



ჩვენო საყვარელო მამა! უკვე მესამე ტკივილიანი და მწუხარებით სავსე წელი გადის შენი მოულოდნელი და თავზარდამცემი სიკვდილიდან.

9 სექტემბერს შენი დაბადების დღეა. დრო არაფერი მკურნალი ყოფილა. რაც დრო გადის, მით უფრო მეტია მონატრება შენდამი.

ჩემო ზაურ! მე მაინც ვერ შევეგუებივარ უშენობას, შენი იმედისა და სიყვარულის მოკლებას. შენს თავს ვფიცავარ, სიცოცხლე არარაობად მექცა. ცოცხალი ვარ, მაგრამ სულით და გულით შენთან მინდა ვიყო. უსაშველოდ მენატრები. სასაფლაოდან მოსული, შენი მოსასვლელი გზისკენ ვიყურები. შენ იყავი ჩემთვის მზრუნველი მეუღლე, შვილებისა და შვილიშვილების მოსიყვარულე მამა და პაპა. როგორ სჭირდები შენს ზურიკოს და შენს გელას! როგორ უნდათ შენი თანადგომა და დარიგება! ყველა შვილიშვილს დაამახსოვრე შენი სიყვარულით და სიკეთით სავსე გული. რა დაგიშავა პატარა გიგამ, რომელიც 7 თვის დატოვე, ზღაპრულად რომ გიყვარდათ ერთმანეთი. ის ახლა უკვე სამი წლისაა და ასე ამბობს: „ჩემი ზაურა პაპა ტრაილერმა გაჭყლიტა. ახლა საფლავშია. როცა მოვა, დიდ მანქანას და ბევრ კანფეტს მომიტანს". საფლავზე ხშირად მოგვყავს. თავისი პატარა თათებით სანთელს გინთებს, ეფერება და კოცნის შავ ქვაზე ამოტვიფრულ შენს სურათს, მაგრამ გული არ დაგწყდეს, ჩვენ ვამაყობთ შენით, რომ კაცურად განვლე შენი ცხოვრება. შენ იამაყე შენი ოჯახით. შენს სახელს დავიწყება არ უწერია. მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური ვაქირის მიწა.

*შენი მეუღლე, შვილები*

## ლია ბუზიაშვილი-ასრიაშვილის მონატრება



არ ვიცი, რა ჰქვია, როცა იმქვეყნიურ სასუფეველში გადასულს დაბადების დღეს გილოცავთ. ეს ალბათ მონატრებაა, სიყვარული და ტკივილია, ჩემო ლია. ცხრა თვე და ათი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც შენ დაგვტოვე. ეს ხომ მთელი საუკუნეა. ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. შენი ხსენებით იწყება და მთავრდება დღეები, შენი ახლობლებისათვის. სამი წელი ვებრძოდით უკურნებელ სენს შენი გადარჩენისთვის, მაგრამ ავადმყოფობამ გვაჯობა და წაგვართვა შენი თავი. რა მწარეა და ტკივილიანი დედისთვის, შვილს ცივ სამარეში მიულოცოს დაბადების დღე. ჩვენ, შენი მშობლები, შენი მეუღლე, შვილები და ახლობლები მოვალთ შენს საფლავზე 8 სექტემბერს და თვალცრემლიანი მოგილოცავთ დაბადების 45-ე წლისთავს. იმ ქვეყნად ილოცე აქ დარჩენილი შენი შვილებისა და საყვარელი ადამიანების სიცოცხლისათვის, ჩვენ კი აქედან ვილოცებთ შენი სულისთვის.

ნათელში იყოს შენი ლამაზი სული. ჩვენ ყოველთვის სანთელს დაგინთებთ, რომ გზანათელში იყო.

*გამწარებული მშობლები, ოჯახი, დები, დისშვილები და შენი ნუნუ მამიდა ოჯახით*

## დაბადების დღეს გილოცავთ, შვილო!

*გიორგი (გია) კვატაშიძეს!*



რა ულმობელი ყოფილა წუთისოფელი, როგორი დაუნდობელი. დრო რა საოცარი სისწრაფით მიქრის. 4 სექტემბერს შენი დაბადების დღეა. შენ ხომ 36 წლის შესრულებას ვერ მოესწარი. უგულო, ვერაგმა ბიძაშვილმა მოგისწრაფა სიცოცხლე და არ გაცალა შენი ვალის მოხდა შვილების წინაშე.

ახლდება წყლული და ახლდება მონატრება, როცა შენს შვილებს ვუყურებთ. 5 წელია, ცალად დაიარება შენი ლელა. შენთან ერთად ის თავის ერთადერთ, ნამდვილ სიყვარულს გამოეთხოვა, მხოლოდ შენი მოგონებებითა და ბავშვებით სულდგმულობს. ეჰ, შვილო, ძნელია ქვრივის ცხოვრება, ვერ შეეჩვია უშენობას. შენმა სიკვდილმა ისე შეცვალა, რომ შეაყვარა ის ცხოვრება, რომლითაც შენ ცხოვრობ.

ენატრები დას, დისშვილს ანანოს. განადგურებული, გამწარებული მშობლები როგორ ვცოცხლობთ უშენოდ. შვილთან განშორების შემდეგ მშობლებიც იმწუთშივე კვდებიან, არაფერს ნიშნავს მათი დედამიწაზე სიარული. გლოვის მოთქმა არ მინელებულა ჩვენს გულებში, ტყუილი ყოფილა — დრო მკურნალიაო. დრო ვერ განკურნავს იმ ტკივილს, რასაც შენით გამწარებული მშობლები განიცდიან, რასაც უშენობა ჰქვია..

შვილო, მწარე გულისტკივილით გვინდა მოგილოცოთ დაბადების დღე. 36 სანთელს აგინთებთ. გვჯეროდეს, რომ შენი წილი სანთელი ყოველთვის იციმციმებს.

*შენი გამწარებული მშობლები*

## ხვიჩა ბედიას ხსოვნას!

*უსაშველო გულისტკივილი დედისა!*

რა სწრაფად გაირბინა შენი სულის მარადიულობაში გადანაცვლების 40-მა დღემ, როგორ გამწირა ულმობელმა წუთისოფელმა; როგორი მოულოდნელი და უდროო იყო შენი წასვლა ამ ქვეყნიდან, ისევე, როგორც ჩემი გოჩასი. შენი თავი მაინც რაღად არ მაჩუქა უფალმა. განა საკმარისი არ იყო ასე უდროოდ წასულები — მამაშენი (რომელიც ბედნიერია, რომ ვერ მოესწრო ამდენ მწუხარებას), გოჩა, ჩემი უდიდესი, მოურჩენელი ტკივილი, ძმა და დისშვილები, პატარა ერეკლე, რომელიც უდიდესი, ღიად დარჩენილი ჭრილობაა ყოველი ჩვენგანისათვის. რატომ, რისთვის დაგვრია ასე უმოწყალოდ სიკვდილმა ხელი... ჩვენ ყველანი — შვილები, ძმისშვილები, დისშვილები ჭირსა და ლხინში ერთად ვიყავით და გარეშეებსაც გვერდით ვედექით ხოლმე მუდამ...



ჩემს ლამაზ და მოხდენილ ვაჟკაცებს, ტკბილხმოვანებს, ოჯახის, ცოლ-შვილის, ახლობლების, მეგობრების, სიცოცხლის უზომოდ მოტრფიალეთ, გეგონათ სიკვდილი ვერ მოგერეოდათ?! რად არ მოუფრთხილდით თქვენს სუსტ გულს?! ჩემო ხვიჩა, რად გამწირე ისედაც შენი ჯვარცმული დედა, შენი სათაყვანებელი ცოლ-შვილი — შენი ნანა, შენი სოფო და ბორისიკო... რა ვქნა, როგორ ორცეცხლშუა დამტოვეთ, შვილებო, როგორ მივატოვო გოჩასი, შენი ცოლ-შვილი, რომელთაც შეიძლება ბევრი რამ ვერ გავუკეთო, მაგრამ მაინც იმედი ვარ... როგორ მოვისწრაფო სიცოცხლე... „ჩემო განუმეორებელო მამიკო, შენ ჩემი საქართველო იყავი, როგორ ვიცოცხლოთ, როგორ ვიმღეროთ უშენოდ..." — ასე მოთქვამდა შენი [illegible], რომელიც სულ ყურში ჩამესმის. შენ ასწავლე მათ სიმღერები, შენ შეაყვარე თავიანთი ქვეყნის ცა და დედამიწა.

...უღალატე შენს მეორე სიცოცხლეს, დიდ სამეგობროსაც, რომელთაც შენი განუმეორებელი სიმღერებით ტკივილს უამებდი და გულს უთბობდი. შენ კოლორიტი იყავი მათში... მეგობრებს, რომლებმაც ასევე მტკივნეულად განიცადეს შენი მოულოდნელი წასვლა, მეგობრები, რომლებიც გვერდში ამოგვიდგნენ, ფიზიკურად და სულიერად, უანგაროდ, უდიდესი ტკივილის გასაქარვებლად, რისთვისაც დიდი მადლობა მათ...

...გაოგნებული, განადგურებული ვარ, ჩემო გოჩა, ჩემო ხვიჩა, ჩემო ყველავ...

ისღა დამრჩენია, ვევედრო უფალს, ნათელში ამყოფოს ყოველი თქვენგანის ლამაზი სული...

უსაზღვროდ გვენატრებით და გვაკლიხართ.

*თქვენი მრავალტანჯული დედა მაყვალა*

## ერეკლე გაბუნიას მარადიულ ხსოვნას!



ჩვენო ერეკლე — ჩვენი დიდი ოჯახის ნებიერავ, ჩვენო დაუვიწყარო, მარადიულო სიყვარულო და ტკივილო, მთელი ოჯახის, ახლობლების, კლასელების სახელით, რომელნიც არ გივიწყებენ და რომელთა გულებშიც სიკვდილამდე დარჩები ტკბილ-მწარე მოგონებად, გილოცავ 8 სექტემბერს — შენი დაბადების დღეს!

...შენთან თანშეზრდილი ბიძაშვილ-მამიდაშვილების — შენი ლუკასი, გიორგის, ირაკლის გულებში ჩაუქრობელ კელაპტრად ანთიხარ. გაუნელებელია მათ გულში შენდამი სიყვარული, შენი მონატრება...

შენუ გულდაკოდილი მშობლებისათვის, შენი თამარა „ბიბოსთვის", ყოველი დღე და ღამე შენით იწყება და ასევე შენით მთავრდება... შენი პატარა ძმიკო ნიკუშაც, რომელიც სურათებითა და ჩვენი მოგონებებით გიცნობს, ხშირად გახსენებს. შენს სურათებთან, სათამაშოებთან მივყავართ და ასე გვეუბნება — აი ჩემი ძმა ერეკლეო... დიდხანს სიცოცხლეს და ყველა ამქვეყნიურ ბედნიერებას ვუსურვებთ მას, რომელშიც როგორც ლუკას, გიორგის, ირაკლის ფიქრსა და გონებაში, ისევე გრძელდება შენი ლამაზი სიცოცხლე... შენ მხოლოდ თვალს მოაკლდი, ბებია, შენი სილამაზით, სიყვარულით, სიკეთით, განუმეორებელი ხიბლით დარჩი ყოველი ჩვენგანის გულებში, წამითაც არ გვცილდები გონებიდან...

...მე კი... ძნელი ყოფილა დარდის, ნამდვილი ჭეშმარიტი დარდის განკურნება. დარდს ნამდვილს, ჭეშმარიტს ვერაფერს უშველი, ვერაფრით განკურნავ, ვერც ვერაფრით მოკლავ თურმე... ასე ვცოცხლობ და მოუთმენლად მოველი თქვენთან შეხვედრას. ალბათ მალე მოვალ... მაპატიეთ სიცოცხლე — ჩემი ბედისწერა, ბედის ირონია...

...იმედი მაქვს, იქაც განებივრებენ შენი საყვარელი გივი ბაბუა, ჩემი ნუგზარი, ბონდო და ბევრი საყვარელი ადამიანი, ახლობელი... ჩვენი მანანა და ხვიჩაც ხომ გესტუმრათ. ისინიც გულს გაგითბობენ, ამ ქვეყნიდან წასვლით გამოწვეულ გულისტკივილს დაგიყუჩებენ, თავიანთი ტკბილი, განუმეორებელი სიმღერებითა და მოფერებით... სიმბოლურია ალბათ, ხვიჩას მარადიულ სასუფეველში გადანაცვლების მეორმოცე დღე რომ დაემთხვა შენს დაბადების დღეს...

ბიჭიკო ბაბუ როგორ გეფერებოდა? — ჩემი ქუცუნაო. ახლაც ასე ეალერსება შენს სურათებს. დათრგუნვილები ვართ ორივენი — ბებია და ბაბუა, შენი, ჩემი ნუგზარის, ძალიან ბევრი საყვარელი ადამიანის დაკარგვით, რის გამოც დავკარგეთ შიში ამ ქვეყნიდან წასვლისა და მოუთმენლად ველოდებით თქვენთან შეხვედრას...

ნათელში იყოს შენი, ყოველი თქვენგანის ლამაზი სული.

*მალე შეხვედრის იმედით, მრავალტანჯული ნათელა ბებია*

## გურამ ლაფერაძის ხსოვნას!

გურამ, 6 სექტემბერს შენი დაბადების დღეა, მეორე დაბადების დღე, რომელსაც შენი ოჯახის წევრები უშენოდ ხვდებიან. ყველას დაგვეტყო შენი არყოფნა — მეუღლეს, შვილებს, ახლობლებს. შენმა მოულოდნელმა წასვლამ უამრავი რამ შეცვალა ჩვენს ცხოვრებაში. უსაზღვროა უშენობით გამოწვეული სევდა და მწუხარება. შენ იყავი ადამიანი, რომელიც გვილამაზებდი თითოეულ დღეს, ხალისსა და ენერგიას მატებდი ოჯახს. უცეცხლოდ იწვის ჩვენი გული, შენი საფლავის, სურათებისა და ტკბილი მოგონებების მეტი აღარაფერი დაგვრჩენია. შენზე ფიქრებში გვილამდება და გვითენდება. უშენობა ძალიან გვიჭირს ყველას — შენი ოჯახის წევრებს.

გურამ! ისღა დაგვრჩენია, შენი სულისთვის ვილოცოთ, საფლავზე წმინდა სანთლები ავანთოთ და შენს ნათელ ხსოვნას ვეთაყვანოთ. დაბადების დღეს გილოცავთ, გურამ! ძალიან გვიყვარხარ.

*შენი მონატრებული მეუღლე და შვილები*

ჯემალ და თინა გურგენიძეები თანაგრძნობას უცხადებენ *გურამ ქუთათელაძის* ოჯახს, შვილის

**გია ქუთათელაძის გარდაცვალების**

გამო.

ნატო გოგოჭური, მაია, გიორგი და გურამ ბუჩუკურები ოჯახებით იუწყებიან

**ზაურ ქეთელაურის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

*ასე ადრე რად გამწირე*
*ჰე, საწუთროვ, მუხანათო!*
*ალალგულა კაცი ვიყავ,*
*სულ ყველასთან უღალატო...*
*გზას მინათებს სულეთისას*
*დედის ცრემლი, ქრისტეს ჯვარი,*
*ცოლ-შვილის და დების ცრემლით*
*დნება სასუფევლის კარი.*



შვილები: დარეჯან, მანანა, ნანა; შვილიშვილები: ანდრო, სოფო ლეჟავები, დათო, თეა სუხიშვილები, ნუნუკა ჭელიძე; სიძეები: თამაზ ლეჟავა, გია სუხიშვილი, დიმა კალანდაძე, ზაზა ჩიქვანაია; შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ოთარ ნესტორის ძე შავგულიძე.**

*პანაშვიდი:* 5 სექტემბერს, 17 საათზე;
*გამოსვენება:* 6 სექტემბერს, 15 საათზე.
*მისამართი:* ფიროსმანის ქ. №29

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიცვალებულთა სულები ცოცხალთა სამყაროში

1995 წლის 4 დეკემბერს ინგლისში, ქალაქ პემბრუქში სასამართლომ უჩვეულო საქმე განიხილა. ყოფილი პოლიციის ოფიცერი, 45 წლის ტიმოთი კუპერი საბუღალტრო ფირმის ხულიგნობაში დაადანაშაულეს. განსასჯელი ურეკავდა მსხვერპლს, თავს პოლიციის ინსპექტორად აცნობდა და აფრთხილებდა, რომ თუ ხულიგანი დაურეკავდა და უხამსად დაელაპარაკებოდა, არასდროს [illegible] არ დაეკიდა ყურმილი. პირიქით, საუბარი გაეგრძელებინა, რათა სამართალდამცველებს მიეკვლიათ მისთვის. მეორე დღეს შემდეგ კუპერი ხელახლა რეკავდა და შეცვლილი ხმით სისაძაგლეებს ეუბნებოდა.

თავის მართლებისას განსასჯელი, რომელმაც უარი თქვა ადვოკატზე, ირწმუნებოდა, რომ ამ საქციელს ნებაყოფლობით არ სჩადიოდა, მასში ჩასახლებული ლონდონელი მოძალადის და მკვლელის, 1837 წელს ჩამოხრჩობილი ჯიმ ჯონსონის სული აიძულებდა, უცნობებისთვის, უმთავრესად ქალებისთვის, დაერეკა... განსასჯელმა ნაფიც მსაჯულთა დასარწმუნებლად უეცრად ხმა შეიცვალა და სულ სხვა ადამიანი გახდა — სახე [illegible]და, ჟესტიკულაციას უმატა [illegible] არა. უწმაწურ ლანძღვა-გინებას მოჰყვა და მცველი რომ არა, იმ [illegible]ებოდა, სხდომათა დარბაზს დაარბევდა. ამ ინციდენტის მხილველები ირწმუნებოდნენ, რომ ხულიგნის [illegible] მართლაც სჭარბობდა მოძველებულ [illegible] და გარდასახვაც თვალში საცემი იყო.

ნაფიცი მსაჯულები ისე განაცვიფრა ამ უჩვეულო დაცვითმა სიტყვამ, რომ კუპერი უდანაშაულოდ ცნეს. თუმცა სულ მალე იგი ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსეს, რადგან [illegible] მკვლელის სულმა მის [illegible] მოუხშირა — ერთხელ ტიმოთიმ თავისი სახლის პატრონი მოხუცი ქალის გაუპატიურებაც კი სცადა.




*ოუიას დაფა, რომლის მეშვეობითაც გარდაცვლილთა სულები მედიუმს ესაუბრებიან*

1996 წლის იანვარში უელსის ქალაქ რეჯინში კიდევ უფრო უცნაური შემთხვევა მოხდა. სასამართლო განიხილავდა მისტერ ოლივერ იანგის საქმეს, რომელსაც ორი თავისი ნათესავის განზრახ მკვლელობაში ადანაშაულებდნენ, მაგრამ ბრალის დასამტკიცებლად მხოლოდ ირიბი სამხილები ჰქონდათ. ამიტომ ორი ნაფიცი მსაჯულის წინადადებით, გადაწყდა ოუიას დაფის (... დაფა, რომლის მეშვეობითაც გარდაცვლილთა სულები მედიუმს ესაუბრებიან) გამოყენება. ოუიას მეშვეობით იანგის ორი მსხვერპლი ქალიშვილის სულებს უხმეს. როგორც ნაფიცი მსაჯულები იხსენებდნენ, სხდომათა დარბაზში ქალების ხმა გაისმა, რომლებმაც ყრუდ და დაჟინებით გაიმეორეს: „ოლივერი მკვლელია, ოლივერი — ჯალათია!" იანგი დამნაშავედ ცნეს. თუმცალა, მოგვიანებით ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის გამოსატანად ამ უცნაური მეთოდის გამოყენების გამო უელსის უზენაესმა სასამართლომ საქმის ხელახალი მოსმენა დანიშნა და... იმავე დასკვნამდე მივიდა. იანგს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

2000 წელს ქალაქ კარდიფში 49 წლის ქვრივმა, ელიზაბეტ ლაიონმა, მედიუმს, მისტერ დენიელ მაკ-სტინჯერს სთხოვა: — ჩემი ქმარი, ტომასი, ძვირფასეულობას და ნაღდ ფულს შინ ინახავდა. მისი სიკვდილის შემდეგ ამ ქონებას ვერ მივაკვლიე და მომაძებნინეთო. მედიუმი დახმარებაზე დათანხმდა, მაგრამ ნაპოვნი ქონების მესამედი მოითხოვა. დენიელი მიმზიდველი მამაკაცი გახლდათ და იოლად მოხიბლა ქვრივი. მაკ-სტინჯერმა მისტერ ლაიონის სული გამოიძახა. ელიზაბეტმა იცნო ტომასის ხმა, რომელმაც აუწყა, რომ საგანძურითა და ფულით სავსე სკივრი სოფლის სახლის ბაღში ჩამარხა. მისის ლაიონმა სკივრს მიაგნო და მედიუმს დანაპირები თანხაც გადასცა. მეორე დღეს მაკ-სტინჯერმა იქაურობა ისე დატოვა, რომ ქვრივი არც გაუფრთხილებია. ქალმა, რომელსაც ხელახლა გათხოვების იმედი გაუცრუვდა, სასამართლოს მიმართა და მაკ-სტინჯერი თაღლითობაში დაადანაშაულა. მართალია, სასამართლომ მედიუმი დამნაშავედ არ ცნო, მაგრამ ქვრივის მიერ ნაჩუქარი ფული დააბრუნებინა. სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო აღნიშნული საქმის მისტიკური მხარე, თუმცალა დაადგინა, რომ დენიელი ტომას ლაიონს არ იცნობდა. იბადება კითხვა: მაშ, საიდან შეიტყო სკივრის ადგილსამყოფელი მაკ-სტინჯერმა? პასუხი ნათელია: ის ნამდვილად ძლიერი მედიუმი იყო და გარდაცვლილი ლაიონის სულსაც ელაპარაკა.

ზოგს სჯერა, რომ გარდაცვლილთა სულები ჩვენს ან პარალელურ სამყაროში ბინადრობენ, ზოგსაც — არა. გარშემო ბევრი საიდუმლოა, რომელთა ახსნაც მეცნიერებას ჯერჯერობით არ ძალუძს.

*ნლო №33*

# ბოშა ქალის წინასწარმეტყველება

ჩემმა რესპონდენტმა სავალდებულო სამხედრო სამსახური საბჭოთა ჯარში მოიხადა. მათი ნაწილი მოსკოვის გარეუბანში იდგა.

— ბიჭებს, როგორც კი უფლებას მოგვცემდნენ, მოსკოვის ქუჩებში გვიყვარდა ხეტიალი. ერთხელ ბაღში ვისხედით და თვალებს ვაცეცებდით, რომ გოგოები „გამოგვეჭირა", ამ დროს კი ბოშებს გადავაწყდით.

ერთი სულ ბავშვი იყო, ულამაზესი 16-17 წლის გოგონა. რომ არ მოგვეშვნენ, ვუთხარი: — მკითხაობა არ მინდა, ერთი მაკოცნინე, ფულსაც მოგცემ და შეიძლება ცოლადაც შეგირთო-მეთქი.

სევდიანი ღიმილით შემომხედა. ისეთი მომნუსხველი მზერა ჰქონდა, რომ შევცბი.

— შენი ფული არ მინდა, რადგან კარგს ვერაფერს გეტყვი, მხოლოდ გირჩევ, რომ 40 წლამდე არ შეირთო ცოლი. საერთოდ, ერიდე ქალებთან ურთიერთობას, თუ გინდა უამრავ იმედგაცრუებას გადაურჩე — მეგობრის ღალატი არ გამოსცადო და საყვარელი ადამიანების სიკვდილმა არ გატკინოს გული... შენი ბედის ქალს უცნაური სახელი — ლეონელა — ჰქვია, მას დაელოდეო.

22 წლის ბიჭი ასეთ რამეს დავიჯერებდი და ისიც ბოშის ნათქვამს?! — არც დავიჯერე, თუმცა იმ გოგოს სახეც და ნათქვამიც სამუდამოდ აღმებეჭდა გონებაში.

1972 წელს დავბრუნდი საქართველოში. მამაჩემს დიდი თანამდებობა ჰქონდა და არ გასჭირვებია ჩემთვის სამსახურის შოვნა, ბინაც ცალკე მომცეს და აღარაფერი მიშლიდა ხელს, დაოჯახებაზე მეფიქრა. აქაც მამამ იაქტიურა და თავისი მეგობრის ქალიშვილი გამაცნო, ვგრძნობდი, ქალს არ ვუყვარდი, მაგრამ მაინც დავქორწინდით.

მხოლოდ ქორწილის შემდეგ გამომიტყდა, რომ ორსულად იყო... იმ დროს ეს არ იყო ადვილად საპატიებელი ამბავი, მაგრამ რომ წარმოვიდგინე, რა მოჰყვებოდა სიმართლის გამჟღავნებას, დუმილი ვამჯობინე...

ბიჭი, რომელიც დროზე დაიბადა, შვიდთვიანად გამოვაცხადეთ და ბუნებრივია, შვილადაც ვაღიარე, მეგონა, ჩემი საქციელი მეუღლეს მადლიერების გრძნობით აავსებდა, მაგრამ სანაცვლოდ სულ მალე თანაკლასელთან მიღალატა...

ვამხილე, მან კი უტიფრად მომახალა, — ხომ იცი, არ მიყვარხარო. წავიდა და ორი წლის ბავშვიც წაიყვანა, რომელიც მართლა შვილივით მიყვარდა და როცა მოვთხოვე მასთან შეხვედრის უფლება მოეცა, სახალხოდ დამცინა: — თავმოყვარეობა როგორ არა გაქვს, ნაბიჭვარზე რას გიჟდებიო. მამაჩემმა არ იცოდა, რომ ლაშა ჩემი შვილი არ იყო, ინერვიულა, ინფარქტი დაემართა და გარდაიცვალა.

ამ ამბების შემდეგ მივხვდი, რომ ბოშა გოგონას წინასწარმეტყველება საოცარი სიზუსტით მიცხადდებოდა და, ცოტა არ იყოს, შევშინდი. ისიც გამახსენდა — 40 წლამდე რომ არ მირჩია ბედისწერის გამოცდა, მაგრამ ცოლყოფილმა ხმა დამიგდო: — კაცად რომ არ ვარგოდა, იმიტომ აღიარა ნაბუშარი შვილადო. სხვაგვარად როგორ დამემტკიცებინა საკუთარი კაცობაც და პატიოსნებაც და ცოლად მეგობრის და შევირთე, რომელსაც, ვიცოდი, ბავშვობიდან ვუყვარდი.

ისეთი ზნეკეთილი გამოდგა თამრიკო, ღმერთს მადლობა შევწირე, რომ ასეთი სიყვარულის და სითბოს ღირსი გამხადა... 1979 წელს ბავშვი უნდა შეგვძენოდა. თამრიკოს უმძიმესი მშობიარობა ჰქონდა, საუკეთესო ექიმები დავახვიეთ თავს, მაგრამ ვერც ის გადავარჩინეთ და ვერც ტყუპი ქალ-ვაჟი...

29 წლის ვიყავი მაშინ და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ბოშამ უშეცდომოდ ამოიცნო ჩემი ბედისწერა, თუმცა ის მაინც არ მიფიქრია, რომ იმ უცნაური სახელის მქონე ქალი გამოჩნდებოდა ჩემს ცხოვრებაში...

...დრო რომ შეიცვალა და ფაბრიკა-ქარხნების დახურვის შემდეგ უმუშევარი დავრჩი, ბიზნესს შევეჭიდე და გამიმართლა — სამკერვალო საამქრო გავხსენი. სამუშაოდ ძირითადად ქალები მივიღე. მათგან ერთი განსაკუთრებით მომეწონა, ლია, სკოლაში მათემატიკას ასწავლიდა. ორი წელი ისე იმუშავა, მის პირად საქმეში და საბუთებში ჩახედვა აზრადაც არ მომსვლია, არადა, რომ მივხვდი, მიყვარდა და თან 40 წელსაც გადავაბიჯე, მასთან დადებული ხელშეკრულება და პირადი საქმე მოვატანინე საქმეთა მმართველს.

სუნთქვა შემეკრა, როცა პირად საქმეში ლიას სრული სახელი — ლეონელა ამოვიკითხე...

დავქორწინდით. ლეონელა უკრაინელ ბებიას დაურქმევია. ორი შვილი გვყავს და თავს უბედნიერეს კაცად მივიჩნევდი, მძიმე მოგონებები რომ არ მიმღვრევდეს სულს.

ბუნებრივია, ამ ამბების შემდეგ ყველანაირ წინასწარმეტყველებას დიდი სიფრთხილით ვეკიდები.

*ინგა ჯაყელი*

# მკურნალი ხელოსნები

ერთ ზაფხულს რემონტის გაკეთება გადავწყვიტე. ვიქირავე კიდეც ვინმე კარლო, სწორედ მასზე მითხრეს, არაჩვეულებრივი ხელოსანიაო. დათქმულ დროს გამოცხადდა თავისი აღჭურვილობით და დამხმარეთი. დამხმარედ ქალი ჰყავდა. ქალი კი იყო, მაგრამ მგონი, კაცზე უკეთ შეეძლო ყველაფრის კეთება.

საღამოს დამემშვიდობნენ ჩემი ხელოსნები და წავიდნენ. მე კი საოცარი თავის ტკივილი ამივარდა. იმდენად ცუდად ვიგრძენი თავი, რომ მეზობელს ტკივილგამაყუჩებელი ნემსი გავაკეთებინე. მეორე დღეს თვალს ძლივს ვახელდი. ხელოსნებს ბოდიში მოვუხადე, თქვენ იმუშავეთ, მე წამოვწვები, ძალიან ცუდად ვარ-მეთქი. კი, ბატონო, როგორც ინებებთო.

ძილბურანში დავინახე, ის ქალი ოთახში რომ შემოვიდა, ხელში წყლიანი ჭიქა ეჭირა. გვერდით მომიჯდა და მაჯაზე ხელი მომკიდა — მგონი, პულსი დაითვალა. მერე ხელები ოდნავ დაისველა წყლით და მუცელზე მომისვა.

— კარლო, — დაუძახა ხელოსანს, — ამას ასთმა აქვს, მაგრამ მთავარი ცალი საკვერცხეა. თუ დროზე არ ამოიკვეთა, სიმსივნედ გარდაიქმნება.

კარლოც შემოვიდა. თავს წამომადგა და დამაკვირდა. მკვდარივით ვიყავი, ხმის ამოღება არ შემეძლო. უცებ ქალი ჩემთვის გაუგებარ ენაზე ამეტყველდა. საოცარი ის იყო, რომ „კარლოც" იმავე ენაზე პასუხობდა. მერე კაცმა თავი წამომაწევინა, ქალმა კი წყალი დამალევინა. დავლიე და საოცარი სიმსუბუქე ვიგრძენი. ღრმად ჩამეძინა. მეზმანა, ვითომ წყალში ვცურავდი, მზე აცხუნებდა და გრილი წყალი ძალიან მსიამოვნებდა. უცებ მარცხენა ფეხში მსუბუქი ტკივილი ვიგრძენი და გამომეღვიძა. იმ წუთშივე გამახსენდა ხელოსნები და ელდანაცემი ზეზე წამოვიჭერი. ბინა შემოვიარე — არავინ იყო, ნახევრად შელესილი კედელი და მოსვრილი იატაკი მოწმობდა, ხელოსანი და მისი დამხმარე ნაჩქარევად წასულიყვნენ. ჯერ ეჭვმა გამიელვა — ხომ არ გამქურდეს-მეთქი. ზარდახშა და ფული რომ ხელუხლებელი დამხვდა, მერეღა გამახსენდა ჩემი ავადმყოფობა, სასწრაფოდ მუცელზე დავიხედე. მარცხნივ ოდნავ შესამჩნევი წითელი ხაზი ჩანდა. ჩავიცვი და უკანმოუხედავად გავვარდი სახლიდან. პირველი, რაც თავში მომივიდა, ექოსკოპიის გაკეთება იყო.

ექიმმა გულდასმით გამსინჯა და მითხრა, ყველაფერი წესრიგში გაქვთო.

ისიც არ ვიცი, იმ ქალის ნათქვამი სინამდვილეს შეეფერებოდა თუ არა, მაგრამ ახლა, დრო გავიდა და დავრწმუნდი, რომ მაშინ ჩემმა ხელოსნებმა მართლაც განმკურნეს. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ასთმა უკვე აღარ მაწუხებს, კარლო და ის უცნაური ქალი კი რემონტის გასაგრძელებლად აღარ მოსულან. მინდოდა მეპოვა და მეკითხა, ასეთი რა გამიკეთეს, მაგრამ ვერსად მივაგენი...

*გულნარა ჩ., თბილისი*

# ოთხჯერ მეხდარტყმული

ჩვენი დღევანდელი გმირი იმ უბრალო მიზეზით არ ამჟღავნებს თავს, რომ საქართველოში ასე თუ ისე ცნობილი პიროვნებაა და მისი აზრით, სიმართლის გამჟღავნება ჭორს გაამრავლებს.

მეტსაც გეტყვით: ის, რასაც ახლა გიამბობთ, ნასვამს „წამოსცდა" და სიფხიზლეში აშკარად ინანა...

ეს 48 წლის მამაკაცი ოთხჯერ მეხდაცემული და სასწაულებრივად ცოცხლად გადარჩენილი გახლავთ:

— პირველად 12 წლისას დამეცა მეხი. ბავშვები სოკოს ვკრეფდით ტყეში. ორი საათის შემდეგ კი დიდი მუხის ქვეშ უნდა მოგვეყარა თავი. უცებ ცა გაშავდა და დაიწყო კოკისპირული წვიმა, არ ვიცი, როგორ მივირბინე დათქმულ მუხამდე, სადაც არავინ დამხვდა. ხუთიოდე წუთში კი თითქოს ცა გაიხსნა და ცეცხლი გადმოსკდა. სინათლემ თვალი მომჭრა და მეტი არაფერი მახსოვს... გონს რომ მოვედი, საოცარ სისუსტეს ვგრძნობდი, ძლივს წამოვდექი. მუხას კვამლი ასდიოდა... მივლასლასდი შინ. ბებიამ რომ დამინახა, შეჰკივლა — სულ გატრუსული ვიყავი, წარბ-წამწამიც აღარ მქონდა.

მეორედ 19 წლისას დამარტყა მეხმა. მთაში, სალოცავში, მარტომ ავიყვანე შეთქმული ცხვარი... მაშინაც მოულოდნელად წამოვიდა წვიმა, ატყდა ელჭექი. სალოცავს სახურავი ჩანგრეული ჰქონდა და იქიდან მომწვდა. ისევ დავკარგე გონი, ცხვარი კი მოკვდა...

ბებიას წამოსცდა: — ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება, ბიჭს ზეციური ძალები ცდიანო.

არ ვიცი, ეს ჩამრჩა გონებაში, თუ რა იყო, 28 წლისას მესამედ რომ დამარტყა მეხმა, თეთროსანი მომელანდა. მითხრა: — კიდევ ერთხელ და წინაპრის ცოდვისაგან განიწმინდებიო. რა ცოდვა ჰქონდა ჩემს წინაპარს, ეგ კი არ მითხრა...

მეოთხედ 40 წლისა გავხდი მეხის მსხვერპლი... ცოლეურს ვიყავი სტუმრად გურიაში. თავსხმა წვიმაში გამოვედი ეზოში და იქ „მრეჯგვა" მეხმა. გულგახეთქილები ჩემს საშველად მოცვივდნენ, სოფელი შეყარეს კივილით... მე კი ისევ უცნაური ხილვა მქონდა: ახლა უკვე შავანაფორიანმა მამაკაცმა გულზე ხის ჯვარი მომადო და მოკლედ მითხრა: ცოდვისაგან საბოლოოდ განიწმინდეო. იმ მეოთხე შემთხვევის შემდეგ საშინელი თავის ტკივილი დამჩემდა, ხმით ვტიროდი ამოდენა კაცი, ექიმები კი ვერაფერს მშველოდნენ, ლამის დავინვალიდდი და ავადმყოფობა ისევე მოულოდნელად მომეხსნა, როგორც დამეწყო: შინ ძველი ტელევიზორი გვქონდა და ვაწვალებდი, მინდოდა თავად შემეკეთებინა. ჰოდა, დენმა დამარტყა, ბურთივით მისროლა ორ მეტრზე... უცნაური შეგრძნება გამიჩნდა — თითქოს ბუშტივით გავიბერე და რომ უნდა „გავმსკდარიყავი", უცებ „ჩავიჩუტე" — ნაპერწკლებივით დამცვივდა იქით-აქეთ ენერგია... საოცრად სუსტად ვიგრძენი თავი და მთელი კვირა ვერ წავართვი ძილს თავი, გამოფხიზლებულს არავითარი ტკივილი აღარ მაწუხებდა. მოგვიანებით კი ჩემმა ფიზიკოსმა მეგობარმა აღმოაჩინა, რომ „დენის გამტარად" ვქცეულვარ და 220 ვოლტიც კი ვერაფერს მაკლებს, შიშველი სადენებიც გადამიბია ხელით... ამ „იმუნიტეტს" ჩემი მეგობარი „მეხის წყალობად" მიიჩნევს...

*ინგა ჯაყელი*

„საზალლო-სალალო"
გვერდის პასუხები

I. თხუნელა.
II. [illegible] პეპელა.
III. აბა, გამოიცანი
1. — გ); 2. — ბ); 3. — ბ); 4. — დ).

## №36 (466) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

თემა №36(466) – დაზარალებული იმიჯი

**თქვენი აზრით, „ბექაური-რამიშვილის სკანდალით“ ვისი იმიჯი დაზარალდა ყველაზე მეტად?** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

| №36(466) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი | | |
|---|---|---|
| № | | ქულა |
| 1 | საპარლამენტო უმრავლესობა | |
| 2 | თავისუფალი მედია | |
| 3 | შალვა რამიშვილი | |
| 4 | კობა ბექაური | |
| 5 | სტუდია „რეპორტიორი“ | |
| 6 | ტელეკომპანია „202“ | |
| 7 | ხელისუფლება | |
| 8 | მიხეილ მაჭავარიანი | |

**დამატებითი კითხვა**

როგორ აფასებთ თბილისის მერის გადაწყვეტილებას მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ქორეოგრაფიული სასწავლებლისთვის გადაცემის შესახებ?

| დადებითად | უარყოფითად | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვასა და «მკითხველის პრემიას»

№36(466) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 7 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 8 სექტემბრის 13 საათამდე.

©თბილისი

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.**

## №35 (465) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგის თემას 491 რესპონდენტი გამოეხმაურა. 9 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 185-მა ქალმა და 297-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი ქალბატონი იმსახურებს თქვენს ნდობასა და კეთილგანწყობას ყველაზე მეტად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ნინო ბურჯანაძე ჩვენი მკითხველის ფავორიტია, დღევანდელ რეიტინგს სწორედ ის უდგას სათავეში, ისევე როგორც ინტელექტუალ პოლიტიკოსებს (არა მარტო ქალებს, არამედ მამაკაცებსაც). რესპონდენტთა 53%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით. მინიმალური შეფასება კი მასაც და თინა ხიდაშელსაც ხუთ-ხუთმა რესპონდენტმა (1%) მისცა.

შემდეგ ადგილზეა სალომე ზურაბიშვილი. საინტერესოა, რომ ქალბატონმა სალომემ დაიმსახურა ყველაზე მცირე რაოდენობის მინიმალური ქულა — მხოლოდ ორმა მკითხველმა შეაფასა იგი 1 ქულით. როგორც ვხედავთ, ჩვენი მკითხველებისთვის პრიორიტეტი ქალბატონთა ინტელექტუალური შესაძლებლობებია — მათი ყველაზე დიდი ნდობა და კეთილგანწყობა ინტელექტუალებად აღიარებულ ქალბატონებს შორის განაწილდა.

თინა ხიდაშელი მესამე ადგილზეა საშუალო ქულით 6.01.

რეიტინგში მინიმალურ ქულათა სიმრავლით გამოირჩევიან ხათუნა გოგორიშვილი (47%) და თეა თუთბერიძე (32%). მაქსიმალური — 9 ქულა კი მათ ზუსტად ორ-ორმა მკითხველმა (0.4%) მიაკუთვნა.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან 51 წლის **თამუნა აბაშიძე** და 68 წლის **თეთნულდ ტყებუჩავა** (ორივე თბილისიდან).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 7 სექტემბერს, 17 საათზე.

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.

იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 25 ლარს გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა 20 ლარი, III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — 15 ლარს. გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

### ნინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „კრიმინალური „სერიალი“ ეჭვიანი ქმრის შეკვეთით“ — 92 ხმა
2. **დაჩი გრძელიშვილი** — „ამ კითხვას დასვამს დღეს ყველა!“ — 56
3. **მარი ზანდუკელი, ეკა ლომიძე** — „თუ ვინმეს ხელს აძლევდა ჟურნალისტის იმიჯის ლაფში ამოსვრა, შალვამ ამის „კარგი“ საშუალება მისცა“ — 40
4. **ეკა ლომიძე** — „საქართველოში დრო ლამაზად გადის“ — 27
5. **იზო რიკაძე** — „რატომ არ აჩენენ დამალულ ფულს(?)“ — 19

***მკითხველის პრემიის მფლობელები 331-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, განძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

*„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.*

### 36 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№36 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 8 სექტემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

### აგვისტოს თვის ადამიანი საქართველოში







| | | |
|---|---|---|
| 1. | შალვა რამიშვილი | 58.8% |
| 2. | მიხეილ სააკაშვილი | 11.3% |
| 3. | კობა ბექაური | 7.6% |
| 4. | ვანო მერაბიშვილი | 6.5% |
| 5. | ვიქტორ იუშჩენკო | 4.8% |
| 6. | კახა ლომაია | 3.4% |
| 7. | გიგი უგულავა | 1.1% |
| 8. | სალომე ზურაბიშვილი | 0.8% |
| 9. | კობა დავითაშვილი | 0.6% |
| | სხვები | 3.7% |
| | არავინ | 0.3% |
| | მიჭირს პასუხის გაცემა | 1.1% |

*მკითხველის რეიტინგში 354 რესპონდენტი მონაწილეობდა*

### ცნობილთა აზრით:



**გიორგი ჩიფჩიძე:** — ჩემი აზრით, აგვისტოს თვის ადამიანი მაინც შალვა რამიშვილია. წინა თვეში ყველაზე გახმაურებული და სკანდალური ინფორმაცია სწორედ ამ პერსონის ირგვლივ გავრცელდა. საზოგადოება თითქოს ორ ნაწილად არის გაყოფილი. უმრავლესობა და მათ შორის მეც, შალვას ვგულშემატკივრობთ. არა მგონია, მას ის ჩაედინა, რაშიც ადანაშაულებენ. უარყოფითად მახსენდება პრეზიდენტის გამო „აირზენას“ გადადებული რეისი.



**მაია ჯაბუა:** — მიჭირს პასუხის გაცემა. დაკვირვებული ვარ, აგვისტო ცუდი თვეა. წელსაც, აგვისტოში უარყოფითი მოვლენები ჭარბობდა. ამ მოვლენებთან კი კონკრეტულ პირებს ჰქონდათ უშუალო კავშირი. შეიძლება ასე ითქვას, შეგნებულად არ ვასახელებ მათ, რადგანაც უარყოფითი კუთხით დასახელებაც კი მათთვის დიდი პატივია.



**რეზო არველაძე:** — სამწუხაროდ, ბოლოდროინდელი მოვლენები უკეთ ამახსოვრდებათ ადამიანებს. შესაძლოა, აგვისტოში ბევრი რამ მოხდა მნიშვნელოვანი, მაგრამ უარყოფითი უფრო მკვეთრად მახსოვს. აგვისტოს თვის ადამიანები შალვა რამიშვილი და კობა ბექაურია, არ გამოვყოფდი მათ რიგითობას — ორივე პირველ ადგილზეა. არ მსიამოვნებს ამ თემაზე ლაპარაკი და შეფასებისგანაც თავს ვიკავებ. რაც შეეხება დადებით მოვლენას, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემთვის აგვისტოს თვის ადამიანი შოთიკო არველაძეა. იგი ძალიან კარგ ფორმაშია ამ ბოლო დროს და აგვისტოშიც მშვენივრად ითამაშა.

# რამდენით ძვირდება გაზი?

*საქართველოს მოსახლეობაში პანიკური შიში არ ცხრება — მომავალი წლიდან ბუნებრივი აირი ძვირდება. რამდენით? ამაზე ოფიციალური თბილისი ჯერჯერობით არაფერს ამბობს. კულუარებში სწორედ ამ საკითხზე მსჯელობენ ამჟამად. საქართველოს ხელისუფლებას გაზის გაძვირება ხელს არ აძლევს, რადგან ეს შესაძლოა მორიგი სოციალური უკმაყოფილების მიზეზი გახდეს. შეგახსენებთ, რომ ამჟამად 1000 კუბური მეტრი აირი „თბილგაზს" 60 დოლარად მიეწოდება. როგორც ამბობენ, გაძვირების შემთხვევაში 1000 კუბური მეტრი აირი შესაძლოა 120-140 დოლარიც კი გახდეს. ანუ თუ დღემდე თბილისის მოსახლეობა 1 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირში 27 თეთრს იხდიდა, აღნიშნული გაძვირების შემთხვევაში 1 კუბური მეტრი აირის საფასური შესაძლოა გაორმაგდეს კიდეც (ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ფასის 30%-ით მომატებაა მოსალოდნელი). საქართველოსთვის გაზის გაძვირების საკითხმა პირველად რუსეთის დუმაში გაიჟღერა. მართალია, ქართულმა მხარემ ამას წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება უწოდა, თუმცა რუსეთმა მტკიცედ განიზრახა, რომ საქართველოს, ბალტიისპირეთს, მოლდავეთს და უკრაინასაც ბუნებრივი აირი ევროპული ტარიფებით მიაწოდოს.*

პრაქტიკულად, მოხმარებისათვის საჭირო გაზის მთელ რესურსს საქართველო მთლიანად რუსული კომპანიებისგან იღებს. ბუნებრივი აირის ძირითადი მომწოდებელი კომპანია „გაზექსპორტია". ამას გარდა, საქართველოში გაზის მოწოდებას კომპანია „იტერაც" ახორციელებს, თუმცა მასზე მთელი იმპორტირებული გაზის მხოლოდ მეოთხედი მოდის, მთელი წლის განმავლობაში საქართველო დაახლოებით 1 მილიარდ 200 მილიონ კუბურ მეტრ გაზს მოიხმარს. აქედან 350 მილიონი კუბური მეტრი თბილისის გაზგამანაწილებელ კომპანია „თბილგაზს" მიაქვს. გაზის გაძვირების მიზეზებზე, ხელშეკრულების დეტალებსა და საინვესტიციო კლიმატზე საქართველოში შპს „გაზექსპორტის" („გაზპრომის" შვილობილი კომპანიის) წარმომადგენელს **დავით მორჩილაძეს** ვესაუბრეთ:

— ენერგომატარებლები მთელ მსოფლიოში ძვირდება. თუ საქართველოში გაზიც იმ სტანდარტებით გაძვირდა, როგორც სხვა პროდუქტები, მაშინ ეს საშიში არ არის. ზოგადად კი, რა თქმა უნდა, არასასიამოვნოა, როცა ფასები ზევით მიიწევს. ეს მოსახლეობისთვის პრობლემაა. ცხოვრების გაძვირებასთან ერთად მოსახლეობის შემოსავლებიც უნდა იზრდებოდეს. მაგრამ გაზის გაძვირება „ლოგიკურ ზღვარს" არ უნდა ასცდეს. როგორც იცით, ამჟამად მზადდება ხელშეკრულება „გაზპრომსა" და საქართველოს მთავრობას შორის. ამ ხელშეკრულებაში გაზის საფასურის შესახებ არ იქნება ლაპარაკი, მაგრამ ყურადღება დაეთმობა თანამშრომლობის მთავარ პრინციპებს. ხელშეკრულებაში სამი ძირითადი მიმართულებაა. პირველი არის გაზის საქართველოში შემოტანა, რაც ასევე „გაზექსპორტსაც" აძლევს ხელს. მეორე მიმართულებაა გაზის ტრანზიტი საქართველოს გავლით სომხეთში, რაც საქართველოსთვისაც ხელსაყრელია, რადგან საქართველო აქედან გაზის 10%-ს იღებს. მომავალში ალბათ განსაზღვრულ თანხასაც მიიღებს. მესამე მიმართულებაა „გაზპრომის" საინვესტიციო აქტიურობა. „გაზპრომი" მზად არის, მონაწილეობა მიიღოს ყველა საინტერესო და მომგებიან პროექტში. თუ ხელშეკრულებას გავაფორმებთ, ვფიქრობ, მერე უფრო გაადვილდება კონკრეტული პროექტების, კონტრაქტების განხორციელება. გაზის ფასი იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ ავაწყობთ სტრატეგიულ ურთიერთობებს. გარწმუნებთ, გაზის საფასური კომერციული იქნება და აქ არანაირი პოლიტიკა არ იქნება ჩართული.

**— ქართულ-რუსული ურთიერთობების დაძაბვისას არაერთგზის გავხდით მოწმე, როცა წელიწადის ყველაზე ცივ პერიოდში რუსეთმა საქართველოს გაზი გაუთიშა. რა გარანტია გვაქვს, რომ კვლავ იგივე არ განმეორდება?**

— საქმე ის არის, რომ საქართველოს ყოველთვის ჰქონდა გაზის საფასურის დავალიანება. „გაზექსპორტი" ყოველთვის ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. ვალის საკითხი ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოიხსნას. ამ შემთხვევაში იძლევა „გაზპრომი" გაზის მუდმივი მოწოდების გარანტიას.

**— როგორც შევიტყვეთ, ამ დღეებში მოსკოვში შეხვედრებს გამართავს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური. ძირითადად რა საკითხები განიხილება და რა შედეგებს უნდა ველოდოთ ამ შეხვედრებიდან?**

— გილაურთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ. რამდენჯერმე შევხვდით, ხელშეკრულების პროექტს ვამზადებთ. მისი მოთხოვნები ჩემთვის გასაგებია და ამ საკითხებზე ჩემს ხელმძღვანელობასაც ვესაუბრე. მუშაობა გრძელდება და ეს სამუშაო არ იწყება და არ მთავრდება ერთი შეხვედრით. ანუ ამ შეხვედრას არ უნდა მივცეთ ისეთი სტატუსი, რომ იქ რაღაც უცებ გადაწყდება. ამ შეხვედრაზე უბრალოდ პოზიციები დაფიქსირდება... საერთოდ, „გაზპრომთან" შეხვედრებს არ უნდა ვუყუროთ, როგორც რინგს, სადაც ერთმანეთს ებრძვიან. ჩვენ ვართ პარტნიორები და საკითხების ერთობლივი გადაჭრის გზები უნდა ვეძებოთ. რაც შეეხება ინვესტიციებს: ძალიან ხშირად ეშინიათ ხოლმე ინვესტიციების და ფიქრობენ, რომ ამ ფულის უკან ვიღაცის ინტერესები დგას. მიმაჩნია, რომ თუკი საქართველოს ჰყავს სერიოზული ექსპერტები და შედეგების განსაზღვრა შეუძლია, მაშინ საშიში არაფერია. ანუ ხელშეკრულებები ისე უნდა დაიდოს, რომ საქართველოსთვის საფრთხის შემცველი არ იყოს. უნდა ვიყოთ ფრთხილად, მაგრამ არ უნდა გვეშინოდეს.

**ლიანა ჯერვალიძე**, ენერგეტიკის ექსპერტი:

— რუსეთში, ენერგეტიკულ სექტორს მკაცრად აკონტროლებს სახელმწიფო და ის წყვეტს, რომელი კომპანია იქნება გაზის მიმწოდებელი პოსტსაბჭოთა სივრცეში თუ დასავლეთში. აქედან გამომდინარე, მომწოდებლებში დიდი არჩევანი არ გვაქვს და „გაზპრომზეც" იმიტომ ვართ ცალსახად დამოკიდებული. „იტერასთან" ურთიერთობის გაწყვეტაც არ იყო ჩვენი არჩევანი. 2002 წლიდან, პუტინის ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად, დაიწყო „გაზპრომის" კონსოლიდაციის პროცესი, რამაც „იტერა" შეიწირა და დააკარგვინა ბაზრის უდიდესი სეგმენტი საქართველოში. რაც შეეხება გაზზე ტარიფის ზრდის საკითხს, ის ბუნებრივი აირი, რომელსაც ჩვენ მოვიხმართ, თურქმენეთის საზღვარზე შეისყიდება „გაზექსპორტის" მიერ. ამდენად გაზის ტარიფი დამოკიდებულია იმაზეც, თუ რა ფასად მიჰყიდიან ბუნებრივ აირს „გაზექსპორტს". 2004 წლის დეკემბრამდე თურქმენეთის საზღვარზე ბუნებრივი აირის ღირებულება 44 დოლარი იყო. ამ თანხის ნახევარს „გაზექსპორტი" ბარტერით, ანუ თურქმენეთისთვის რუსული პროდუქციის შეთავაზებით იხდიდა. იმავე წლის დეკემბერშივე თურქმენეთმა გამოთქვა პრეტენზია, რომ არ აკმაყოფილებდა ბარტერით შეთავაზებული რუსული პროდუქციის ხარისხი და მოითხოვა გაზის ტარიფის 56 დოლარამდე გაზრდა ანდა ძველი ფასის დატოვება და მთლიანად მყარი ვალუტით გადახდა. დღეისათვის ბარტერი აღარ არსებობს და „გაზექსპორტი" მთლიანად მყარი ვალუტით ყიდულობს თურქმენეთის საზღვარზე ბუნებრივ აირს, რაც ბუნებრივია, ძვირი უჯდება. ამას გარდა, უნდა გავითვალისწინოთ იმ 1500-კილომეტრიან მილსადენში ბუნებრივი აირის გატარების ხარჯებიც, რომელიც თურქმენეთის საზღვრიდან ჩვენს საზღვრამდე არსებობს. ჩვენ სწორედ ამ მილსადენის საშუალებით ვიღებთ ბუნებრივ აირს. ცხადია, „გაზპრომი" თავისას ძველებურად მიიღებს, მაგრამ ჩვენ დავზარალდებით. რაც შეეხება თურქმენეთის გადაწყვეტილებას, უნდა ვივარაუდოთ, რომ თურქმენეთი სამომავლოდაც იქნება ბუნებრივ აირზე ფასების კიდევ უფრო ზრდის ინიციატორი. დსთ-ში მან თავისი პოზიციების გამყარება უკვე მოასწრო და ალბათ შეძლებს კიდეც განზრახვის სისრულეში მოყვანას. რაც შეეხება რუსეთს, იგი იძულებულია თურქმენეთისგან შეისყიდოს ბუნებრივი აირი იმიტომ, რომ თვითონ არ გააჩნია თურქმენული გაზის საკუთარით ჩანაცვლების პოტენციალი. აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყოდი, რომ ბუნებრივი აირის გაძვირება პირდაპირ უკავშირდებოდეს რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობებს. ვფიქრობ, რომ ეს უფრო მეტად ეკონომიკური საკითხია.

**— შექმნილი ვითარებიდან რა გამოსავალი არსებობს?**

— ჩვენ ყოველწლიურად მოვიხმართ მილიარდ 200 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს. ეს არ არის ისეთი ოდენობა, რომლის შოვნაც თურქმენეთის გარდა სხვაგან არ შეიძლებოდეს. შედარებით იაფი ბუნებრივი აირი აქვს ყაზახეთსაც, ტაჯიკეთსაც, თუმცა საეჭვოა რუსეთმა ამ ქვეყნების იაფფასიანი პროდუქციაც გაატაროს თავის მილსადენში. მას ისევ ურჩევნია თურქმენეთის საზღვარზე შეიძინოს ბუნებრივი აირი და შემდგომ იმ ფასად მოგვყიდოს, რაც მისთვისაა ხელსაყრელი. ასეთი ხერხით იგი მაქსიმალურ მოგებას ნახულობს.

**— საუბრობენ იმაზეც, რომ საქართველოსათვის გაზის მიღების ალტერნატიული გზა შაჰ-დენიზის პროექტი გახდება...**

— შაჰ-დენიზის პროექტის დასრულების შემდეგ, შეთანხმების თანახმად, საქართველო ტრანზიტის საფასურად ტრანსპორტირებული გაზის მოცულობის 5%-ს მიიღებს და ნაწილს შეღავათიან ფასად შეიძენს, თუმცა იმასაც გააჩნია, თუ რა მოცულობის გაზი გაივლის სადენში. აღნიშნული პროექტი ჩვენთვის, რა თქმა უნდა, სარგებლის მომტანია, მაგრამ მხოლოდ ამის იმედად ვერ ვიქნებით. მართალია, გაზის ტარიფის რეგულირება პოლიტიკური ბერკეტებით შესაძლებელია, მაგრამ თუ არ იქნება დამოუკიდებელი მილი, რომელიც თურქმენულ გაზს გამოატარებს, ისევ რუსეთზე ვიქნებით დამოკიდებულნი და ალტერნატივა არ გვექნება. რაც არ უნდა მოვილაპარაკოთ თურქმენეთთან, რუსეთთან შეთანხმების გარეშე გაზის ტარიფზე გავლენას მაინც ვერ მოვახდენთ. ვფიქრობ, უნდა მოვახდინოთ ენერგორესურსების დივერსიფიკაცია, გამოვიყენოთ მზის ენერგია და ა.შ. რათა მოვიპოვოთ ალტერნატიული გზები.

**ნიკო ორველაშვილი**, ეკონომიკის ექსპერტი:

— რუსეთი გვიხდის სამაგიეროს იმიტომ, რომ დასავლელი მეგობრების რჩევით არ მივყიდეთ მაგისტრალური გაზსადენი. რაც შეეხება „გაზპრომს", იგი გახლავთ რუსეთის „ველიკოდერჟავული" იდეების გამტარებელი და ამდენად, მისი პოზიცია უცხო არ უნდა იყოს ჩვენთვის. დღეისათვის ჩვენ არანაირი ალტერნატივა არ გაგვაჩნია ავირჩიოთ ბუნებრივი აირის სხვა მომწოდებელი. მართალია, დიდია რუსული ინტერესები, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ სომხეთს ჩვენი მაგისტრალური გაზსადენით მიეწოდება ბუნებრივი აირი. ეს ჩვენთვის რუსეთზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი კოზირია, თუმცა ჩვენი ხელისუფლების ხელში ამ კოზირსაც სწორად გამოყენება უნდა. თუ არ მოხდა გაზის ტარიფის პოლიტიკური ბერკეტებით რეგულირება, მაღალი ფასი, პირველ რიგში, მოსახლეობას დააწვება, რაც კიდევ უფრო გააუარესებს ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ ფონს.

*თამარ სუჯაშვილი*
*ემა ტუხიაშვილი,*
*თემურ კაციაშვილი*

## საქართველოსთვის გაზის მოწოდების სქემა




# თქვენ ახრჩობთ სომხეთის ეკონომიკას



**— სომხეთს მადლობა უნდა უთხრათ, რომ არ გაათამაშა ჯავახეთის კარტი...**

**ანდრანიკ მიგრანიანი**

— საქართველო და უკრაინა ყაზანის სამიტზე დსთ-დან უნდა გაგვძევებინა, სამჯერ გაგვეზარდა გაზის ფასი და მერე ერბინათ სააკაშვილსა და იუშჩენკოს ბრიუსელსა და ვაშინგტონში დახმარების სათხოვრელად. მაშინ უკვე მოსახლეობა მოჰკითხავდა ორივეს. ისინი კი ყველაფერს კვლავინდებურად მოსკოვს ველარ დააბრალებდნენ, — განაცხადა ექსკლუზიურ ინტერვიუში ჩვენთვის არც ისე უცნობმა, რუსეთში მოღვაწე პოლიტოლოგმა, ანდრანიკ მიგრანიანმა, — კუჩმა და შევარდნაძე მოსკოვში ერთს ლაპარაკობდნენ, ვაშინგტონში — მეორეს. კრემლმა არც იუშჩენკოს და არც სააკაშვილს ამის უფლება არ უნდა მისცეს. ვინც ჩვენთან, რუსეთთან, არ არის, უნდა წავიდეს. გაყრის პროცესი დამთავრდა!

ანდრანიკ მიგრანიანთან საუბარი, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი კაცისთვის ბევრ რამეს კატეგორიულად მიუღებელს ამბობს, საკმაოდ ადვილია, რადგან არ მალავს თავის მოსაზრებებს: — საქართველო ახრჩობს სომხეთის ეკონომიკას და ეს მას შემდეგ ხდება, რაც სომხეთის ხელისუფლებამ არ გამოიყენა მნიშვნელოვანი ბერკეტი თბილისის დასასჯელად. ეს კი დიდი ხნის წინ შეეძლო — არ გაითამაშა ჯავახეთის ფაქტორი, მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონში თითქმის მთლიანად სომხები ცხოვრობენ და რა ხანია მოითხოვენ ჯავახეთის ავტონომიას ან სომხეთთან შეერთებას.

*საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის პროცესთან დაკავშირებითაც მიგრანიანს საკუთარი მოსაზრება აქვს:*

— თბილისი შეჰპირდა მოსკოვს, რომ ხელს არ შეუშლის სომხეთში განთავსებული რუსული სამხედრო ბაზის გასამაგრებლად რუსეთიდან სომხეთში, როგორც სახმელეთო, ისე საჰაერო სატრანზიტო გადაზიდვებს. თუკი ეს შეთანხმება დაირღვევა, მაშინ საქართველოსა და სომხეთს შორის ბევრი პრობლემა გაჩნდება. რუსეთს მკვეთრად უარყოფითი რეაქცია ექნება მაშინაც, თუკი ახალქალაქის რაიონში, რუსულის ნაცვლად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის რომელიმე ქვეყნის ბაზა გაჩნდება, ხოლო თუ ეს ქვეყანა თურქეთი იქნება, მაშინ კატეგორიულად უარყოფით პოზიციას სომხეთიც დაიკავებს.

სხვათა შორის, იმის დაჟინებული მტკიცებით — რუსეთმა სუვერენული საქართველოდან თავისი სამხედრო ბაზები უნდა გაიყვანოსო, ვაშინგტონმა პენტაგონს დათვური სამსახური გაუწია. ახლა უზბეკეთი ითხოვს ჰანაბადიდან ამერიკული ბაზის 180 დღეში გაყვანას და თეთრ სახლს ძალიან გაუჭირდება ამ ვადის გაზრდა, — *განაგრძობს ანდრანიკ მიგრანიანი,* — ისე, რომ იცოდეთ, აშშ-ს მსოფლიოში სტაბილურობის ფაქტორად აღარავინ მიიჩნევს. როდესაც ის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ავღანეთში შედიოდა, მსოფლიო საზოგადოებრიობის უდიდესი ნაწილი მხარს უჭერდა. თუმცა ერაყის კამპანიის დაწყებით და, მით უმეტეს, „ფერადი რევოლუციების" ინსცენირებით დსთ-ის არეალში ამერიკელებს სახელი გაუტყდათ — ნებისმიერი ქვეყნის ლიდერს, გარკვეულწილად ეშინია, რომ ვაშინგტონმა მათთან არ დაიწყოს კარგად დაფინანსებული მორიგი „ფერადი" რევოლუცია. მიკვირს, რატომ არ ხსნის სარკინიგზო ხაზს საქართველო, რითაც აფხაზებს კი არა, უპირველესად, სომხებს აზარალებს. თვითონაც ხომ ზარალდება რუსეთთან პირდაპირი სარკინიგზო ხაზის უქონლობით...

*ინტერვიუს დასასრულს პოლიტოლოგ ანდრანიკ მიგრანიანს ერთი შეკითხვა დავუსვი, რომელზეც პასუხი დიდი ხანია მაინტერესებდა:*

**— თქვენ სომხური წარმოშობის რუსეთში მოღვაწე ცნობილი პოლიტოლოგი ბრძანდებით. არასოდეს გიფიქრიათ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება და აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელება?**

— ცნობილ გერმანელ ფილოსოფოსს, არტურ შოპენჰაუერს, აქვს ნათქვამი: — გერმანია ჩემთვის ძალიან პატარა ქვეყანააო! მართალია, სომხეთი „დიდია", მაგრამ სამწუხაროდ ჩემთვის მაინც პატარაა, ისევე, როგორც დღეს უკვე რუსეთიც. მე საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე გავდივარ!

*ირაკლი ალადაშვილი*

განსხვავებული ჟურნალი

ნატა ამაღლობელი შვილს ჟამიკოს გაჩენას ჰპირდება — რატომ გადაინაცვლა დილის პროგრამიდან „კურიერში"
ნინი შერმადინს სარფში სერიოზული თაყვანისმცემელი გამოუჩნდა
რატომ ეშინიათ „შაბათის შოუს" ბიჭებს ქალების — ვის ხარჯზე დაისვენეს ვასომ და ვანომ
როგორ აფასებს ფილოსოფოს მერს ფიზიკოსი მამა
100 გახმაურებული დანაშაული საქართველოში — საკუთარი სურვილით გაუპატიურებული რუსი მოსამართლე ქალი



...და მხოლოდ ჯვრის საუკეთესო წყვილები
ორშაბათობით!

# „რუსეთში რომ მიჰყავდათ, მითხრა, ჯერ დიდი კაცი გავხდე, მერე გაჩვენებთო“


სოფელი მეტეხი, 3 წლის ვოვა


სოფელი მეტეხი, 7 წლის ვოვა


ლენინგრადი, 14 წლის ვოვა


ვლადიმირ პუტინი კარიერის სათავეებთან

## „მან თავისი ბიოგრაფია უკვე შექმნა, ახლა ხომ არ შეცვლის“?


სოფიკო ოსეფაშვილი

შემთხვევით შევიტყვე, რომ რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის ნახევარდა (როგორც თავად ამბობს) — სოფიკო ოსეფაშვილი თბილისის ერთ-ერთ ტუბსაავადმყოფოში ქირურგიის განყოფილების მედდად მუშაობს და თანამშრომლებში დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობს. ჰყავს მეუღლე და 12 წლის გოგონა, ნინო. ცხოვრობს ავჭალაში, ნაქირავებ ბინაში. „მთელი სიცოცხლე ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ. მიჭირს, მაგრამ მშიერიც რომ დავრჩე, პრესა რომ არ წავიკითხო, არ შემიძლია. ახლაც მაქვს ჩანთაში „კვირის პალიტრა“ და ჟურნალი „გზა“, — გვითხრა სოფიკომ შეხვედრისას. ის ძალზე გულღია ადამიანი აღმოჩნდა, თუმცა, როგორც თავად ამბობს, ჯიუტი და პირდაპირიც არის. სოფიკომ რუსეთის პრეზიდენტზე, ვლადიმირ პუტინზე ბევრი საინტერესო რამ გვიამბო.


ვლადიმირ პუტინის ბებია

**— როგორი იყო თქვენი რეაქცია, როცა შეიტყვეთ, რომ თქვენი ძმა რუსეთის პრეზიდენტი გახდა?**

— რა რეაქცია უნდა მქონოდა... ჩემთვის მთავარი იყო, რომ გამოჩნდა. მანამდე მასზე არაფერი ვიცოდით. მთელი ოჯახი ტელევიზორს ვუყურებდით და როცა დავინახე, ცუდად გავხდი... მაშინვე ვიცანი. დამცინეს, ნუ იგონებო. მერე ჩემმა დამაც დამირეკა — მგონი, ტელევიზორში შენს ძვირფას ძმას აჩვენებენო. ჩემს დას მე და ვოვა ბავშვობიდან ვერ ვეგუებოდით. მე ახლაც არ ველაპარაკები. 3 წლისა იყო, როცა ჩხუბისას მე და ვოვამ თავიც გავუტეხეთ. დღესაც აქვს დიდი „შრამი“ თავზე.


ვლადიმირ პუტინის დედა

მე და ვოვა თითქმის თანატოლები ვართ. ბევრი საერთო თვისებაც გვაქვს. ძალიან ჯიუტი ვარ, მაგრამ ჩემზე მეტად ჯიუტია პუტინი. ერთმანეთს ჩვენ უფრო ვუგებდით. უნიჭიერესი, ძალიან ბეჯითი და მიზანდასახული იყო. რუსეთში რომ მიჰყავდათ, მითხრა, დაიცა, ჯერ დიდი კაცი გავხდე, მერე მე თქვენ გიჩვენებთო. თავში წამოვარტყი, რას მიჩვენებ-მეთქი.

**— ასე რატომ გითხრათ, ნაწყენი წავიდა?**

— გული სწყდებოდა, დედას ბებიასთან რომ მიჰყავდა. ხშირად ხდება, ბავშვი მშობელს რომ მოსცილდება, უფრო მიზანდასახული ხდება. ცდილობს მარტოობა და გულნაკლულობის გრძნობა წარმატებით გააბათილოს. ასეთი ბავშვები უკეთესები იზრდებიან, ვიდრე ისეთები, რომლებსაც მშობლები თან ჰყვებიან და ანებივრებენ.

**— ოჯახში როგორი ატმოსფერო გქონდათ. მახსოვს, პრესაში დაიბეჭდა, რომ პუტინს მამობილი არ სწყალობდა...**

— მამაჩემი ჩვენთანაც ძალიან მკაცრი იყო. მძიმე ხასიათი ჰქონდა, მაგრამ უზომოდ მშრომელი იყო. ამასთანავე, ძალიან კეთილი და პატიოსანი. სახლში გერის ყოფნა რომ არ სიამოვნებდა, ვერც ვამტყუნებ — თავისი შვილები ჰყავდა და სხვისი არ უნდოდა, კაცია და გუნება... მამა სახლს აშენებდა (კასპის რაიონის სოფელ მეტეხში), დღედაღამ შრომობდა. ასე რომ, ჩვენს მოსაფერებლად არ ეცალა. არც ჩვენ გვეფერებოდა და არც ვოვას. რამე თუ არ მოეწონებოდა, არავის დაინდობდა, ცემაც შეეძლო... ოჯახში დაძაბულობა იყო. მაშინ ბავშვები ვიყავით და ვერ ვხვდებოდით, რა ხდებოდა ჩვენს მშობლებს შორის. ერთ დღესაც დედაჩემმა ვოვა თავის დედ-მამასთან წაიყვანა რუსეთში. არც ქუჩაში დაუგდია და არც გაუყიდია. პერმში, ინტერნატში სწავლობდა, რომელიც სახლთან ახლოს იყო. მაშინ ისე ვიცოდით, თითქოს ვილაც სამხედრომ იშვილა და კაცადაც იმან აქცია. სხვა შემთხვევაში შეიძლება ვერ მიეღწია ვერაფრისთვის, ისევე როგორც ჩემმა მეორე ძმამ ვერ მიაღწია ვერაფერს. სულ 5 დედმამიშვილი ვართ.

**— იქნებ ის ეპიზოდი გაიხსენოთ, როცა პუტინი დედას რუსეთში მიჰყავდა...**

— დედაჩემს ვოვა „თბილისი-მოსკოვის“ მატარებელზე რომ აჰყავდა, ტირილი დაიწყო. მამაჩემი, ლუბა და მე ვაცილებდით. მე ვოვაზე ისე არ მწყდებოდა გული, როგორც დედაზე. მეგონა, დედა გვტოვებდა... ასე იყო — დედას ან ჩვენ უნდა ავერჩიეთ, ან ის. მაშინ, ფაქტობრივად, მამა და დედა ერთმანეთს დასცილდნენ. მე და ჩემი და უდედობას ძალიან განვიცდიდით. ამას მამაც ამჩნევდა. ერთ კვირაში დედა უკან ჩამოვიდა.

როცა რუსეთიდან ბებიამ დედას ვოვა ჩამოუყვანა, იგი ორი წლისა იყო. მანამდე მამამ მისი არსებობის შესახებ არაფერი იცოდა — რუსეთში, ბებიასა და ბაბუასთან იზრდებოდა. ვოვა რომ ჩამოიყვანა, ბებიამ დედას უთხრა, ახლა შენ გაზარდეო. 9 წლის ვოვა დედამ უკან რომ ჩაუყვანა, ბებიას უთქვამს, დატოვე, ისევ ჩვენ გავზრდით, წადი და გოგონებს მიხედეო. ვოვამ ვერ აიტანა, რომ დედამ მის თავს ჩვენ გვარჩია, ის კი დატოვა. წლების შემდეგ, ბებიას რომ ნნევამ დაარტყა, დედა სამი კვირით წავიდა და უვლიდა. თურმე, ეხვეწა ბებიას, მითხარი, ჩემი შვილი სად არისო. არაფრით არ უთქვამს — შევფიცე, რომ არასოდეს გეტყოდი მის ადგილსამყოფელს, ეს მისი თხოვნააო. ვოვას ასე უთქვამს, დედაჩემმა ჩემს თავს ჩემი დები რომ არჩია, არასოდეს უთხრა, სად ვიქნებიო. ბებიამ ვოვას საიდუმლო საფლავში ჩაიტანა.

**— ავადმყოფ ბებიას არ პატრონობდა?**

— როგორ უპატრონებდა, ლენინგრადში იყო... ასე გაწყვიტა ჩვენთან ურთიერთობა. ვაგრძნობინეთ, რომ გვახსოვს და გვინდა მასთან შეხვედრა... თუ დედაზე განაწყენდა, დებმა რაღა დავუშავეთ? ინტერვიუებში ხშირად უთქვამს, რომ თავის ნათესავებს არ იცნობს. მართლაც ასეა. შეიძლება, არც აწყობდათ, უცხო ქვეყანაში მყოფი პუტინი ახლობლებს მოეკითხათ. დაზვერვა ისეთი საქმეა, რომ ნახვალ, შეიძლება უკან არასოდეს დაბრუნდე. შეიძლება ამანაც განაპირობა, რომ მან ყველა ნათესავი დაკარგა.

**— იქნებ არ იცის, რომ მასთან ურთიერთობის აღდგენა გინდათ?**

— იცით რა... მან მიწის ქვეშ რა არის, ისიც იცის...

**— თქვენ გაამხილეთ პირველად, პუტინი რომ თქვენი ძმა იყო?**

— ჩვენ ხმა არ ამოგვიღია. ეს პირველად ნატო ონიანმა გაახმაურა. მან ჩვენ შესახებ კასპის გაზეთის კორესპონდენტისგან, ვალიდა უზნაძისაგან შეიტყო, რომელიც ვოვას თანაკლასელის მეუღლეა.

**— ალბათ, დედათქვენი ძალიან განიცდის ყველაფერ ამას?**

— შეიძლება. აშკარად არ ამჟღავნებს, მაგრამ გული ნამდვილად სწყდება. შვილები დედებს წლობით ეძებენ, ვოვას კი ცოცხალი დედა ჰყავს და მისი ნახვაც არ უნდა. თუმცა, ვინ იცის, იქნებ კარგიც არის, რომ არ გვირიგდება. აქ ვინ დაგვიცავს? ალბათ, აქამდე მის გასამნარებლად ყელს გამოგვჭრიდნენ ან რაღაცას აგვიტეხდნენ. ვოვას აქ ბევრი მტერი ჰყავს. ერთი რამ კი უდავოა, — მას თავისიანებად რომ არ მივაჩნდეთ, აქამდე გვიჩივლებდა და გაგვაჩუმებდა.

**— დედამ ქართული კარგად იცის?**

— რა თქმა უნდა. მე რომ წავიკითხავ ჟურნალ-გაზეთებს, მერე დედასთან ჩამაქვს. კითხვა ძალიან უყვარს. ბევრი წიგნი აქვს წაკითხული.

**— თქვენ ჟურნალისტებს აღარ იღებთ, ამ შემთხვევაში კი გამონაკლისი დაუშვით, რატომ?**

— დავიღალეთ. ზოგჯერ ჟურნალისტს სხვა რამეს ეტყვი და გაზეთში სულ სხვა რამ წერია. ბევრი სისულელე დაწერეს ჩვენზე.

**— როგორ ფიქრობთ, ქართული ემახსოვრება თქვენს ძმას?**

— ალბათ... მე-4 კლასამდე ქართულ სკოლაში დადიოდა. შეიძლება რაღაც-რაღაცები ახსოვს, მაგრამ არ ამჟღავნებს.

**— წლების შემდეგ, როცა პუტინი პრეზიდენტი აღარ იქნება, ნუთუ საკუთარ და-ძმას არ მოძებნის?**

— არა, არა მგონია... ჩემი მეუღლე ამბობს, ჩავაკითხოთო, მაგრამ მე ვეუბნები, ვისაც ვუნდივარ, აქეთ მომაკითხოს-მეთქი. ხმა ხომ მივაწვდინე, ახლა მისი ჯერია. შესახვეწი არავისთან არაფერი მაქვს. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ახსოვს, თუმცა, ვერც ვამტყუნებ. თავისი ბიოგრაფია უკვე შექმნა, ახლა ხომ არ შეცვლის? მე მაინც მეამაყება, რომ ის ჩემი ძმაა და მწყინს, როცა მასზე აუგს ამბობენ. მიხარია, რომ ამდენს თავისით მიაღწია.

**— რა იცით პუტინის მამის შესახებ?**

— გვარად პრივალოვი იყო. ვოვა დედის გვარზეა. ცუდი ზნის კაცი ყოფილა. დედა ვოვაზე ფეხმძიმედ იყო, როცა მშობლებმა შეიტყვეს, რომ მას სხვა ცოლ-შვილი ყოლია. დედაჩემის მამას ეს რომ გაუგია, კინწისკვრით გაუგდია სახლიდან. შემდეგ დედაჩემი სასწავლებლად ტაშკენტის ინსტიტუტში გადაიყვანეს, მამაჩემიც იქ გაიცნო, ჯარში მსახურობდა.

**— რას განიცდით, როცა ძმას ტელეეკრანზე ხედავთ?**

— ბავშვი მეტყვის, — დედი, შენს პუტინს აჩვენებენო. გამეცინება ხოლმე, ზოგჯერ რაღაცას მივაძახებ. მგონია, რომ საქართველოში არასდროს ჩამოვა. რომ თქვეს, პუტინმა მიწვევა მიიღო და ოქტომბერში ჩამოვაო, ვთქვი, არ ჩამოვა-მეთქი და ასეც მოხდა.

**— რატომ, საქართველო ბავშვობის დროინდელ ტკივილს ახსენებს?**

— შეიძლება, თუმცა ეს არავინ იცის. იქნებ აქ ჩამოსვლა სურს კიდეც, მაგრამ უნდა ეს სურვილი თავის თავში ჩაკლას და არ ჩამოვიდეს. მე ასე მგონია, რადგან კარგად ვიცნობ ვოვას. მეც ასეთი ჯიუტი ვარ. ასეთია დედაჩემიც.

**— ვინმესგან რაიმე ყურადღება ან დახმარება თუ გახსოვთ?**

— სულ ამბობენ, ვითომ დედაჩემს სახელმწიფო ეხმარება. ტყუილია, დედაჩემი სოციალურ დახმარებასაც კი არ იღებს, იმიტომ, რომ სოფლის სახლში მე ვარ ჩაწერილი და მარჩენლად ვითვლები. წლების განმავლობაში გაყინული პენსიაც ახლახან აიღო. გამორჩეულად ყურადღებას არავინ აქცევს. არადა, პრესაში ბევრჯერ მინახავს ამგვარი სტატიები. ჯანმრთელად იყოს და ვიდრე მე ცოცხალი ვარ, არავისი არაფერი უნდა.

*თამარ სუჯაშვილი*




# საქართველო ჭადრაკის მომავალ დედოფალს კარგავს(?!)

## ორგზის მსოფლიო ჩემპიონს ბილეთის ფულისთვის კარდაკარ დაარბენინებენ

რატომ დათმო ქართულმა ჭადრაკმა პოზიციები საერთაშორისო არენაზე? — ეს მტკივნეული კითხვა უკანასკნელ წლებში ძალზე აქტუალური გახდა. დრო იყო, ჩვენს სახელოვან დიდოსტატებს მყარად ეპყრათ მსოფლიო ჭადრაკის დედოფლის გვირგვინი, დღეს კი მათი გამარჯვებები იშვიათ გამონათებებად იქცა. ჭადრაკი ახლაც ძველებურად პოპულარულია საქართველოში და უნიჭიერესი დიდოსტატების ნაკლებობას არც ამჟამად განვიცდით, თუმცა მხოლოდ ნიჭიერი სპორტსმენების ყოლა საკმარისი აღარ არის — XXI საუკუნეში სხვა ყველაფრის მსგავსად ჭადრაკიც უსწრაფესად ვითარდება და გამარჯვებებისათვის თითოეულ წვრილმანს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ერთი თვის წინ ისეთი მოვლენების მოწმენი გავხდით, მხოლოდ საქართველოში რომ შეიძლება მოხდეს — ნაკრები გუნდის ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე გაირკვა, რომ ფედერაციის პრეზიდენტმა გურამ აბსანძემ საჭირო თანხის მოძიება ვერ შეძლო და... გადადგა! ბევრი სირბილისა და ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტის დახმარების შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე ნაკრების გაგზავნა მოხერხდა და ქალთა გუნდი ვერცხლის მედლებითაც დაგვიბრუნდა. თუმცა, თურ- [illegible]




[illegible] მეექვსე კლასის მოსწავლემ მერი არაბიძემ... ჭადრაკის სვლები 5 წლის ასაკში ისწავლა. 6 წლისა კი უკვე რაიონის ჩემპიონი იყო გოგონათა შორის. მისი პირველი მწვრთნელი ანზორ მაჩიტაძე გახლდათ. დღეს ძალზე ნიჭიერი ახალგაზრდა სპეციალისტი — გოჩა ჩაჩუა ავარჯიშებს. 10 წლის ასაკში ფიდეს ოსტატის წოდების მოპოვება თავისთავად ბევრზე მეტყველებს, უფრო მეტს ამბობს მისი ტიტულები — 2000-2001 წელს იმერეთის, 2001-2002 წლებში საქართველოს ჩემპიონი, 2003 წელს საერთაშორისო ფესტივალისა და შავი ზღვის საჭადრაკო ფესტივალის გამარჯვებული, 2004 წელს მერი ევროპის ჩემპიონი გახდა. იმავე წლის ნოემბერში კი კუნძულ კრეტაზე გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე 11 ტურიდან ყველა მოიგო(!) და პლანეტის უძლიერესი მოჭადრაკე გახდა 10 წლამდე გოგონათა შორის. ერთი თვის წინ, საფრანგეთის ქალაქ ბულფორტში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი კვლავაც არაბიძის ტრიუმფით დასრულდა — 10 ქულა 11 ტურში და მსოფლიო ჩემპიონის მეორე ოქრო...

**გულიკო გოგიტიძე** („ფაზისის“ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პედაგოგი): — მერის გამორჩეულ ნიჭიერებაზე ისიც კი მეტყველებს, რომ 6 წლის ასაკიდან დღემდე, არც ერთ მნიშვნელოვან ტურნირზე ერთი პარტიაც კი არ წაუგია! სამწუხაროდ, მის მიღწევებს სათანადოდ არ აფასებენ საქართველოში. ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე დაჰპირდა — საფრანგეთიდან რომ ჩამოხვალ, 1000 ლარით დაგაჯილდოვებო, თუმცა, ჯილდოს ვინ ჩივის, დახვედრითაც არავინ დახვედრია მშობლებისა და ჩვენს მეტი.

მეტიც, ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად, მერის 435 დოლარის გარდა, თვითმფრინავის ბილეთის ფულის გადახდაც მოსთხოვეს. ამ ხარჯებში ბუნებრივია არ შედიოდა მწვრთნელისთვის საჭირო თანხები. არადა, 10 წლის გოგონას უცხო ქვეყანაში მწვრთნელის დახმარება, პარტიების გარჩევა აუცილებლად სჭირდება. სამწუხაროდ, ჩვენთან ბევრს არც ესიამოვნა რაიონიდან ჩამოსული გოგონას ასეთი წარმატება. დაბადების მოწმობაც კი გულდასმით შეუმოწმეს, რამე სიყალბეს ხომ არ აქვს ადგილიო.

**— ფედერაციამ უარი თქვა ბავშვის დაფინანსებაზე?**

— გვეუბნებიან, განათლების სამინისტრო არ გვაფინანსებს და თავის [illegible] ევს დახმარებასო. არის იმის საშიშროება, საქართველომ დაკარგოს ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მოჭადრაკე.

**— ევროპის ჩემპიონატზე ბევრი ქართველი ბავშვი მიდის?**

— ორმოცდაათზე მეტი. თბილისელებს ფედერაცია აფინანსებს და მათ არაფრის გადახდა არ უწევთ. უმეტესობას კი სხვადასხვა რაიონის ბავშვები შეადგენენ და მათ განუცხადეს — თქვენმა რაიონებმა დაგაფინანსონო. ბელგრადში 11 სექტემბერს მიემგზავრებიან და იმის ნაცვლად, ბავშვი იჯდეს და მეცადინეობდეს, კარდაკარ დამყავს გზის ფულის საშოვნელად. სტიპენდია 60 ლარი ჰქონდა დანიშნული. შეპირდნენ, მოგიმატებთო და საბოლოოდ 50 ლარამდე შემცირდა. გაჭირვებული ოჯახის შვილმა ჭადრაკზე იფიქროს თუ უამრავ პრობლემაზე?

P.S. ბატონებო, გამოფხიზლდით! ისედაც დაბეჩავებულ ქართულ სპორტში აქა-იქ გამობრწყინებულ „მარგალიტებს“ მაინც ნუ გავიმეტებთ დასაკარგად. თითქოს აქამდე დაკარგული ჩემპიონები არ გვყოფნიდეს, ისღა გვაკლია, 10 წლის ბავშვებმაც იფიქრონ ქვეყნის დატოვებაზე. იქნებ სწორედ ამ პატარა გოგონასთვის დაუმადლებია უფალს ჭადრაკის ქართველი დედოფლის კიდევ ერთი გვირგვინი...

# ბლოხინმა გაგვაფრთხილა — ასეთი რამ მეორედ არ წამოგცდეთო

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით მეორე მატჩი ჩაატარა და იმდენი მოახერხა, ცალი ფეხით უკვე გერმანიაში მყოფ უკრაინის ნაკრებს კინაღამ ზეიმი ჩაუშალა. მოგების შემთხვევაში, ისტორიაში პირველად უკრაინელები მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს ინაღდებდნენ. ბლოხინის გუნდმა საგზური მაინც დაიბევა, რადგან თურქეთისა და დანიის მატჩი ფრედ დამთავრდა და უკრაინა მიუწვდომელი გახდა.



ქართულ-უკრაინული ურთიერთობები განსაკუთრებულად უკანასკნელ წლებში დათბა და მატჩამდე ბევრი იმასაც ამბობდა, უმოტივაციო საქართველოს ნაკრები „ხონჩით“ მიართმევს კეთილ მეზობლებს სამ ქულას და შესაბამისად — მსოფლიო ჩემპიონატის საგზურსო. მატჩის „სცენარი“ მართლაც ასეც ვითარდებოდა, უკანასკნელ წუთებზე გახოკიძის ჯადოდარტყმას რომ არ „გაეფუჭებინა“ საქმე. ხუმრობა იქით იყოს და მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე სტუმართა თავკაცმა ოლეგ ბლოხინმა მკაცრად გაგვაფრთხილა: — გავიგე, ადგილობრივ პრესაში გაუღერებულა, — უკრაინა სამ ქულას ყიდულობსო და მსგავსი რამ მეორედ არ წამოგცდეთო.

გარიგებისა რა მოგახსენოთ და ის კი ცხადზე ცხადი გახლდათ, უკრაინა სულ მალე რომ მოიპოვებდა მუნდიალის საგზურს. ჩვენ ჩვენი გაჭირვებისა ვიკითხოთ, აგერ მერამდენე შესარჩევი ციკლია, დასაწყისშივე რომ ვკარგავთ ჯგუფიდან გასვლის ყოველგვარ შანსს და ბოლოს არაფრისმომცემ მატჩებშიღა „გავიგიჟებთ“ ხოლმე თავს (შიგადაშიგ, არც ახალი გუნდის შენებაზე ლაპარაკი გვავიწყდება). ციდან ვარსკვლავები არც შაბათს მოუწყვეტია საქართველოს ნაკრებს, მაგრამ მის თამაშში პოზიტიური ელემენტების აღმოჩენაც შეიძლებოდა.

ჯერ ერთი, ქართველთა კრებული საკმაოდ მწყობრად იცავდა თავს. გაიოზ დარსაძის გუნდი ცდილობდა პრაგმატული ფეხბურთი ეთამაშა, ძირითადი ყურადღება დაცვისთვის დაეთმო და შეტევის წამოწყებაზე მერელა ეფიქრა. თავს მაინცდამაინც არც კომბინაციურ თამაშზე ფიქრით იკლავდნენ (განსაკუთრებით, პირველ ტაიმში) და მოედნის ნებისმიერი წერტილიდან ბურთს გიორგი დემეტრაძის მისამართით გზავნიდნენ. „დემეს“ ამბავი კარგად მოგეხსენებათ — ბურთი თუ მოიგდო, ამ ვერცხლისწყალივით მოძრავი ფორვარდის შეჩერება ურთულესი ამოცანაა, თუმცა საქმეც ეს არის, რომ მაღალი ბურთების უმეტესობა უკრაინელ მცველთა ნადავლი ხდებოდა.

პირველ ნახევარში ორივე გუნდს შეეძლო გოლის გატანა, თუმცა, მხოლოდ სტუმრებმა იხეირეს. მანამდე ჩინებულად მოთამაშე ლომაიამ ვერაფერი მოუხერხა როტანის დარტყმას და ბლოხინის გუნდმა უზომოდ გაიხარა. ჩვენთვის სამწუხარო ტრადიციისამებრ, გოლი შესვენებამდე ორიოდე წუთით ადრე მივიღეთ — 0:1. მატჩის განახლებიდან ათიოდე წუთში, ქართველებმა პირველი ყველაზე რეალური მომენტი შექმნეს — გახოკიძის უზადო გადაცემით დემეტრაძე მეკარესთან პირისპირ დარჩა, თუმცა შოვკოვსკიმ ივაჟკაცა და კუთხურსღა გამოვრჩით.

უკრაინელთა მთავარი იმედი, ანდრეი შევჩენკო ქართველ მცველთა მარწუხებში მოექცა, მაგრამ ცალკეულ ეპიზოდებში მაინც ახერხებდა ჩვეულ რეიდებს. ლომაიას ოსტატობა რომ არა, „შევას“ გოლის გატანაც რამდენჯერმე შეეძლო. ბლოხინისგან განსხვავებით, 78-ე წუთამდე შემადგენლობა არ შეუცვლია გაიოზ დარსაძეს. იმის მიუხედავად, რომ ქართველთა თავკაცი მატჩამდე აცხადებდა, — შეხვედრის შედეგს მნიშვნელობას არ ვანიჭებთო, მატჩის მიწურულს ფლანგებზე მოთამაშე კობიაშვილისა და მენთეშაშვილის შეცვლით ერთგვარ რისკზეც წავიდა და გაუმართლა კიდეც. მოედანზე შესული გოგუა და მუჯირი აქტიურად ჩაერთვნენ საქმეში.

ძირითადი დროის ამოწურვამდე ერთი წუთით ადრე კი მცირე სასწაული მოხდა. საჯარიმოს ხაზიდან ათიოდე მეტრში მოედანზე ახალშემოსული აშვეთია მოცელეს, გახოკიძემ კი ცაცხათი ულამაზესი ბურთი გაუტანა „ცხრიანში“ შოვკოვსკის და უკრაინელთა სამუნდიალო ოცნებები მცირე ხნით გადაავადა...

მატჩის სცენარის გათვალისწინებით, „მშვიდობიანი“ ფრე ლოგიკური გამოდგა. სანუგეშო ჩვენთვის ის არის, რომ უკვე მეორე თამაშია, რაც საქართველოს ნაკრები დაწინაურებულ მეტოქეს გამარჯვების საშუალებას არ აძლევს. გუნდი იოლად აღარ ეგუება წარუმატებლობას. ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. ვერც იმას ვიტყვით, რომ სტუმრებმა გვაჯობეს. პირიქით, ჩვენი გუნდი ინდივიდუალური ოსტატობით აღემატებოდა კიდეც ჯგუფის ლიდერებს. მარტო გახოკიძის მესხისეული ფინტი რად ღირს, რომლის დროსაც ბურთდაკარგულმა მეტოქემ ქართველი ყვითელი ბარათის ხარჯზეღა შეაჩერა. ანდა ასათიანის ტექნიკური „პარაშუტი“ გაიხსენეთ, ძლივს რომ მოხსნა სტუმართა გოლკიპერმა. რა თქმა უნდა, ხარვეზებიც ბევრია, მაგრამ ჩვენს გუნდში აქამდე იშვიათი ბრძოლისუნარიანობა და ჟინი იკვეთება. ასეთი მიდგომით კი დროთა განმავლობაში ყველაფერს ეშველება. გინახავთ, აქამდე საქართველოს ნაკრებს ბოლო წამებზე ქულა ეხსნას გამოკვეთილ ფავორიტებთან?..

მატჩის შემდეგ:

**ოლეგ ბლოხინი** (უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): — მატჩის შედეგი კანონზომიერია. მომენტები ჩვენც გვქონდა და მასპინძლებსაც, ერთადერთი, რითაც ქართველებს ვაჯობეთ, ძელისთვის მორტყმული ბურთია, ამაში კი, დამეთანხმებით, ქულებს არავინ იძლევა.

მეტოქის გუნდიდან არავის გამოვყოფ — მთლიანად ნაკრები მომეწონა. თქვენ ამბობთ, რომ გუნდში ცვლილებებია, თუმცა ერთი-ორი ახალი მოთამაშის გარდა, ისევ ძველი ბირთვი გყავთ, რომელიც გადაკეთებას არ საჭიროებს. მატჩამდე ჩემს ბიჭებს ვუთხარი, რომ მოთამაშეთა შესაძლებლობების მიხედვით, საქართველოს ნაკრები პირველი-მეორე ადგილისთვის უნდა იბრძოდეს. თუმცა, რა ხდება, რატომ ვერ ახერხებთ ამას, ძნელი სათქმელია. ჩემს აზრს ვიტყოდი, მაგრამ სურვილი არა მაქვს მწვრთნელის კომპეტენციაში ჩავერიო...

**გაიოზ დარსაძე** (საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი): — ჩვენი მთავარი საზრუნავი ახალი გუნდის შენებაა. უკანასკნელ ოთხ მატჩში ნაკრებს 13 გოლი ჰქონდა გაშვებული, რაც ფეხბურთელების ფსიქოლოგიაზე არცთუ სასიამოვნოდ მოქმედებდა. მოხარული ვარ, რომ ნელ-ნელა ყველაფერი სტაბილურდება. გუნდიც კიდევ უფრო მოუმატებს თამაშს...

# მწარე სიმართლე!

## ფინეთი – საქართველო 87:79

### ჰერბერტმა მხსნელის როლი ვერ იტვირთა

გასულ შაბათს ქართველმა გულშემატკივარმა კიდევ ერთხელ (და ვინ იცის, უკვე მერამდენედ) ჩაიქნია ხელი. ფინელ კალათბურთელთა „ისე რა“ გუნდმა, რომელიც ევროპული მასშტაბის ორიოდე ვარსკვლავით თუ მოიწონებს თავს, ჩვენებურ ქომაგთა იმედებს ცივი წყალი გადაასხა და კიდევ ერთხელ გვაფიქრებინა — არც ერთ ქართულ გუნდს გადამწყვეტი მატჩის მოგება არ შეუძლია! ვერაფერს იტყვი, ასეთია მწარე სიმართლე და როგორც ჩანს, აგრერიგად ნაქები ოკეანისგაღმელი თუ ევროპული დონის „ვარსკვლავების“ ყოლის მიუხედავად, საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები მართლაც B დივიზიონში ყურყუტის ღირსია.

სხვა მხრივ როგორ უნდა შეაფასო გუნდის თამაში, რომელსაც სანუკვარი მიზნის მისაღწევად ერთი კონკრეტული მატჩის მოგება სჭირდება და გამარჯვებას ვინ ჩივის, ხშირ შემთხვევაში ისიც არ იცის, სად შორიდან ტყორცნაა საჭირო და როდის თამაშის საკუთარ თავზე აღება.

სამწუხაროდ, ილუზია გამოდგა ლაპარაკი დაცვითი თამაშის გაუმჯობესებაზეც — რომელ დაცვაზე ვფიქრობთ, როცა ფინელებმა ორი კაცით მოგვიგეს და მოგოლასა და რანიკოს რომ თავი დავანებოთ, შორიდან სროლაში არც სხვა ფინელებს შეშლიათ ხელი.

საქართველოს ნაკრების პრობლემები ჯერ კიდევ მაკედონიაში, მოსაგები მატჩის წაგების შემდეგ გამოჩნდა. თუმცა, მაშინ ნაკრებს ბრაიკოვიჩი წვრთნიდა და ეროვნული გუნდიდან მის წასვლას იმედიც მოჰყვა — რომ ერთი მატჩის სტუმრად მოგებას და მდგომარეობის გამოსწორებას მოვახერხებდით. ხორვატის წასვლის შემდეგ, ნაკრები თითქმის ნახევარი წლის მანძილზე უმწვრთნელოდ იყო. გასაგებია, რომ კალათბურთის ფედერაციაში საუკეთესო ვარიანტს არჩევდნენ, მაგრამ მოვლენების განვითარებამ დაგვარწმუნა, რომ ერთთვიანი იტალიურ-გერმანული შეკრება ნაკრებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

სამწუხაროდ, გორდონ ჰერბერტმა ქართული კალათბურთის „მხსნელის“ როლი ვერ იტვირთა და აქ მხოლოდ კონკრეტული მატჩის წაგებაში არ არის საქმე — მე პირადად მისი, როგორც მწვრთნელის „ხელი“ ნაკრებს ვერც ერთ საჭირო მომენტში ვერ შევამჩნიე.

მატჩის პერიპეტიებზე ლაპარაკს აზრი ნაკლებად აქვს — უკანასკნელ წლებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა თითქმის მთელმა საქართველომ იხილა. თქვენს ყურადღებას იმ შეცდომებზე გავამახვილებთ, ქართული გუნდის მწვრთნელ-მოთამაშეებმა რომ დაუშვეს. ფინეთის ნაკრებმა ჯერ კიდევ თბილისურ მატჩში „დაგვბომბა“ შორეული ტყორცნებით და საკუთარ მოედანზეც იმავე „იარაღით“ მოგვითავა ხელი. შესაბამისად, მთავარი მასპინძლებისთვის სროლაში ხელის შეშლა და მათი ლიდერების, მოგოლა-რანიკოს დუეტის განეიტრალება იყო. სამწუხაროდ, პერსონალური მეურვეობის ნიშნებს მხოლოდ ანატოლი ბორისას თუ შეატყობდით, რომელმაც საწყის წუთებში ერთბაშად სამი გაფრთხილება მიიღო და მერე მოედანზე აღარც გამოჩენილა. სხვა შემთხვევებში, ფინელები უპრობლემოდ ახერხებდნენ პერიმეტრის გარედან ტყორცნას და თითქმის ასპროცენტიანი სიზუსტით.

სწორედ სამქულიანებით „ამოქაჩეს“ მასპინძლებმა სასტარტო რვაქულიანი ჩამორჩენა და მას შემდეგ, ქართველებმა მხოლოდ ერთხელ, მესამე ათწუთეულში მოახერხეს წინ გასვლა. დასაწყისში ჩინებულად მოთამაშე უილიამსი გადამწყვეტ მომენტებში რამდენჯერმე შეცდა. საერთოდაც, შეცდომები ჩვენმა მოთამაშეებმა უფრო სტრატეგიაში დაუშვეს, თორემ სპორტსმენი რობოტი არ არის, ხანდახან შეიძლება ისე ვერ ითამაშოს. მესამე პერიოდში ჩვენებმა 12-ქულიანი ჩამორჩენა გაანათილეს და სამი ქულითაც დაწინაურდნენ, ხეცურიანმა ზედიზედ ორი სამქულიანი ტყორცნა არაზუსტად. არადა, ამის საჭიროება სულაც არ იყო, ჯობდა ბურთი გამთამაშებელთან მისულიყო და „ნაღდ“ ორ ქულაზე გვეთამაშა. ან კიდევ, მატჩის უკანასკნელ წუთზე, ოთხქულიანი ჩამორჩენისას, შორიდან სროლას ისევ სხვა გზების მოძებნა აჯობებდა. თუმცა, გადამწყვეტ მომენტში ჩვენებმა ვერ ივარგეს. საერთოდაც, ფინელთაგან განსხვავებით, ვერ გაიბრწყინეს საქართველოს ნაკრების ლიდერებმა — ვოვა ბორისა საერთოდ არ ჩანდა, ფაჩულიამ რამდენჯერმე თუ ითამაშა „ამერიკელის“ შესაფერისად და ცქიტიშვილის სამქულიანები რომ არა, სულაც დიდი ანგარიშით წავაგებდით.

ასე რომ, მარცხის მიზეზები მიკერძოებულ მსაჯობაში კი არა, საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ. საფინალო სირენამდე წამით ადრე, რანიკოს მიერ თითქმის საკუთარი ფარიდან ჩაგდებულმა ბურთმა კი საქართველოს ნაკრებს თავისი ადგილი მიუჩინა...

*გვერდი მოამზადა*
*რატი შელეგიამ*

## ფოტო განწყობისთვის



## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. პენსნე; 5. ქსენძი; 9. ფლატე; 11. მექსიკა; 12. გავიალი; 13. უტილი; 14. ეკიპაჟი; 17. გრიფიტი; 18. სამბა; 20. ქაოსი; 21. პლატონი; 24. ავსტრია; 28. ბადია; 31. ტალანტი; 32. უნისონი; 33. ეტაპი; 34. ივერია; 35. ბილიკი.

**შვეულად:** 1. პრომილე; 2. ნამქერი; 3. ნამიბია; 4. ჯანლი; 6. სერვერი; 7. ნიუანსი; 8. იურისტი; 9. ფრაუ; 10. ერგი; 15. ინსტინქტი; 16. პუმა; 17. გრამატიკა; 19. კოლი; 21. პასტორი; 22. აბულაძე; 23. ომონიმი; 25. სუნიზმი; 26. რემონტი; 27. აპრიორი; 28. ბიზე; 29. დუნაი; 30. აუტი.

11/IX
პირველი მეოთხედი








**თარაზულად:** 1. ამორტიზატორი; 4. თავადის ტიტული ინდოეთში; 7. ქონებრივი დანაკლისი; 8. პრიმიტიული მატყლის სართავი მანქანა; 9. XXს-ის 60-იან წლებში გავრცელებული ცეკვა; 10. ავტოსპორტის სახეობა; 14. გარეგნული ბრწყინვალება, კარგი შესახედაობა; 16. ქალაქის ელექტრული რკინიგზა; 18. ... 19. ყარყატის სახეობა; 22. გადამდნარი კარაქი; 23. ცხენების ჯოგი; 24. ცირკის ხუმარა; 26. ქ... რომელზედაც წარწერა ან რელიეფური გამოსახულებაა; 27. ციური სხეული, რომელიც მზის ... ბრუნავს; 31. ცხენბურთი; 33. მთვარეული; 34. კონუსური ფორმის ხმის გამაძლიერებელი მილი; 35. ზუ... ისებრთა ოჯახის დიდი თევზი; 36. საჯარიმო შაიბა ჰოკეიში, რომელსაც ცენტრიდან მიაცურებენ მოწინააღმდეგის კარში შესაგდებად; 37. სახელმწიფო აფრიკაში; 38. უმაღლესი ღვთაება ძვ. გერმანულ მითოლოგიაში.

**შვეულად:** 1. სამურაბე ლამბაქი; 2. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 3. ერთგვარი ხვეული ნამცხვარი; 4. უებარი საშუალება, რომელიც თითქოს ყველა შემთხვევაში შველის ადამიანს; 5. ტკბილი კარტოფილი; 10. პროფესიონალი ქართველი მოკრივე; 11. ვერდის ოპერა; 12. ამერიკის შტატი; 13. მიწის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 15. ექსპერიმენტი; 17. ავსტრალიელ აბორიგენთა სატყორცნი იარაღი; 19. ახალგამოსული აბრეშუმის ჭია; 20. ხუროთმოძღვრების ძეგლი კახეთში; 21. ბურთისებრი ბაქტერია; 25. შიშველი სხეული ხელოვნებაში; 26. ქართული ლიტერატურული პრემია; 28. ერთგვარი მოლუსკი; 29. დიდი ზომის მორბენალი ფრინველი; 30. ისლანდიის პარლამენტი; 31. „ფოლკსვაგენის" მოდელი; 32. პარკოსანი კულტურა; 33. ზღვრული ნორმა.

*შეადგინა ვანო კაჭახიძე*

## ირაკლის გაჩუმება უბრძანეს



ექიმების ბრძანებით, ცნობილი მომღერალი ირაკლი ფირცხალავა ორი კვირით უნდა დადუმდეს. ჯერ კიდევ ორი წლის წინ მკურნალებმა ირაკლის აღმოუჩინეს იშვიათი დაავადება — მონოქორდიტი (ხმის ერთ-ერთი იოგის ანთება) და სიმღერა აუკრძალეს, მაგრამ მან ყური არავის დაუგდო... ხანგრძლივი გასტროლების შემდეგ დაავადება გამწვავდა. მომღერალი ინტენსიური თერაპიის კურსს გადის დიდი თეატრის პოლიკლინიკაში. „ექიმებმა ზუსტად არ იციან, როგორ იკურნება მონოქორდიტი. ათასნაირ მეთოდს სინჯავენ, მე კი მოთმინებით ვასრულებ ყველაფერს. უხმოდ დარჩენას ცხადია, ორი კვირით დადუმება მირჩევნია", — ამბობს მომღერალი.

## კიანუ რივზის ახალი სიყვარული

ნამდვილმა ბერბიჭამ, 41 წლის კიანუ რივზმა შესაძლოა გატეხოს სიტყვა — ცოლს არასოდეს შევირთავო. ორი წლის წინ, რომანტიკული კომედიის, „სიყვარული წესებით... და წესების გარეშე", გადაღებაზე მან გაიცნო ცნობილი მსახიობი დაიან კიტონი. ამ გაზაფხულზე გავრცელდა ხმა მათი ახლო ურთიერთობის შესახებ, მაგრამ რივზმა კატეგორიულად უარყო — მაშინ იგი 26 წლის მსახიობს, ლინა კოლინზს ხვდებოდა. კიანუს ახლო მეგობრის თქმით, ახლა ვითარება შეიცვალა — კიანუ და დაიანი უკვე ორი თვეა, ერთმანეთს ხვდებიან და რივზის აზრით, ამ რომანს მომავალიც აქვს.



კიტონი არასოდეს ყოფილა გათხოვილი. მისი საყვარლები კი იყვნენ: ალ პაჩინო, უორენ ბიტი და ვუდი ალენი.

## კიდევ ერთი შენაძენი



მაიკლ დუგლასმა და მისმა მეუღლემ კეტრინ ზეტა-ჯონსმა კარგა დიდი თანხა დახარჯეს კიდევ ერთი უძრავი ქონების შესაძენად, ამჯერად კანადაში. ცოლ-ქმარი იქ სამთო-სათხილამურო კურორტს მოაწყობს. დუგლასებს აქვთ რამდენიმე ფეშენებელური სახლი ნიუ-იორკში, ლოს-ანჯელესში, უელსში, ბერმუდის კუნძულებზე და მაიორკაში, მაგრამ კანადის ამ ზღაპრულმა ადგილებმა ცოლ-ქმარი მეტად მოხიბლა. შარშან მათ შვეულმფრენით დაათვალიერეს იქაურობა რეზიდენციისთვის შესაფერისი ადგილის შესარჩევად და ძალიან მოეწონათ ძველებური, ციხესიმაგრის ტიპის შენობა, სადაც ოდესღაც ფრანცისკანელი ბერები ცხოვრობდნენ.

სახლი დღემდე ხელუხლებელია.

## „ლამაზმანი" კინოდან მიდის(?)

ჯულია რობერტსმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ ემშვიდობება კარიერას.



37 წლის მსახიობი ძალიან დაიღალა კინოგადაღებებით და ახალი ცხოვრების დაწყებას აპირებს ქმართან, დენი მოდერთან და ტყუპ შვილთან ერთად. ჯულია პირობას იძლევა, რომ კინოდან ლამაზად წავა.

გაისად, მარტში, მსახიობი ითამაშებს ბროდვეის სპექტაკლში „სამი წვიმიანი დღე"...

ჯულიამ გადაწყვიტა, ითამაშოს თეატრში, რათა მისმა შვილებმა იამაყონ დედით, როგორც ნამდვილად დიდი მსახიობით და არა მარტო „ლამაზმანის" ვარსკვლავით...


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.



მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
news@kvirispalitra.com
www.kvirispalitra.ge
სარეგისტრაციო ნომერი © 1518
„კვირის პალიტრა"
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".